

**ადინისტრაციული  
ხელშეკრულება;  
ზიანის ანაზღაურება**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2021, № 12

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2021, № 12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2021, № 12

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2021, № 12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეხელი

- 1. ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები**

საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული  
მიზნობრიობის შესაბამისად მოპასუხის მიერ ვალდებულების  
შესრულების დადგენა ..... 4

შრომითი ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მომუშავე პირის  
წელთა ნამსახურობის პერიოდის განსაზღვრა ..... 49

სადავო საცხოვრებელი ბინის პრივატიზების საფუძველი ..... 66

ბინის პრივატიზების პროცესში მოსარჩელის  
ფაქტობრივ მფლობელობასა და სარგებლობაში  
არსებული ბინის სხვა პირისთვის გადაცემის კანონიერება ..... 86
- 2. ზიანის ანაზღაურება**

ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული უმოქმედობით  
გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დადგენის საკითხი ..... 101

ზიანის ანაზღაურებისა და უსაფუძვლო გამდიდრების  
მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები ..... 146

# 1. ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები

## საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესაბამისად მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების დადგენა

### განჩინება საქართველოს სასჯელსახლით

№ბს-966(კ-19)

1 ოქტომბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ა. ნულაძე

**დავის საგანი:** არამიზნობრივად გახარჯული საგრანტო თანხის უკან დაბრუნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 28 აპრილს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე ა(ა)იპ ... ცენტრმა გაიმარჯვა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ 2016 წლის 15 მარტსა და 17 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ უზრუნველყო საგრანტო თანხის საგრანტო პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად ხარჯვასთან დაკავშირებით ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარება, რომლის საფუძველზეც, მოპასუხის მხრიდან ერთი პროექტის ფარგლებში 11760.71 ლარისა და მეორე პროექტის ფარგლებში 5975.88 ლარის არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტი გამოვლინდა.

მოსარჩელის მითითებით, საკონკურსო კომისიამ გამოიყენა „გრანტის გაცემის წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვე-პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა – საგრანტო თანხის ნაწილობრივ (11760.71 ლარი და 5975.88 ლარი) უკან გამოთხოვა. მოპასუხის მიერ თანხის ნებაყოფლობით დაბრუნების თარიღად განისაზღვრა არაუგვიანეს 2017 წლის 29 მარტისა. „გრანტის გაცემის წესის“ მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სწავლების ცენტრის დირექტორის 2017 წლის 20 მარტის №1-40 და №1-44 ბრძანებებით დამტკიცდა საკონკურსო კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე მხარემ კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ დააბრუნა არამიზნობრივად გახარჯული თანხა. სწავლების ცენტრის დირექტორის ზემოხსენებული ბრძანებები ა(ა)იპ ... ცენტრმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა და მათი ბათილად ცნობა მოითხოვა, თუმცა მოთხოვნა უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა.

ამდენად, მოსარჩელემ ა(ა)იპ ... ცენტრისთვის არამიზნობრივად გახარჯული საგრანტო თანხის, სულ 17 736.59 ლარის (2016 წლის 30 მაისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამოყოფილი 11 760.71 ლარისა და 2016 წლის 3 აგვისტოს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამოყოფილი 5 975.88 ლარის) უკან დაბრუნება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველსაყოფის სახით მოპასუხე მხარის (ს/კ ...) GE... ანგარიშზე, საქართველოში არსებულ სხვა საბანკო დანესებულებებში მოპასუხის არსებულ ანგარიშებსა და მის უძრავ-მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე იშუამდგომლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 1 მაისის განჩინებით სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ყადაღა დაედო ა(ა)იპ ... ცენტრის (ს/კ ...) ანგარიშს – GE... და საქართველოში მოქმედ ყველა კომერციულ ბანკში მოპასუხის არსებულ ანგარიშებს 17 736.59 ლარის ფარგლებში; სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე სხვა ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების

ცენტრის სარჩელი დაკმაყოფილდა; ა(ა)იპ ... ცენტრს არამიზნობრივად გახარჯული საგრანტო თანხის, სულ 17 736.59 ლარის (2016 წლის 30 მაისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამოყოფილი 11760.71 ლარისა და 2016 წლის 3 აგვისტოს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამოყოფილი 5975.88 ლარის) უკან დაბრუნება დაევალა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი საკონკურსო კომისიის №2 ოქმის (სხდომის ჩატარების თარიღი 25.04.2016წ.) თანახმად, კომისიის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... ცენტრმა მოიპოვა დაფინანსება (საშუალო შეფასება 80.60) დანართ №1-ში მითითებული დამატებითი მოთხოვნების შესრულების პირობით.

დანართი №1-ის თანახმად, I კატეგორიის სამიზნე ჯგუფი დაკომპლექტებული უნდა იყოს კანონმდებლობის შესაბამისად არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიებში წევრების დანიშვნის უფლების მქონე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობით. კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს განვითარების უზრუნველსაყოფად, სამიზნე ჯგუფის დაკომპლექტების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია შეასრულოს დადგენილი მოთხოვნები კერძოდ: სწავლების ცენტრს უნდა წარუდგინოს პროექტის მონაწილეობის შესახებ მოწვევის წერილის შვიდი კვალიფიციური პოლიტიკური პარტიისთვის დაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი და გაგზავნილი მოწვევის წერილის შესაბამისად პროექტში მონაწილეობის თაობაზე არანაკლებ ოთხი კვალიფიციური პარტიიდან მიღებული თანხმობის წერილი, ხელმოწერილი პარტიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ; პარტიებისთვის დაგზავნილი მოწვევის წერილი და პარტიებიდან მიღებული თანხმობის წერილები სწავლების ცენტრს უნდა წარუდგინოს არასამთავრობო ორგანიზაციის ელექტრონულ მისამართზე აღნიშნული მოთხოვნის შესახებ შეტყობინების განხორციელებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში (წერილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ნაბეჭდი ელექტრონულ ფორმით (CD)).

ზემოაღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

თანაბარი პირობებისა და პროპორციულობის უზრუნველყოფის მიზნით, პროექტში მონაწილეობის სურვილის მქონე თითოეულ პარტიას უნდა მიეცეს შესაძლებლობა სამიზნე ჯგუფში პარტიის წარმომადგენლები წარადგინოს შესაბამის რეგიონში მოქმედი საოლქო საარჩევნო კომისიების რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: თბილისი (10 საოლქო საარჩევნო კომისია); კახეთი (8 სა-

ოლქო საარჩევნო კომისია); ქვემო ქართლი (7 საოლქო საარჩევნო კომისია); შიდა ქართლი-მცხეთა-მთიანეთი (8 საოლქო საარჩევნო კომისია); სამცხე-ჯავახეთი (6 საოლქო საარჩევნო კომისია); იმერეთი (თერჯოლა ტყიბულის გარდა) (10 საოლქო საარჩევნო კომისია); რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, თერჯოლა და ტყიბული (6 საოლქო საარჩევნო კომისია); სამეგრელო და ზემო სვანეთი (9 საოლქო საარჩევნო კომისია); გურია-აჭარა (9 საოლქო საარჩევნო კომისია);

II კატეგორიის სამიზნე ჯგუფი: კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს განვითარების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული სამიზნე ჯგუფის დაკომპლექტების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია შეასრულოს დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ: სწავლების ცენტრს უნდა წარუდგინოს პროექტში მონაწილეობის შესახებ მოწვევის წერილის თერთმეტი კვალიფიციური პოლიტიკური პარტიისთვის გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი და გაგზავნილი მოწვევის წერილის შესაბამისად პროექტში მონაწილეობის თაობაზე არანაკლებ ექვსი კვალიფიციური პარტიიდან მიღებული თანხმობის წერილი, ხელმოწერილი პარტიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ; სწავლების ცენტრს ასევე უნდა წარუდგინოს, ბოლო ოთხი წლის მანძილზე გამართულ ერთ-ერთ საერთო არჩევნებში მონაწილე არაუმეტეს ექვსი არაკვალიფიციური პარტიისთვის პროექტში მონაწილეობის შესახებ მოწვევის წერილის დაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი და გაგზავნილი მოწვევის წერილის შესაბამისად პროექტში მონაწილეობის თაობაზე თანხმობის მიღების შემთხვევაში, აღნიშნული თანხმობის წერილი, ხელმოწერილი პარტიის ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ;

პარტიებისთვის დაგზავნილი მოწვევის წერილი და პარტიებიდან მიღებული თანხმობის წერილები სწავლების ცენტრს უნდა წარუდგინოს არასამთავრობო ორგანიზაციის ელექტრონულ მისამართზე აღნიშნული მოთხოვნის შესახებ შეტყობინების განხორციელებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში (წერილების წარმოდგენა უნდა მოხდეს ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (CD)); ზემოაღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ. თანაბარი პირობებისა და პროპორციულობის უზრუნველყოფის მიზნით, პროექტში მონაწილეობის სურვილის მქონე თითოეულ პარტიას უნდა მიეცეს შესაძლებლობა სამიზნე ჯგუფში პარტიის წარმომადგენლები წარადგინოს შესაბამის რეგიონში მოქმედი საოლქო საარჩევნო კომისიების

რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: თბილისი (10 საოლქო საარჩევნო კომისია); კახეთი (8 საოლქო საარჩევნო კომისია); ქვემო ქართლი (7 საოლქო საარჩევნო კომისია); შიდა ქართლი – მცხეთა-მთიანეთი (8 საოლქო საარჩევნო კომისია); სამცხე-ჯავახეთი (6 საოლქო საარჩევნო კომისია); იმერეთი (თერჯოლისა და ტყიბულის გარდა) (10 საოლქო საარჩევნო კომისია); რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, თერჯოლა და ტყიბული (6 საოლქო საარჩევნო კომისია); სამეგრელო და ზემო სვანეთი (9 საოლქო საარჩევნო კომისია); გურია – აჭარა (9 საოლქო საარჩევნო კომისია). თუ პარტიებიდან პროექტში მონაწილეობის შესახებ მიღებული თანხმობის წერილებიდან გამოიკვეთება, რომ შემცირდა პროექტით გათვალისწინებულ სამიზნე ჯგუფებში მონაწილეთა რაოდენობა, არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია სწავლების ცენტრს წარუდგინოს პროექტის კორექტირებული ბიუჯეტი გამოცხადებული საგრანტო კონკურსის მოთხოვნებით პროექტის დაფინანსებისთვის დადგენილი დაანგარიშების პრინციპის გათვალისწინებით. არასამთავრობო ორგანიზაციამ კორექტირებული ბიუჯეტი სწავლების ცენტრს უნდა წარუდგინოს პარტიებისთვის დაგზავნილ მონვევისა და პარტიებიდან მიღებული თანხმობის წერილებთან ერთად (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (CD)). აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი საკონკურსო კომისიის 2016 წლის 18 მაისის №4 სხდომის ოქმის თანახმად, ოქმის 2.1. პუნქტით „გრანტის გაცემის წესის“ მე-13 მუხლის მე-19 პუნქტის საფუძველზე, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ დადგინდა საგრანტო პროექტის ბიუჯეტში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების განხორციელების მოთხოვნა: პროექტის ბიუჯეტის პირველი მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებული სახელფასო ფონდი შემცირებულ იქნა 3000 ლარის ოდენობით (პროექტის ბიუჯეტის პირველი მუხლის 1.1.1.; 1.1.2.; 1.1.3.; 1.1.4. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ადამიანური რესურსების შენარჩუნებით); პროექტის ბიუჯეტის პირველი მუხლის 1.2.1.; 1.2.2.; 1.2.3.; 1.2.4.; 1.2.5. ქვეპუნქტებში (ტრენერების შრომის ანაზღაურება) შევიდა ცვლილება და ტრენერების ჰონორარი განისაზღვრა საათობრივ მომსახურებაზე არაუმეტეს 45 ლარის გაანგარიშებით (პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრენერების რესურსის შენარჩუნებით); პროექტის ბიუჯეტში ამოღებულ იქნა მე-4 მუხლის 4.1. პუნქტი (პროექტორი); დადგინდა პრო-



ექტის ბიუჯეტის მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის (ხარჯი (ნოუთბუქი)) შესაბამისობაში მოყვანა „გრანტის გაცემის წესის“ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან. ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, დადგინდა საგრანტო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების, ღონისძიების ნაწილში ცვლილებების განხორციელება. კენჭისყრის შედეგი: მომხრე – 4; წინააღმდეგი – 0.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი საკონკურსო კომისიის №1 სხდომის ოქმის (სხდომის ჩატარების თარიღი 27.07.2016წ.) თანახმად, „გრანტის გაცემის წესის“ მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... ცენტრის დაფინანსების მათ მიერ საგრანტო პროექტების ბიუჯეტებში დადგენილი მოთხოვნების შესრულების პირობით განხორციელების შესახებ. პროექტის ბიუჯეტში დაკორექტირდა მე-4 მუხლი (ოფისის ხარჯი).

2016 წლის 27 მაისის სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის №1-118 ბრძანებით დამტკიცდა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... ცენტრის დაფინანსების შესახებ.

2016 წლის 3 აგვისტოს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის №1-208 ბრძანებით დამტკიცდა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... ცენტრის დაფინანსების შესახებ.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 30 მაისს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრსა და ა(ა)იპ ... ცენტრს შორის დაიდო №2 საგრანტო ხელშეკრულება. ხელშეკრულების 1.1., 1.2. და 1.3. პუნქტების (ხელშეკრულების საგანი) თანახმად, გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიმღებისათვის გადაცემული მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში, გრანტის მიმღები იღებდა ვალდებულებას განხორციელებინა საგრანტო კონკურსის გრანტის გამცემისათვის წარდგენილი პროექტი დანართი №1 შესაბამისად. საგრანტო პროექტი უნდა განხორციელებულიყო 2016 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. მხარეთა უფლება-მოვალეობანი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, წესით, საგრანტო კონკურსში გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

ხელშეკრულების 2.2. პუნქტის თანახმად, გრანტის გამცემის მიერ საგრანტო პროექტის შესრულებისა და საგრანტო თანხის მიზნობრივად ხარჯვის კონტროლის განხორციელების მიზნით, გრან-

ტის მიმღები ვალდებული იყო გრანტის გამცემისათვის წარედგინა შემაჯამებელი ანგარიში წესის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად. 2.3. პუნქტის თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებული იყო გრანტის გამცემისათვის წარედგინა შუალედური ანგარიში წესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 15 ივლისისა. 2.4. პუნქტის თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებული იყო წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, შემდგომში არაუგვიანეს 25 ივნისისა და არაუგვიანეს 25 ივლისისა, სწავლების ცენტრისათვის ელექტრონულ ფოსტაზე „grants@electionreforms.ge“ მიენოღებინა დეტალური ინფორმაცია შესაბამისად ივნისის, ივლისისა და აგვისტოს თვეების განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიების გრაფიკის შესახებ, მათი შინაარსის, პასუხისმგებელი პირის მონაცემების, განხორციელების ზუსტი ადგილისა და დროის მითითებით. 2.5. პუნქტის თანახმად, წესის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ღონისძიებების გრაფიკში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში გრანტის მიმღები ვალდებული იყო, აღნიშნული ინფორმაცია ეცნობებინა გრანტის გამცემისათვის მანამდე წარდგენილ გრაფაში განსაზღვრული ღონისძიების განხორციელების თარიღამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

ამავე ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად, გრანტის გამცემს გრანტის მიმღებისათვის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად უნდა გადაეცა 105 068 ლარი, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. 3.2. პუნქტის თანახმად, საგრანტო თანხა გადაირიცხებოდა ორ ეტაპად: ა) ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში 50 000 ლარის ოდენობით; ბ) თუ აღნიშნული ხელშეკრულების 2.3. პუნქტის შესაბამისად, წარდგენილი შუალედური ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული შუალედური მონიტორინგის შედეგად არ გამოვლინდებოდა დარღვევები – 55 068 ლარის ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 3 აგვისტოს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრსა და ა(ა)იპ ... ცენტრს შორის დიდო საგრანტო ხელშეკრულება №38. ხელშეკრულების 1.1., 1.2. და 1.3. პუნქტების (ხელშეკრულების საგანი) თანახმად, გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიმღებისათვის გადაცემული მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში, გრანტის მიმღები იღებდა ვალდებულებას, განხორციელებინა საგრანტო კონკურსის გრანტის გამცემისათვის წარდგენილი პროექტი დანართი №1 შესაბამისად. საგრანტო პროექტი უნ-

და განხორციელებულიყო 2016 წლის 7 აგვისტოდან 2016 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით. მხარეთა უფლება-მოვალეობანი დარეგულირდა საქართველოს კანონმდებლობით, საგრანტო კონკურსში გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

ხელშეკრულების 2.2. პუნქტის თანახმად, გრანტის გამცემის მიერ საგრანტო პროექტის შესრულებისა და საგრანტო თანხის მიზნობრივად ხარჯვის კონტროლის განხორციელების მიზნით, გრანტის მიმღები ვალდებული იყო გრანტი გამცემისათვის წარედგინა შემაჯამებელი ანგარიში წესის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად. 2.3. პუნქტის თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებული იყო გრანტის გამცემისათვის წარედგინა შუალედური ანგარიში წესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 7 სექტემბრისა. 2.4. პუნქტის თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებული იყო წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, შემდგომში არაუგვიანეს 7 სექტემბრისა, სწავლების ცენტრისათვის ელექტრონულ ფოსტაზე „grants@electionreforms.ge“ მიენობებინა დეტალური ინფორმაცია შესაბამისად აგვისტოს, სექტემბერ-ოქტომბრის თვეების განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიების გრაფიკის შესახებ, მათი შინაარსის, პასუხისმგებელი პირის მონაცემების, განხორციელების ზუსტი ადგილისა და დროის მითითებით. 2.5. პუნქტის თანახმად, წესის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ღონისძიებების გრაფიკში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებული იყო აღნიშნული ინფორმაცია ეცნობებინა გრანტის გამცემისათვის მანამდე წარდგენილ გრაფაში განსაზღვრული ღონისძიების განხორციელების თარიღამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

ამავე ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად, გრანტის გამცემს გრანტის მიმღებისათვის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად უნდა გადაეცა 29 975 ლარი, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. 3.2. პუნქტის თანახმად, საგრანტო თანხა გადაირიცხებოდა ორ ეტაპად: ა) ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში 14 987 ლარის ოდენობით; ბ) თუ აღნიშნული ხელშეკრულების 2.3. პუნქტის შესაბამისად წარდგენილი შუალედური ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული შუალედური მონიტორინგის შედეგად არ გამოვლინდებოდა დარღვევები – 14 987.50 ლარის ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

მიერ 2017 წლის 13 მარტს გაცემული №001366917 დასკვნის თანახმად, საგრანტო ხელშეკრულებების მიხედვით, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ გრანტის სახით გაცემული ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ მიღებული 105 068 ლარიდან, პროექტის – „...ში“ განხორციელებისათვის გახარჯულია სწორად 73 501.12 ლარი, 11 480 ლარზე მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი, 276.71 ლარზე არ არის წარმოდგენილი ხარჯვის დოკუმენტაცია, 4 ლარის 4.2. მუხლში/პუნქტში ხარჯვის გაზრდის თანხმობის შესახებ საქმეში არ მოიპოვება შესაბამისი წერილობითი დასტური, ხოლო ნაშთად ერიცხება 19 806.17 ლარი, რომელიც 2016 წლის 30 აგვისტოს დაბრუნდა ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, №2 საგრანტო ხელშეკრულების (30.05.2016წ.) თანახმად, გრანტის ოდენობა შეადგენს 105 068 ლარს. საქმეში წარმოდგენილი დამატებითი მასალების მიხედვით, პროექტის დაგეგმილი ბიუჯეტის მე-4 მუხლის (ოფისის ხარჯი) 4.2 პუნქტით (პრინტერის შესყიდვა) გათვალისწინებული თანხის ოდენობა განსაზღვრულია 360 ლარით, ხოლო ფაქტობრივად განეულმა ხარჯმა შეადგინა 400 ლარი. აღნიშნული სხვაობა ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხაზე 10%-ით მეტია. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის მიერ 396 ლარის ოდენობით გახარჯულია სწორად, ხოლო დარჩენილ თანხაზე სულ 4 ლარზე აღნიშნულ მუხლში/პუნქტში ხარჯვის თანხმობის შესახებ საქმეში არ მოიპოვება შესაბამისი წერილობითი დასტური. ამასთან, საქმეში წარდგენილი იყო კომუნიკაციის ხარჯის გადარიცხვის საგადახდო დავალებები, ხოლო ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის 445 ლარიდან 276.71 ლარზე.

რაც შეეხება მე-2 მუხლში ასახულ მივლინების ხარჯებს (მგზავრობა, ცხოვრება, დღიური), დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზაზე დამატებით წარდგენილი იყო სამივლინებო ბრძანებები. თანხების გაცემის უწყისები, მივლინების მონაწილეები, მივლინების ხარჯების ანგარიში და ტრენინგზე დასწრების ფურცლები. აღნიშნული დოკუმენტაციის კვლევის შედეგად დგინდებოდა, რომ სულ 13 275 ლარი ორგანიზაციის მიერ გაცემული იყო სამივლინებო ხარჯებისათვის. კერძოდ, სატრანსპორტო, ცხოვრების და დღიური ხარჯისთვის, აღნიშნული თანხები სრულად დაბეგრული იყო საშემოსავლო გადასახადით, რომელიც გადარიცხული იყო ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე. სამსახურებრივი მივლინების დადგენილი სადღელამისო დღიური ნორმა შეადგენდა 15 ლარს, რომელიც არ ექვემდებარებოდა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას. აღნიშ-

ნულ შემთხვევაში, სამსახურებრივი მივლინების დადგენილი სადღელდამისო დღიური ნორმა არ იყო გამოწერილი მივლინებაში მყოფ პირებზე. ორგანიზაციის მიერ პროექტში დასაქმებულ თანამშრომლებზე ბრძანებით განსაზღვრული იყო ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით, ერთდღიან პერიოდზე სამივლინებო ხარჯები არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით, ხოლო ერთზე მეტ დღიან პერიოდზე – არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით. ვინაიდან ანგარიშვალდებულ პირებს არ ჰქონდათ წარდგენილი მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია, გასაცემი თანხების გამოთვლას ორგანიზაცია ახორციელებდა აღნიშნული ბრძანების შესაბამისად მივლინების ხარჯების ანგარიშის მიხედვით, რომლის შემდგომაც ხდებოდა საშემოსავლო გადასახადის დაკავება და დაბეგრილი თანხა ერიცხებოდა მიმღებ პირს შესაბამის საბანკო ანგარიშზე. კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული თანხები წარმოადგენდა პირის მიერ მიღებულ სარგებელს.

დასკვნის თანახმად, სულ მივლინების დღეთა რაოდენობა შეადგენდა 98 დღეს. აღნიშნულის და დადგენილი სადღელდამისო დღიური ნორმის – 15 ლარის გათვალისწინებით, სულ სადღელდამისო ხარჯი შეადგენდა 1470 ლარს. 325 ლარი წარმოადგენდა სასტუმროს ხარჯს, რომელზეც წარმოდგენილი იყო მიზნობრივად ხარჯვის შესაბამისი დოკუმენტაცია. ამდენად, ექსპერტიზაზე არ იყო წარმოდგენილი საერთო ჯამში 11 480 ლარის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია.

დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად დამქირავებლის ბრძანებით მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ – ქვეყნის შიგნით დაქირავებულის მივლინებისას, სამსახურებრივი მივლინების სადღელდამისო ხარჯების ნორმა განისაზღვრებოდა 15 ლარის ოდენობით, ხოლო მგზავრობისა და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრებოდა ფაქტობრივად განეული ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობით ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი. ასევე, სარგებლად ითვლება დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ანაზღაურებული ხარჯები, ხოლო ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნორმის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ ჩა-

რიცხული 105 068 ლარი, ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ პროექტის – „...ში“ განხორციელებისათვის, გახარჯული იყო სწორად 73 501.12 ლარი, 11 480 ლარზე მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი არ იყო წარდგენილი, 276.71 ლარზე არ იყო წარდგენილი ხარჯვის დოკუმენტაცია, 4 ლარის 4.2 მუხლში/პუნქტში ხარჯვის გაზრდის თანხმობის შესახებ საქმეში არ მოიპოვებოდა შესაბამისი წერილობითი დასტური, ხოლო ნაშთად ერიცხებოდა 19 806.17 ლარი, რომელიც 2016 წლის 30 აგვისტოს დაბრუნდა ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული 2017 წლის 16 მარტის №001466017 დასკვნის მიხედვით, ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ მიღებული 29 975 ლარიდან, პროექტის – „...ა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში“ განხორციელებისათვის გახარჯული იყო სწორად 22 726.6 ლარი, 5825 ლარის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია ექსპერტიზაზე არ იყო წარდგენილი, 150.88 ლარზე არ იყო წარდგენილი ხარჯვის დოკუმენტაცია, ხოლო ნაშთად რიცხული 1 272.52 ლარი 2016 წლის 7 ოქტომბერს დაბრუნდა ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

დასკვნის თანახმად, №38 საგრანტო ხელშეკრულების პირველი მუხლის მიხედვით, გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიმღებისათვის გადაცემული მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში, გრანტის მიმღები იღებს ვალდებულებას, განახორციელოს საგრანტო კონკურსში გრანტის გამცემის წარდგენილი პროექტი დანართი №1-ის შესაბამისად; საგრანტო პროექტი უნდა განხორციელდეს 2016 წლის – 7 აგვისტოდან 7 ოქტომბრის ჩათვლით; მხარეთა უფლებამოვალეობანი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, წესით, საგრანტო კონკურსში გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

დასკვნის მიხედვით, მითითებული ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია გრანტის გამცემის წესი, რომლის მიხედვითაც, გრანტის გამცემი გრანტის მიმღებს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად გადასცემს 29 975 ლარს, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით. საქმეში წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნობრივი 29 975 ლარის გრანტიდან გახარჯულია 28 702.48 ლარი, მათ შორის, შრო-

მის ანაზღაურება – 9 500 ლარი; მგზავრობის ხარჯი – 8 000 ლარი; კონფერენციების, სწავლებების, ღონისძიებების ორგანიზების ხარჯი – 10 784.87 ლარი; ოფისის ხარჯი – 400 ლარი; სხვა ხარჯი – 17.61 ლარი.

საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, პროექტის დაგეგმილი ბიუჯეტის მუხლში/პუნქტში 10% ზემოთ ცვლილება მიმღების მიერ არ განხორციელებულა.

რაც შეეხება მე-2 მუხლში ასახულ მივლინების ხარჯებს, დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილი იყო სამივლინებო ბრძანებები, მივლინების მოწმობები, მივლინების ხარჯების ანგარიში. აღნიშნული დოკუმენტაციის კვლევის შედეგად დგინდება, რომ ორგანიზაციის მიერ სამივლინებო ხარჯებისათვის გაცემულია 8 000 ლარი, საიდანაც 1590 წარმოადგენს სასტუმროს მომსახურების ანაზღაურების თანხას, ხოლო დარჩენილი თანხა, მათ შორის, 585 ლარი (სამსახურებრივი მივლინების დადგენილ სადღე-ღამისო (დღიური 15 ლარი) ხარჯების ნორმა) დაბეგრილია საშემოსავლო გადასახადით. ამდენად, ექსპერტიზაზე არ იყო წარდგენილი 5825 ლარის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია. აღნიშნული თანხიდან საშემოსავლო გადასახადს წარმოადგენდა 1282 ლარი. ამასთან ერთად, მე-4 მუხლის 4.1. პუნქტით (საკომუნიკაციო ხარჯი) განსაზღვრული 400 ლარიდან ხარჯვის დოკუმენტაცია წარდგენილი იყო მხოლოდ 249.12 ლარზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ მიღებული 29 975 ლარიდან, პროექტის – „...ა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში“ განხორციელებისათვის გახარჯული იყო სწორად 22 726.6 ლარი, 5828 ლარის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია ექსპერტიზაზე არ იყო წარდგენილი, 150.88 ლარზე არ იყო წარდგენილი ხარჯვის დოკუმენტაცია, ხოლო ნაშთად რიცხული 1 272.52 ლარი 2016 წლის 7 ოქტომბერს დაბრუნდა ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 20 მარტს მომზადებული 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი საკონკურსო კომისიის №5 სხდომის ოქმის თანახმად, დღის წესრიგს წარმოადგენდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის“ მე-17 მუხლის პირ-

ველი პუნქტის საფუძველზე მონიტორინგის ჯგუფის მიერ საკონკურსო კომისიისთვის კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსებული პროექტის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციის წარდგენა. ოქმის თანახმად, ა(ა)იპ ... ცენტრს სწავლების ცენტრის მიერ ჩაერიცხა 105 068 ლარი, რომლიდანაც გახარჯული იყო სწორედ 73 501.12 ლარი. 11480 ლარზე (სამივლინებო ხარჯი) მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი წარდგენილი არ იყო. პროექტის ბიუჯეტის მე-4 მუხლის 4.2. პუნქტში (ოფისის ხარჯი) ხარჯვის 10%-ით ზრდაზე საგრანტო საკონკურსო კომისიის თანხმობის შესახებ საქმეში არ მოიპოვებოდა შესაბამისი წერილობითი დასტური (შეადგინა 4 ლარი).

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, კომისიის სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ გამოყენებულიყო „გრანტის გაცემის წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა – საგრანტო თანხის ნაწილობრივ უკან გამოთხოვა, გამოსათხოვი თანხის ჯამურ ოდენობად განისაზღვრა 11 760.71 ლარი (მოიცავს: 276.71 ლარის, 4 ლარისა და 11 480 ლარის ჯამს). კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 4, წინააღმდეგი – 0. კენჭისყრის შედეგად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ გამოყენებულიყო „გრანტის გაცემის წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა – საგრანტო თანხის ნაწილობრივ უკან გამოთხოვა, გამოსათხოვი თანხის ოდენობად კი განისაზღვრა 11 760.71 ლარი. თანხის დაბრუნების თარიღად დადგინდა არაუგვიანეს 2017 წლის 29 მარტისა.

სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ 2017 წლის 20 მარტს მომზადებული 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი საკონკურსო კომისიის №5 სხდომის ოქმის თანახმად, დღის წესრიგს წარმოადგენდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის“ მე-17 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მონიტორინგის ჯგუფის მიერ საკონკურსო კომისიისთვის კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსებული პროექტის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციის წარდგენა. ოქმის თანახმად, ა(ა)იპ ... ცენტრს სწავლების ცენტრის მიერ ჩაერიცხა 29 975 ლარი, რომლიდანაც



გახარჯული იყო სწორედ 22 726.6 ლარი. 5825 ლარზე (სამივლინებო ხარჯები) მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი წარდგენილი არ იყო. 150.88 ლარზე (საკომუნიკაციო ხარჯი) არ იყო წარდგენილი ხარჯვის დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, კომისიის სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ ... ცენტრს“ მიმართ გამოყენებულიყო „გრანტის გაცემის წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა – საგრანტო თანხის ნაწილობრივ უკან გამოთხოვა, გამოსათხოვი თანხის ოდენობად კი განისაზღვრა 5975.88 (მოიცავს 150.88 ლარისა და 5825 ლარის ჯამს) ლარი. კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 3, წინააღმდეგი – 0. კენჭისყრის შედეგად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ გამოყენებულიყო „გრანტის გაცემის წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა – საგრანტო თანხის ნაწილობრივ უკან გამოთხოვა, გამოსათხოვი თანხის ოდენობად კი განისაზღვრა 5975.88 ლარი. თანხის დაბრუნების თარიღად დადგინდა არაუგვიანეს 2017 წლის 29 მარტისა.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2017 წლის 20 მარტს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის №1-40 ბრძანებით დამტკიცდა საკონკურსო კომისიის 2017 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ პასუხისმგებლობის ზომად საგრანტო თანხის ნაწილობრივ – 5975.88 ლარის ოდენობით უკან გამოთხოვის შესახებ. აღნიშნული თანხის დაბრუნება უნდა განხორციელებულიყო არაუგვიანეს 2017 წლის 29 მარტისა.

2017 წლის 20 მარტს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის №1-44 ბრძანებით დამტკიცდა საკონკურსო კომისიის 2017 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ პასუხისმგებლობის ზომად საგრანტო თანხის ნაწილობრივ – 11760.71 ლარის ოდენობით უკან გამოთხოვის შესახებ. აღნიშნული თანხის დაბრუნება უნდა განხორციელებულიყო არაუგვიანეს 2017 წლის 29 მარტისა.

სასამართლომ აგრეთვე დადგინდად მიიჩნია, რომ 2017 წლის 27 მარტს ა(ა)იპ ... ცენტრმა ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2017 წლის 20 მარტის №1-40 ბრძანებისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2017 წლის 20 მარტის №1-39

ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 18 აპრილის №24/2017 განკარგულებით ა(ა)იპ ... ცენტრის ადმინისტრაციული საჩივარი (ცესკოში რეგისტრაციის №585) არ დაკმაყოფილდა სამართლებრივი საფუძვლების არ არსებობის გამო. ძალაში დარჩა „ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2017 წლის 20 მარტის №1-40 და №1-44 ბრძანებები, როგორც მართლზომიერი გადაწყვეტილებები.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდგომში – სწავლების ცენტრი) არის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფოებრივ, საგანმანათლებლო და საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საჯარო საქმიანობას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სწავლების ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტებით, ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. მითითებული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომში – ცესკო) საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში და წესით.

სასამართლომ ასევე მიუთითა იმავე დებულების მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სწავლების ცენტრის უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით.

ნით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და წინამდებარე დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს ცესკო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტების თანახმად კი, სწავლების ცენტრის ფუნქციებს განეკუთვნება პარტიებზე თანხის გაცემა კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების დაფინანსების მიზნით; აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტების გაცემა პარტიების განვითარების ხელშეწყობისა და ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების მიზნით წარდგენილი პროექტების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, სწავლების ცენტრი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფუნქციის განხორციელებას ახდენს გრანტის გაცემის თანდართული წესის შესაბამისად.

სასამართლომ მიუთითა „გრანტის გაცემის წესის“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-16 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების კონტროლს ახორციელებს სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი, ხოლო საგრანტო თანხის საგრანტო პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად ხარჯვასთან დაკავშირებით ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის მიერ მონვეული შესაბამისი უფლებამოსილი პირი/ორგანო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მონიტორინგი ხორციელდება შემავამებელი მონიტორინგის ფორმით. მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს, აგრეთვე, შუალედური მონიტორინგის ფორმით საგრანტო თანხის ეტაპობრივი გაცემის შემთხვევაში. მითითებული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, არასამთავრობო ორგანიზაციის საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების კონტროლი ხორციელდება გასვლითი შემოწმებების ან/და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი შუალედური/შემავამებელი ანგარიშის საფუძველზე. ზემოაღნიშნული წესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შუალედური მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდულობით სწავლების ცენტრს წარუდგინოს შუალედური ანგარიში (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (CD)), რომელშიც განერილი უნდა იყოს: ა) შესაბამისი პერიოდისათვის განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები, მათი ჩატარების კონკრეტული დროისა და ადგილის მითითებით, განხორციელებული სამუშაოები, გამოყენებული მასალები (ნაბეჭდი ან/და აუდიო-ვი-

დეო-ფოტომასალა); ბ) დარჩენილი პერიოდის საქმიანობის დეტალური გეგმა. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად კი, შემაჯამებელი მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია საგრანტო პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში სწავლების ცენტრს წარუდგინოს შემაჯამებელი ანგარიში (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (CD), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს და მასში განერილი უნდა იყოს: ა) პროექტით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ანალიზი; ბ) პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები); გ) პროექტის სამიზნე ჯგუფი, ვინც მონაწილეობდა პროექტში; დ) პროექტის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები; ე) ნაბეჭდი მასალა, აუდიო-ვიდეო-ფოტო ან სხვა მასალები, რომლებიც შეიქმნა პროექტის განხორციელების შედეგად (ასეთის არსებობისას); ვ) შემაფერხებელი გარემოებები (ასეთის არსებობისას) და გადაჭრის გზები; ზ) პროექტის განხორციელებისას მიღებული დახმარებები (ასეთის არსებობისას) მიეთითება დახმარების ფორმა, ორგანიზაციების დასახელებები; თ) ფინანსური ანგარიში დანართი №3-ის შესაბამისად. ხსენებული წესის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე წარდგენილ შემაჯამებელ ანგარიშს არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა დაურთოს მისთვის გადაცემული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციის ასლები 2 ეგზემპლარად. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად კი, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის მე-4, მე-6-მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციას ელექტრონულ მისამართზე შეტყობინების გავზავნის ფორმით განუსაზღვრავს ვადას არანაკლებ 2 სამუშაო დღისა შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად.

სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ა(ა)იპ ... ცენტრმა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს წარუდგინა შემაჯამებელი ანგარიში ფინანსურ დოკუმენტაციასთან ერთად შემაჯამებელი მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით. ზემოაღნიშნული წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მეშვეობით უზრუნველყო.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის მასალებით დად-

გენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნების შინაარსზე. ამასთან, სასამართლომ მიუთითა „გრანტის გაცემის წესის“ მე-18 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, კომისია უფლებამოსილია არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ გამოიყენოს შემდეგი სახის პასუხისმგებლობის ზომები: ა) გაფრთხილება; ბ) მიმდინარე საგრანტო პროექტის შეწყვეტა ან/და საგრანტო თანხის ნაწილობრივ ან სრულად უკან გამოთხოვა; გ) საგრანტო თანხის ნაწილობრივ ან სრულად უკან გამოთხოვა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კომისია უფლებამოსილია არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ზომა. მითითებული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, კომისიის გადაწყვეტილება არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ მტკიცდება სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული აქტის მოქმედებას.

სასამართლომ მიუთითა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შინაარსზე და აღნიშნა, რომ მხარეებს შორის დადებული საგრანტო ხელშეკრულებებით განისაზღვრა ისეთი არსებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებების მონაწილე მხარეებს წარმოეშვათ ამავე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების გადახდის ვალდებულება. კერძოდ, მოპასუხე მხარის ქმედებამ გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის მიზნობრივად გამოყოფილი თანხის – 11 760.71 ლარისა და 5975.88 ლარის „გრანტის გაცემის წესის“ მე-14 მუხლის დარღვევით ხარჯვა, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა ზემოაღნიშნული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების ვალდებულება. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხის ქმედებებმა გამოიწვია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის“ მე-14 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებისა და №5, №22 საგრანტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევა, მოპასუხემ ასევე არ შეასრულა ამავე წესის მე-18

მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, მან არ დააბრუნა საგრანტო თანხა უკან.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოვლენილ იქნა მოპასუხის მხრიდან 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამოყოფილი თანხიდან ხარჯვის 10%-ზე მეტი ოდენობით ზრდის – 4 ლარის, კომუნიკაციის ხარჯის – 276.71 ლარისა და არამიზნობრივი სამივლინებო ხარჯების – 11 480 ლარის ჯამის (4+276.71+11480) – 11760.71 ლარისა და 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამოყოფილი თანხიდან არამიზნობრივი კომუნიკაციის ხარჯის – 150.88 ლარის, არამიზნობრივი სამივლინებო ხარჯების – 5825 ლარის ჯამის (150.88+5825) – 5975.88 ლარის „გრანტის გაცემის წესის“ მე-14 მუხლის დარღვევით ხარჯვა, რაც წამოადგენდა არამიზნობრივ ხარჯვას, რის გამოც მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა ზემოაღნიშნული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ ... ცენტრმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... ცენტრის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მიუთითა მათზე და დამატებით აღნიშნა, რომ სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მითითებულ დასკვნებზე დაყრდნობით, სადავოდ ხდოდა გადახდილი თანხების მიზნობრიობას, ვინაიდან ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ ვერ იქნა წარდგენილი ერთი პროექტის ფარგლებში 11760.71 ლარისა და მეორე პროექტის ფარგლებში 5975.88 ლარის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღე-

ბისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. გრანტს ახასიათებს მიზნობრიობა, რაც გულისხმობს იმას, რომ გრანტი გაიცემა განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველია წერილობითი ხელშეკრულება გრანტის გამცემსა (დონორსა) და გრანტის მიმღებს შორის. გრანტი გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისათვის, სხვა მიზნებისათვის გრანტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გრანტის გამცემის (დონორის) თანხმობით („გრანტების შესახებ“ კანონის 5.2 მუხ.).

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრსა და ა(ა)იპ ... ცენტრს შორის 2016 წლის 30 მაისსა და 2016 წლის 3 აგვისტოს საგრანტო ხელშეკრულებები ...ში საარჩევნო თემატიკაზე სასწავლო ტრენინგების ჩატარების მიზნით დაიდო.

სააპელაციო პალატის აღნიშვნით, საქმის მასალებით დადგენილი იყო და მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ ორივე საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში შედგენილ იქნა პროექტის შესრულების განრიგი და პროექტის ბიუჯეტი, რომელშიც კონკრეტულად და დეტალურად გაიწერა ტრენინგების ჩატარებისათვის გასაწვევი ხარჯების ოდენობა და მათი მიზნობრიობა. მაგ: შრომის ანაზღაურება, ხელფასების სახით გადასახდელი თანხები (გადასახადების ჩათვლით), პროექტის ხელმძღვანელის, პროექტის ხელმძღვანელის ასისტენტის, მძღოლის, ფინანსური მენეჯერისათვის განსაზღვრული ოდენობით, ტრენინგებისათვის ასანაზღაურებელი ჰონორარის თანხები (გადასახადების ჩათვლით), მგზავრობის ხარჯები, რაც მოიცავდა ადმინისტრაციის და ტრენინგების სამიჯლინებო ხარჯების (მგზავრობა, ცხოვრება, დღიური, ტრენინგების ორგანიზება – ჩატარების ხარჯებს), ტრენინგის მონაწილეების მგზავრობის ხარჯებს, კონფერენციების, სწავლებების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯებს, ოფისის ხარჯებსა და სხვას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო ქვითრები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ფინანსური ანგარიშით გათვალისწინებული თანხები (შრომის ხარჯები, ჰონორარები,

სამივლინებო ხარჯები, მგზავრობის, დღიური, ცხოვრების ხარჯები და ა.შ.) ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ გადარიცხული იქნა შესაბამისი ადრესატებისათვის. გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი იყო სამივლინებო ბრძანებები, თანხების გაცემის უწყისები, მივლინების მოწმობები, მივლინების ხარჯების ანგარიში, ტრენინგებზე დასწრების ფურცლები, რომელთა მიხედვითაც, დასტურდებოდა, რომ ორგანიზაციის მიერ გაცემული თანხები, მათ შორის სატრანსპორტო ხარჯი, ცხოვრების ხარჯი და დღიური თანხები სრულად იყო დაბეგრული საშემოსავლო გადასახადით, რომელიც გადარიცხულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე და აღნიშნული გარემოებები ასევე დადასტურებული იყო საქმეში არსებული 2017 წლის 13 მარტის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნებითაც.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელისა და საქალაქო სასამართლოს მითითება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ დასკვნებზე დაყრდნობით, ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ ერთი პროექტის ფარგლებში 11760.71 ლარისა და მეორე პროექტის ფარგლებში 5975.88 ლარის არამიზნობრივად ხარჯვის შესახებ, ვინაიდან დადგენილი იყო, რომ სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დაკვეთით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ უზრუნველყო საგრანტო თანხის, საგრანტო პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად, ხარჯვასთან დაკავშირებით ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარება. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ დასკვნას მტკიცებულებითი ძალა შესაძლებელია მინიჭებოდა საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე სასამართლო დავის მიზნებისათვის და არა განსახილველი დავის ფარგლებში, ვინაიდან პროექტში დასაქმებულ პირთა მიერ ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარუდგენლობა იმთავითვე არ გულისხმობდა იმას, რომ კონკრეტული თანხები არ იქნა გაცემული ორგანიზაციის მიერ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „დაქირავებულისათვის გა-



დახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად დამქირავებლის ბრძანებით მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ – ქვეყნის შიგნით დაქირავებულის მივლინებისას, სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვრა 15 ლარის ოდენობით, რომელიც გაიანგარიშება მივლინებაში ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეების გამოურიცხავად. ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მგზავრობისა და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრება ფაქტობრივად განეული ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დასაქმებული პირების მიერ ფაქტობრივად განეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების მოსარჩელე ორგანიზაციისათვის წარუდგენლობა შესაძლებელი იყო გამხდარიყო საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო მიზნებისათვის ა(ა)იპ ... ცენტრისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, ერთობლივი შემოსავლიდან დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯების გამოქვითვაზე უარის თქმის საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ვერ გამოდგებოდა აპელანტი ორგანიზაციის მიერ საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული თანხების არამართლობიერად, ანუ პროექტის მიზნის შეუსაბამოდ განკარგვის მტკიცებად, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებებით, მათ შორის, ტრენინგებზე დასწრების აღრიცხვის უწყისითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით, დასტურდებოდა ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ ...ში ტრენინგების სრულყოფილად ჩატარებისა და პროექტში დასაქმებული პირებისათვის ჰონორარებისა თუ მივლინების ხარჯების, მათ შორის, დღიური, ტრანსპორტირებისა და ცხოვრების ხარჯების პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად, მიზნობრივად გადარიცხვის ფაქტი. სააპელაციო პალატამ ასევე გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ა(ა)იპ ... ცენტრი წლების განმავლობაში ახორციელებდა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საგრანტო პროექტებს და ორგანიზაციის მხრიდან გრანტის სახით მიღებული თანხების არამიზნობრივად გახარჯვის ფაქტს ადგილი არასოდეს ჰქონია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საკასა-

ციო წესით გაასაჩივრა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30<sup>1</sup> მუხლის მე-2, მე-3 და მე-8 პუნქტებზე, რომლის თანახმად, სწავლების ცენტრი ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტის გაცემას პარტიების განვითარების ხელშეწყობისა და ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების მიზნით წარდგენილი პროექტების საფუძველზე. საგრანტო კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს არეგულირებს გრანტის გაცემის წესი. კასატორის განმარტებით, მონინალმდევე მხარე დაფინანსდა სწავლების ცენტრის მიერ 2016 წლის 15 მარტსა და 17 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში, რის თაობაზეც, მასსა და სწავლების ცენტრს შორის „გრანტის გაცემის წესის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, 2016 წლის 30 მაისსა და 3 აგვისტოს დაიდო №2 და №38 საგრანტო ხელშეკრულებები. „გრანტის გაცემის წესის“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საგრანტო თანხის საგრანტო პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად ხარჯვასთან დაკავშირებით ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის მიერ მოწვეული შესაბამისი უფლებამოსილი პირი/ორგანო. კასატორის მითითებით, მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე, სწავლების ცენტრი ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მეშვეობით. განსახილველ შემთხვევაში, სწავლების ცენტრის მიმართვის საფუძველზე, ექსპერტიზის ბიურომ ამ კონკურსების ფარგლებში უზრუნველყოფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარება მოპასუხე მხარის მიერ განხორციელებულ საგრანტო პროექტებთან დაკავშირებით.

კასატორი მიუთითებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახულ სამართლებრივ შეფასებებზე, კერძოდ, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მტკიცებულებითი ძალა შესაძლებელია მიენიჭოს საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე სასამართლო დავის ფარგლებში და არა განსახილველი დავის პირობებში, ვინაიდან პროექტში დასაქმებულ პირთა მიერ ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა იმთავითვე არ გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული თანხები არ იქნა გაცემული ორგანიზაციის მიერ საგრანტო ხელშეკრულებით

გათვალისწინებული მიზნობრიობის შესაბამისად.

კასატორი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მსჯელობით სააპელაციო სასამართლომ უგულვებლყო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, როგორც მტკიცებულება, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არც პირველ და არც მეორე ინსტანციის სასამართლოში არ ჰქონია წარდგენილი ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა და არც აღნიშნული დასკვნის გამაბათილებელი რაიმე სხვა მტკიცებულება. ამასთან, კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატა სამართლებრივ შეფასებას არ აძლევს მოწინააღმდეგე მხარის მიერ მივლენილ პირებზე ფაქტობრივად ხელფასის სახით დამატებით თანხების გაცემის ფაქტს, რითაც მან დაარღვია „გრანტის გაცემის წესის“ მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია დაფინანსებული პროექტის ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლში თანხის გადატანა, აგრეთვე, ისეთი ხარჯის განევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული პროექტის ბიუჯეტით.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განმარტებები პრაქტიკულად ადგენს, რომ გრანტის მიმღებ ორგანიზაციებს შეუძლიათ არ წარადგინონ ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც მათ დარღვევად არ ჩაეთვლება, მიუხედავად იმისა, რომ „გრანტის გაცემის წესის“ მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მათ ეკისრებათ თანხის ხარჯვის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციის სწავლების ცენტრისათვის წარდგენის ვალდებულება. კასატორი მიიჩნევს, რომ თუკი მომავალში დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიეცემათ ამგვარად მოქმედების შესაძლებლობა, მათ ექნებათ საშუალება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გასწიონ გარკვეული ტიპის ხარჯები ისე, რომ არ წარადგინონ მათი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, რაც, საბოლოოდ, გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ გაცემული სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 მაისის განჩინებით სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი საკონკურსო კომისიის №2 ოქმის (სხდომის ჩატარების თარიღი 25.04.2016წ.) თანახმად, კომისიის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... ცენტრმა მოიპოვა დაფინანსება (საშუალო შეფასება 80.60) დანართ №1-ში მითითებული დამატებითი მოთხოვნების შესრულების პირობით.

დანართი №1-ის თანახმად, I კატეგორიის სამიზნე ჯგუფი დაკომპლექტებული უნდა იყოს კანონმდებლობის შესაბამისად არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიებში წევრების დანიშვნის უფლების მქონე პოლიტიკური პარტიების წრმომადგენლობით. კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს განვითარების უზრუნველსაყოფად, სამიზნე ჯგუფის დაკომპლექტების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია შეასრულოს დადგენილი მოთხოვნები კერძოდ: სწავლების ცენტრს უნდა წარუდგინოს პროექტის მონაწილეობის შესახებ მოწვევის წერილის შვიდი კვალიფიციური პოლიტიკური პარტიისთვის დაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი და გაგზავნილი მოწვევის წერილის შესაბამისად პროექტში მონაწილეობის თაობაზე არანაკლებ ოთხი კვალიფიციური პარტიიდან მიღებული თანხმობის წერილი, ხელმოწერილი პარტიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ; პარტიებისთვის დაგზავნილი მოწვევის წერილი და პარტიებიდან მიღებული თანხმობის წერილები სწავლების ცენტრს უნდა წარუდგინოს არასამთავრობო ორგანიზაციის ელექტრონულ მისამართზე აღნიშნული მოთხოვნის შესახებ შეტყობინების განხორციელებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში (წერილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ნაბეჭდი ელექტრონულ ფორმით (CD)).

ზემოაღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

თანაბარი პირობებისა და პროპორციულობის უზრუნველყოფის

მიზნით, პროექტში მონაწილეობის სურვილის მქონე თითოეულ პარტიას უნდა მიეცეს შესაძლებლობა სამიზნე ჯგუფში პარტიის წარმომადგენლები წარადგინოს შესაბამის რეგიონში მოქმედი საოლქო საარჩევნო კომისიების რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: თბილისი (10 საოლქო საარჩევნო კომისია); კახეთი (8 საოლქო საარჩევნო კომისია); ქვემო ქართლი (7 საოლქო საარჩევნო კომისია); შიდა ქართლი-მცხეთა-მთიანეთი (8 საოლქო საარჩევნო კომისია); სამცხე-ჯავახეთი (6 საოლქო საარჩევნო კომისია); იმერეთი (თერჯოლა ტყიბულის გარდა) (10 საოლქო საარჩევნო კომისია); რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, თერჯოლა და ტყიბული (6 საოლქო საარჩევნო კომისია); სამეგრელო და ზემო სვანეთი (9 საოლქო საარჩევნო კომისია); გურია-აჭარა (9 საოლქო საარჩევნო კომისია);

II კატეგორიის სამიზნე ჯგუფი: კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს განვითარების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული სამიზნე ჯგუფის დაკომპლექტების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია შეასრულოს დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ: სწავლების ცენტრს უნდა წარუდგინოს პროექტში მონაწილეობის შესახებ მონვევის წერილის თერთმეტი კვალიფიციური პოლიტიკური პარტიისთვის დაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი და გაგზავნილი მონვევის წერილის შესაბამისად პროექტში მონაწილეობის თაობაზე არანაკლებ ექვსი კვალიფიციური პარტიიდან მიღებული თანხმობის წერილი, ხელმოწერილი პარტიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ; სწავლების ცენტრს ასევე უნდა წარუდგინოს, ბოლო ოთხი წლის მანძილზე გამართულ ერთ-ერთ საერთო არჩევნებში მონაწილე არაუმეტეს ექვსი არაკვალიფიციური პარტიისთვის პროექტში მონაწილეობის შესახებ მონვევის წერილის დაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი და გაგზავნილი მონვევის წერილის შესაბამისად პროექტში მონაწილეობის თაობაზე თანხმობის მიღების შემთხვევაში, აღნიშნული თანხმობის წერილი, ხელმოწერილი პარტიის ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ;

პარტიებისთვის დაგზავნილი მონვევის წერილი და პარტიებიდან მიღებული თანხმობის წერილები სწავლების ცენტრს უნდა წარუდგინოს არასამთავრობო ორგანიზაციის ელექტრონულ მისამართზე აღნიშნული მოთხოვნის შესახებ შეტყობინების განხორციელებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში (წერილების წარმოდგენა უნდა მოხდეს ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (CD)); ზემოაღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაციის

დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ. თანაბარი პირობებისა და პროპორციულობის უზრუნველყოფის მიზნით, პროექტში მონაწილეობის სურვილის მქონე თითოეულ პარტიას უნდა მიეცეს შესაძლებლობა სამიზნე ჯგუფში პარტიის წარმომადგენლები წარადგინოს შესაბამის რეგიონში მოქმედი საოლქო საარჩევნო კომისიების რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: თბილისი (10 საოლქო საარჩევნო კომისია); კახეთი (8 საოლქო საარჩევნო კომისია); ქვემო ქართლი (7 საოლქო საარჩევნო კომისია); შიდა ქართლი – მცხეთა-მთიანეთი (8 საოლქო საარჩევნო კომისია); სამცხე-ჯავახეთი (6 საოლქო საარჩევნო კომისია); იმერეთი (თერჯოლისა და ტყიბულის გარდა) (10 საოლქო საარჩევნო კომისია); რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, თერჯოლა და ტყიბული (6 საოლქო საარჩევნო კომისია); სამეგრელო და ზემო სვანეთი (9 საოლქო საარჩევნო კომისია); გურია – აჭარა (9 საოლქო საარჩევნო კომისია). თუ პარტიებიდან პროექტში მონაწილეობის შესახებ მიღებული თანხმობის წერილებიდან გამოიკვეთება, რომ შემცირდა პროექტით გათვალისწინებულ სამიზნე ჯგუფებში მონაწილეთა რაოდენობა, არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია სწავლების ცენტრს წარუდგინოს პროექტის კორექტირებული ბიუჯეტი გამოცხადებული საგრანტო კონკურსის მოთხოვნებით პროექტის დაფინანსებისთვის დადგენილი დაანგარიშების პრინციპის გათვალისწინებით. არასამთავრობო ორგანიზაციამ კორექტირებული ბიუჯეტი სწავლების ცენტრს უნდა წარუდგინოს პარტიებისთვის დაგზავნილ მოწვევისა და პარტიებიდან მიღებული თანხმობის წერილებთან ერთად (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (CD)). აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

დადგენილია, რომ 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი საკონკურსო კომისიის 2016 წლის 18 მაისის №4 სხდომის ოქმის თანახმად, ოქმის 2.1. პუნქტით „გრანტის გაცემის წესის“ მე-13 მუხლის მე-19 პუნქტის საფუძველზე, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ დადგინდა საგრანტო პროექტის ბიუჯეტში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების განხორციელების მოთხოვნა: პროექტის ბიუჯეტის პირველი მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებული სახელფასო ფონდი შემცირებულ იქნა 3000 ლარის ოდენობით (პროექტის ბიუჯეტის პირველი მუხლის 1.1.1.; 1.1.2.; 1.1.3.; 1.1.4. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ადამიანური რესურსების შენარჩუნებით); პროექტის ბიუჯეტის პირველი მუხლის 1.2.1.; 1.2.2.; 1.2.3.; 1.2.4.; 1.2.5. ქვეპუნქტებში (ტრენერების შრომის ანაზღაურ-

რება) შევიდა ცვლილება და ტრენერების ჰონორარი განისაზღვრა საათობრივ მომსახურებაზე არაუმეტეს 45 ლარის გაანგარიშებით (პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრენერების რესურსის შენარჩუნებით); პროექტის ბიუჯეტში ამოღებულ იქნა მე-4 მუხლის 4.1. პუნქტი (პროექტორი); დადგინდა პროექტის ბიუჯეტის მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის (ხარჯი (ნოუთბუქი)) შესაბამისობაში მოყვანა „გრანტის გაცემის წესის“ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან. ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, დადგინდა საგრანტო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების, ღონისძიების ნაწილში ცვლილებების განხორციელება. კენჭისყრის შედეგი: მომხრე – 4; წინააღმდეგი – 0.

დადგენილია, რომ 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი საკონკურსო კომისიის №1 სხდომის ოქმის (სხდომის ჩატარების თარიღი 27.07.2016წ.) თანახმად, „გრანტის გაცემის წესის“ მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... ცენტრის დაფინანსების მათ მიერ საგრანტო პროექტების ბიუჯეტებში დადგენილი მოთხოვნების შესრულების პირობით განხორციელების შესახებ. პროექტის ბიუჯეტში დაკორექტირდა მე-4 მუხლი (ოფისის ხარჯი).

2016 წლის 27 მაისის სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის №1-118 ბრძანებით დამტკიცდა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... ცენტრის დაფინანსების შესახებ.

2016 წლის 3 აგვისტოს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის №1-208 ბრძანებით დამტკიცდა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... ცენტრის დაფინანსების შესახებ.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად არის მიჩნეული, რომ 2016 წლის 30 მაისის სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრსა და ა(ა)იპ ... ცენტრს შორის დაიდო №2 საგრანტო ხელშეკრულება. ხელშეკრულების 1.1., 1.2. და 1.3. პუნქტების (ხელშეკრულების საგანი) თანახმად, გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიმღებისათვის გადაცემული მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში, გრანტის მიმღები იღებდა ვალდებულებას განეხორციელებინა საგრანტო კონკურსის გრანტის გამცემისათვის წარდგენილი პროექტი დანართი №1 შესაბამისად. საგრანტო პროექტი უნდა განხორციელებულიყო 2016 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. მხარეთა უფლება-მოვალეობანი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, წესით, საგ-

რანტო კონკურსში გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

ხელშეკრულების 2.2. პუნქტის თანახმად, გრანტის გამცემის მიერ საგრანტო პროექტის შესრულებისა და საგრანტო თანხის მიზნობრივად ხარჯვის კონტროლის განხორციელების მიზნით, გრანტის მიმღები ვალდებული იყო გრანტის გამცემისათვის წარედგინა შემაჯამებელი ანგარიში წესის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად. 2.3. პუნქტის თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებული იყო გრანტის გამცემისათვის წარედგინა შუალედური ანგარიში წესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 15 ივლისისა. 2.4. პუნქტის თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებული იყო წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, შემდგომში არაუგვიანეს 25 ივნისისა და არაუგვიანეს 25 ივლისისა, სწავლების ცენტრისათვის ელექტრონულ ფოსტაზე „grants@electionreforms.ge“ მიენოებინა დეტალური ინფორმაცია შესაბამისად ივნისის, ივლისისა და აგვისტოს თვეების განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიების გრაფიკის შესახებ, მათი შინაარსის, პასუხისმგებელი პირის მონაცემების, განხორციელების ზუსტი ადგილისა და დროის მითითებით. 2.5. პუნქტის თანახმად, წესის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ღონისძიებების გრაფიკში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში გრანტის მიმღები ვალდებული იყო, აღნიშნული ინფორმაცია ეცნობებინა გრანტის გამცემისათვის მანამდე წარდგენილ გრაფაში განსაზღვრული ღონისძიების განხორციელების თარიღამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

ამავე ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად, გრანტის გამცემს გრანტის მიმღებისათვის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად უნდა გადაეცა 105 068 ლარი, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. 3.2. პუნქტის თანახმად, საგრანტო თანხა გადაირიცხებოდა ორ ეტაპად: ა) ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში 50 000 ლარის ოდენობით; ბ) თუ აღნიშნული ხელშეკრულების 2.3. პუნქტის შესაბამისად, წარდგენილი შუალედური ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული შუალედური მონიტორინგის შედეგად არ გამოვლინდებოდა დარღვევები – 55 068 ლარის ოდენობით.

დადგენილია, რომ 2016 წლის 3 აგვისტოს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრსა და ა(ა)იპ ... ცენტრს შორის დაიდო საგრანტო ხელშეკრულება №38. ხელშეკრულების 1.1., 1.2. და 1.3. პუნქტების (ხელშეკრულების სა-



განი) თანახმად, გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიმღებისათვის გადაცემული მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში, გრანტის მიმღები იღებდა ვალდებულებას, განეხორციელებინა საგრანტო კონკურსის გრანტის გამცემისათვის წარდგენილი პროექტი დანართი №1 შესაბამისად. საგრანტო პროექტი უნდა განხორციელებულიყო 2016 წლის 7 აგვისტოდან 2016 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით. მხარეთა უფლება-მოვალეობანი დარეგულირდა საქართველოს კანონმდებლობით, საგრანტო კონკურსში გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

ხელშეკრულების 2.2. პუნქტის თანახმად, გრანტის გამცემის მიერ საგრანტო პროექტის შესრულებისა და საგრანტო თანხის მიზნობრივად ხარჯვის კონტროლის განხორციელების მიზნით, გრანტის მიმღები ვალდებული იყო გრანტი გამცემისათვის წარედგინა შემაჯამებელი ანგარიში წესის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად. 2.3. პუნქტის თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებული იყო გრანტის გამცემისათვის წარედგინა შუალედური ანგარიში წესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 7 სექტემბრისა. 2.4. პუნქტის თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებული იყო წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, შემდგომში არაუგვიანეს 7 სექტემბრისა, სწავლების ცენტრისათვის ელექტრონულ ფოსტაზე „grants@electionreforms.ge“ მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია შესაბამისად აგვისტოს, სექტემბერ-ოქტომბრის თვეების განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიების გრაფიკის შესახებ, მათი შინაარსის, პასუხისმგებელი პირის მონაცემების, განხორციელების ზუსტი ადგილისა და დროის მითითებით. 2.5. პუნქტის თანახმად, წესის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ღონისძიებების გრაფიკში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებული იყო აღნიშნული ინფორმაცია ეცნობებინა გრანტის გამცემისათვის მანამდე წარდგენილ გრაფაში განსაზღვრული ღონისძიების განხორციელების თარიღამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

ამავე ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად, გრანტის გამცემს გრანტის მიმღებისათვის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად უნდა გადაეცა 29 975 ლარი, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. 3.2. პუნქტის თანახმად, საგრანტო თანხა გადაირიცხებოდა ორ ეტაპად: ა) ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში 14 987 ლარის ოდენობით; ბ) თუ აღნიშნული ხელშეკრულების 2.3. პუნქტის შესაბამისად წარ-

დგენილი შუალედური ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული შუალედური მონიტორინგის შედეგად არ გამოვლინდებოდა დარღვევები – 14 987.50 ლარის ოდენობით.

დადგენილია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2017 წლის 13 მარტს გაცემული №001366917 დასკვნის თანახმად, საგრანტო ხელშეკრულებების მიხედვით, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ გრანტის სახით გაცემული ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ მიღებული 105 068 ლარიდან, პროექტის – „...ში“ განხორციელებისათვის გახარჯულია სწორად 73 501.12 ლარი, 11 480 ლარზე მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი, 276.71 ლარზე არ არის წარმოდგენილი ხარჯვის დოკუმენტაცია, 4 ლარის 4.2. მუხლში/პუნქტში ხარჯვის გაზრდის თანხმობის შესახებ საქმეში არ მოიპოვება შესაბამისი წერილობითი დასტური, ხოლო ნაშთად ერიცხება 19 806.17 ლარი, რომელიც 2016 წლის 30 აგვისტოს დაბრუნდა ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, №2 საგრანტო ხელშეკრულების (30.05.2016წ.) თანახმად, გრანტის ოდენობა შეადგენს 105 068 ლარს. საქმეში წარმოდგენილი დამატებითი მასალების მიხედვით, პროექტის დაგეგმილი ბიუჯეტის მე-4 მუხლის (ოფისის ხარჯი) 4.2 პუნქტით (პრინტერის შესყიდვა) გათვალისწინებული თანხის ოდენობა განსაზღვრულია 360 ლარით, ხოლო ფაქტობრივად განეულმა ხარჯმა შეადგინა 400 ლარი. აღნიშნული სხვაობა ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხაზე 10%-ით მეტია. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის მიერ 396 ლარის ოდენობით გახარჯულია სწორად, ხოლო დარჩენილ თანხაზე სულ 4 ლარზე აღნიშნულ მუხლში/პუნქტში ხარჯვის თანხმობის შესახებ საქმეში არ მოიპოვება შესაბამისი წერილობითი დასტური. ამასთან, საქმეში წარდგენილი იყო კომუნიკაციის ხარჯის გადარიცხვის საგადახდო დავალებები, ხოლო ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის 445 ლარიდან 276.71 ლარზე.

რაც შეეხება მე-2 მუხლში ასახულ მივლინების ხარჯებს (მგზავრობა, ცხოვრება, დღიური), დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზაზე დამატებით წარდგენილი იყო სამივლინებო ბრძანებები. თანხების გაცემის უწყისები, მივლინების მოწმობები, მივლინების ხარჯების ანგარიში და ტრენინგზე დასწრების ფურცლები. აღნიშნული დოკუმენტაციის კვლევის შედეგად დგინდებოდა, რომ სულ 13 275 ლარი ორგანიზაციის მიერ გაცემული იყო სამივლინებო ხარჯებისათვის. კერძოდ, სატრანსპორტო, ცხოვრების და დღიური ხარჯისთვის, აღნიშნული თანხები სრულად დაბეგრული იყო საშემო-

სავლო გადასახადით, რომელიც გადარიცხული იყო ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე. სამსახურებრივი მივლინების დადგენილი სადღელდამისო დღიური ნორმა შეადგენდა 15 ლარს, რომელიც არ ექვემდებარებოდა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას. აღნიშნულ შემთხვევაში, სამსახურებრივი მივლინების დადგენილი სადღელდამისო დღიური ნორმა არ იყო გამოწერილი მივლინებაში მყოფ პირებზე. ორგანიზაციის მიერ პროექტში დასაქმებულ თანამშრომლებზე ბრძანებით განსაზღვრული იყო ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით, ერთდღიან პერიოდზე სამივლინებო ხარჯები არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით, ხოლო ერთზე მეტ დღიან პერიოდზე – არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით. ვინაიდან ანგარიშვალდებულ პირებს არ ჰქონდათ წარდგენილი მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია, გასაცემი თანხების გამოთვლას ორგანიზაცია ახორციელებდა აღნიშნული ბრძანების შესაბამისად მივლინების ხარჯების ანგარიშის მიხედვით, რომლის შემდგომაც ხდებოდა საშემოსავლო გადასახადის დაკავება და დაბეგრილი თანხა ერიცხებოდა მიმღებ პირს შესაბამის საბანკო ანგარიშზე. კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული თანხები წარმოადგენდა პირის მიერ მიღებულ სარგებელს.

დასკვნის თანახმად, სულ მივლინების დღეთა რაოდენობა შეადგენდა 98 დღეს. აღნიშნულის და დადგენილი სადღელდამისო დღიური ნორმის – 15 ლარის გათვალისწინებით, სულ სადღელდამისო ხარჯი შეადგენდა 1470 ლარს. 325 ლარი წარმოადგენდა სასტუმროს ხარჯს, რომელზეც წარმოდგენილი იყო მიზნობრივად ხარჯვის შესაბამისი დოკუმენტაცია. ამდენად, ექსპერტიზაზე არ იყო წარმოდგენილი საერთო ჯამში 11 480 ლარის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია.

დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად დამქირავებლის ბრძანებით მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ – ქვეყნის შიგნით დაქირავებულის მივლინებისას, სამსახურებრივი მივლინების სადღელდამისო ხარჯების ნორმა განისაზღვრებოდა 15 ლარის ოდენობით, ხოლო მგზავრობისა და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრებოდა ფაქტობრივად განეული ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობით ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი. ასევე, სარგებლად ითვლება დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ანაზღაურებული ხარჯები, ხოლო ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის დაქირავებულისათვის გა-

დახდილი სამივილინებო ხარჯების ანაზღაურება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნორმის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ ჩარიცხული 105 068 ლარი, ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ პროექტის – „...ში“ განხორციელებისათვის, გახარჯული იყო სწორად 73 501.12 ლარი, 11 480 ლარზე მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი არ იყო წარდგენილი, 276.71 ლარზე არ იყო წარდგენილი ხარჯვის დოკუმენტაცია, 4 ლარის 4.2 მუხლში/პუნქტში ხარჯვის გაზრდის თანხმობის შესახებ საქმეში არ მოიპოვებოდა შესაბამისი წერილობითი დასტური, ხოლო ნაშთად რიცხებოდა 19 806.17 ლარი, რომელიც 2016 წლის 30 აგვისტოს დაბრუნდა ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

დადგენილია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული 2017 წლის 16 მარტის №001466017 დასკვნის მიხედვით, ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ მიღებული 29 975 ლარიდან, პროექტის – „...ა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში“ განხორციელებისათვის გახარჯული იყო სწორად 22 726.6 ლარი, 5825 ლარის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია ექსპერტიზაზე არ იყო წარდგენილი, 150.88 ლარზე არ იყო წარდგენილი ხარჯვის დოკუმენტაცია, ხოლო ნაშთად რიცხული 1 272.52 ლარი 2016 წლის 7 ოქტომბერს დაბრუნდა ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

დასკვნის თანახმად, №38 საგრანტო ხელშეკრულების პირველი მუხლის მიხედვით, გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიმღებისათვის გადაცემული მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში, გრანტის მიმღები იღებს ვალდებულებას, განახორციელოს საგრანტო კონკურსში გრანტის გამცემის წარდგენილი პროექტი დანართი №1-ის შესაბამისად; საგრანტო პროექტი უნდა განხორციელდეს 2016 წლის – 7 აგვისტოდან 7 ოქტომბრის ჩათვლით; მხარეთა უფლებამოვალეობანი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, წესით, საგრანტო კონკურსში გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

დასკვნის მიხედვით, მითითებული ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია გრანტის გაცემის წესი, რომლის მიხედვითაც, გრანტის გამცემი გრანტის მიმღებს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად გადასცემს 29 975 ლარს, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზ-

ღვრულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით. საქმეში წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნობრივი 29 975 ლარის გრანტიდან გახარჯულია 28 702.48 ლარი, მათ შორის, შრომის ანაზღაურება – 9 500 ლარი; მგზავრობის ხარჯი – 8 000 ლარი; კონფერენციების, სწავლებების, ღონისძიებების ორგანიზების ხარჯი – 10 784.87 ლარი; ოფისის ხარჯი – 400 ლარი; სხვა ხარჯი – 17.61 ლარი.

საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, პროექტის დაგეგმილი ბიუჯეტის მუხლში/პუნქტში 10% ზემოთ ცვლილება მიმღების მიერ არ განხორციელებულა.

რაც შეეხება მე-2 მუხლში ასახულ მივლინების ხარჯებს, დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილი იყო სამივლინებო ბრძანებები, მივლინების მოწმობები, მივლინების ხარჯების ანგარიში. აღნიშნული დოკუმენტაციის კვლევის შედეგად დგინდება, რომ ორგანიზაციის მიერ სამივლინებო ხარჯებისათვის გაცემულია 8 000 ლარი, საიდანაც 1590 წარმოადგენს სასტუმროს მომსახურების ანაზღაურების თანხას, ხოლო დარჩენილი თანხა, მათ შორის, 585 ლარი (სამსახურებრივი მივლინების დადგენილ სადღეღამისო (დღიური 15 ლარი) ხარჯების ნორმა) დაბეგრილია საშემოსავლო გადასახადით. ამდენად, ექსპერტიზაზე არ იყო წარდგენილი 5825 ლარის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია. აღნიშნული თანხიდან საშემოსავლო გადასახადს წარმოადგენდა 1282 ლარი. ამასთან ერთად, მე-4 მუხლის 4.1. პუნქტით (საკომუნიკაციო ხარჯი) განსაზღვრული 400 ლარიდან ხარჯვის დოკუმენტაცია წარდგენილი იყო მხოლოდ 249.12 ლარზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ მიღებული 29 975 ლარიდან, პროექტის – „...ა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში“ განხორციელებისათვის გახარჯული იყო სწორად 22 726.6 ლარი, 5828 ლარის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია ექსპერტიზაზე არ იყო წარდგენილი, 150.88 ლარზე არ იყო წარდგენილი ხარჯვის დოკუმენტაცია, ხოლო ნაშთად რიცხული 1 272.52 ლარი 2016 წლის 7 ოქტომბერს დაბრუნდა ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

დადგენილია, რომ 2017 წლის 20 მარტს მომზადებული 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი საკონკურსო კომისიის №5 სხდომის ოქმის თანახმად, დღის წესრიგს წარმოადგენდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამ-

ტიკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის“ მე-17 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მონიტორინგის ჯგუფის მიერ საკონკურსო კომისიისთვის კომისიის გადანყვეტილებით დაფინანსებული პროექტის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციის წარდგენა. ოქმის თანახმად, ა(ა)იპ ... ცენტრს სწავლების ცენტრის მიერ ჩაერიცხა 105 068 ლარი, რომლიდანაც გახარჯული იყო სწორედ 73 501.12 ლარი. 11480 ლარზე (სამივლინებო ხარჯი) მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი წარდგენილი არ იყო. პროექტის ბიუჯეტის მე-4 მუხლის 4.2. პუნქტში (ოფისის ხარჯი) ხარჯვის 10%-ით ზრდაზე საგრანტო საკონკურსო კომისიის თანხმობის შესახებ საქმეში არ მოიპოვებოდა შესაბამისი წერილობითი დასტური (შეადგინა 4 ლარი).

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, კომისიის სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ გამოყენებულიყო „გრანტის გაცემის წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა – საგრანტო თანხის ნაწილობრივ უკან გამოთხოვა, გამოსათხოვი თანხის ჯამურ ოდენობად განისაზღვრა 11 760.71 ლარი (მოიცავს: 276.71 ლარის, 4 ლარისა და 11 480 ლარის ჯამს). კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 4, წინააღმდეგი – 0. კენჭისყრის შედეგად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ გამოყენებულიყო „გრანტის გაცემის წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა – საგრანტო თანხის ნაწილობრივ უკან გამოთხოვა, გამოსათხოვი თანხის ოდენობად კი განისაზღვრა 11 760.71 ლარი. თანხის დაბრუნების თარიღად დადგინდა არაუგვიანეს 2017 წლის 29 მარტისა.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ 2017 წლის 20 მარტს მომზადებული 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი საკონკურსო კომისიის №5 სხდომის ოქმის თანახმად, დღის წესრიგს წარმოადგენდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის“ მე-17 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მონიტორინგის ჯგუფის მიერ საკონკურსო კომისიისთვის კომისიის გადანყვეტილებით და-

ფინანსებული პროექტის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციის წარდგენა. ოქმის თანახმად, ა(ა)იპ ... ცენტრს სწავლების ცენტრის მიერ ჩაერიცხა 29 975 ლარი, რომლიდანაც გახარჯული იყო სწორედ 22 726.6 ლარი. 5825 ლარზე (სამივლინებო ხარჯები) მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი წარდგენილი არ იყო. 150.88 ლარზე (საკომუნიკაციო ხარჯი) არ იყო წარდგენილი ხარჯვის დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, კომისიის სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ ... ცენტრს“ მიმართ გამოყენებულიყო „გრანტის გაცემის წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა – საგრანტო თანხის ნაწილობრივ უკან გამოთხოვა, გამოსათხოვი თანხის ოდენობად კი განისაზღვრა 5975.88 (მოიცავს 150.88 ლარისა და 5825 ლარის ჯამს) ლარი. კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 3, წინააღმდეგი – 0. კენჭისყრის შედეგად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ გამოყენებულიყო „გრანტის გაცემის წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა – საგრანტო თანხის ნაწილობრივ უკან გამოთხოვა, გამოსათხოვი თანხის ოდენობად კი განისაზღვრა 5975.88 ლარი. თანხის დაბრუნების თარიღად დადგინდა არაუგვიანეს 2017 წლის 29 მარტისა.

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად არის მიჩნეული, რომ 2017 წლის 20 მარტს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის №1-40 ბრძანებით დამტკიცდა საკონკურსო კომისიის 2017 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ პასუხისმგებლობის ზომად საგრანტო თანხის ნაწილობრივ – 5975.88 ლარის ოდენობით უკან გამოთხოვის შესახებ. აღნიშნული თანხის დაბრუნება უნდა განხორციელებულიყო არაუგვიანეს 2017 წლის 29 მარტისა.

2017 წლის 20 მარტს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის №1-44 ბრძანებით დამტკიცდა საკონკურსო კომისიის 2017 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ პასუხისმგებლობის ზომად საგრანტო თანხის ნაწილობრივ – 11760.71 ლარის ოდენობით უკან გამოთხოვის შესახებ. აღნიშნული თანხის დაბრუნება უნდა განხორციელებულიყო არაუგვიანეს 2017 წლის 29 მარტისა.

დადგენილია, რომ 2017 წლის 27 მარტს ა(ა)იპ ... ცენტრმა ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების,

რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2017 წლის 20 მარტის №1-40 ბრძანებისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2017 წლის 20 მარტის №1-39 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 18 აპრილის №24/2017 განკარგულებით ა(ა)იპ ... ცენტრის ადმინისტრაციული საჩივარი (ცესკოში რეგისტრაციის №585) არ დაკმაყოფილდა სამართლებრივი საფუძვლების არ არსებობის გამო. ძალაში დარჩა „ა(ა)იპ ... ცენტრის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2017 წლის 20 მარტის №1-40 და №1-44 ბრძანებები, როგორც მართლზომიერი გადაწყვეტილებები.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდგომში – სწავლების ცენტრი) არის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფოებრივ, საგანმანათლებლო და საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საჯარო საქმიანობას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სწავლების ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტებით, ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომში – ცესკო) საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით დადგენილ ფარ-



გლებში და წესით. ამავე დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სწავლების ცენტრის უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და წინამდებარე დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს ცესკო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, სწავლების ცენტრის ფუნქციებს წარმოადგენს პარტიებზე თანხის გაცემა კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების დაფინანსების მიზნით, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტების გაცემა პარტიების განვითარების ხელშეწყობისა და ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების მიზნით წარდგენილი პროექტების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, სწავლების ცენტრი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფუნქციის განხორციელებას ახდენს გრანტის გაცემის თანდართული წესის შესაბამისად.

საკასაციო პალატა მიუთითებს „გრანტის გაცემის წესის“ პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, წინამდებარე წესი არეგულირებს პარტიების განვითარების ხელშეწყობისა და ამომრჩეველთა სამოქალაქო/საარჩევნო განათლების პროექტების დაფინანსების მიზნით კონკურსის საფუძველზე გრანტის გაცემის წესსა და ამ კონკურსში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობებს. ამავე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომში – ცესკო) განკარგულებით განსაზღვრავს გამოსაცხადებელი კონკურსის დაფინანსების მიმართულებებს. ცესკოს თანხმობით საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (შემდგომში – სწავლების ცენტრი) დირექტორი ბრძანებით განსაზღვრავს კონკურსის გამოცხადების თარიღს, საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადებს, საკონკურსო თემატიკას, საკონკურსო მიმართულებისა და პროექტის დაფინანსების ფარგლებს, პროექტის ხანგრძლივობას, კონკურსის დამატებით მოთხოვნებს (საჭიროებისამებრ) და საკონკურსო კომისიის შემადგენლობას. ცესკოს თანხმობა მიიღება ცესკოს განკარგულებით. მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, კონკურსს აცხადებს სწავლების ცენტრის დირექტორი ბრძანებით. კონკურსის გამოცხადების თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „გრანტის გაცემის წესის“ მე-16 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების კონ-

ტროლს ახორციელებს სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი, ხოლო საგრანტო თანხის საგრანტო პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად ხარჯვასთან დაკავშირებით ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის მიერ მონვეული შესაბამისი უფლებამოსილი პირი/ორგანო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მონიტორინგი ხორციელდება შემაჯამებელი მონიტორინგის ფორმით. მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს, აგრეთვე, შუალედური მონიტორინგის ფორმით საგრანტო თანხის ეტაპობრივი გაცემის შემთხვევაში. მითითებული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, არასამთავრობო ორგანიზაციის საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების კონტროლი ხორციელდება გავსვლითი შემოწმებებისა ან/და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი შუალედური/შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე. ზემოაღნიშნული წესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შუალედური მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდულობით სწავლების ცენტრს წარუდგინოს შუალედური ანგარიში (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (CD)), რომელშიც განერილი უნდა იყოს: ა) შესაბამისი პერიოდისათვის განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები, მათი ჩატარების კონკრეტული დროისა და ადგილის მითითებით, განხორციელებული სამუშაოები, გამოყენებული მასალები (ნაბეჭდი ან/და აუდიო-ვიდეო-ფოტომასალა); ბ) დარჩენილი პერიოდის საქმიანობის დეტალური გეგმა. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად კი, შემაჯამებელი მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია საგრანტო პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში სწავლების ცენტრს წარუდგინოს შემაჯამებელი ანგარიში (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (CD), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს და მასში განერილი უნდა იყოს: ა) პროექტით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ანალიზი; ბ) პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები); გ) პროექტის სამიზნე ჯგუფი, ვინც მონაწილეობდა პროექტში; დ) პროექტის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები; ე) ნაბეჭდი მასალა, აუდიო-ვიდეო-ფოტო ან სხვა მასალები, რომლებიც შეიქმნა პროექტის განხორციელების შედეგად (ასეთის არსებობისას); ვ) შემაჯამებელი გარემოებები (ასეთის არსებობისას) და გადაჭრის გზები; ზ) პროექტის განხორციელებისას მიღებული დახმარებები (ასეთის არსებობისას მიეთითება დახმარების ფორმა, ორგანიზაციების დასახელებები); თ) ფინანსური ანგარიში და-

ნართი №3-ის შესაბამისად. ხსენებული წესის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე წარდგენილ შემაჯამებელ ანგარიშს არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა დაურთოს მისთვის გადაცემული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციის ასლები 2 ეგზემპლარად. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად კი, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის მე-4, მე-6-მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციას ელექტრონულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნის ფორმით განუხაზღვრავს ვადას არანაკლებ 2 სამუშაო დღისა შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ა(ა)იპ ... ცენტრმა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს ფინანსურ დოკუმენტაციასთან ერთად შემაჯამებელი მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით შემაჯამებელი ანგარიში წარუდგინა. ზემოაღნიშნული წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა ექსპერტიზის ჩატარება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მეშვეობით უზრუნველყო.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნების შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიუთითებს „გრანტის გაცემის წესის“ მე-18 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, კომისია უფლებამოსილია არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ გამოიყენოს შემდეგი სახის პასუხისმგებლობის ზომები: ა) გაფრთხილება; ბ) მიმდინარე საგრანტო პროექტის შეწყვეტა ან/და საგრანტო თანხის ნაწილობრივ ან სრულად უკან გამოთხოვა; გ) საგრანტო თანხის ნაწილობრივ ან სრულად უკან გამოთხოვა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ზომა. მითითებული მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კი, კომისიის გადანყევტილება არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ მტკიცდება სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებულ აქტის მოქმედებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველია წერილობითი ხელშეკრულება გრანტის გამცემსა (დონორსა) და გრანტის მიმღებს შორის, აგრეთვე საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის ოფიციალური წერილობითი გადაწყვეტილება საქართველოს სპორტული ფედერაციის ან კლუბისათვის მიზნობრივი დანიშნულების მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების (მათ შორის ფულადი სახსრების) გამოყოფის შესახებ. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს გრანტის გაცემის მიზანს, მოცულობას, სახსრების გამოყენების კონკრეტულ მიმართულებას, მათი ათვისების ვადებს და იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც გრანტის გამცემი (დონორი) უყენებს გრანტის მიმღებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, გრანტი გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისათვის. სხვა მიზნებისათვის გრანტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გრანტის გამცემის (დონორის) თანხმობით.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გრანტის გაცემას ახასიათებს მიზნობრიობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მიმღებზე გარკვეული სახსრების უსასყიდლოდ გაცემა ხორციელდება განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ამასთან, თავად გრანტისა და საგრანტო ხელშეკრულებით წარმოშობილი ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება გრანტის მიმღებს ავალდებულებს, მიზნობრივად გამოყოფილი ფულადი თუ ნატურალური სახსრები სწორედ კონკრეტული მიზნების მისაღწევად გამოიყენოს. შესაბამისად, გრანტის მიმღების მხრიდან საგრანტო ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულების შესრულებისათვის საკმარისია არა მხოლოდ მიღებული გრანტის კონკრეტული მიზნის მისაღწევად გახარჯვის მიმართ ნების გამოხატვა, არამედ ამგვარი მიზნობრიობით მისი რეალურად გახარჯვაც. ამდენად, საგრანტო ხელშეკრულების კონტრაჰენტის – გრანტის მიმღების სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება სწორედ მაშინ, როდესაც დადასტურდება მიზ-

ნობრივად გადაცემული სახსრების კონკრეტული მიზნების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოყენება.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს განსახილველი დავის ფარგლებში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნების მტკიცებულებითი ძალის არარსებობასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა განმეორებით მიუთითებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დაბეჭდვაზე“ თანდართული „გრანტის გაცემის წესი“ მე-16 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების კონტროლს ახორციელებს სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი, ხოლო საგრანტო თანხის საგრანტო პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად ხარჯვასთან დაკავშირებით ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის მიერ მოწვეული შესაბამისი უფლებამოსილი პირი/ორგანო. მითითებული დანაწესი ცხადყოფს, რომ გრანტის მიმღების მხრიდან საგრანტო თანხის მიზნობრივი ხარჯვის კონტროლს სწავლების ცენტრი ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარების გზით ახორციელებს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ამგვარი ექსპერტიზის შედეგად გაცემული დასკვნის მტკიცებულებითი ძალის ცალსახა გამორიცხვა ეწინააღმდეგება განსახილველი სამართალურთიერთობის მომწესრიგებელ საკანონმდებლო დანაწესებს. ამასთან, საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო პალატის შეფასებებზე, რომლის თანახმადაც, საგრანტო თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარუდგენლობა იმთავითვე არ გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული თანხები არ იქნა გაცემული ორგანიზაციის მიერ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ დასაქმებული პირების მიერ ფაქტობრივად განეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების მოსარჩელე ორგანიზაციისათვის წარუდგენლობა შესაძლებელია გახდეს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო მიზნებისათვის ა(ა)იპ ... ცენტრისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, ერთობლივი შემოსავლიდან დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯების გამოქვითვაზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ზემოაღნიშნულ განმარტებებს და მათ სანინააღმდეგოდ აღნიშნავს, რომ გრანტის გაცემა ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფას ემსახურება. საგრანტო თანხების კონკრეტული სუბიექტისათვის გადაცემით ხორციელდება გრანტის მიმღების წინასწარ განსაზღვრულ მიზანზე დაფუძნებული ფინანსური მხარდაჭერა და არა აღნიშნული სუბიექტის დაუსაბუთებელი დაფინანსება. შესაბამისად, გრანტის გაცემის დროს გადამწყვეტია საგრანტო თანხების მიზნობრივად გახარჯვა მხოლოდ იმ ოდენობით, რაც განსაზღვრული მიზნის მიღწევის საჭიროებით იქნა განპირობებული. ამდენად, საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს სანინააღმდეგოდ განმარტავს, რომ ორგანიზაციის მიერ კონკრეტული თანხის საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესაბამისად ხარჯვა საჭიროებს სწორედ შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციით დადასტურებას, რამდენადაც მოცემული საკითხისადმი სხვაგვარი მიდგომა შეუძლებელს გახდიდა გრანტის სახით გაცემული თანხების ხარჯვის კონტროლს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები თავად იმ დოკუმენტაციათა შინაარსობრივი მხარეც, რომელზედაც სააპელაციო პალატა აყრდნობს ზემოაღნიშნულ განმარტებებს, კერძოდ, სასამართლო მიუთითებს მოპასუხის მიერ დასაქმებულ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებსა და მის მიერ გაცემულ იმ ბრძანებებზე, რომლითაც განისაზღვრა კონკრეტულ პირთა სამივლინებო ხარჯების ოდენობა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასაქმებულებთან შრომითი ხელშეკრულების არსებობის ან/და მათი მივლინებისათვის შესაბამისი ხარჯების გამოყოფის თაობაზე ბრძანებების გამოცემის ფაქტი ადასტურებს გრანტის მიმღების მხრიდან საგრანტო თანხების საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნობრიობით გახარჯვის განზრახულობას, თუმცა არა ფინანსური სახსრების მიზნობრივად ფაქტობრივ, რეალურ ხარჯვას. საკასაციო პალატა არ გამორიცხავს მოპასუხის – ა(ა)იპ ... ცენტრის მიერ კონკრეტული თანხების საგრანტო მიზნების შესაბამისად გაცემას, თუმცა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საჭიროებს უშუალოდ ფინანსური სახსრების მიზნობრივად გაღების უტყუარად დამადასტურებელი მტკიცებულებებით დამტკიცებას. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა მიმართოს ყველა საშუალებას, რაც ხელს შეუწ-

ყოფს იმის გამოკვევას, ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი გრანტის სახით გაცემული ფინანსური სახსრების მოპასუხის მხრიდან რეალურ, მიზნობრივ გახარჯვას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პროცესის მონაწილეთა ვალდებულებას წარმოადგენს, თავიანთ მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებები შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ. თავის მხრივ, სასამართლოს ვალდებულებაა, მხარეებს მისცეს მტკიცებულებათა წარდგენისა და საკუთარი პოზიციების დაცვის პროცესუალური შესაძლებლობა. ამასთან, ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათი მოსამართლეს პროცესში აქტიურ როლს ანიჭებს და აძლევს შესაძლებლობას, იზრუნოს საქმის მართებული გადანყვევისათვის საჭირო ინფორმაციისა თუ მტკიცებულებათა დამატებით მოპოვებისათვის. განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხისაგან განსხვავებით, მოსარჩელემ დაძლია ის მტკიცების ტვირთი, რომელიც მისი პოზიციის დასაბუთებისათვის მოქმედი კანონმდებლობით იყო მოთხოვნილი, კერძოდ, მან სასამართლოს წარუდგინა ყველა ის მტკიცებულება, რომლის წარდგენასაც მას შესაბამისი კანონმდებლობა ავალდებულებდა. რაც შეეხება მოპასუხეს, მისი მხრიდან ვერ იქნა დაძლეული მტკიცების ტვირთი, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემდა დაემტკიცებინა წარმოდგენილი სარჩელის უსაფუძვლობა. ამდენად, საქმის ხელახალი განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ ხელი უნდა შეუწ-

ყოს მოპასუხის მხრიდან იმგვარი მტკიცებულებების წარმოდგენას, რომელსაც ობიექტურად შეეძლება სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის სარჩელის საფუძვლიანობის გამორიცხვა. ამასთან, საკასაციო პალატა საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოებასაც, რომ განსახილველი დავა წარმოშობილია სახელმეკრულებო ურთიერთობიდან. შესაბამისად, დავის ხელახალი განხილვის პროცესში, მოპასუხის მხრიდან დამატებით მტკიცებულებათა წარმოდგენის შესაძლებლობის შემთხვევაში, აღნიშნულ მტკიცებულებათა და საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის ფარგლებში, მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა ვალდებულებათა ჯეროვან შესრულებას, არაჯეროვან შესრულებას თუ ვალდებულებათა შეუსრულებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**პრომოტიო ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მომუშავე  
პირის წელთა ნამსახურობის პერიოდის განსაზღვრა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-279(კ-20)

18 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 23 მარტს ნ. ლ-იამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ ნ. ლ-იასთვის 1994 წლის 09 სექტემბრიდან 1995 წლის 17 მაისამდე და 2004 წლის 27 დეკემბრიდან 2005 წლის 1 აპრილამდე წელთა ნამსახურობის დაანგარიშებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2018 წლის 05 თებერვლის MOD31800115175 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა, რომლითაც მოსარჩელეს მითითებული სადავო პერიოდი წელთა ნამსახურობაში ჩათვლებოდა, შემდგომი კომპენსაციის დანიშვნის მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 ივნისის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე ნ. ლ-იამ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხის მიმართ ქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ, ნ. ლ-იასთვის 1994 წლის 09 სექტემბრიდან 1995 წლის 17 მაისამდე და 2004 წლის 27 დეკემბრიდან 2005 წლის 1 აპრილამდე ნამსახურობის პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლა მოითხოვა. ამასთან, 2019 წლის 25 მარტის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და დამატებით ნ. ლ-იასთვის 1996 წლის 3 იანვრიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე ქ. ...ის ... ბატალიონში ნამსახურობის პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ლ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2015 წლის 16 ივნისის წერილით ნ. ლ-იას ნამსახურობის პერიოდში ჩათვალა 1995 წლის 17 მაისიდან 1996 წლის 8 აპრილამდე, 1997 წლის 19 აგვისტოდან 2004 წლის 27 დეკემბრამდე, 2005 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 12 იანვრამდე და 2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 ოქტომბრამდე პერიოდი.

კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი, რომლითაც აღიარებული იქნა ნ. ლ-იას საბჭოთა არმიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში სამხედრო მოსამსახურედ მსახურობის სტაჟი – 1979 წლის მაისიდან 1981 წლის მაისამდე. ნ. ლ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; აღიარებული იქნა ნ. ლ-იას 1993-1994 წლებში ქ. ...ის ... .. ბატალიონში და 1992-1993 წლებში ...-ე ბრიგადის მე-... ბატალიონში მსახურობის ფაქტი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2018 წლის 5 თებერვლის MOD 3 18 00115175 წერილის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 06 აპრილის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების საფუძველზე, დამატებით განხორციელდა ნ. ლ-იას ნელთა ნამსახურობის დაანგარიშება და მისმა ნამსახურობამ შეადგინა 19 ნელი და 19 დღე, კერძოდ, დაფიქსირდა 1979 წლის მაისიდან 1981 წლის მაისამდე, 1992 წლის 3 სექტემბრიდან 1993 წლის 10 ივლისამდე, 1993 წლის 3 აგვისტოდან 1994 წლის 9 სექტემბრამდე, 1995 წლის 17 მაისიდან 1996 წლის 8 აპრილამდე, 1997 წლის 19 აგვისტოდან 2004 წლის 27 დეკემბრამდე, 2005 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 12 იანვრამდე, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 ოქტომბრამდე პერიოდი.

2018 წლის 24 მაისს ნ. ლ-იამ განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შემდგომში კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, მის ნამსახურობის პერიოდში 1994 წლის 9 სექტემბრიდან 1995 წლის 17 მაისამდე, 2004 წლის 27 დეკემბრიდან 2005 წლის 1 აპრილამდე პერიოდის ჩათვლა მოითხოვა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2018 წლის 31 მაისის MOD 8 18 00537091 წერილით ნ. ლ-იას 2018 წლის 24 მაისის წერილის პასუხად ეცნობა, რომ განცხადებაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ პასუხი გასცა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2018 წლის 5 თებერვლის №115175 წერილის სახით.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს რესპუბლიკის შსს შინაგანი ჯარების ქ. სოხუმის I მოტომსროლელი ბატალიონის მეთაურის 1994 წლის 14 სექტემბრის №146 ბრძანებით, ნ. ლ-ია გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილი იქნა კადრების განკარგულებაში.

1994 წლის 14 სექტემბრიდან 1995 წლის მარტამდე ნ. ლ-ია იყო კადრების განკარგულებაში. მითითებული პერიოდი საქართველოს რესპუბლიკის ნ. ლ-იას ნამსახურობის ნუსხაში არ ფიქსირდებოდა.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ს/ნ ...-ის მეთაურის 1995 წლის 17 მაისის №62 ბრძანებით ნ. ლ-ია დაინიშნა შინაგანი ჯარების ... ..ის ... ..ის ... ..ის ... ..ად 1995 წლის 1 მაისიდან, თანამდებობრივი ხელფასით, თანახმად სამტატო ერთეულის კოეფიციენტით და მიენიჭა სამხედრო წოდება „...“.

ნ. ლ-იას ნამსახურობის ნუსხის თანახმად, სამხედრო ნაწილს მეთაურის 1995 წლის 17 მაისის №62 ბრძანების საფუძველზე, ნ. ლ-ია 1995 წლის 1 აპრილიდან 1996 წლის 3 იანვრამდე მსახურობდა ქ. ...ის საპატრულო ბატალიონში ... ..ის ... ..ის ... ..ის თანამდებობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებში ნ. ლ-იას ნამსახურობის სიის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ს/ნ ...-ის მეთაურის 1995 წლის 17 მაისის №62 ბრძანების საფუძველზე, ნ. ლ-ია მსახურობდა ...-ის ...-ის და ... ..ის ... ..ის თანამდებობაზე, 1995 წლის 1 მაისიდან 1996 წლის 8 აპრილამდე. იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა სამხედრო ნაწილის ...-ის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის 1996 წლის 9

აპრილის №20 ბრძანებით.

სამხედრო ნაწილის ...-ის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის 1996 წლის 9 აპრილის №203/შ §2 ბრძანებით, პირადი პატაკის საფუძველზე, სამხედრო ნაწილი 2074-ის ჯავშანტექნიკის და საავტომობილო სამსახურის სანყოფის უფროსი ... ნ. ლ-ია გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა შინაგანი ჯარების რიგებიდან, 1996 წლის 8 აპრილიდან, საბოლოო ანგარიშსწორებით.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლის 1996 წლის 5 თებერვლის №38 პ/შ ბრძანებით შსს შინაგანი ჯარების განკარგულებაში მყოფი ნ. ლ-ია დაინიშნა ... ..ის (ს/ნ...) ...ის ... ..ის ... ..ის ...ად, ... თანამდებობაზე, 1996 წლის 3 იანვრიდან კონტრაქტის საფუძველზე. ნ. ლ-იას ნამსახურობის ნუსხის თანახმად, ნ. ლ-ია 1996 წლის 3 იანვრიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე მსახურობდა ქ. ...ის ... ბატალიონში, ...ს ნოდებით.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების ს/ნ ...-ის მეთაურსა და ნ. ლ-იას შორის 1995 წლის 27 ნოემბრიდან 1996 წლის ნოემბრამდე, 1 წლის ვადით, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი).

ს/ნ ...-ის მეთაურის დ. ლ-ს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ნ. ლ-ია ნამდვილად მსახურობდა ს/ნ ...-ში, 1996 წლის 3 იანვრიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე.

ნ. ლ-იამ 1996 წლის 6 სექტემბერს პირადი პატაკით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის შსს შინაგანი ჯარების ს/ნ ...-ის მეთაურს და მოითხოვა ... ..ის ს/ნ ...-ის ...ის ... რაიონიდან ს/ნ ...-ის რიგებში გადაყვანა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №1464 პ/შ ბრძანებით, „საქართველოს სამხედრო ძალებში სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის №616 ბრძანებულების მოთხოვნათა საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული შინაგანი ჯარების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე გადაცემული შინაგანი ჯარების ქვედანაყოფებში მომსახურე სამხედრო მოსამსახურე – შინაგანი ჯარების (ს/ნ ...) ... ..ის ... ნ. ლ-ი ამოირიცხა შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების რიგებიდან. აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2004 წლის 27 დეკემბრიდან.

წარმოდგენილი მასალებით საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ლ-ია გარკვეული წლები მსახურობდა საქარ-

თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, მათ შორის, შინაგან ჯარებში, სახელმწიფო უშიშროებისა და სამხედრო სამსახურში და შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით უნდა განხორციელებულიყო მისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა-გადაანგარიშების საკითხის გადაწყვეტა.

„სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებოდათ: ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს ჰქონდათ წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც იძულებით იყვნენ დათხოვნილი 1956 წელს ქართული სამხედრო შენაერთის (დივიზიის) დაშლის დროს და ჰქონდათ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 და 10-ზე მეტი კალენდარული წელი და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი; აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილი იქნენ ზღვრული ასაკის გამო, ჰქონდათ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი.

ამდენად, საქალაქო სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და ოდენობის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო სამსახურში წელთა ნამსახურობას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონზე (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), რომლის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პენსიის დანიშვნისათვის წელთა ნამსახურობაში ჩაითვლებოდა: პროკურატურის ორგანოებში სამსახური; სამხედრო სამსახური; შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში სამსახური; სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სამსახური; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში სამსახური; პარტიზანულ რაზმებსა და შენაერთებში სამსახური; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში მუშაობის პერიოდი – სამხედრო სამსახური ან შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშ-

როების ორგანოებში და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში კადრში დატოვებით; ტყვეობაში ყოფნის პერიოდი, თუ ტყვემ არ ჩაიდინა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; სასჯელის მოხდის და პატიმრობის პერიოდი, თუ სამხედრო მოსამსახურე, რიგითი ან უფროსი შემადგენლობის პირი უსაფუძვლოდ იყო მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან რეპრესირებული.

მოსარჩელისათვის კადრების განკარგულებაში ყოფნის, 1994 წლის 9 სექტემბრიდან 1995 წლის 17 მაისამდე, პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლასთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს პერიოდი ნ. ლ-იას ნამსახურობის ნუსხაში არ იყო შეტანილი. ამასთან, საგულისხმო იყო ის ფაქტიც, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში პირს რაიმე სამსახურებრივი საქმიანობის შესრულება ვერ დაეკისრებოდა, შესაბამისად, აღნიშნული პერიოდი ვერ იქნებოდა გათვალისწინებული წელთა ნამსახურობაში.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა 1996 წლის 3 იანვრიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტები, რომელთა შესაბამისად, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაედგინა ნ. ლ-იას კონკრეტულ პერიოდში კონკრეტულ თანამდებობაზე მუშაობის ფაქტები. კერძოდ, ნ. ლ-იას ნამსახურობის ნუსხის მიხედვით, ამ ბრძანების საფუძველზე ნ. ლ-ია 1995 წლის 1 აპრილიდან 1996 წლის 3 იანვრამდე მსახურობდა ქ. ფოთის საპატრულო ბატალიონში ... -... -...ის ...ის ...ის თანამდებობაზე, იმ დროს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში ნ. ლ-იას ნამსახურობის სიის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ს/ნ ...-ის მეთაურის 1995 წლის 17 მაისის №62 ბრძანების საფუძველზე, ნ. ლ-ია მსახურობდა ...-ის ...-ის და ...-ის ...ის ...ის თანამდებობაზე, 1995 წლის 1 მაისიდან 1996 წლის 8 აპრილამდე და იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა სამხედრო ნაწილის ...-ის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის 1996 წლის 9 აპრილის №20 ბრძანებით. 1996 წლის 8 აპრილიდან ნ. ლ-იას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი დგინდებოდა სამხედრო ნაწილის ...-ის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის 1996 წლის 9 აპრილის №20პ/შ §2 ბრძანებითაც.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლის 1996 წლის 5 თებერვლის №38 პ/შ ბრძა-

ნებით, შსს შინაგანი ჯარების განკარგულებაში მყოფი ნ. ლ-ია და-ინიშნა ... ..ის (ს/ნ...) ...ის ... ..ის ... ..ის ... ..ად, ...ს თანამდებობაზე, 1996 წლის 3 იანვრიდან კონტრაქტის საფუძველზე. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების ს/ნ ...-ის მეთაურსა და ნ. ლ-იას შორის 1995 წლის 27 ნოემბრიდან 1996 წლის ნოემბრამდე, 1 წლის ვადით, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი).

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა ნ. ლ-იას ნამსახურობის ნუსხაზე, რომლის თანახმად, ნ. ლ-ია 1996 წლის 3 იანვრიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე მსახურობდა ქ. ...ის ... ბატალიონში, ...ს ნოდებით. იგივე შინაარსის მატარებელი იყო ს/ნ ...-ის მეთაურის დ. ლ-ს მიერ გაცემული ცნობა, რომლის მიხედვით, ნ. ლ-ია ნამდვილად მსახურობდა ს/ნ ...-ში, 1996 წლის 3 იანვრიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე, თუმცა არცერთ მათგანში არ იყო მითითებული ინფორმაციის საფუძველი, რაზე დაყრდნობით მომზადდა მითითებული დოკუმენტები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით საქმის მასალებით სადავო პერიოდში ნ. ლ-იას დამსაქმებელი ორგანიზაციისა და შესაბამისად, მისი თანამდებობის იდენტიფიცირება ვერ მოხდა და ვერ დადგინდა, მოსარჩელე კონკრეტულად სად მსახურობდა, აღნიშნულის გამო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ემსჯელა სადავო პერიოდის მოსარჩელის ნელთა ნამსახურობაში ჩათვლასთან დაკავშირებით.

2004 წლის 27 დეკემბრიდან 2005 წლის 1 აპრილამდე პერიოდთან დაკავშირებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №1464 პ/შ ბრძანებით, საქართველოს სამხედრო ძალებში (შინაგან ჯარებში) განხორციელებული რეორგანიზაციის საფუძველზე, შინაგანი ჯარების (ს/ნ ...) ... ..ის ... ნ. ლ-ია ამოირიცხა შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების რიგებიდან, 2004 წლის 27 დეკემბრიდან. შესაბამისად, 2004 წლის 27 დეკემბრიდან მოსარჩელე აღარ წარმოადგენდა შინაგან ჯარებში დასაქმებულ პირს. ამასთან, მართალია რეორგანიზაციის ფარგლებში დასაქმებული პირების, მათ შორის, მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება განხორციელდა წინა რიცხვით, მაგრამ აღნიშნული ბრძანების კანონიერების შესწავლა სცდებოდა განსახილველი დავის ფარგლებს და სასამართლომ სწორედ ბრძანების ამოქმედების თარიღიდან – 2004 წლის 27 დეკემბრიდან მიიჩნია ნ. ლ-იას შინაგანი ჯარების რიგებიდან დათხოვნილ მოსამსახურედ. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით მოთხოვნის ამ ნაწილში არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვე-

ლი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-იამ. აპელანტმა – ნ. ლ-იამ გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით ნ. ლ-იას საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-იამ.

კასატორმა – ნ. ლ-იამ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის – ნ. ლ-იას განმარტებით, წინამდებარე საქმეში სადავო პერიოდის მისთვის ნამსახურობის წლებად ჩათვლის შემთხვევაში, ექნება შესაძლებლობა მიიღოს ის სოციალური სარგებელი, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

კასატორის მითითებით „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ ამავე კანონით განსაზღვრულ პირებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც იძულებით იყვნენ დათხოვნილი 1956 წელს ქართული სამხედრო შენაერთის (დივიზიის) დაშლის დროს და აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 და 10-ზე მეტი კალენდარული წელი და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი; აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილი იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-



ზე მეტი კალენდარული წელი.

კასატორის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით დგინდება, რომ სადავო პერიოდში იგი ფაქტობრივად ასრულებდა სამხედრო სამსახურს და შესაბამისად, არსებობს მისთვის სამხედრო სამსახურში წელთა ნამსახურობის 20 კალენდარული წლის ჩათვლისა და სახელმწიფო კომპენსაციის და-ნიშვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ლ-იას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული ნ. ლ-იას საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა – განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ლ-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

განსახილველ საქმეზე საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს ნ. ლ-იასთვის 1994 წლის 09 სექტემბრიდან 1995 წლის 17 მაისამდე, 1996 წლის 3 იანვრიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე და 2004 წლის 27 დეკემბრიდან 2005 წლის 1 აპრილამდე პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2015 წლის 16 ივნისის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის წერილით ნ. ლ-იას განცხადების პასუხად ეცნობა, რომ მას ნამსახურობის პერიოდში ჩაეთვალა 1995 წლის 17 მაისიდან 1996 წლის 8 აპრილამდე, 1997 წლის 19 აგვისტოდან 2004 წლის 27 დეკემბრამდე, 2005 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 12 იანვრამდე, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 ოქტომბრამდე პერიოდი. ამასთან, წერილში მიეთითა, რომ სხვა მონაცემები, სამხედრო სამსახურის გავლის (1993-1994 წლებში ქ. ...ის ... ბატალიონში, 1992-1993 წლებში ...-ე ბრიგადის მე-... ბატალიონში და სავალდებულო სამსახურში) შესახებ არ მოიპოვებოდა. ზემოაღნიშ-

ნულიდან გამომდინარე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი მოკლებული იყო შესაძლებლობას დაეკმაყოფილებინა ნ. ლ-იას მოთხოვნა, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით ნამსახურობის ჩათვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველზე, ნ. ლ-იამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. აღნიშნულ საქმეზე, კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი, რომლითაც აღიარებული იქნა ნ. ლ-იას საბჭოთა არმიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში სამხედრო მოსამსახურედ ნამსახურობის სტაჟი – 1979 წლის მაისიდან 1981 წლის მაისამდე; ნ. ლ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; აღიარებული იქნა ნ. ლ-იას 1993-1994 წლებში ქ. ...ის ... .. ბატალიონში და 1992-1993 წლებში ...-ე ბრიგადის მე-... ბატალიონში ნამსახურობის ფაქტი.

ამასთან, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2018 წლის 5 თებერვლის MOD 3 18 00115175 წერილის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 06 აპრილის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების საფუძველზე, დამატებით განხორციელდა ნ. ლ-იას წელთა ნამსახურობის დაანგარიშება და მისმა ნამსახურობამ შეადგინა 19 წელი და 19 დღე, კერძოდ, მასში დაფიქსირდა 1979 წლის მაისიდან 1981 წლის მაისამდე, 1992 წლის 3 სექტემბრიდან 1993 წლის 10 ივლისამდე, 1993 წლის 3 აგვისტოდან 1994 წლის 9 სექტემბრამდე, 1995 წლის 17 მაისიდან 1996 წლის 8 აპრილამდე, 1997 წლის 19 აგვისტოდან 2004 წლის 27 დეკემბრამდე, 2005 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 12 იანვრამდე, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 ოქტომბრამდე პერიოდი. შესაბამისად, ნ. ლ-იას კვლავ უარი ეთქვა

წელთა ნამსახურობის დაანგარიშებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, სადავო პერიოდში მოქმედი, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც, ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები: ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში.

განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ ნ. ლ-იას მოწინააღმდეგე მხარის მიერ უარი ეთქვა წელთა ნამსახურობის დაანგარიშებაზე იმ მოტივით, რომ მისი წელთა ნამსახურობა შეადგენდა 20-ზე ნაკლებ (19 წელი და 19 დღე) კალენდარულ წელს. შესაბამისად, კასატორის კანონიერ ინტერესს წარმოადგენს მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების დავალება – 1994 წლის 09 სექტემბრიდან 1995 წლის 17 მაისამდე, 1996 წლის 3 იანვრიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე და 2004 წლის 27 დეკემბრიდან 2005 წლის 1 აპრილამდე პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს – 20-წლიანი ნამსახურობის ჩათვლის საფუძველზე, სახელმწიფო კომპენსაციის მიღება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მითითებულ პერიოდებთან დაკავშირებით კასატორის მოთხოვნის საფუძველიანობის შეფასება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 1994 წლის 09 სექტემბრიდან 1995 წლის 17 მაისამდე პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლის საკითხთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მითითებული იყო ის გარემოება, რომ

ეს პერიოდი ნ. ლ-იას ნამსახურობის ნუსხაში არ იყო აღნიშნული. ამასთან, სააპელაციო პალატამ საგულისხმოდ მიიჩნია ის გარემო-ებაც, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში პირს რა-იმე სამსახურებრივი საქმიანობის შესრულება არ ეკისრებოდა, რის გამოც აღნიშნული პერიოდი ვერ იქნებოდა გათვალისწინებული წელთა ნამსახურობაში.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო გან-საკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კა-ნონიერ ძალაში შესული 2017 წლის 26 აპრილის სასამართლო გა-დანწყვეტილებით დადგენილია და სადავო არ არის ის გარემოება, რომ ნ. ლ-ია 1994 წლის 14 სექტემბრიდან გადაყვანილი იქნა კად-რების განკარგულებაში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ ნ. ლ-იას კადრების განკარგულება-ში ყოფნის პერიოდი არ უნდა ჩათვალოს ნამსახურობის წლებად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსა-ხურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების თანახმად, სა-ხელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელ-თა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი. ხოლო, ამავე კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პენ-სიის დანიშვნისათვის წელთა ნამსახურობაში ჩათვლება: პროკუ-რატიურის ორგანოებში სამსახური; სამხედრო სამსახური; შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში სამსახური; სა-ხელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სამსახური; საქართვე-ლოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში სამსა-ხური; პარტიზანულ რაზმებსა და შენაერთებში სამსახური; სახელ-მწიფო ხელისუფლების ორგანოებში და სხვა სახელმწიფო ორგანი-ზაციებში მუშაობის პერიოდი – სამხედრო სამსახური ან შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში და სახელმწი-ფო დაცვის სპეციალურ სამსახურში კადრში დატოვებით; ამავე მუხლის მე-4 პუნქტით კი დადგენილია, რომ წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძა-ნებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახური-დან.

შესაბამისად, ცალსახაა, რომ კანონმდებლობა წელთა ნამსა-ხურობის ათვლის დაწყებას უკავშირებს სამხედრო მოსამსახურის

სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღის თარიღს, ხოლო ათვლის დასრულების მომენტი ია ის დღე, როდესაც სამხედრო მოსამსახურე, შესაბამისი ბრძანების საფუძველზე თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახურიდან, ხოლო სამხედრო მოსამსახურის კადრში დატოვება ცალსახად ჩაითვლება წელთა ნამსახურობაში.

საკაცო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 ოქტომბრის №748 დადგენილება (ძალადაკარგულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით), სამხედრო მოსამსახურის კადრებში ჩარიცხვის პროცედურას და ეტაპებს ცალკე არ განსაზღვრავდა, თუმცა, ეს არ გამოორიცხავს ამ პერიოდში სამხედრო მოსამსახურის კადრების განკარგულებაში ჩარიცხვის შესაძლებლობას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც №748 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ოფიცერთა შემადგენლობის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესის“ მე-6 მუხლი დამატებით ცალკე განსაზღვრავდა ოფიცერთა კადრების განკარგულებაში დატოვების პირობებს. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნ. ლ-იას კადრების განკარგულებაში ჩარიცხვის ფაქტი დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით და საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე სხვა სახის მტკიცებულება სადავო პერიოდში ნ. ლ-იას სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის/გადადგომის თაობაზე, მოსარჩელისათვის ამ პერიოდის ჩათვლაზე უარის თქმა ცალსახად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ კადრებში განკარგულებაში ყოფნის პერიოდის ნ. ლ-იასათვის ნამსახურობაში ჩათვლის საფუძვლიანობას მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელიც დაეთანხმა, თუმცა მან კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდის მაქსიმუმ 4 თვის ჩათვლის შესაძლებლობაზე მიუთითა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 4 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმი).

საკაცო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის მითითებას, კასატორისათვის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდთან მხოლოდ 4 თვის ჩათვლის შესახებ. საკაცო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია ამაჟამად მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 34-ე მუხლის

პირველი პუნქტის და „საქართველოს თავდაცვის ძალებში სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 25 ივლისის №54 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის ძალებში სამსახურის დებულებით დადგენილი წესის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს, თუმცა საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა კადრების განკარგულებაში ყოფნის მაქსიმალურ ოთხთვიან ვადას, შესაბამისად, კანონის უკუშდლის პრინციპის გათვალისწინებით, ამ შემზღვეველი ნორმის გავრცელება ძველ სამართალურთიერთობაზე დაუშვებელია. უფრო მეტიც, სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 ოქტომბრის №748 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ოფიცერთა შემადგენლობის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესის“ (ძალადაკარგულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით) მე-6 მუხლის თანახმად, ოფიცერთა კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა იყო მაქსიმუმ 5 წელი, რომელიც დამატებით კიდევ 5 წლით შეიძლება გაგრძელებულიყო. ამდენად, მართალია კასატორი ნ. ლ-ია, კადრების განკარგულებაში ჩარიცხვის ეტაპზე არ იყო ოფიცერი, თუმცა ამ პერიოდში, დღევანდელი კანონმდებლობისგან განსხვავებით, კადრების განკარგულებაში ყოფნის მაქსიმალური ვადა 4 თვით არ განისაზღვრებოდა.

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნ. ლ-იას კადრების განკარგულებაში ჩარიცხვის ფაქტი დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, ხოლო მისი სამსახურიდან დათხოვნის/გადადგომის შესახებ მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს ნ. ლ-იასთვის კადრების განკარგულებაში ყოფნის 1994 წლის 14 სექტემბრიდან 1995 წლის 17 მაისამდე სრული პერიოდის ნელთა ნამსახურობაში ჩათვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი ნინაპირობები.

ამასთან, კასატორ ნ. ლ-იას ნელთა ნამსახურობაში 1996 წლის 3 იანვრიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის ჩათვლის საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ნ. ლ-იას ნამსახურობის ნუსხაზე, რომლის თანახმად, ნ. ლ-ია 1996 წლის 3 იანვრიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე მსახურობდა ქ. ...ის ... ბატალიონში, ...ს ნოდებით. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ „ნ. ლ-ის სა-

ქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში მიღების შე-  
სახებ“ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოად-  
გილე გენერალ-მაიორი ა. ჟ-ს მიერ 1997 წლის 9 აგვისტოს დამტკი-  
ცებულ დასკვნაზე, რომლის მიხედვით, 09.1996 წლის პერიოდის-  
თვის ნ. ლ-ია მსახურობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლი-  
კის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ქ. ...ის ...ში.  
სასამართლო ასევე მიუთითებს ს/ნ ... -ის მეთაურ ვ/პოლკოვნიკ დ.  
ლ-ს მიერ გაცემულ ცნობაზე, რომლის თანახმად, ნ. ლ-ია ნამდვი-  
ლად მსახურობდა ს/ნ ...-ში – 03.01.1996 წლიდან 01.09.1996 წლამ-  
დე პერიოდში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის შეფა-  
სებას მასზედ, რომ საქმეში ნ. ლ-იას სამხედრო სამსახურში ყოფ-  
ნის 1996 წლის 3 იანვრიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდ-  
თან დაკავშირებით, წარმოდგენილია გარკვეულწილად არათან-  
მხედრი შინაარსის დოკუმენტები, თუმცა სასამართლომ უნდა მი-  
იღოს კანონიერი გადაწყვეტილება სწორედ საქმეზე წარმოდგენი-  
ლი მტკიცებულებათა ერთობლიობის შეფასების და მხარეთათვის  
მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინის-  
ტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველ ნაწილ-  
ზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თა-  
ვისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მო-  
პასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგე-  
ბელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულ-  
მა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამ-  
ყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საკასაციო სასამარ-  
თლო ასევე მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე  
მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ადგენს, რომ სასამართლო-  
სათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი  
ძალა. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო  
აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც  
უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გან-  
ხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშ-  
ვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესა-  
ხებზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვე-  
ვაში, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობით  
კერძოდ, კასატორ ნ. ლ-იას ნამსახურობის ნუსხის, საქართველოს  
სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე გენერალ-მაიორი  
ა. ჟ-ს მიერ 1997 წლის 19 აგვისტოს დამტკიცებულ დასკვნისა და ს/

ნ ... -ის მეთაურ ვ/პოლკოვნიკ დ. ლ-ს მიერ გაცემული ცნობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნ. ლ-ია 1996 წლის 08 აპრილიდან 1996 წლის 09 სექტემბრამდე პერიოდში მსახურობდა ქ. ...ის ... ..ის ...ში, ხოლო ის გარემოება, რომ ნ. ლ-იას ნამსახურობის ნუსხაში, მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, არ არის მითითებული მისი ...ის ...ში დანიშვნის სამართლებრივი საფუძველი, ვერ ჩათვლება მისი ნამსახურობის პერიოდის აღიარებაზე უარის თქმის კანონიერ საფუძველად. შესაბამისად, სახეზეა ნ. ლ-იას მოთხოვნის, 1996 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლის თაობაზე დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები. აქვე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, როგორც წინამდებარე საქმეში არის დადგენილი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2018 წლის 5 თებერვლის MOD 3 18 00115175 წერილის შესაბამისად, ნ. ლ-იას წელთა ნამსახურობაში ჩათვლილი აქვს 1995 წლის 17 მაისიდან 1996 წლის 8 აპრილამდე პერიოდი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნ. ლ-იას წელთა ნამსახურობაში დამატებით ჩათვლას უნდა დაექვემდებაროს 1996 წლის 8 აპრილიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2018 წლის 5 თებერვლის MOD 3 18 00115175 წერილის თანახმად, ნ. ლ-იას წელთა ნამსახურობამ შეადგინა 19 წელი და 19 დღე, შესაბამისად, ნ. ლ-იასთვის კადრების განკარგულებაში ყოფნის 1994 წლის 14 სექტემბრიდან 1995 წლის 17 მაისამდე პერიოდის და ...ის ...ში ყოფნის 1996 წლის 8 აპრილიდან 1996 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლის პირობებში, კმაყოფილება მისი კანონიერი ინტერესი და მისი წელთა ნამსახურობა შეადგენს 20 კალენდარულ წელს, რის გამოც აღარ იკვეთება საკასაციო სასამართლოს მიერ 2004 წლის 27 დეკემბრიდან 2005 წლის 1 აპრილამდე პერიოდის ნამსახურობაში ჩათვლის საკითხის შეფასების საჭიროება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მონიშნულ მდგევე მხარე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ქმედების განხორციელებაზე უარი – კასატორ ნ. ლ-იასთვის წელთა ნამსახურობის 20 კალენდარული წლით დაანგარიშების შესახებ არის უკანონო და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების გან-



ხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განხორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ლ-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ლ-იას სარჩელი დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ნ. ლ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 23 ოქტომბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ლ-იას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. მოპასუხეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ნ. ლ-იას სასარგებლოდ სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის მიზნით, დაევალოს ნ. ლ-იას ნამსახურობის პერიოდის 20 კალენდარული წლით განსაზღვრა;
5. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სადავო საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის  
საფუძველი**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-864(კ-19)

25 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ა. წულაძე**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 10 აგვისტოს გ. ყ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, ქალაქ რუსთავში, ...ის ქ. №...-ში მდებარე ბინის პრივატიზაციის მიზნით, 2017 წლის 1 მარტს მან №5388/02 განცხადებით მიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას. აღნიშნული განცხადების საფუძველი იყო 1977 წლის 3 თებერვალს გ. ყ-ზე გაცემული ორდერი. რუსთავის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2017 წლის 16 მარტის №02/4306 გადაწყვეტილებით განცხადებაზე დადგინდა ხარვეზი, რომელიც მოსარჩელემ 2017 წლის 17 მარტს წარდგინილი დოკუმენტით შეავსო. ქ. რუსთავის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2017 წლის 11 აპრილის №02/6134 წერილით მოსარჩელე მიწვეულ იქნა ზეპირ მოსმენაზე, რომელსაც დაინტერესებული მხარის სახით ასევე ესწრებოდა ნ. წ-ის წარმომადგენელი – მ. მ-ი. ზეპირი მოსმენის დროს მ. მ-მა განაცხადა, რომ ბინის პრივატიზების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა იყო უსაფუძვლო, რადგან გ. ყ-მა ბინა მიჰყიდა ნ. წ-ს, რის გამოც ამ უკანასკნელს გადასცა ბინის ორდერის დედანი და ჩანერა მითითებულ ბინაში. დაინტერესებული მხარის წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ გ. ყ-ი გარდაიცვალა ერთი წლის წინ და ეჭვქვეშ დააყენა მოსარჩელის წარმომადგენლის მარწმუნებლის ვინაობა.

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნულის პასუხად, გ. ყ-ის წარმომადგენელმა – დ. ბ-მა მერიის თანამშრომლებს განუმარტა, რომ 1990-იან წლებში მიმდინარე კონფლიქტის დროს გ. ყ-ი იძულებული გახდა ოჯახთან ერთად დაეტოვებინა საქართველო, ხოლო ხსენებული ბინა რომ არ წაერთმიათ, შეასახლა თავისი მეუღლის მამიდაშვილი – ვ. ქ-ე (ნ. წ-ის მეუღლე), რომელსაც დაუტოვა ბინის ორდერის დედანი.

ამრიგად, მოსარჩელის განცხადებით, გ. ყ-ის მიერ ქ-ე-წ-ებზე მითითებული ბინის მიყიდვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მოსარჩელის აზრით, აღნიშნულს ისიც ადასტურებდა, რომ საამშრომლო კომპანიის მუშაკთან ერთად შიდა აზომვითი ნახაზის გასაკეთებლად მისულს, ნ. წ-ის ქალიშვილმა უპრობლემოდ დართო ნება აეზომათ ბინა, რა დროსაც მობილურზე განუმარტა მისი ვიზიტის მიზანი ვ. ქ-ესაც. მერიის თანამშრომლებმა მ. მ-ს მოსთხოვეს წარმოედგინა ხსენებულ ბინაში ჩანერის ბარათი და ხელწერილი ბინის შესაძლო ნასყიდობის შესახებ. მოსარჩელის წარმომადგენელს დაევალა გ. ყ-ის პასპორტის ნოტარიულად დამოწმებული ასლისა და საინფორმაციო ბარათის წარმოდგენა, რაც შეასრულა.

მოსარჩელის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ორდერი და საინფორმაციო ბარათი უდავოდ ადასტურებდნენ 1977 წლიდან ყ-ის მითითებულ ბინაში რეგისტრაციისა და კანონიერი სარგებლობის ფაქტს, 2017 წლის 12 ივლისს მოსარჩელის წარმომადგენელს ოფიციალურად ეცნობა, რომ ზემოხსენებული ბინის პრივატიზაციაზე ქ. რუსთავის მერიის 2017 წლის 11 ივლისის №... გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაადგინა გ. ყ-ის კანონიერი სარგებლობის ფაქტი ხსენებულ ბინაზე, ხოლო ნ. წ-ის წარმომადგენელმა წარმოადგინა სასამართლო გადაწყვეტილება (საქმე №190310013258993 საქმე №3/ზ-308-14; 30.05.2014წ), როგორც სასამართლო პრეცედენტი საცხოვრებელ ბინაზე ფაქტობრივი ფლობის ნიადაგზე განხორციელებული პრივატიზებისა და რუსთავის მუნიციპალიტეტის შ. რუსთაველის ადმინისტრაციული ერთეულიდან გაცემული აქტი ხსენებულ ბინაში 1992 წლიდან ნ. წ-ის ცხოვრების ფაქტის დადგენის შესახებ (№2887-02-10 28.03.2017). მოსარჩელის განცხადებით, რუსთავის მერიის აღნიშნული გადაწყვეტილებით გ. ყ-ის საკუთრების უფლება ზემოხსენებულ ბინაზე უხეშად დაირღვა.

ამდენად, მოსარჩელემ საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციაზე უარის თქმის შესახებ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 11 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის მის სა-

კუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე ახალი აქტის გამოცემის დავალბა მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 აგვისტოს განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება ნ. ნ-ი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ყ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1977 წლის 3 თებერვალს გ. ყ-ის სახელზე გაიცა ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე საცხოვრებელ ბინაში შესახლების ორდერი №99.

1999 წლის 16 მარტს გ. ყ-მა შეიცვალა გვარი ყ-ზე.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ გ. ყ-ი 1999 წლის 16 დეკემბრიდან არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე და რეგისტრირებულია მისამართზე: რუსეთის ფედერაცია, ქ. ...ის ქ., სახლი №22ა.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ყ-ი 1998 წლიდან აღიარებულია იძულებით გადაადგილებულად მს ჩორ-ალანისას გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოსარჩელეს 1992 წლიდან ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ში არ უცხოვრია და აღნიშნულ ბინაში 1992 წლის 7 აპრილიდან ჩანერილია, ცხოვრობს და იხდის გადასახადებს მესამე პირი – ნ. ნ-ი.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2017 წლის 1 მარტს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა გ. ყ-მა ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნით. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 11 ივლისის №... გადაწყვეტილებით მოსარჩელე მხარეს უარი ეთქვა საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციაზე იმ საფუძველით, რომ 1992 წლიდან დღემდე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს მოქალაქე ნ. ნ-ი და ირიცხება გადასახადის გადახდელად. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო წარდგენილ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით ვერ ადგენდა მითითებულ საცხოვრებელ ბინაზე გ. ყ-ის კანონიერი სარგებლობის ფაქტს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი სამართალურით-

ერთობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოების დადგენას, იყო თუ არა მოსარჩელე საცხოვრებელი ფართის კანონიერი მოსარგებლე და სადავო ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის უფლების მქონე სუბიექტი. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, შეფასება უნდა მისცემოდა იმ საკითხს, მოსარჩელემ ნებით მიატოვა ქ. რუსთავეში, ...ის ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი თუ მისი ნების საწინააღმდეგოდ.

სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო საბინაო ფონდში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საცხოვრებელ ფონდში არსებული, მათ შორის, 2007 წლის 2 თებერვლამდე დროებით გადაცემული, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს და ამ პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის №189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესი.“ მითითებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის საკუთრებაში გადაცემის განხილვის საფუძველია კანონიერი მოსარგებლის წერილობითი განცხადება შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში. ამავე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ მოსარგებლედ ჩაითვლება ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართობით, ხოლო კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მემკვიდრე. ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის კანონიერ მოსარგებლედ მიჩნევისათვის საჭირო იყო ორი პირობის არსებობა: უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი და ფიზიკური პირის მხრიდან საპრივატიზაციო ფართის ფლობისა და სარგებლობის ფაქტი. ამასთან, აღნიშნული ორი პირობა კუმულაციურად უნდა არსებულიყო.

სასამართლომ განმარტებით, იმ პირობებში, როდესაც ნ. წი-

1992 წლის 7 აპრილიდან ჩაწერილი იყო საცხოვრებელ ბინაში და სარგებლობდა ამ ბინით, იხდიდა გადასახადებს, აღნიშნული ფაქტი მიჩნეული უნდა ყოფილიყო იმ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად, რომ მოსარჩელე აღნიშნული ბინის კანონიერ მოსარგებლეს არ წარმოადგენდა. საგულისხმო იყო ის გარემოებაც, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მესამე პირის – ნ. ნ-ის სადავო ბინაში ჩაწერის განხორციელებამდე, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა მოეხდინა საცხოვრებელი ბინის პრივატიზაცია, რაც გამოორიცხავდა მესამე პირისათვის, როგორც ნათესავისათვის, საცხოვრებელი ბინის დროებით სარგებლობაში გადაცემას. თუმცა, სასამართლომ მიუთითა, რომ მიუხედავად სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოთხოვისა, აღნიშნული უტყუარად არ დადასტურდა. მოსარჩელეს არც იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება წარუდგენია, რომ მის მიერ გაცემული იყო რწმუნებულება ნ. ნ-ისთვის სადავო ფართის პრივატიზაციის უფლების მინიჭების შესახებ, რის უფლებამოსილებასაც დასახელებული დადგენილება ითვალისწინებდა.

სასამართლოს შეფასებით, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ მესამე პირი – ნ. ნ-ი 1992 წლიდან – 26 წელი ფაქტობრივად იკავებდა ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ში მდებარე ბინას და სარგებლობდა მისით, თანაც ისე, რომ ნივთის ნამდვილ მესაკუთრეს და არც სხვა მესამე პირებს სადავოდ არ გაუხდიათ აღნიშნული მფლობელობა, არ მოუთხოვიათ მფლობელობის შეწყვეტა, ნივთის მის ფაქტობრივ ბატონობაში გადაცემა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ 2017 წლის 30 აგვისტოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის – შოთა რუსთაველის სახელობის ადმინისტრაციულ ერთეულში ა. ზ-ის მიერ შედგენილი აქტით დგინდებოდა, რომ ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ში, 1992 წლიდან ცხოვრობდა ნ. ნ-ი. მეზობლები გ. ყ-ის ცხოვრების ფაქტს ვერ იხსენებდნენ და არ ადასტურებდნენ. ამასთან, სასამართლოს მითითებით, ასევე დადგენილი იყო, რომ საპრივატიზაციო ქონებაზე კომუნალური გადასახადების აბონენტად აღრიცხული იყო ნ-ი, სახელი არ ფიქსირდებოდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის 20 ოქტომბრის №01/285643 წერილის თანახმად, დგინდებოდა, რომ ნ. ნ-ი 1992 წლის 7 აპრილიდან ჩაწერილი იყო მისამართზე ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ში.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017

ნლის 30 ოქტომბრის №01/295482 წერილის თანახმად, დგინდებოდა, რომ სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში ფიქსირდებოდა ... წელს დაბადებული გ. ყ-ი, რომელსაც მიღებული ჰქონდა სსრკ სიმბოლიანი პასპორტი ...-ტი №... (გაცემ. 22.02.1977 წელს რუსთავის შს განყოფილების მიერ) და 1977 წლის 5 მარტიდან რეგისტრირებული იყო მისამართზე ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ გ. ყ-ი 1999 წლის 16 დეკემბრიდან წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს და რეგისტრირებული იყო მისამართზე: რუსეთის ფედერაცია, ქ. ...ი, ...ის ქ., სახლი №22ა, ამასთან, მას მინიჭებული ჰქონდა იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე თავადაც არ უარყოფდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ 1992 წლიდან მას სადავო ბინაში არ უცხოვრია. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გ. ყ-ი არ იყო საპრივატიზაციო ბინის მოსარგებლე და მართლზომიერი მფლობელი 1992 წლიდან, ე. ი. ორდერის გაცემიდან მან ნებით დატოვა სადავო ფართი, ამასთან, დადგენილი იყო, რომ 1992 წლიდან სადავო ფართში ცხოვრობდა მესამე პირი – ნ. ნ-ი.

სასამართლომ მიუთითა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის ძირითად პრინციპებს, ადგენს საქართველოს მოქალაქეობის სამართლებრივ მდგომარეობას და საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საფუძვლებს. ამავე კანონის მესამე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეობა არის საქართველოსთან პირის სამართლებრივი კავშირი. საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, გარდა ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების დანაწესიდან გამომდინარე, გ. ყ-ს საქართველოს მოქალაქეობა მიღებული აქვს დაბადებით, თუმცა წარმოდგენილი მასალით დასტურდებოდა, რომ მას საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვით, ანუ მას შემდგომ, რაც მისი საცხოვრებელი ადგილი 1998 წლის 26 მაისიდან არის ქ. ...ი, ხოლო 1999 წლის 16 დეკემბრიდან წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს. რაც შეეხებოდა მოსარჩელე მხარის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ მან თავისი ნების საწინააღმდეგოდ დატოვა საქართვე-

ლო, კერძოდ კი, სადავო საცხოვრებელი ბინა, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მას სასამართლოსათვის არ წარუდგენია. სასამართლოს შეფასებით, აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის შვილი დაბადებული იყო ... წელს, ჩრდილოეთ ოსეთში, ქ. ...ში. ამდენად, მოსარჩელეს აღნიშნულ ქალაქთან გააჩნდა მუდმივი კავშირი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე 1992 წლიდან დავის განხილვის მომენტამდე არ ფლობდა სადავო ბინას. მას ამ პერიოდის განმავლობაში არ მიუმართავს არც ერთი ორგანოსათვის იმის თაობაზე, რომ ხელი ეშლებოდა საცხოვრებელი ფართით სარგებლობაში და რომ მესამე პირი მის ქონებას დაუფლებული იყო მისი ნების საწინააღმდეგოდ. სასამართლოს მოსაზრებით, ყოველივე აღნიშნული ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე არც პრივატიზაციის მოთხოვნის და არც მის მოთხოვნამდე პერიოდში არ წარმოადგენდა ბინის მოსარგებლეს.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო ბინის ორდერის დედანი მოსარჩელის მიერ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში ვერ იქნა წარდგენილი იმის გამო, რომ იგი მოსარჩელემ საქართველოდან ნასვლის დროს გადასცა „მეუღლის ალალ მამიდაშვილს – ვ. ქ-ეს“, რათა არ წაერთმიათ ხსენებული ბინა. სასამართლოს მითითებით, ამავე დროს, მესამე პირის წარმომადგენელი უთითებდა, რომ მხარეთა შორის შედგა ზეპირი გარიგება ბინის ნასყიდობასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია ბინის ორდერის დედნის ნ. ნ-ზე გადაცემა. აღნიშნულს მოსარჩელე არ უარყოფდა და განმარტავდა, რომ მხარეთა შორის ნამდვილად შედგა მოლაპარაკება საპრივატიზაციო ბინის ნასყიდობის შესახებ, თუმცა თანხის გადაცემის ფაქტს არ ადასტურებდა.

სასამართლომ მიუთითა „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილების მე-5 მუხლის მე-8 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, თუ კანონიერი მოსარგებლის მიერ წარდგენილ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები არ ადასტურებს საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ (იზოლირებულ და არაიზოლირებულ) ფართობზე განმცხადებლის კანონიერი სარგებლობის უფლების ფაქტს, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ვინაიდან მოსარჩელემ



ადმინისტრაციულ ორგანოს ვერ წარუდგინა აღნიშნულ ფართში ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები, აღნიშნული გახდა პრივატიზაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო საწინააღმდეგო არგუმენტაციისა და იმ სამართლებრივი ნორმის მითითება, რომლის საფუძველზეც, იგი დაადასტურებდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებისა და მის მიერ მიღებული აქტის კანონსაწინააღმდეგო ხასიათს. სასამართლოს შეფასებით, მან ვერ მიუთითა კანონის ისეთ დარღვევაზე, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც, საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გ. ყ-ის სარჩელის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო ნესით გაასაჩივრა გ. ყ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 მარტის განჩინებით გ. ყ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 მარტის განჩინება საკასაციო ნესით გაასაჩივრა გ. ყ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება, რომ მისი ოჯახი 1990-იან წლებში საქართველოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებული გახდა, დაეტოვებინა საქართველო, რის შედეგადაც მას მოუწია საცხოვრებელი ბინა დაეტოვებინა ნ. წ-ისათვის, რომელიც არის გ. ყ-ის მეუღლის – თ. ქ-ის მამიდაშვილის – ვ. ქ-ის მეუღლე. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების მხედ-

ველობაში მიღებით, კასატორი მიიჩნევს, რომ იგი წარმოადგენს „კანონიერი მოსარგებლისთვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით განსაზღვრული საცხოვრებელი ფართის კანონიერ მოსარგებლეს და სადავო ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის უფლების მქონე სუბიექტს.

კასატორის აღნიშვნით, საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, მხარის ახსნა-განმარტებებსა და სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ გ. ყ-ი კანონიერად არ სარგებლობდა ქ. რუსთავში, ...ის ქუჩაზე, კორპ. №9-ში მდებარე №191 ბინით. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ გ. ყ-მა საკუთარი ნებით მიატოვა ზემოაღნიშნული ფართი.

კასატორის განმარტებით, 1991 წლის ბოლოს საქართველოში შექმნილი კრიმინალური მდგომარეობის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე და სასამართლოში წარდგენილ იქნა წერილობითი მტკიცებულებები (საქართველოს პარლამენტის ცნობა, სახალხო დამცველის ანგარიშები და ა.შ.). ამასთან, საქმეზე მესამე პირის მიერ მოწვეულმა მოწმეებმა, ცოლ-ქმარმა – მ. ე. გ-ებმა პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ ჩვენებებში დაადასტურეს ის ფაქტი, რომ 1991 წელს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, გ. ყ-ს ემუქრებოდნენ, რის გამოც ზემოხსენებული ბინის კარზე, გარედან არსებული საკუთარი გვარი – ყ-ი ნაშალა და გადააკეთა ქედ, რათა დაემალა ხსენებულ ბინაში თავისი ცხოვრების ფაქტი. კასატორის მითითებით, მან სწორედ აღნიშნულის შემდგომ, ფიზიკური განადგურების შიშის პირობებში, იძულებით დატოვა საქართველოს ტერიტორია ქვეყანაში არსებული კონფლიქტური ვითარებიდან გამომდინარე. ამასთან, ის გარემოება, რომ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი გ. ყ-ი ოჯახთან ერთად 1991 წელს გახდა იძულებით გადაადგილებული პირი, დასტურდება საქმეში არსებული მს ჩორ-ალანის 1998 წლის მიერ გაცემული დეკლარაციის მონობითაც.

კასატორის მითითებით, იმ მისამართზე, სადაც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, იგი 1977 წლის 25 მარტიდან დღემდე ჩანერილია ძველი გვართი: „ყ-ი“. ბინის შესანახად გადაცემის შემდგომ, ნ. წ-ის ქმარს – ვ. ქ-ეს უნდა უზრუნველყო სადავო ფართის ჯერ გ. ყ-ის, ამჟამად კი ყ-ის სახელზე პრივატიზება და შემდგომ, ნასყი-

დობის ფასის – 5000 აშშ დოლარის საფასურის გადახდით თავის სახელზე გადაფორმება. კასატორის აღნიშვნით, ამ ქმედებისათვის მოსარჩელეს ვ. ქ-ისათვის რწმუნებულება არ დაუტოვებია, რადგანაც ეს უკანასკნელი არწმუნებდა, რომ სახელმწიფო ორგანოებთან თავად უზრუნველყოფდა ყოველგვარი სამართლებრივი პროცედურის განხორციელებას, რის შემდეგაც ბინის ნასყიდობის ფასსაც გაისტუმრებდა. ხსენებული ფაქტობრივი გარემოება დადასტურებულ იქნა სასამართლო სხდომაზე, კერძოდ, დადგინდა, რომ ნ. წ-ი (ვ. ქ-ის მეუღლე) სადავო ბინას ფლობს გ. ყ-თან შეთანხმებით, დროებით, მის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდამდე.

კასატორის მოსაზრებით, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ გ. ყ-ის დავალებით მივლინებული საამზომველო კომპანიის წარმომადგენელი, ნ. წ-ის ოჯახის თანხმობით, შექვევულ იქნა სადავო ბინაში, სადაც ჩატარდა შიდა აზომვითი სამუშაოები. კასატორის მითითებით, ნ. წ-ს ბინის ნასყიდობის ფასი გადახდილი რომ ჰქონოდა, აზომვის უფლებას კომპანიის წარმომადგენელს არავინ მისცემდა. რაც შეეხება ნ. წ-ის მტკიცებას, რომ თითქოს მან ბინა ნასყიდობის საფასურის გადახდით შეიძინა მოსარჩელისაგან, ვერც პირველი ინსტანციის სასამართლოში და ვერც სააპელაციო სასამართლოში ვერ იქნა წარდგენილი აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება. ამასთან, კასატორი საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოებასაც, რომ ნ. წ-მა ვერც ამ ბინაში კანონიერად ჩანერის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება (დამქირავებლის თანხმობა, ჩანერის ბარათი და ა.შ.) ვერ წარმოადგინდა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კანონიერი სარგებლობის ცნება და იგი გააიგივა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის №ბს-1896-1849(კ-10) და №ბს-1227-1213(კ-11) გადაწყვეტილებებით განმარტებულ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ცნებასთან, კერძოდ, კასატორის აღნიშვნით, მთავრობის №189 დადგენილებაში მითითებულია ფიზიკური პირის მიერ ფართის კანონიერი სარგებლობის შესახებ და არა მუდმივი ცხოვრების შესახებ.

კასატორის მითითებით, სასამართლოში დაკითხულმა მოწმეებმა – მ. ე. გ-ებმა დაადასტურეს, რომ სადავო ბინის მიღების შემდეგ, გ. ყ-მა და მისმა მეუღლემ შეიტანეს იქ თავისი ნივთები, სადაც პერიოდულად მიდიოდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ნ. წ-მა და მისმა ქმარმა დაიკავეს აღნიშნული ბინა, მათ გ. ყ-ის ნივთები გადაიტანეს ნ. წ-ის სოფელში. კასატორის მოსაზრებით, ამ ჩვენებებიდანაც ცხადია, რომ თუკი გ. ყ-ი არ სარგებლობდა ხსენებული ბინით, მაშინ არც მისი ავეჯი იქნებოდა მასში განლაგებული.

კასატორი ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლზე და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ხსენებული ნორმა. კასატორის აღნიშვნით, ამ ნორმის შესაბამისად, მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით და ხორციელდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მფლობელობის სახით, ნივთთან უშუალოდ ან სხვა პირთა მეშვეობით გარკვეული სივრცობრივი კავშირის შენარჩუნების გზით. მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე არამესაკუთრეც. ნივთი შეიძლება იმყოფებოდეს არამართო პირდაპირი მფლობელის, არამედ არაპირდაპირი მფლობელის ბატონობის ქვეშაც. მოცემულ შემთხვევაში კი, სახეზეა მოსარჩელის მიერ ამ ნივთის არაპირდაპირი მფლობელობა.

ამასთან, კასატორი სააპელაციო სასამართლოს შეფასებათა საწინააღმდეგოდ განმარტავს, რომ მოსარჩელის შვილი – მ. ყ-ი ... წელს დაბადებულია არა ჩრდილოეთ ოსეთში, არამედ საქართველოში, ქალაქ რუსთავში, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც – ნოტარიულად დამოწმებული დაბადების მოწმობა, წარმოდგენილია.

კასატორი ასევე, აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების მიუხედავად, უსაფუძვლოდ გაიზიარა მესამე პირის – ნ. წ-ის განმარტება, რომ მხარეთა შორის შემდგარი იყო გარიგება ბინის ნასყიდობასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია ბინის ორდერის დედნის ნ. წ-ზე გადაცემა. თუმცა, კასატორის მითითებით, ამ ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, მით უფრო, ვერც საბინაო ორდერი დედნის სახით ნ. წ-ის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. ყ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2020 წლის 2 აპრილის განჩინებით გ. ყ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ გ. ყ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ყ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქალაქ რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1977 წლის 3 თებერვალს გ. ყ-ის სახელზე გაიცა ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე საცხოვრებელ ბინაში შესახლების ორდერი №99.

1999 წლის 16 მარტს გ. ყ-მა შეიცვალა გვარი ყ-ზე.

გ. ყ-ი 1999 წლის 16 დეკემბრიდან არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე და რეგისტრირებულია მისამართზე: რუსეთის ფედერაცია, ქ. ...ი, ...ის ქ., სახლი №22ა.

გ. ყ-ი 1998 წლიდან აღიარებულია იძულებით გადაადგილებულად მს ჩორ-ალანიას გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოსარჩელეს 1992 წლიდან ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ში არ უცხოვრია და აღნიშნულ ბინაში 1992 წლის 7 აპრილიდან ჩანერილია, ცხოვრობს და იხდის გადასახადებს მესამე პირი – ნ. ნ-ი.

2017 წლის 1 მარტს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა გ. ყ-ის წარმომადგენელმა ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნით. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 11 ივლისის №... გადაწყვეტილებით მოსარჩელე მხარეს უარი ეთქვა საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციაზე იმ საფუძველით, რომ 1992 წლიდან დღემდე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს მოქალაქე ნ. ნ-ი და ირიცხება გადასახადის გადახდელად, ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო წარდგენილ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით ვერ ადგენს გ. ყ-ის კანონიერი სარგებლობის ფაქტს მითითებულ საცხოვრებელ ბინაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი განცხადების შესაბამისად,

მოსარჩელე გ. ყ-ი სადავო ბინის პრივატიზაციას დაკავებული ფართით კანონიერი სარგებლობის საფუძვლით ითხოვდა. შესაბამისად, განსახილველი დავის მართებული გადანყვევისათვის, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტის დადგენას, წარმოადგენდა თუ არა გ. ყ-ი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესით“ განსაზღვრულ დაკავებული ფართის კანონიერ მოსარგებლეს და ქმნის თუ არა სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტებისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა გ. ყ-ის სახელზე სადავო ბინის პრივატიზების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ეს წესი არეგულირებს სახელმწიფო საბინაო ფონდში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საცხოვრებელ ფონდში არსებული, მათ შორის 2007 წლის 2 თებერვლამდე დროებით გადაცემული, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს, ამ პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს და განსაზღვრავს წესით გათვალისწინებული ურთიერთობის მხარეებსა და მათ უფლებამოსილებებს. ამავე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია კანონიერი მოსარგებლის ცნება, კერძოდ, კანონიერი მოსარგებლე არის ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართობით, ხოლო კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მემკვიდრე.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული წესის მიზნებისათვის, იმისათვის, რომ პირი მიჩნეულ იქნეს კანონიერ მოსარგებლედ, აუცილებელია შემდეგი ორი პირობის კუმულატიურად არსებობა: 1. პირს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული კანონიერი სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.) და 2. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, იგი კანონიერად უნდა სარგებლობდეს ფართით. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით დამტკიცებული წესით კანონიერი მოსარგებლისათვის მოთხოვნილი ფართის პრივატიზების პროცესში კანონიერი სარგებლობის უფლების წარმომშობი სათანადო დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაშიც კი, აუცილებელია არსებობდეს წესით განსაზღვრული მეორე წინაპირობაც – ფართით ფაქტობრივი სარგებლობა. შესაბამისად, საკუთრების უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ მართლზომიერი სარგებლობის უფლების წარმოშობა, არამედ ამ უფლების რეალიზაციაც – ფართის ფაქტობრივი დაუფლება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ფაქტობრივი ფლობის ზემოხსენებული კომპონენტი არ შემოიფარგლება მარტოოდენ ფართით რეალური სარგებლობით. რამდენადაც კანონიერი სარგებლობის უფლების რეალიზაცია არსებითად უკავშირდება მოსარგებლის მხრიდან ფართის ფლობის ნების გამოვლენას, რაც შემთხვევებში, გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებათა არსებობამ შესაძლოა შეზღუდოს პირის შესაძლებლობა, ნების არსებობის მიუხედავად, ისარგებლოს კანონიერი სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე გადაცემული უძრავი ქონებით. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა პირს გააჩნდეს ფართით სარგებლობის ცხადად გამოხატული სურვილი, თუმცა მის მიმართ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა, მისი ნების სანინააღმდეგოდ, შეუძლებელს ხდიდეს მინიჭებული უფლების რეალიზაციას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ფაქტობრივი ფლობის გამომრიცხველი მდგომარეობა დაუშვებელს ხდის ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აღნიშნული კომპონენტის არარსებობის საფუძველით პირისათვის ფართის პრივატიზაციაზე უარის თქმას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის №ბს-250-246(კ-15) განჩინებაში აღინიშნა, რომ „დაუშვებელია, რომ სადავო საცხოვრებელი ბინის ფაქტობრივი ფლობის საკითხი განიმარტოს მესამე პირის – ც. ს-ის

ინტერესების საწინააღმდეგოდ, ანუ თუ კანონიერი მოსარგებლე თავისი ნების საწინააღმდეგოდ არ სარგებლობს ფართით, ეს არ შეიძლება გახდეს მისთვის პრივატიზაციაზე უარის თქმის საფუძველი.“ ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიმართ კანონიერი სარგებლობის უფლების მიმნიჭებელი დოკუმენტის საფუძველზე სარგებლობის, როგორც პრივატიზაციისათვის აუცილებელი ერთ-ერთი კომპონენტის არარსებობის დასასაბუთებლად მხოლოდ ფართის რეალური ფლობის ფაქტის გამორიცხვა არ კმარა. არსებითია დადასტურდეს, რომ პირი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე გადაცემული ფართით არ სარგებლობს მისივე ნებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარგებლობის კომპონენტის გამორიცხვისათვის გადამწყვეტია ის მიზეზი, რის გამოც პირისათვის მინიჭებული უფლება საბოლოო ჯამში ფაქტობრივად ვერ რეალიზდა, უფრო კონკრეტულად კი, აღნიშნული გამოწვეული იყო პირის ნების შესაბამისი ქმედებით, თუ მისი ნების საწინააღმდეგოდ წარმოშობილი ფაქტობრივი მდგომარეობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, მოსარჩელეს ქ. რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1977 წლის 3 თებერვლის №99 ორდერის საფუძველზე, გ. ყ-ს, როგორც დამქირავებელს, გამოეყო ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ში მდებარე ერთოთახიანი ბინა (საფუძველი: 14.07.1976 წლის რუსთავის საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება, ოქმი № 15). ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №01/295482 წერილის თანახმად, დგინდება, რომ სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში ფიქსირდება ... ნელს დაბადებული გ. ყ-ი, რომელსაც მიღებული აქვს სსრკ სიმბოლიანი პასპორტი ...-ტი №... (გაცემ. 22.02.1977 წელს რუსთავის შს განყოფილების მიერ) და 1977 წლის 5 მარტიდან რეგისტრირებულია მისამართზე: ქ. რუსთავი, ...ის ქ. №...-ში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საბინაო კოდექსის პრეამბულის თანახმად, საბჭოთა საბინაო კანონმდებლობა მონოდებულია ხელს უწყობდეს მოქალაქეთა ბინის უფლებით უზრუნველყოფას. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება იდება წერილობით საცხოვრებელი სადგომის ორდერის საფუძველზე გამქირავებელს – საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასა (თუ ასეთი არ არის – შესაბამის სა-



წარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას) და დამქირავებელს – მოქალაქეს, რომლის სახელზეც გაცემულია ორდერი, შორის. საბინაო კოდექსის 69-ე მუხლით კი განისაზღვრებოდა დროებით სხვაგან მყოფ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომის შენახვის წესი და პირობები. მითითებული მუხლის თანახმად, დამქირავებელის ან მისი ოჯახის წევრთა დროებით სხვაგან ყოფნის შემთხვევაში, მათ ენახებათ საცხოვრებელი სადგომი ექვსი თვის მანძილზე. მითითებული ნორმა შეიცავს ასევე საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც საცხოვრებელი სადგომის შენახვა უფრო ხანგრძლივი ვადითაც იყო გათვალისწინებული, თუმცა 69-ე მუხლის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ დადგენილი ვადების გადამეტებით სხვაგან ყოფნის შედეგად საცხოვრებელი სადგომით სარგებლობაზე უფლებადაკარგულად პირის ცნობა ხდებოდა სასამართლო წესით.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება სადავო ფართზე გ. ყ-ის სასამართლო წესით უფლებადაკარგულად ცნობის ფაქტი. უფრო მეტიც, საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი არც ამ კოდექსის მოქმედების პერიოდში და არც შემდგომში არსებული არც ერთი ორგანოს მიერ გაცემული რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა სადავო ბინაზე გ. ყ-ის უფლებადაკარგულად ცნობა და ამავე ფართზე ნ. წ-ისათვის კანონიერი სარგებლობის უფლების მინიჭება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს ყუარადლება გაამახვილოს კასატორის განმარტებებზე, კერძოდ, გ. ყ-ი სარჩელის წარდგენის ეტაპიდან საკასაციო სასამართლოში დავის განხილვის დასრულებამდე ცხადად მიუთითებდა, რომ მისი და მისი ოჯახის მიმართ არსებობდა გარკვეული საფრთხეები, რომლებმაც იგი იძულებული გახადა მიეტოვებინა სადავო ფართი და რუსეთის ფედერაციაში გადასულიყო საცხოვრებლად. საქმის მასალებით ასევე დადგენილია და არც მესამე პირი – ნ. წ-ი უარყოფს იმ გარემოებას, რომ გ. ყ-მა საქართველოდან წასვლის დროს ქ. რუსთავეში, ...ის ქ. №...-ში მდებარე ერთოთახიანი ბინა შესანახად გადასცა მისი მეუღლის მამიდაშვილს – ვ. ქ-ეს (ნ. წ-ის მეუღლეს). ამასთან, საქმის მასალებით, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის 20 ოქტომბრის №01/285643 წერილის თანახმად, დგინდება, რომ ნ. წ-ი 1992 წლის 7 აპრილიდან ჩანწერილია მისამართზე: ქ. რუსთავი, ...ის ქ. №....

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ივლისის №ბს-257-254(კ-12) განჩინებაზე, სადაც საკასაციო სასა-

მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს, რომ „საბჭოური „ჩანერის ინსტიტუტი“ განსხვავებით დღეს მოქმედი კანონმდებლობით რეგულირებულ საცხოვრებელ ბინაში რეგისტრაციისა, ნიშნავდა საცხოვრებელი ადგილის არსებობას. იმდროინდელი კანონმდებლობის საფუძველზე ბინაში ჩანერა წარმოადგენდა სახლის ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უწყუარ დამადასტურებელ საბუთს. ამდენად, ის გარემოება, რომ კასატორის დედა ჩანერილი იყო მითითებულ საცხოვრებელ სადგომში, ქმნიდა საცხოვრებელ ფართზე მის კანონისმიერ უფლებებს.“

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, ნ. წ-ი ჩანერილი იყო სადავო ბინაში, თუმცა განმსაზღვრელია ის, რომ აღნიშნულ მისამართზე მისი ჩანერა გ. ყ-ის მიერ მესამე პირისათვის ბინის შესანახად გადაცემამ განაპირობა. უფრო კონკრეტულად, გ. ყ-ს ნ. წ-ისათვის სადავო ბინა რომ არ გადაეცა, ეს უკანასკნელი ვერ შეძლებდა მასში ცხოვრებას და შესაბამისად, ვერც შესაბამის მისამართზე ჩაენერებოდა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო ფართზე ნ. წ-ის პრივატიზაციის უფლების დადგენა სასამართლოს შეფასების საგანს არ წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მოცემულ დავის ფარგლებში იმსჯელოს ნ. წ-ის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობებზე, თუმცა, საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ხელახლა გასამართი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მხედველობაში მიიღოს ის გარემოება, რომ გ. ყ-ის სახელზე გაცემული ბინის ორდერის ძალაში ყოფნის პირობებში, მხოლოდ ნ. წ-ის სადავო ბინაში ჩანერის ფაქტი ვერ გამოორიცხავს აღნიშნულ ფართზე გ. ყ-ის უფლებას. საკითხის ხელახალი მოკვლევა-შეფასებისას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს, რომ სადავო უძრავ ქონებაში ნ. წ-ის ჩანერა გ. ყ-ისათვის ორდერის საფუძველზე ბინის გადაცემის თანმდევ ფაქტობრივ შედეგს წარმოადგენდა.

ამასთან, გ. ყ-ისა და ნ. წ-ის უფლებრივ კონფლიქტთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებულმა მსჯელობებმა გამოიწვია გ. ყ-ის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესება, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანაცვების დასაბუთების სააპელაციო პალატის მიერ უპირობო გაზიარებამ ნ. წ-ი ფაქტობრივად სცნო სადავო ფართის პრივატიზაციაზე უფლებამოსილ პირად. აღნიშნულის შედეგად, მოსარჩელე დადგა სადავო ფართზე არა მხოლოდ საკუთარი უფლების არსებობის დადასტურების, არამედ, აგრეთვე, ამავე ფართზე მესა-

მე პირის – ნ. წ-ის უფლების გამოორიციხვის საჭიროების წინაშე. და-  
უშვებელია, სასამართლო გადაწყვეტილებამ, თუნდაც სარჩელის  
საფუძვლების გამოორიციხვის მოტივით, შეითავსოს აღმჭურველი  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფუნქცია და სასამარ-  
თლო დავაში მესამე პირად ჩაბმული პირი ფაქტობრივად აღჭურ-  
ვოს გარკვეული უფლებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო  
სასამართლოს მითითებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის №ბს-  
1896-1849(კ-10) და 2012 წლის 1 თებერვლის №ბს-1227-1213(კ-11)  
განჩინებებზე და აღნიშნავს, რომ მითითებული საქმეები შეეხე-  
ბოდა დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკით-  
ხებს და ხსენებული დავები ეფუძნებოდა განსახილველი საქმისა-  
გან აბსოლუტურად განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რის  
გამოც მოხმობილ განჩინებებში გაკეთებული სამართლებრივი შე-  
ფასებები არარელევანტურია მოცემულ დავასთან მიმართებით.

რაც შეეხება განსახილველი საქმისათვის არსებითი მნიშვნე-  
ლობის მქონე საკითხს – გ. ყ-ის მიერ სადავო ფართის ნებით თუ  
ლისი ნების საწინააღმდეგოდ მიტოვებას, საკასაციო სასამართლო  
განმეორებით აღნიშნავს, რომ მოსარჩელე სასამართლო დავის და-  
საწყისიდანვე მიუთითებდა, რომ მისი და მისი ოჯახის მიმართ არ-  
სებული საფრთხეების გამო, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა  
საქართველო და შესაბამისად, სადავო ფართიც. საკასაციო სასა-  
მართლო მიუთითებს, რომ მიუხედავად აღნიშნულისა, ადმინის-  
ტრაციულმა ორგანომ და შემდგომში ქვედა ინსტანციის სასამარ-  
თლოებმა, ისე გამოორიციხეს გ. ყ-ის სადავო ფართით კანონიერი სარ-  
გებლობის ფაქტი, რომ არ უმსჯელიათ, არსებობდა ან შესაძლებე-  
ლი იყო თუ არა ეარსება იმ ფაქტობრივ ვითარებას, რომელსაც შე-  
ეძლო ეიდულებინა გ. ყ-ი, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მიე-  
ტოვებინა სადავო ბინა. საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მი-  
იჩნევს კასატორის განმარტებებს, რომ მისი და მისი ოჯახის მი-  
მართ შესაძლოა მართლაც ეარსება ზიანის მიყენების საფრთხე-  
ებს, რის გამოც იგი შესაძლოა იძულებული გამხდარიყო დაეტოვე-  
ბინა ქვეყნის ტერიტორია და სადავო ბინა შესანახად გადაეცა ნ. წ-  
ის მეუღლისათვის. რაც შეეხება მესამე პირის განმარტებას უძრავ  
ქონებასთან დაკავშირებით ზეპირად დადებული ნასყიდობის ხელ-  
შეკრულების თაობაზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ  
საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება (მაგ. მოწმის ჩვე-  
ნება, თანხის გადახდის დამადასტურებელი ხელწერილი), რომლი-  
თაც დადასტურდებოდა ბინის სანაცვლოდ ნ. წ-ის მიერ თანხის გა-  
დახდისა და შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულების ფორმისდაუც-

ველად გაფორმების ფაქტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხის ხელახალი განხილვისას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს იმ გარემოებებზე, რომელსაც შესაძლოა გ. ყ-ისათვის მოესპო სადავო ბინით სარგებლობის შესაძლებლობა. საკითხის სრულყოფილი გამოკვლევის ფარგლებში, არსებითაა ადმინისტრაციულმა ორგანომ შეფასება მისცეს იმ გარემოებას, რამდენად შეიძლება მოსარჩელე გ. ყ-ის კანონიერი მოსარგებლის სტატუსის გამორიცხვა მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ 1992 წლიდან იგი არ სარგებლობდა სადავო ბინით, მაშინ, როდესაც სარგებლობის შეუძლებლობა განპირობებული იყო მოსარჩელის ნების საწინააღმდეგო, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. ამასთან, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ ნ. წ-ის მიერ ბინის ფლობის შედეგად გაღებული თანხები (კომუნალური გადასახადები, სარემონტო სამუშაოებზე დახარჯული თანხები) წარმოადგენს იმ გონივრულ ფინანსურ დანახარჯს, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებელი სადგომით სარგებლობასთან.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართულ სხდომებზე სასამართლო შეეცადა მორიგებით დაესრულებინა საქმე, თუმცა მორიგება ვერ შედგა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახალი შესწავლა-გამოკვლევისა და შეფასებისას მხედველობაში უნდა მიიღოს დავის მორიგებით გადაწყვეტის თაობაზე გ. ყ-ისა და ნ. წ-ის მზაობა და მიმართოს ყველა შესაძლო გზას, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში აღნიშნულ პირთა ინტერესების კიდევ უფრო მეტად დაახლოებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ყ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება. გ. ყ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუსყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციაზე უარის თქმის შესახებ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 11 ივლისის №... გადაწყვეტილება და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საცხოვრებელი ბი-

ნის პრივატიზაციის თაობაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

**გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. გ. ყ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 მარტის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ყ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციაზე უარის თქმის შესახებ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 11 ივლისის №... გადაწყვეტილება და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის თაობაზე;
5. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას გ. ყ-ის სასარგებლოდ დაეკისროს საქმეზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 (100+150+300) ლარის ანაზღაურება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ბინის პრივატიზების პროცესში მოსარჩელის  
ფაქტობრივ მფლობელობასა და სარგებლობაში  
არსებული ბინის სსვა პირისთვის გადაცემის  
კანონიერება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-481(კ-19)

22 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. ქადაგიძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ქმე-  
დების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. მ. ჯ-მა 2015 წლის 27 მაისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო-სა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობის მიმართ, ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით. სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შედეგად კი, მ. ჯ-მა მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის №24/09/02 განკარგულების ბათილად ცნობა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის თბილისში, ...ის №94-ში მდებარე №1 ბინაზე მოსარგებლის დაზუსტებული სიის საქართველოს მთავრობისათვის გადაგზავნის დავალება და საქართველოს მთავრობისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც მ. ჯ-ს სიმბოლურ ფასად გადაეცემა მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება. მოსარჩელემ მოპასუხეებად მიუთითა: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 ოქტომბრისა და 9 ნოემბრის განჩინებებით საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-

დექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, მესამე პირე-ბად ჩაბმულ იქნენ რ. გ-ი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. ჯ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის №24/09/02 განკარგულება იმ ნაწილში, რომელიც ეხება თბილისში, ...ის №94 სახლში მდებარე №1 ბინას; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალა დასახელებულ ბინაზე მოსარგებლის დაზუსტებული სიის გადაგზავნა საქართველოს მთავრობისათვის; საქართველოს მთავრობას კი დაევალა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, მ. ჯ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

#### **4. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

4.1. მ. ჯ-მა 2012 წლის 12 სექტემბერს ქალაქ თბილისის მერიის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა და მოითხოვა თბილისში, ...ის №94-ში მდებარე №1 ბინის საკუთრებაში გადაცემა;

4.2. ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამ 2012 წლის 18 სექტემბრის №06-23/10361 წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და აცნობა, რომ მიზანშეწონილად მიიჩნევდა დანართში მითითებულ პირებს შესაბამისი ფართები პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადასცემოდათ. წერილის დანართის თანახმად, თბილისში, ...ის №94-ში (ს/კ ...) მდებარე №4 ბინა (ფართით 33,92 მ<sup>2</sup>) ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს რ. გ-ს; №7 ბინა (ფართით 35,35 მ<sup>2</sup>) – ვ. ლ-ს; №5 ბინა (ფართით 34,25 მ<sup>2</sup>) – ნ. მ-ს; №8 ბინა (ფართით 33,45 მ<sup>2</sup>) – გ. უ-ს; №1 ბინა (ფართით 79,13 მ<sup>2</sup>) – მ. ჯ-ს;

4.3. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 20 სექტემბრის №6/179 წერილით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაეგზავნა ამავე სააგენტოს მიერ მომზადებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი შემდგომი რეაგირების მიზნით;

4.4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სა-

მინისტროს 2012 წლის 20 სექტემბრის №05/20111 წერილით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას წარედგინა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი. პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შევიდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის 2012 წლის 18 სექტემბრის №06-23/10361 და თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2012 წლის 18 სექტემბრის №06-21/10388 წერილები (შუამდგომლობა) და დაისვა საკითხი შესაბამისი რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ფიზიკური პირებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით ბინათა პრივატიზების თაობაზე, რის საფუძველზეც სამინისტრომ მოამზადა წარდგენილი განკარგულების პროექტი;

4.5. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის №24/09/02 განკარგულებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამავე განკარგულების დანართით გათვალისწინებული ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთ) ლარად, საკუთრებაში გადაეცა ამავე დანართში მითითებულ ფიზიკურ პირებს. განკარგულებით დანართში მითითებულ ფიზიკურ პირებს დაევალიათ საპრივატიზებო საფასურის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარულ დღეში, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს – ამ განკარგულების შესრულების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. განკარგულების დანართიდან ამონაწერით დგინდება, რომ თბილისში, ...ის №94-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება გადაეცათ შემდეგ ფიზიკურ პირებს: რ. გ-ს – I სართულზე მდებარე, 79,13 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ბინა №1 (ს/კ ...); ვ. ლ-ს – I სართულზე მდებარე, 33,92 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ბინა №4 (ს/კ ...); ნ. მ-ს – II სართულზე მდებარე, 35,35 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ბინა №7 (ს/კ ...); გ. უ-ს – II სართულზე მდებარე, 34,25 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ბინა №5 (ს/კ ...);

4.6. სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 25 სექტემბრის №1068 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, სააგენტომ 2012 წლის 27 და 28 სექტემბერს ნ. მ-ასთან, გ. უ-თან, ვ. ლ-თან და რ. გ-თან გააფორმა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც საჯარო რეესტრში დასახელებული პირების სახელზე დარეგისტრირდა თბილისში, ...ის №94 სახლში მდებარე ქონება, კერძოდ, 79,13 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ბინა №1 საკუთრებაში გადაეცა რ. გ-ს; 33,92 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ბინა №4 – ვ. ლ-ს; 34,25 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ბინა №5 – გ. უ-ს; 35,35 მ<sup>2</sup>



ფართობის მქონე ბინა №7 – ნ. მ-ს;

4.7. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დგინდება, რომ თბილის-ში, ...ის №94 სახლში მდებარე, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 33,45 მ<sup>2</sup> ფართი, ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 26 დეკემბრის №35/43/1305 დადგენილების საფუძველზე, საკუთრების უფლებით აღირიცხა სახელმწიფოს სახელზე;

4.8. მ. ჯ-მა 2014 წლის 23 მაისს განცხადებით მიმართა თბილისის მერიის სამგორის რაიონის გამგეობას და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორების შედეგად მისთვის კონკრეტული ფართის საკუთრებაში გადაცემა და შესაბამის სამსახურებთან რეკომენდაციის განწვევა;

4.9. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 14 ივლისის №5/26377 წერილით სამგორის რაიონის გამგეობას გაეგზავნა რ. გ-ის №17672/05 და მ. ჯ-ის №31372/ფ განცხადებები და დაევალა წინადადების წარდგენა მათ განცხადებებში დასმულ საკითხთან მიმართებაში;

4.10. თბილისის მერიის სამგორის რაიონის გამგეობის 2014 წლის 21 ივლისის №12/141431123-43 წერილით მ. ჯ-ს ეცნობა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაგზავნილი შუამდგომლობის დანართის თანახმად, მ. ჯ-ის ფაქტობრივად მფლობელობაში იყო თბილისში, ...ის №94-ში, სართულზე მდებარე 79,13 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე №1 ბინა, ხოლო რ. გ-ის ფაქტობრივ მფლობელობაში – ამავე მისამართზე არსებული, 33,92 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ბინა №4. ამასთან, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, 2012 წლის 28 სექტემბერს ხელშეკრულების საფუძველზე, რ. გ-ს გადასცა 79,13 მ<sup>2</sup> ფართობის უძრავი ქონება. აღნიშნული უზუსტობის გასწორება მოითხოვა რ. გ-მა 2012 წლის 7 დეკემბერს ქალაქ თბილისის მერიაში შეტანილი განცხადებით, რომელიც სამგორის რაიონის გამგეობამ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გადააგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში;

4.11. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 24 აპრილის №5/23038 წერილით მ. ჯ-ს, 2013 წლის 21 აგვისტოს №31372/ფ, 2014 წლის 23 სექტემბრის №46978/ფ და 2015 წლის 27 მარტის №25116/ფ განცხადებების პასუხად, ეცნობა, რომ ქონება, რომლის საკუთრებაში გადაცემასაც ითხოვდა, წარმოადგენს კერძო საკუთრებას, რის გამოც სააგენტო მოკლებულია ამ ქონების განკარგვის შესაძლებლობას. ამავე წერილით მ. ჯ-ს განემართა, რომ პრობლემა უნდა აღმოფხვრილიყო მესაკუთრეთა ურთიერთშეთანხმების გზით;

4.12. მ. ჯ-მა 2016 წლის 13 ივნისს საქართველოს მთავრობას განცხადებით მიმართა და მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლის საფუძველზეც მას საკუთრებაში გადაეცემოდა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, თბილისში, ...ის №94-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი (ს/კ ...);

4.13. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2016 წლის 17 ივნისის №21662 წერილით მ. ჯ-ს განემარტა, რომ ვინაიდან მის დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონება წარმოადგენს არა სახელმწიფოს, არამედ მესამე პირის საკუთრებას, მთავრობა მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

5. პირველი ინსტანციის სასამართლომ, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, მიუთითა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონზე, სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებაზე“ და აღნიშნა, რომ, მართალია, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გადაწყვეტილება მიიღეს კომპეტენციის ფარგლებში, მაგრამ მათ მიერ საქმის გარემოებები სრულად არ იქნა გამოკვლეული, კერძოდ, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემას ითხოვდა ხუთი პირი, ხოლო გასაჩივრებული განკარგულებით ბინები პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში მხოლოდ ოთხ მათგანს გადაეცა. ამასთან, მოსარჩელის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ნივთი, რომელიც სასამართლო დავის განხილვის დროისთვისაც მის ფაქტობრივ მფლობელობაში იყო, საკუთრებაში გადაეცა რ. გ-ს. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის აპელირება იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვეტილება მიიღო გამგეობის მიერ წარდგენილი დანართის საფუძველზე, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტი ვალდებული იყო გადაწყვეტილება მიეღო საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლისა და დადგენის შემდეგ – უნდა გამოეკვლია იყო თუ არა რეალურად ფიზიკური პირების დაინტერესებაში ის ფართები, რაც დანართში იყო მითითებული. შედეგად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის №24/09/02 განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე საფუძველიანი იყო.

6. პირველი ინსტანციის სასამართლომ დამატებით მიუთითა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში

არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმებით პრივატიზება, დღეის მდგომარეობით, ხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამისად, საქართველოს მთავრობას უნდა დაევალოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ მ. ჯ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ხოლო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უნდა დაევალოს სადავო მისამართზე დაზუსტებული სიის გადაგზავნა საქართველოს მთავრობისათვის.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულმა ორგანოებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრეზიდენტის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამ 2012 წლის 18 სექტემბრის №06-23/10361 წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და აცნობა, რომ გამგეობა მიზანშეწონილად მიიჩნევდა დანართში მითითებულ პირებს შესაბამისი ფართები პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასცემოდათ საკუთრებაში, ხოლო მითითებული წერილის სრულ დანართში, თბილისში, ...ის №94-ში (ს/კ ...) მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით აღნიშნულნი არიან მხოლოდ შემდეგი ფიზიკური პირები: რ. გ-ი, ვ. ლ-ი, ნ. მ-ი, გ. უ-ი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, გამგეობის მიერ წარდგენილ, შესაგებელთან დართულ დოკუმენტში სადავო ქონების მიმართ ფიქსირდება ხუთი პირი, მათ შორის, მოსარჩელეც, თუმცა მითითებული დანართი არ არის იმ სახის, რა სახითაც იქნა წარდგენილი სააგენტოში.

10. სააპელაციო სასამართლომ, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებაზე“ მითითებით, აღ-

ნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების ჩართვით, უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონით დადგენილი წესით განიკარგა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონება. ადმინისტრაციული წარმოების სრული მასალა კი ადასტურებს, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მ. ჯ-ის შესახებ ინფორმაცია უფლებამოსილი ორგანოს – გამგეობის მიერ წარდგენილი არ ყოფილა, ხოლო სააგენტომ წინადადება საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინა სწორედ მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით და შესაბამისად. ამასთან, მ. ჯ-ი არ ფლობს ნივთზე უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც დადგინდებოდა, რომ სადავო უძრავი ქონების მიმართ მოსარჩელეს გააჩნდა საკუთრების უფლების მოთხოვნის შესაძლებლობა. შედეგად, პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემით მოსარჩელის საკუთრების ან მართლზომიერი მფლობელობის უფლების ხელყოფა არ დასტურდებოდა.

11. გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასა და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოებისთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას მოსარჩელე ითხოვს იმ უძრავი ქონების საკუთრებაში მიღების მიზნით, რომელიც უკვე წარმოადგენს კერძო საკუთრებას, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლებიც სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების აღრიცხვის საფუძველი გახდა, ძალაშია. მოსარჩელეს ეს ხელშეკრულებები სადავოდ არ გაუხდია, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მოპასუხეები არ დაეთანხმნენ სასარჩელო მოთხოვნის გაზრდას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელის ასეთი ფორმულირების პირობებში, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობაც კი ვერ გახდება მოსარჩელის მიზნის მიღწევის საშუალება – მოპასუხეები ვერ განკარგავენ ქონებას, რომელიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მესამე პირთა უფლების დამდგენი დოკუმენტი ძალაშია.

12. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებები და სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა გამოკვლევა სავსებით შესაძლებელს ხდიდა სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტას, რადგან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობა არ დადასტურდა და შესაბამისად, მისი ბათილად ცნობისა და მოპასუხეთათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველიც არ არსებობდა.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ჯ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გა-

დანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

14. კასატორი აღნიშნავს, რომ, მართალია, მფლობელობასა და სარგებლობაში არსებულ ფართზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნია, თუმცა ისარგებლა სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით და მიმართა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს საკუთრების გადაცემის მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ მ. ჯ-ის მეზობლებსაც არ გააჩნდათ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ მოიპოვეს საკუთრების უფლება და მხოლოდ მ. ჯ-ის მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, რაც ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაშვებულმა შეცდომამ გამოიწვია. კასატორის მოსაზრებით, შედეგად უკანონოდ შეიღებულა მისი უფლებები.

15. კასატორი, ასევე, ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. ჯ-ის შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების (ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის) შესახებ. კასატორი მიუთითებს, რომ იგი თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნებით რ. გ-თან დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობასაც ითხოვდა, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მოსამართლის მითითებით, მოსარჩელემ შეამცირა მოთხოვნები. შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატას მოთხოვნათა დაზუსტებისას არ უნდა მოეთხოვა მოწინააღმდეგე მხარეთა თანხმობა.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 18 მარტის განჩინებით მ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილულ იქნა მხარეთა დასწრებით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

17. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ მ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს – უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის გადანყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდება.

18. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, მოქალაქეთა საბინაო პირობების გაუმჯობესების

მიზნით დაწყებული პრივატიზების პროცესში მოსარჩელის ფაქტობრივ მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული ბინის სხვა პირისთვის გადაცემის კანონიერება.

19. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც ანესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. კანონის მეორე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზნების გათვალისწინებით სახელმწიფო ქონების განკარგვის ერთ-ერთ ფორმას სახელმწიფო ქონების პრივატიზება წარმოადგენს, ხოლო იმავე კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის თანახმად კი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმითა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდებოდა საქართველოს პრეზიდენტის გადანყვეტილების საფუძველზე, კანონით გათვალისწინებული წესით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“ პირველი მუხლის მე-5 პუნქტის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია, ასევე, ადგენდა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის გადანყვეტილებით, ხოლო საკითხს ამზადებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში არსებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, განსაკუთრებულ შემთხვევებში – საქართველოს მთავრობა.

20. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისში, ...ის №94-ში ცხოვრობენ: მ. ჯ-ი, რ. გ-ი, ვ. ლ-ი, ნ. მ-ი და გ. უ-ი. დასახელებულ მისამართზე მდებარე №1 ბინის ფაქტობრივ მოსარგებლეს მ. ჯ-ი წარმოადგენს, ხოლო №4 ბინის ფაქტობრივ მოსარგებლეს – რ. გ-ი.

21. ქალაქ თბილისის მერიის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობას 2012 წლის 12 სექტემბერს განცხადებით მიმართა მ. ჯ-მა და მოითხოვა თბილისში, ...ის №94-ში მდებარე №1 ბინის საკუთრებაში გადაცემა. შედეგად, ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამ 2012 წლის 18 სექტემბერს შუამდგომლობით მიმართა საქარ-

თველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და წარუდგინა თბილისში, ...ის №94-ში მცხოვრები პირების მონაცემები, რომლებიც საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით ითხოვდნენ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, სახელმწიფოს კუთვნილი ფართების საკუთრებაში გადაცემას. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სადავო მისამართზე მდებარე №1 ბინის ფაქტობრივ მოსარგებლეს მ. ჯ-ი წარმოადგენდა, ხოლო რ. გ-ი №4 ბინას ფლობდა, როგორც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დადგინდა, გამგეობამ წერილის დანართში, სადავო უძრავ ნივთთან დაკავშირებით მიუთითა მხოლოდ შემდეგი ფიზიკური პირები: რ. გ-ი, ვ. ლ-ი, ნ. მ-ი, გ. უ-ი. ამასთან, გამგეობამ რ. გ-ის მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ნივთად №1 ბინა დაასახელა.

22. დადგენილია, რომ გამგეობის მიმართვის საფუძველზე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოამზადა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი და შემდგომი რეაგირების მიზნით გადააგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რომელმაც საკითხი განსახილველად წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს. შედეგად, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის №24/09/02 სადავო განკარგულებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამავე განკარგულების დანართით გათვალისწინებული ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთ) ლარად, საკუთრებაში გადაეცა ამავე დანართში მითითებულ ფიზიკურ პირებს. განკარგულების დანართიდან ამონაწერით დგინდება, რომ თბილისში, ...ის №94-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება გადაეცათ შემდეგ ფიზიკურ პირებს: რ. გ-ს – I სართულზე მდებარე, 79,13 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ბინა №1 (ს/კ ...); ვ. ლ-ს – I სართულზე მდებარე, 33,92 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ბინა №4 (ს/კ ...); ნ. მ-ს – II სართულზე მდებარე, 35,35 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ბინა №7 (ს/კ ...); გ. უ-ს – II სართულზე მდებარე, 34,25 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ბინა №5 (ს/კ ...). ამავე ფიზიკურ პირებთან გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულებები და უძრავი ქონება საჯარო რეესტრში მათ სახელზე აღირიცხა.

23. საკასაციო პალატა, მითითებულ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, აღნიშნავს, რომ პრივატიზების პროცესი წარმართა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონება განიკარგა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების ჩართულობით, რასაც მხარეები სადავოდ არ ხდიან, თუმცა სარჩელით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა მოთხოვნილია იმ საფუძველით, რომ მოსარჩელის ფაქტობრივ მფლობელობა-

ში არსებული უძრავი ქონება შეცდომით გადაეცა საკუთრებაში სხვა პირს – რ. გ.-ს.

24. საკასაციო სასამართლო, წარმოდგენილი სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისას, განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ სადავო შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი მოქალაქეთა (მათ შორის, მ. ჯ-ის) განცხადება გახდა და პრივატიზების პროცესის წარმართვა სწორედ ამ მოქალაქეთა საბინაო პრობლემების გადაჭრას ისახავდა მიზნად, რაც უნდა გამოხატულიყო სახელმწიფოს საკუთრებაში, თუმცა პირთა ფაქტობრივ მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული ბინების მათთვის საკუთრებაში გადაცემით. მიუხედავად ადმინისტრაციული წარმოების დასახელებული საფუძველითა და მიზნით დაწყებისა, პრივატიზების პროცესი დასრულდა იმგვარად, რომ მოსარჩელეს არა მხოლოდ არ გადაეცა უძრავი ნივთი, არამედ მის მფლობელობაში არსებული ნივთი მესამე პირს – რ. გ.-ს დაუკანონდა. ამასთანავე, სასამართლოში საქმის განხილვისას დაფიქსირებული პოზიციებიდან გამომდინარე, მართალია, სადავო მისამართზე მცხოვრები ხუთი პირიდან ოთხს საკუთრებაში გადაეცა უძრავი ნივთი, თუმცა არცერთს არ გადასცემია მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ბინა, შედეგად კი, მოქალაქეთა საკუთრებად აღრიცხული და მათ სარგებლობაში არსებული ბინები ერთმანეთს არ ემთხვევა, მათ შორის, დღეის მდგომარეობითაც კი, მ. ჯ-ი ფლობს რ. გ-ისთვის გადაცემულ 79,13 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე №1 ბინას, ხოლო რ. გ-ი ფაქტობრივად ფლობს ვ. ლ-ისთვის გადაცემულ 33,92 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე №4 ბინას.

25. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, პრივატიზების პროცესის დაწყება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას მიეკუთვნებოდა, თუმცა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გადანყვეტილების მიღების შემდეგ, იგი ვალდებული იყო, პრივატიზების პროცესი წარემართა არა მხოლოდ ფორმალური ნესების დაცვით, არამედ – უნდა გამოეკვლია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, გაეთვალისწინებინა წარმოების დაწყების მიზანი და დაეცვა ყველა დაინტერესებული პირის კანონიერი ინტერესი. ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების კანონიერად წარმართვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თანასწორობის პრინციპის დაცვაზე, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-14 მუხლი განამტკიცებდა კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს, „რომელიც, ზოგადად, გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველ-



ყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს. ... მუხლის ძირითადი არსი და მიზანი არის ანალოგიურ, მსგავს, საგნობრივად თანასწორ გარემოებებში მყოფ პირებს სახელმწიფო მოეპყროს ერთნაირად, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით... თანასწორობის ძირითადი უფლება სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან იმით განსხვავდება, რომ ის არ იცავს ცხოვრების რომელიმე განსაზღვრულ სფეროს. თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1, 2, 4). აღსანიშნავია, რომ თანასწორობის პრინციპის დაცვის სავალდებულობა განმტკიცებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლითაც, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას.

26. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო შემთხვევაში მ. ჯ-ის მიმართ დაირღვა თანასწორობის პრინციპი, რადგან საქმის გარემოებათა იდენტურობის პირობებში (წარმოება დაიწყო მოქალაქეთა განცხადებით; პრივატიზების პროცესში ჩართული მოქალაქეები ერთ მისამართზე ცხოვრობენ; არცერთ მათგანს არ გააჩნდა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი; პრივატიზების პროცესი მათი საბინაო პირობების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად) მხოლოდ მ. ჯ-ის მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული და მხოლოდ მის მიმართ ვერ იქნა მიღწეული ბინით უზრუნველყოფის მიზანი. ამასთანავე, მოპასუხეები დასახელებულ გარემოებას ობიექტურად გამართლებული მიზეზებით ვერ ხსნიან, არამედ მიუთითებენ, რომ გამგეობამ მათ არ მიაწოდა სრულყოფილი ინფორმაცია ბინებში ფაქტობრივად მაცხოვრებლების შესახებ. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებულად მაშინ მიიჩნევა, როდესაც ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაშვე-

ბული შეცდომა კი ობიექტურ მიზეზად ვერ იქნება მიჩნეული. მსგავსი მიდგომა არღვევს კანონიერებისა და თანასწორობის პრინციპებს და ეწინააღმდეგება უფლებას ე.წ. კარგ მმართველობასა და სამართლიან ადმინისტრაციულ წარმოებაზეც კი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324 კონსტიტუციური კანონით შეტანილი ცვლილებით, კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით, ძირითადი უფლების რანგში იქნება განმტკიცებული.

27. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. ჯ-მა 2014 წლის 23 მაისს განცხადებით მიმართა თბილისის მერიის სამგორის რაიონის გამგეობას და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორების შედეგად მისთვის კონკრეტული ფართის საკუთრებაში გადაცემა და შესაბამის სამსახურებთან რეკომენდაციის განწვევა. შეცდომის არსებობაზე მიუთითებდა და მის გამოსწორებას ითხოვდა თავად რ. გ-იც. ამრიგად, ადმინისტრაციული ორგანოებისთვის პრივატიზების პროცესის დასრულების შემდეგ მაინც გახდა ცნობილი დაშვებული შეცდომის შესახებ და რადგან დაინტერესებული პირები მის გამოსწორებას ითხოვდნენ, შესაძლებელი იყო შეცდომის გამოსწორება და ყველა პირის უფლების დაცვა – ბინით უზრუნველყოფა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დაშვებული შეცდომის გამოსწორების შესახებ ახალი აქტის გამოცემის მეშვეობითაც კი. მიუხედავად ამისა, მოპასუხეებს მ. ჯ-ის უფლების დასაცავად და დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად ქმედითი ღონისძიება არ გაუტარებიათ.

28. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, კონსტიტუციური პრინციპებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების სრული უგულვებელყოფით, რაც გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველს ქმნის. მამასადამე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა მ. ჯ-ის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი. ამასთანავე, საკასაციო პალატა ითვალისწინებს, რომ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ჯ-ს არ გაუსაჩივრებია, ასევე, საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს დამატებით შესწავლას, ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით ადმინისტრაციული წარმოე-

ბის წარმართვას და პირთა მფლობელობასა და საკუთრებაში გადაცემული ბინების იმგვარ თანხვედრაში მოყვანას, რომ არცერთი მოქალაქის, მათ შორის, მოსარჩელისა და მესამე პირის, უფლება არ იქნეს დარღვეული (მ. ჯ-ისთვის მის მფლობელობაში არსებული ბინის გადაცემის პარალელურად, სათანადოდ უნდა გადაწყდეს რ. გ-ის ბინის უზრუნველყოფის საკითხიც). სწორედ ამიტომ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი გადაწყვეტილ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, კერძოდ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის №24/09/02 განკარგულება იმ ნაწილში, რომელიც ეხება თბილისში, ...აში, №94 სახლში მდებარე №1 ბინას და უნდა დაევალოს საქართველოს მთავრობას საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, მ. ჯ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს კი უნდა დაევალოს თბილისში, ...აში, №94 სახლში მდებარე №1 ბინაზე მოსარგებლის დაზუსტებული სიის გადაგზავნა საქართველოს მთავრობისათვის.

29. რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად უთხრა უარი მოთხოვნის გაზრდაზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, მოთხოვნის გაზრდა დასაშვებია იყო მხოლოდ მოპასუხეთა თანხმობით, ხოლო სააპელაციო სასამართლოში ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მოთხოვნის გაზრდას მხარი არ დაუჭირეს. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლო განიხილავდა სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოთა სააპელაციო საჩივრებს, რომლებითაც მოთხოვნილი იყო სარჩელის დაკამყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონიშნებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამრიგად, სააპელაციო პალატა მოკლებული იყო გაზრდილ მოთხოვნებზე მსჯელობის შესაძლებლობას.

30. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლზე, რომლის მიხედვით, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილე-

ბის გამოტანის შემთხვევაშიც. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს მთავრობას თანაბარწილად უნდა დაეკისროთ მ. ჯ-ის სასარგებლოდ სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის – 400 (ოთხასი) ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-10, 32-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :**

1. მ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის №24/09/02 განკარგულება იმ ნაწილში, რომელიც ეხება თბილისში, ...აში, №94 სახლში მდებარე №1 ბინას და დაევალოს საქართველოს მთავრობას საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, მ. ჯ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
5. დაევალოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს თბილისში, ...აში, №94 სახლში მდებარე №1 ბინაზე მოსარგებლის დაზუსტებული სიის გადაგზავნა საქართველოს მთავრობისათვის;
6. მ. ჯ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
7. საქართველოს პრეზიდენტს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს მთავრობას თანაბარწილად დაეკისროთ მ. ჯ-ის სასარგებლოდ სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის – 400 (ოთხასი) ლარის ანაზღაურება;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოო და არ საჩივრდება.

## 2. ზიანის ანაზღაურება

### ადმინისტრაციული ორგანოს ბრალული უმოქმედოვით გამონეპული ზიანის ანაზღაურების დაღგენის საკითხი

#### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-364(4კ-20)

16 სექტემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაუ-  
რება

#### აღწერილობითი ნაწილი:

23.12.2015წ. ლ. ნ-მ, ხ. გ-მა და ლ. გ-მა სარჩელით მიმართეს თბი-  
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-  
გიას. სარჩელისა და მოპასუხე მხარეების დაზუსტების შემდეგ,  
მოსარჩელებმა მოითხოვეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამი-  
ნისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სსიპ გა-  
რემოს ეროვნული სააგენტოს და სსიპ საგანგებო სიტუაციების მარ-  
თვის სააგენტოსათვის ლ. გ-ის სასარგებლოდ, მატერიალური ზია-  
ნის ანაზღაურების დაკისრება, კერძოდ, 2015 წლის 13 ივნისს გარ-  
დაცვლილი ძმის – დ. გ-ის საკუთრებაში არსებული ავტომობილის  
დაზიანების გამო, მისი საბაზრო ღირებულების 30%-ის ანაზღაუ-  
რება, რაც შეადგენს 10 151.2 ლარს. სარჩელით ასევე მოთხოვნილ  
იქნა მოპასუხეებისათვის მოსარჩელების – ლ. ნ-ის და ხ. გ-ის სა-  
სარგებლოდ, შვილის გარდაცვალებით მიყენებული არამატერია-  
ლური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 13 (ცამეტი) ლარის ოდე-  
ნობით.

მოსარჩელეთა განმარტებით, 13.06.2015წ. ქ. თბილისში განვი-  
თარებულ სტიქიურ მოვლენებს შედეგად მოჰყვა მსხვერპლი და  
ქონების, მათ შორის, სახლებისა და ავტომობილების, დაზიანება.  
სტიქიას შეეწირა მათი ოჯახის წევრი – დ. გ-ი. იგი სტიქიის დაწყე-  
ბამდე თავდაპირველად ვაკის ტერიტორიაზე მოძრაობდა, იქ არა-  
ნაირი სტიქიის ნიშანი არ იყო, გადაადგილების კუთხით პრობლე-

მაც არ შექმნია. 00:44:14 საათისთვის, როდესაც განხორციელდა ბოლო სატელეფონო ზარი გარდაცვლილთან, მისთვის, როგორც სრულიად მოსახლეობისათვის, ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი სტიქიის შესახებ. საკუთარ ავტომობილში გადანაცვლების შემდეგ, დ. გ-მა მე-9 საავადმყოფოსთან ჩაუხვია მარჯვნივ და ჩავიდა „მზიურთან“ მდებარე ხიდთან, იმისათვის, რომ გზა გაეგრძელებინა ვაკე-საბურთალოს ახალ გზაზე, ბახტრიონის ქუჩაზე გამავალ გვირაბთან დასაკავშირებლად და შემდგომ უკვე სულხან ცინცაძის ქუჩასთან. იმის მიუხედავად, რომ სტიქია უკვე დაწყებული იყო და სტიქიის ზონაში გადაადგილება სახიფათო იყო, შემთხვევის ადგილზე არანაირ გაფრთხილებას არ ჰქონდა ადგილი, არც შესაბამისი სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებული, რის გამოც, დ. გ-ი მოხვდა სტიქიის ზონაში. 16.06.2015წ. სამართალდამცავებმა შემთხვევის ადგილზე იპოვეს მისი გვამი, ხოლო 15 ივნისს იპოვეს მისი ავტომობილი, გამოუსადეგარ მდგომარეობაში.

მოსარჩელეთა განმარტებით, გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის ისტორიულად ცნობილი იყო სტიქიის ზონიდან გამომდინარე პოტენციური საფრთხე. წარსული მოვლენების ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო საფრთხის პროგნოზირება. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა მსგავსი ტიპის კატასტროფებთან ბრძოლის კონკრეტული გეგმა და სტრატეგია. მოსარჩელები თვლიან, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 12.06.2015წ. მომზადებულმა №163 ბიულეტენმა, რომელშიც საუბარია 13 ივნისს სავარაუდო წყალმოვარდნის, ღვარცოფის შესახებ, არასრულყოფილების გამო, ვერ მიიპყრო შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების სათანადო ყურადღება. დოკუმენტით არ იყო გათვალისწინებული რისკები. ბიულეტენი არ იყო კონკრეტული. მოსარჩელები ყურადღებას ამახვილებენ სტიქიის ღამეს „112“-ში შესული ზარებით მიწოდებულ ინფორმაციაზე და უსაფუძვლოდ მიიჩნევენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პოზიციას, რომ სახელმწიფო უწყებებმა ასეთ მცირე პერიოდში ვერ შეძლეს პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა, ვერ მოხერხდა სტიქიის ზონისა და არეალის განსაზღვრა, შესაბამისად – გზების გადაკეტვა. მოსარჩელეთა მოსაზრებით, დ. გ-ის გარდაცვალებამდე, სახელმწიფოს რამდენიმე საათით ადრე ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია და აღნიშნული პერიოდი იყო საკმარისი დრო, სახელმწიფოსთვის შეეფასებინა, თუ რა მასშტაბის სტიქიასთან ჰქონდათ საქმე. ამასთან, არსებობდა სტიქიის ზონის განსაზღვრის შესაძლებლობა.

მოსარჩელეთა განმარტებით, ლ. გ-ი წარმოადგენს გარდაცვლილი დ. გ-ის მემკვიდრეს. 21.02.2016წ. ლ. გ-სა და ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თბილისის მუნი-

ციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებისათვის ფულადი დახმარების გაცემის თაობაზე. ლ. გ-ს აუნაზღაურდა ავტომობილის საბაზრო ღირებულების (49 784 ლარის) 70%, რამაც შეადგინა 34 848.8 ლარი. დ. გ-ის საკუთრებაში არსებული ავტომობილის საბაზრო ღირებულების დარჩენილი 30% – 10 151.2 ლარი წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნით გათვალისწინებული, ლ. გ-თვის ასაუნაზღაურებელი მატერიალური ზიანის თანხას, რომელიც სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მოპასუხეებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.06.2016წ. საოქმო განჩინებით, ასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაერთო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. ამავე სასამართლოს 22.01.2018წ. საოქმო განჩინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, ხოლო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლებამონაცვლედ – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.03.2018წ. გადაწყვეტილებით ლ. ნ-ის, ხ. გ-ის და ლ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.02.2019წ. განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.01.2020წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ლ. ნ-ის, ხ. გ-ის და ლ. გ-ის სააპელაციო საჩივარი; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.03.2018წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მა-

ტერიალური ზიანის სახით სოლიდარულად დაეკისრათ 10 151.2 (ათი ათას ასორმოცდათერთმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარის ანაზღაურება, ლ. გ-ის სასარგებლოდ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მორალური ზიანის სახით სოლიდარულად დაეკისრათ 13 (ცამეტი) ლარის ანაზღაურება, ლ. ნ-სა და ხ. გ-ის სასარგებლოდ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავო გარემოებებზე არსებითად მსჯელობისათვის, მნიშვნელოვანია მოპასუხეთა და მათ მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ ღონისძიებათა დიფერენცირება.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს, მასზე დაკისრებული ფუნქციების გათვალისწინებით, ევალუბოდა როგორც მოსალოდნელი საფრთხის პრევენცია, ისე მის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 10.05.2013წ. №27 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში მითითებულ გარემოს ეროვნული სააგენტოს ფუნქციებზე და ყურადღება გაამახვილა გარემოს ეროვნული სააგენტოს 12.06.2015წ. №163 ბიულეტენზე, ასევე გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წელს მომზადებულ თბილისის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების საშიშროების ზოგად ანალიზზე და 2015 წლის 13-14 ივნისს მდ. ვერეს აუზში განვითარებული კატასტროფით გამოწვეული მდგომარეობის წინასწარ შეფასებაზე. სააპელაციო პალატამ ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნია გარემოს ეროვნული სააგენტოს 29.05.2019წ. №21/1396 წერილის შინაარსი, რომლის თანახმად, 2015 წელს გარემოს ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნდა არც ერთი მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური დაკვირვების პუნქტი მდ. ვერეს აუზში. 2015 წლის ივნისის ტრაგედიის შემდეგ, სააგენტოს თხოვნით, ქ. თბილისის მერიამ შეიძინა და გარემოს ეროვნულ სააგენტოს გადასცა ავტომატური მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური სადგურები, რომლებიც 2016 წლის დასაწყისში დამონტაჟდა მდ. ვერეს და მდ. ბაგებისხევის აუზებში. გარემოს ეროვნული სააგენტო არ ფლობს მდ. ვერეს აუზში 2015 წლის 4 ივნისის და 13 ივნისის ფაქტიურ მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ მონაცემებს. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა წერილის იმ ნაწილზე, რომელშიც საუბარია ივ. ჯავახიშვილის სახე-



ლობის სასწავლო ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის მონაცემებზე.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია გარემოს ეროვნული სააგენტოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო შემთხვევაში, მოვლენების კომპლექსურად განვითარების გამო, დამდგარი ფაქტობრივი გარემოების შემადგენლობის პროგნოზირება შეუძლებელი იყო უმაღლესი სტანდარტის მქონე ტექნიკური საშუალებებითაც კი. დამდგარი შედეგი არ ექვემდებარებოდა კონტროლს, წინასწარ განჭვრეტას და გათვლას. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ვინაიდან 1924 წლიდან 2015 წლის სტიქიამდე, მდ. ვერეს აუზში არაერთხელ ჰქონდა ადგილი სტიქიურ მოვლენებს, რომლის დროსაც ქალაქის ინფრასტრუქტურამ განიცადა უდიდესი ზარალი, ხშირად ადამიანთა მსხვერპლით, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ სათანადოდ არ შეაფასა და არ გაითვალისწინა ტერიტორიის ისტორიულად მენყერსაშიშობა. პალატამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა 04.06.2015წ. მომხდარ წყალმომვარდნაზე, რომელიც მართალია, არ წარმოადგენდა თავისი სიძლიერით სტიქიას, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მომხდარი ფაქტი და დამდგარი შედეგი, მომავალი კონკრეტული საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, გარემოს ეროვნულ სააგენტოს ავალდებულებდა სათანადო მონიტორინგს. აღნიშნულ შეფასებაზე დაყრდნობით, პალატის მოსაზრებით, ჯერ კიდევ წყნეთი, ბეთანია, კიკეთის ტერიტორიაზე შესაბამისი ფერდების წყლით გაჟღენთვა, შესაბამისი ქანების წყლით დამდიმება, ქანების დახრილობა, სპეციალისტებში გააჩენდა ვარაუდს, რომ ეს ქანები ვერ გაუძლებდა ასეთი ტიპის სიმძიმეს, მოხდებოდა ჩამოშლა და მენყერსაშიშ ზონად აქცევდა კონკრეტულ ტერიტორიას. უახლოეს პერიოდში, კერძოდ 4 ივნისის წყალმომვარდნისა და მისგან გამომდინარე შედეგებით/დატბორვით მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მომავალი, კონკრეტული საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, გარემოს ეროვნულ სააგენტოს უნდა განეხორციელებინა სათანადო ღონისძიებები (გაფრთხილება, მონიტორინგი). სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს 12.06.2015წ. №163 ბიულეტენში 4 ივნისის ფაქტი არ ასახულა და ბიულეტენი არ შეიცავდა რაიმე კონკრეტულ გაფრთხილებას. 2015 წლის 4 ივნისის მცირე მასშტაბის სტიქიის უკეთ გაანალიზება, შეფასება, შესაბამისი სპეციალისტების ჩაბმა, მდინარე ვერეში წყლის დონის შესწავლა კომპეტენტური პირების მიერ, შექმნიდა ვარაუდს, თუ რა რისკის შემცველი შეიძლებოდა ყოფილიყო უხვნალექიანობა, მით უფრო იმ პირობებში,

როდესაც კონკრეტულ პერიოდში მთელი წლიური ნალექის მესამედი ნალექი მოვიდა.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულმა 12.06.2015წ. №163 ბიულეტენმა, სადაც საუბარია 13 ივნისის სავარაუდო წყალმოვარდნის, ღვარცოფის შესახებ, ვერ მიიპყრო შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების სათანადო ყურადღება, არასრულყოფილების გამო. დოკუმენტით არ იყო გათვალისწინებული რისკები და ბიულეტენი არ იყო კონკრეტული. სასამართლომ არ გაიზიარა გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის ის მოსაზრება, რომ 4 ივნისის დამდგარი შედეგი, წყლის დონის მატება და გარკვეული ტერიტორიის დატბორვა არ არის კავშირში 13 ივნისის სტიქიასთან. სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძვლად არ იქნა მიჩნეული ის არგუმენტი, რომ ქვეყნის ტერიტორიის რთული რელიეფის გამო, წყალმოვარდნების, მენყრების, ღვარცოფების და სხვა სახის სტიქიური მოვლენების მიმართ რისკის მატარებელი უბნების რაოდენობა ძალიან დიდია და ამ უბნების ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელება ძალზე მასშტაბურ ფინანსურ რესურსს მოითხოვს, ამასთან, ფინანსური რესურსის ქონის შემთხვევაშიც, შეუძლებელი იქნებოდა ისეთი კომპლექსური სტიქიური მოვლენის წინასწარ განსაზღვრა, რომელიც 2015 წლის 13 ივნისის განვითარდა. 13-14 ივნისის განვითარებული მოვლენები თავისი კომპლექსური, სწრაფადფორმირებადი, 10-მდე ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური პროცესების თანხვედრის გათვალისწინებით, ისეთი სტიქიური მოვლენა და დაუძლეველი ძალაა, რომლის წინასწარი პროგნოზირებაც, მიუხედავად განხორციელებული/განსახორციელებელი მონიტორინგისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მომზადებული/დამუშავებული მონაცემებისა, არ ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრას და განჭვრეტას.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში CD დისკის სახით წარმოდგენილ იმ სიუჟეტებზე, რომლებიც მომზადდა 2015 წლის 13-14 ივლისის სტიქიის შემდგომ, კონკრეტული დარგის სხვა და სხვა სპეციალისტებისა და ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი პირების მონაწილეობით. სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 10.05.2013წ. №27 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრულ სააგენტოს უფლება-მოვალეობებზე და მიიჩნია, რომ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ევალებოდა შეემოწმებინა და მონიტორინგი განეხორციელებინა

ბინა საქართველოში არსებულ მდინარეებში წყლის დონისა, ასევე მონიტორინგთან დაკავშირებით იდენტიფიცირება მოეხდინა კონკრეტული მდინარიდან გამომდინარე შესაბამისი წყალუხვობისა და სტიქიური უბედურების დროს თუ რა ტიპის საფრთხე ემოქრებოდა მოსახლეობას, ადამიანთა ქონებას/საკუთრებას და ა.შ. სააგენტოს არ გააჩნდა არც ერთი მეტეოროლოგიური სადგური ისტორიულად მენყერსაშიშ, სტიქიის ზონაში, 4 ივნისის მცირე მასშტაბის სტიქია არ შეფასდა ადექვატურად, მომავალ განჭვრეტად საფრთხესთან კავშირში, სათანადოდ არ განალიზდა მეტეოროლოგიური სიტუაცია, მხოლოდ მძიმე შედეგების შემდგომ, შესაბამისი თანამდებობის პირები ზემოაღნიშნულ სატელევიზიო სიუჟეტებში პრაქტიკულად აღიარებდნენ სახელმწიფოს უმოქმედობას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ სათანადოდ არ შეასრულა კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ვალდებულებები, არ განახორციელა მენყერსაშიში ზონის დროული მონიტორინგი და საფრთხის პრევენცია. პალატის მოსაზრებით, პრევენციულ ღონისძიებებს/ინფორმირებულობას შესაძლოა თავიდან ვერ აეცილებინა სტიქიური უბედურება, თუმცა ცალსახად შემცირდებოდა დაზარალი ზიანი. ინფორმაციის დამუშავების, გააზრების, დაკვირვების პირობებში, მოხდებოდა სტიქიის დროის პროგნოზი, ასევე მოხდებოდა გარკვეული პრობლემების იდენტიფიცირება. შესაბამისად, სახეზეა გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის ზიანის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე: „ბადაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (Budayeva and Others v. Russia, N15339/02, N21166/02, N11673/02 და №15343/02, § 131, 22 მარტი, ECHR 2008), რომლის თანახმად, ევროპული კონვენციის მეორე მუხლიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, სათანადოდ აცნობონ საზოგადოებას ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეეხება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ მდგომარეობას, მათ შორის, ბუნებრივ კატასტროფებს. ინფორმაციაზე წვდომა საზოგადოების წევრებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, იმ ეკოლოგიური საფრთხეების სწორად შესაფასებლად, რომელთა წინაშეც შესაძლოა იმყოფებოდნენ („მაქგინლი და ეგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, McGinley and Egan v.the United Kingdom). ბუნებრივ საფრთხეებთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოსათვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების ფარგლები დამოკიდებულია საფრთხის წარმომავლობაზე და იმ

ფაქტზე, თუ რამდენად ექვემდებარება ესა თუ ის რისკი შემცირებას. ეს ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც გარემოებები მიანიშნებენ ბუნებრივი საფრთხეების გადაუდებელ ხასიათზე, რომელიც არის აშკარად იდენტიფიცირებადი და განსაკუთრებით, თუ ეს ეხება პერიოდულ კატასტროფებს, რომლებიც ხდება ადამიანებით დასახლებულ ან მათ მიერ გამოყენებად ადგილებში (M. OZEL AND OTHERS v. TURKEY). სახელმწიფოს იურიდიქციას დაქვემდებარებული პირების სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება განიმარტება იმგვარად, რომ ის მოიცავს, როგორც შინაარსობრივ, ისე პროცედურულ ასპექტებს. სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაა, მიიღოს მარეგულირებელი ღონისძიებები, ადეკვატურად მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შესახებ და სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი მოკვლევა (BUDAYEVA AND OTHERS v. RUSSIA).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებაში სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე და „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 26.08.2008წ. №415 ბრძანებულებაზე, რომელშიც №14 ფუნქციად მითითებულია საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფა, რა მიზნითაც გათვალისწინებულია საგანგებო სიტუაციების ზონაში მოძრაობის ახალი მარშრუტების დადგენა, ქუჩების გადაკეცვა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს მთავრობის 13.12.2013წ. №337 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანებზე და ყურადღება გაამახვილა სადავო პერიოდში მოქმედი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 26.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მოსახლეობას უფლება აქვს მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია უსაფრთხოების ზომების შესახებ. სასამართლომ ასევე მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №993 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულებაზე, რომლითაც განსაზღვრულია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კომპეტენცია.

სააპელაციო პალატამ მოიხმო საქმეში CD დისკის სახით წარ-

მოდგენილი სიუჟეტები, რომლებიც მომზადდა 2015 წლის 13-14 ივლისის, სტიქიის შემდგომ და მნიშვნელოვნად მიიჩნია ჩანაწერის შემდეგი მონაკვეთები: 00:10:36 (კარგ ვარიანტი გზა უნდა გადაკეტილიყო, მაგრამ ეს ძალიან რთული იყო, (თბილისის ვიცემერი ლ. ა-ე)); 00:11:45 (რა პროცესებთან გვექონდა საქმე ამის შეფასება ჩვეულებრივ მოქალაქესაც შეეძლო, არათუ სპეციალისტს, გარემოს ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე – თ. ბ-ა)); 00:12:17 (რომ მენახა მდინარეში წყლის დონე, რა თქმა უნდა, მე პირადად ჩავკეტავდი გზებს (გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი, მ. გ-ი); 00:00:31 (13 ივნისის პროგნოზი გაცემული იყო 3 დღით ადრეც და იმავე დღესაც – ჰიდროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რ. ჭ-ა); 00:01:04 (რადარული სისტემა იძლევა შესაძლებლობას რამდენიმე საათის განმავლობაშიც კი, განისაზღვროს ძლიერი ნალექების ადგილები). სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობას ადასტურებს სსიპ 112-ში, 13 ივნისს 23:08:46 საათსა და 23:10:40 საათზე (როდესაც სტიქიას ჯერ კიდევ მცირე მასშტაბი ჰქონდა და გზების გადაკეტვის მეშვეობით შესაძლებელი იყო მსხვერპლის თავიდან აცილება) განხორციელებული მოქალაქე თ. ე-ის სატელეფონო ზარი. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ მოახდინა აღნიშნული მოქალაქის მიერ მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის ადექვატურად აღქმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდებოდა სტიქიის ზონის განსაზღვრა/დადგენა, ვითარების სწორად გაანალიზება/აღქმა, რასაც ლოგიკურად მოჰყვებოდა სტიქიის ზონამდე მისასვლელი გზების გადაკეტვა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა ჯეროვნად ვერ შეასრულეს კანონმდებლობით მათზე დაკისრებული ვალდებულებები, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, გულისხმობდა უსაფრთხოების წესების დაცვას და ეფექტიან გატარებას, მათ შორის, სტიქიის ზონისკენ მოსახლეობის გადაადგილების შეზღუდვას/შენეგვას. პალატის მოსაზრებით, შესაბამისი ორგანოს თანამშრომლები ვერ მოახდენდნენ სტიქიური უბედურების თავიდან აცილებას, თუმცა ცალსახად შეამცირებდნენ დამდგარ ზიანს. განსახილველ შემთხვევაში, ვიდრე სტიქიის ზონა ფიზიკურად არ ჩაიხერგა მცენარეებით, საყოფაცხოვრებო ნივთებით და ავტომანქანებით, მისი მიმართულებით არ მომხდარა გზის გადაკეტვა შესაბამისი სტრუქტურების მიერ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიმართ მოთხოვნასთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ად-

მინისტრაციული ორგანოს მხრიდან დარღვევას ადგილი ჰქონდა როგორც პრევენციის ნაწილში, ისე რეაგირების კუთხით. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 05.06.2019წ. MIA 9 19 01447558 წერილზე, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ის ადმინისტრაციის უფროსის 04.06.2019წ., საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 05.02.2019წ. MIA 1 19 00302894 წერილებზე და სადავო პერიოდში მოქმედ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დებულებაზე, რომლითაც განსაზღვრულია სააგენტოს უფლებამოსილება და ამოცანები, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველოს კომპეტენცია, პირველადი რეაგირებისათვის მოამზადოს სამაშველო ჯგუფები და მოახდინოს საგანგებო სიტუაციების ზონაში მათი მუშაობის ორგანიზება. სააპელაციო სასამართლომ ასევე საყურადღებოდ მიიჩნია ოპერატიული მართვის ცენტრის (სამმართველოს) კომპეტენცია, რომელშიც შედის ხანძრების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებების და სხვა საგანგებო სიტუაციების შესახებ შესული შეტყობინებების მიღება, დამუშავება და შესაბამისი სამსახურებისთვის ინფორმაციის მინოდება. სასამართლომ ასევე მიუთითა სააგენტოს ტერიტორიული დანაყოფების კომპეტენციაზე, რომელიც მოიცავს შესაბამისი სამოქმედო ტერიტორიაზე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ინფორმირებისა და მომზადების, ასევე საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობის შეტყობინების ორგანიზებასა და განხორციელებას.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა 2015 წლის 13 ივნისის 112-ში შესული მნიშვნელოვანი ზარების თანმიმდევრობაზე, კონკრეტულ დროებზე მითითებით. კერძოდ, სასამართლოს მითითებით, 13.06.2015წ. 22:11 საათზე წყნეთიდან განხორციელებული ზარით დაფიქსირდა, რომ დაიტბორა საცხოვრებელი სახლები. ზარი ასევე განხორციელდა ბაგებიდან, 22:20 საათზე, ხოლო 22:40 საათზე გმირთა მოედნიდან განხორციელდა შემდეგი შინაარსის ზარი: „ავტომანქანაში შედის წყალი და ველარ გამოდიან მგზავრები“. 23:10 საათზე ზარი განახორციელა თ. ე-მა, რომელმაც იკითხა, არსებობდა თუ არა მდინარე ვერეს ადიდების საშიშროება და ითხოვა მანგლისის პოლიციასთან დაკავშირება. ზარი ასევე განხორციელდა 00:03 საათზე, ვაკე-საბურთალოდან და დაფიქსირდა, რომ სამი მანქანა იყო ჩაძირული წყალში, სამაშველო მუშაობს, მაგრამ არ ჩანს პატრული, რომ გზა გადაკეტოს და გააფრთხილოს მძღოლები საშიშროებაზე.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ყოველი ზემოაღნიშნული ფაქტი წინ უსწრებს დ. გ-ის გარდაცვალებას – როგორც საქმეში

წარმოდგენილი მტკიცებულებით (მაგთიკომი) დგინდება, ბოლო სა-  
ტელეფონო კავშირი დ. გ-თან, ახალი გზის ტერიტორიაზე, შედგა  
00:44 საათზე, რა დროსაც ტელეფონი გაითიშა. დ. გ-ს გზის არგა-  
დაკეცივის გამო ხელი არ შეეშალა გადაადგილებაში და აღმოჩნდა  
სტიქიის ზონაში. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სადავო პე-  
რიოდში მოქმედ ნორმათა საფუძველზე, ადმინისტრაციული ორ-  
განოების მხრიდან პრევენციული ღონისძიებების გატარების შემ-  
თხვევაში, დ. გ-ი ვერ უნდა მისულიყო კონკრეტულ ადგილზე. საქ-  
მეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით და სასამართლო  
სხდომაზე გამოცხადებულ მხარეთა ახსნა – განმარტებების მოს-  
მენის შედეგად, სასამართლომ ჩათვალა, რომ საგანგებო სიტუა-  
ციების მართვის სამსახურს შეეძლო და უნდა სცოდნოდა წინას-  
წარ სტიქიის ზონის შესახებ, შესაბამისად, ორგანოს შეეძლო ეფექ-  
ტიანი ღონისძიებების განხორციელება, რაც ცალსახად ევალებო-  
და სადავო პერიოდში მოქმედი №1061 და NN№944 დებულებებით.  
საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი შედეგების ლიკვი-  
დაციის ხელმძღვანელობა, რაც წარმოადგენს დებულებით განსაზ-  
ღვრულ ფუნქციებს, განსახილველ შემთხვევაში, დაგვიანებული  
იყო, ხოლო დებულებით განერილი – კომპეტენციის ფარგლებში  
საგანგებო სიტუაციების შესახებ ადრეული შეტყობინების სისტე-  
მის მართვის უზრუნველყოფის არსებობა საქმეში არ იკვეთება მი-  
სი ობიექტურად არარსებობის გამო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამარ-  
თლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ნაკლები  
კვალიფიკაციის, ნაკლები ორგანიზებულობის, ნაკლები ეფექტია-  
ნობის, არაკოორდინირებული მოქმედებების შედეგად, სათანადოდ  
ვერ განახორციელეს მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ფუნ-  
ქციები და არ განსაზღვრეს პრიორიტეტები, რამაც გამოიწვია დ.  
გ-ის გარდაცვალება. სახეზეა სათანადო ორგანოების უმოქმედო-  
ბა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ზიანი რაც ცალსახად წარმო-  
ადგენს აპელანტის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისა და  
დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საა-  
პელაციო პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია მოთხოვნა, მატერია-  
ლური ზიანის სახით, დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების  
საბაზრო ღირებულების აუნაზღაურებელი 30%-ის, ფულადი თან-  
ხის – 10 151.2 (ათი ათას ასორმოცდათერთმეტი ლარი და ოცი თეთ-  
რი) ლარის მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოებისათვის დაკის-  
რების თაობაზე.

ადმინისტრაციული ორგანოებისათვის შვილის გარდაცვალებით  
მიყენებული მორალური ზიანის – 13 (ცამეტი) ლარის ანაზღაურე-

ბის დაკისრების მოთხოვნასთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ძირითადად ზიანის ანაზღაურების საფუძველია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ განუხორციელებლობა, რასაც შედეგად მოჰყვება დ. გ-ის გარდაცვალება. შვილის გარდაცვალების გამო მშობლის ენით გამოუთქმელი მორალური ტრავმა უდავოდ სახეზეა. ეს უკანასკნელი გაიგივებულია სულიერ განცდასა და ფიზიკურ ტანჯვასთან. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია მოქმედებით (უმოქმედობით) და რომელიც ხელყოფს მოქალაქის კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სიკეთეს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლეს პრაქტიკაზე, რომელიც შეეხება შვილის გარდაცვალებით მშობლისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს (№ას-660-660-2018, 64-ე აბზაცის ბოლო ნაწილი: როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც წესი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა და ა.შ., მოქმედებს ე.წ. მორალური ზიანის პრეზუმფცია და ზიანის მიმყენებლის მიერ სანინაალმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ დაზარალებულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. ამგვარი განმარტებებია მოცემული უზენაესი სასამართლოს №ას-979-940-2014 გადაწყვეტილებაშიც). გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, უმაღლესი ინსტანციის ეროვნული სასამართლოს უახლესი პრაქტიკა (სუს №ბს-327-309(2კ-07) გადაწყვეტილება) ადასტურებს შვილის გარდაცვალების გამო მორალური ზიანის მშობლისადმი მიკუთვნებას.

შვილის გარდაცვალების გამო მშობლისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობასთან მიმართებაში სააპელაციო პალატამ მიუთითა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე (სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ, *Sarishvili - Bolkvadze v. Georgia* – § 53, 93, 96, 97; ქინანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, *Keenan v. United Kingdom* – § 130-133; ბაბინსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, *Bubbins v. United Kingdom* – § 171; რეინოლდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, *Reynolds v. United Kingdom* – § 68; პოლ და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, *Paul and Audrey Edwards v. United Kingdom* – § 97-102; მოვსესიანი სომხეთის წინააღმდეგ, *Movsesyan v. Armenia* – § 73; ზეტი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, *Z and others v. United Kingdom* – § 109) და აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს განმარტებიდან გამომდინარე, როდესაც სახეზეა



კონვენციის ძირითადი მუხლების (მე-2 და მე-3 მუხლები) დარღვევა და აღნიშნულისათვის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მორალური კომპენსაციის შესაძლებლობას, ამგვარი გაუთვალისწინებლობა არღვევს ევროპული კონვენციის მე-13 მუხლს – ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლებას.

სასარჩელო მოთხოვნით გათვალისწინებული მორალური ზიანის ოდენობასთან მიმართებაში სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება გონივრული, სამართლიანი ოდენობით. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დამდგარი ზიანის სიმძიმეს, დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობას, შელახული უფლების მნიშვნელობას და სხვ. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, 13 ივნისის თარიღიდან გამომდინარე მოთხოვნილი სიმბოლური თანხის – 13 (ცამეტი) ლარის მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოებისათვის დაკისრება სრულად ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.01.2020წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა და სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ. კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

### **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო პრეტენზია:**

კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.01.2020წ. გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

კასატორის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლიდან გამომდინარე, არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევის წინაპირობები. დავა ეხება სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამასთან, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად დადგენილია ფორს-მაჟორული გარემოებების დროს არასათანადო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება/განუხორციელებლობა. საქართველოს უზენაეს სასამართლოს არ განუხილავს საქმე, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის დაკისრების თაობაზე, როდესაც ფაქტობრივი გარემოებები ეხება ფორს-მაჟორულ გარემოებებში განხორციელებულ მოქმედებას ან

უმოქმედობას. იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო კანონმდებლობა აღნიშნულ გარემოებებს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლად მიიჩნევს, ყოვლად გაუგებარია და სამართლებრივ დასაბუთებას აცდენილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანია, უზენაესმა სასამართლომ იმსჯელოს ბუნებრივი მოვლენების პრევენციისას სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებათა ფარგლებზე. სამინისტროს მოსაზრებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რამაც საბოლოოდ განაპირობა მცდარი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორი მიუთითებს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად მიიჩნევს დაუძლეველ ძალას. კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მსჯელობა, რომ სამინისტროსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს შესაძლებლობა ჰქონდათ, განესაზღვრათ სტიქიის ზონა, არ ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სააპელაციო სასამართლომ საინფორმაციო გადაცემებში გასულ სიუჟეტებში გაჟღერებული კონკრეტული პიროვნებების სუბიექტური პოზიციები მიიჩნია საკმარის და უტყუარ მტკიცებულებად, იმისათვის, რომ დაედგინა, შეეძლო თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტიქიის ეპიცენტრის წინანარ განჭვრეტა, მისასვლელი გზების გადასაკეტვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. კასატორის მოსაზრებით, ე.წ. „სიუჟეტებში“ ასახული ინტერვიუები საამისოდ არასაკმარის მტკიცებულებას წარმოადგენს. გარდა ამისა, სასამართლომ არ დაადგინა სიუჟეტში მონაწილე პირების ვინაობა, კვალიფიკაცია და მათი საქმესთან შემხებლობა. ამასთან, სასამართლომ არ გამოუკვლევია სიუჟეტში ასახული მსჯელობის სრულყოფილების საკითხი, მაგალითად, ხომ არ მომხდარა ჟურნალისტების მხრიდან სიუჟეტში მონაწილე პირის მიერ ჩამოყალიბებული მსჯელობის კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით გაჟღერება, რამაც მსჯელობის სხვაგვარად აღქმის საშუალება მისცა საზოგადოებას. საქმეში არსებულ სიუჟეტებს სასამართლო მართლსაწინააღმდეგო ქმედების დამადასტურებელ ერთადერთ მტკიცებულებად მიიჩნევს, იმ პირობებში, როდესაც სიუჟეტში მონაწილე პირები მინიმუმ სასამართლო წესით არ დაკითხულან, სპეციალისტის ან/და მოწმის სტატუსით. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებების კვლევის სტანდარტი დაარღვია, როდესაც არ გამოითხოვა დ. გ-ის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მასა-

ლები. საქმეს ერთვის მხოლოდ გარდაცვალების თაობაზე არსებული სამედიცინო დასკვნა, ხოლო სხვა მტკიცებულებები სასამართლოს არ მოუძიებია, რაც არღვევს საქმის ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლევის პრინციპს.

კასატორის განმარტებით, მოცემულ საქმეზე არაერთი მტკიცებულებაა წარმოდგენილი, არსებული ტექნიკური თუ ადამიანური რესურსის პირობებში, სტიქიის ზონის განსაზღვრის შეუძლებლობის თაობაზე. აღნიშნული პოზიცია წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ განმარტებას, რაც სასამართლომ არ გაიზიარა და ასევე არ მიუთითა, მტკიცებულებათა შეჯიბრების პირობებში, საინფორმაციო სიუჟეტებში გაუღერებული პოზიცია რატომ არის უფრო უტყუარი, ვიდრე ექსპერტების მიერ შემუშავებული დასკვნა სტიქიის შესახებ, სადაც ერთმნიშვნელოვნად არის განმარტებული, რომ სტიქიის ზონის პროგნოზირება შეუძლებელი იყო. კასატორის განმარტებით, აქამდე არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, საჯარო სუბიექტის ვალდებულება და პასუხისმგებლობა შეიძლებოდა განსაზღვრულიყო არასათანადო ინფრასტრუქტურის არსებობის გამო, იმ პირობებში, თუ წვიმის შედეგად წარმოქმნილი წყლის მოცულობა ჯეროვნად ვერ შთაინთქმებოდა სანიაღვრე ნაგებობებით და დაუბრკოლებლად გადაიტყეოდა ზედაპირული წყლის მდინარედ, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა პასუხისმგებლობის ფარგლები – საჯარო სუბიექტის ისეთი ვალდებულება, რომ სანიაღვრე სისტემებმა ყველა შესაძლო კატასტროფას გაუძლოს, არ არსებობს და არც არის მართებული. ფართო მოსაზრებით, წყლის გამტარუნარიანობა უნდა იყოს ისეთი, რომ 5 წლის პერიოდულობით განმეორებადი წვიმის შედეგად წარმოქმნილ ნიაღვარი შთანთქმას. მნიშვნელოვანია, რომ 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის დროს მოსული ნალექის ოდენობას დედაქალაქში უახლოესი 100 წლის განმავლობაში არ ჰქონია ადგილი. ამრიგად, იმ პირობებში, როდესაც მოვლენა სავარაუდოდ 100 წელიწადში ერთხელ განმეორებადია, დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მდინარის ხეობის ისტორიული წინამძღვრები ასევე უნდა გამხდარიყო ადმინისტრაციული ორგანოებისათვის საკმარისი საფუძველი, განსაზღვრულიყო სტიქიის ზონა და ჩაკეტილიყო მასთან მისასვლელი გზები.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ იმ პერიოდისათვის, როდესაც დ. გ-ი გადაადგილდებოდა ახალი გზის ტერიტორიაზე, სახელმწიფო არ იდგა გზის გადაკეტვის აუცილებლობის წინაშე. საქმეში წარმოდგენილია გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი, სადაც მითითებულია, რომ

წყალდიდობის მოცემულ დონეზე არსებობის პირობებში, ასევე წყალმოვარდნის პირობებშიც კი, ახალ გზაზე არსებული წყალგამტარი გვირაბები სრულად უზრუნველყოფდა წყლის გატარებას და მოქალაქეთა შეუფერხებლად გადაადგილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ წყალდიდობის დროს არ არსებობდა გზის გადაკეცივის აუცილებლობა. რაც შეეხება იმ ფაქტის პროგნოზირებას, რომ მოცემულ გზაზე ერთობლივად 10 ტიპის ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ პროცესს ექნებოდა ადგილი, აღნიშნული არ შეეძლო არც შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც გარემოს ეროვნულ სააგენტოს. წყნეთის ტერიტორიაზე მეწყერის ჩამონოლა გამოწვეულ იქნა სხვადასხვა მოვლენით, თანმხვედრი წყალდიდობით და იმის პროგნოზირება, რომ აღნიშნული მოვლენები ერთიანი სახით იმოძრაებდა სწორედ ახალი გზის მიმართულებით, შეუძლებელი იყო. ე.წ. „ახალ გზაზე“ ადგილი ჰქონდა არა წყლის დონის მატებას, არამედ ე.წ. „ღვარცოფულ წყალმოვარდნას“, რომელსაც ჰქონდა ტალღისებული ეფექტი. წყნეთის მონაკვეთიდან მოყოლებული, აღნიშნული ტალღა რა მიმართულებას მიიღებდა, ამის განსაზღვრა შეუძლებელი იყო როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, ისე საპატრულო პოლიციისათვის, როგორც ტექნოლოგიური, ისე ადამიანური რესურსის პირობებში. ფორს-მაჟორში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, განეჭვრიტა კონკრეტული ლოკაცია, თუ სად უნდა მომხდარიყო გზის გადაკეცვა.

კასატორი საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბრალეულობა მიყენებულ ზიანში. გადანყვეტილებაში მითითებულ იქნა, რომ გარემოს ეროვნული სააგენტო იყო ვალდებული, ისტორიულ ფაქტორებზე დაყრდნობით წინასწარი პროგნოზი განეხორციელებინა და განესაზღვრა სტიქიის ზონა. კასატორის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ დაადგინა ბრალეული პირი, იგი ვალდებული იყო, აღნიშნული გარემოება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საპატრულო პოლიციისათვის ზიანის დაკისრების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად მიეჩნია. თუ გარემოს ეროვნული სააგენტო ჯეროვნად არ შეასრულებდა მისთვის დაკისრებულ პასუხისმგებლობას, გამორიცხულია, შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმირებული ყოფილიყო სტიქიის მასშტაბებისა და ლოკაციების შესახებ. შესაბამისად, ინფორმაციის არარსებობის პირობებში, გზის გადაკეცვაც არ განხორციელდებოდა. კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ გაზიარებულ უნდა იქნეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს პოზიცია, მითითებული მოვლენების წინასწარი პროგნო-

ზირების შეუძლებლობის შესახებ, ხოლო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველზე განმარტება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დადასტურდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა და მასში ასახული მსჯელობის ურთიერთწინააღმდეგობა.

კასატორის განმარტებით, რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მოქალაქე ე-ის მიერ „112“-ში 23:00 საათზე განხორციელებულ ზარზე მითითებას, აღნიშნული ზარი ადასტურებს, რომ 04.06.2015წ. უხვი ნალექის პირობებში, კონკრეტულად ახალი გზის ტერიტორიაზე ავტომობილების გადაადგილებას საფრთხე არ შექმნია. აღნიშნული კი, თავის მხრივ ადასტურებს, რომ მხოლოდ წყალდიდობის დროს გზის გადაკეტვის აუცილებლობა არ არსებობდა, ხოლო რაც შეეხება წყალმოვარდნას, აღნიშნულის წინააღმდეგ განჭვრეტა შეუძლებელი იყო.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მტკიცებულებითი ძალა შეიძინა საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტებმა და არ იქნა გაზიარებული ოფიციალური კომპეტენტური ორგანოს დასკვნები სტიქიური მოვლენის წინასწარი პროგნოზირების შესახებ. სასამართლომ არ განმარტა, რატომ არ გაიზიარა ოფიციალური ორგანოს დასკვნები და უპირატესობა რატომ მიანიჭა კონკრეტული სპეციალისტების სუბიექტურ მოსაზრებებს. კასატორი წინააღმდეგობრივად მიიჩნევს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობებს – თუ სასამართლო მიუთითებს, რომ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ არ განსაზღვრა სტიქიის ზონა, რაც მისი ვალდებულება იყო, როგორ გახდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სავარაუდო ის ტერიტორია, რომელზეც უნდა მომხდარიყო გზის გადაკეტვა. სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოებს სოლიდარულად დააკისრა ზიანის ანაზღაურება, მაშინ, როდესაც სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოზე ზიანის დაკისრება ავტომატურად გამორიცხავს სხვა მოპასუხეების ბრალეულობას, რამდენადაც სწორედ გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციაა სახელმძღვანელო სხვა ორგანოებისათვის. გარდა ამისა, საქმესთან შემხებლობაში არ არის მოქალაქე ე-ს ზარი 2015 წლის 13 ივნისის სტიქიისას. პირიქით, აღნიშნული ადასტურებს სამინისტროს პოზიციის უტყუარობას, რომ მხოლოდ წყალდიდობა, ამგვარი ნალექის პირობებშიც კი, დაბრკოლებას არ წარმოადგენდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის. გადაწყვეტილებაში არაერთგზის არის მითითებული კონკრეტული გამოძახებების შესახებ, კერძოდ სსიპ „112“-ში შესული შეტყობინებების შესახებ, თუმცა არცერთი ინიციატორი, მათ შორის, მოქალაქე ე-ი არ მიუთითებს,

კონკრეტულად „ახალ გზაზე“ რაიმე სახის დაბრკოლების შესახებ, სადაც მოხდა დ. გ-ის გარდაცვალება. ამდენად, სასამართლოს დასკვნა, რომ აღნიშნული უკვე ქმნიდა გზის გადაკეტვის წინაპირობას, მოკლებულია როგორც ლოგიკურ, ისე სამართლებრივ საფუძველს.

### **შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო პრეტენზია:**

კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოვალეობის შეუსრულებლობა კომპეტენციის ფარგლებში იმ თვალსაზრისით, რომ არ მომხდარა სტიქიის ზონამდე მისასვლელი გზების გადაკეტვა და აღნიშნული ინფორმაციის უქონლობის გამო, ადამიანები (მათ შორის – ანგარდაცვლილი დ. გ-ი) მოხვდნენ სტიქიის ზონაში. კასატორის განმარტებით, აღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს საკითხის სწორი სამართლებრივი შეფასებიდან.

კასატორი მიუთითებს ზაკ-ის 207-ე მუხლზე, სსკ-ის 992-ე, 212-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს სავალდებულო პირობას დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის. მოცემულ შემთხვევაში, იმ პერიოდისთვის, როცა დ. გ-ი გადაადგილდებოდა ახალი გზის ტერიტორიაზე, სახელმწიფო არ იდგა გზის გადაკეტვის აუცილებლობის წინაშე. ახალ გზაზე არსებული წყალგამტარი გვირაბები სრულად უზრუნველყოფდა წყლის გატარებას და მოქალაქეების შეუფერხებლად გადაადგილებას. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისათვის შეუძლებელი იყო იმის პროგნოზირება, რომ მოცემულ გზაზე ამგვარი სახით იქნებოდა ერთობლივად ათი ტიპის ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური პროცესი, მისი თანმდევი მოვლენებით. ადმინისტრაციულ ორგანოს ვერ ეცოდინებოდა წინასწარ წყნეთის ტერიტორიაზე მენყერის თაობაზე, რაც გამონვეული იყო სხვა და სხვა მოვლენით, თანმხვედრ წყალდიდობასთან ერთად. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისთვის იმის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო, რომ აღნიშნული მოვლენები ერთიანი სახით, ახალი გზის მიმართულებით იმოძრაებდა. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში არ დაფიქსირებულა არანაირი შეტყობინება გზის გადაკეტვის შესახებ, რადგან არ იყო იმ მომენტისათვის საგანგებო მდგომარეობა (სტიქიური მოვლენა) და დეპარტამენტს ვერ ეცოდინებოდა სტიქიის ზონა. განვითარებული ათი გეოლოგიური და მეტეოროლოგიური მოვლენის ჯამური პროგნოზირება, როგორც ტექნოლოგიურად, ისე ადამიანური რე-

სურსის პირობებში, შეუძლებელი იყო. ადმინისტრაციული ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას, განეჭვრიტა, თუ სად უნდა მომხდარიყო გზის გადაკეტვა. ასევე არ მოიძებნა შეტყობინება გზის გადაკეტვის აუცილებლობის თაობაზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო-საინფორმაციო სამმართველოში არსებული ჟურნალების ჩანაწერებში.

კასატორის განმარტებით, სტიქიური მოვლენა (წყალდიდობის ფაქტი) მოხდა როგორც მოქალაქეებისათვის, ისე ადმინისტრაციული ორგანოსათვის. აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით, 13-14 ივნისის 05:00 საათამდე პერიოდში 112-ზე შესული ყველა ზარის შესახებ ინფორმაცია სიის სახით, კონკრეტული დროის მითითებით, ასევე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ეკიპაჟების მიერ კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების შესახებ დოკუმენტაცია, მათ შორის – სტიქიის ზონიდან მოქალაქეების გამოყვანის მიზნით სამაშველო სამსახურის მოთხოვნის შესახებ შეტყობინებები, დაცულია საქმეში მტკიცებულების სახით. საქმეში ასევე დაცულია მტკიცებულებები სიის სახით, 2015 წლის 12 ივნისიდან 13 ივნისის ჩათვლით თბილისის მასშტაბით საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოძახებების შესახებ. კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სტიქიური მოვლენების (ფორს-მაჟორის) პირობებში, რასაც შედეგად მოჰყვა მორალური და მატერიალური ზიანი. არ დგინდება მიზეზობრივი კავშირი შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქმედებასა და მოსარჩელის მიმართ დამდგარ ტრაგიკულ შედეგს შორის. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება უკანონოა, რამდენადაც მისი მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი არ დასტურდება. იმ პერიოდისათვის, როცა დ. გ. ი გადაადგილდებოდა ახალი გზის ტერიტორიაზე, სახელმწიფო არ იდგა გზის გადაკეტვის აუცილებლობის წინაშე, მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ გაიზიარა CD დისკის სახით წარმოდგენილი სიუჟეტები, რომელიც მომზადდა სტიქიის შემდგომ.

შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო პრეტენზია:

კასატორის განმარტებით, მოცემული დავის გადაწყვეტისას უნდა შეფასდეს, სახელმწიფოს მხრიდან თავისი მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის პოზიტიური ვალდებულების დარღვევად და შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად უნდა იქნეს თუ არა მიჩნეული სტიქიური მოვლენის შედეგად წარმოშობილი ზიანი, იმ ვითარებაში, როდესაც შესაბამისი სპეცი-

აღისტების დასკვნითა და შეფასებებით დადასტურებულია, რომ ადგილი ჰქონდა გეოლოგიური და მეტეოროლოგიური მოვლენების განვითარებას, რომელთა განჭვრეტა და თავიდან აცილება იყო შეუძლებელი. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილების განმსაზღვრელი, ასევე ზიანის ანაზღაურების დაკისრების მარეგულირებელი მატერიალური ნორმები, რის შედეგადაც, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

კასატორი დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფოს დ. გ-ის გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე ჰქონდა ინფორმაცია განვითარებული სტიქიის შესახებ და აღნიშნული პერიოდი საკმარისი იყო სახელმწიფოსათვის, შეეფასებინა, თუ რა მასშტაბის სტიქიასთან ჰქონდა საქმე, ამასთანავე, ცალსახად შესაძლებელი უნდა ყოფილიყო სტიქიის ზონის ზუსტი იდენტიფიცირება. კასატორის განმარტებით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებულ საინფორმაციო ბიულეტენში ასახული ინფორმაციის საფუძველზე, შეუძლებელი იყო კონკრეტული ლოკალური ადგილების წინასწარ განსაზღვრა, შემდგომი მოვლენების განვითარების პროგნოზირებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით. გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნით, სტიქიის დროს განვითარდა ბუნებრივი მოვლენების ისეთი კომპლექსი (მოვლენათა ერთობლიობა – ძლიერი წვიმა, სეტყვა, წყალმოვარდნა, მენყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა და ეროზია), რომლის განჭვრეტაც წინასწარ შეუძლებელი იყო. კომპლექსურობასთან ერთად, სტიქიას ჰქონდა ისეთი მასშტაბური ხასიათი და „მოულოდნელობის ეფექტი“ (მოგროვილი დიდი ოდენობის წყალმა ერთიანად გადმოხეთქა არსებული წყლის გამტარი გვირაბი და გამოემართა ე.წ. „ახალი გზის“ მიმართულებით), რომელიც ცალსახად დაუძლეველ ძალად უნდა შეფასდეს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, აღნიშნული სტიქია (დაუძლეველი ძალა) არ ექვემდებარებოდა იმ სახის რეაგირების ღონისძიებების განხორციელებას, რასაც სააპელაციო სასამართლო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ედავება. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, არასწორად განსაზღვრა და ერთმანეთისაგან არ გამოიჯნა საგანგებო სიტუაციის მართვის ორი სტადია – პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებები. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რამდენიმე საათით ადრე შესული შეტყობინებების საფუძველზე უნდა განეხორციელებინა სამსახურს სტიქიის



თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებები, რაც თავად პრევენციული ღონისძიებების შინაარსის გათვალისწინებითაც ვერ იქნება გაზიარებული და მოკლებულია ლოგიკურ დასაბუთებას. სასამართლო პრევენციულ ღონისძიებებს აიგივებს რეაგირების ღონისძიებებთან. სამსახური, როგორც სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის მაკოორდინირებელი ორგანო, პრევენციულ ღონისძიებებს ახორციელებს სამოქალაქო უსაფრთხოების ხაზით, ეროვნული სისტემის სუბიექტების ზედამხედველობით. სასამართლოს მიერ მითითებული დროებით თუ ვიმსჯელებთ, 13.06.2015წ., 22:13 საათზე სამსახურმა რეაგირება დაიწყო საკმაოდ მასშტაბური ლოკაციების მიხედვით. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ მოქალაქე თ. ე-ის ზარზე ყურადღების გამახვილებას: მოქალაქე ე-ის მიერ განხორციელებული ზარი (23:10:40 საათი) და შეტყობინების შინაარსი არ წარმოადგენდა იმის საფუძველს, რომ მყისიერად მომხდარიყო თამარაშვილის ქუჩის გმირთა მოედანთან დამაკავშირებელი მაგისტრალის გადაკეტვა. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო უტყუარი მონიტორინგული ან უფლებამოსილი სამსახურების საპროგნოზო ინფორმაცია, მაგისტრალის სახიფათო ნიშნულამდე დატოროვის შესაძლებლობის თაობაზე. ასეთი ტიპის ინფორმაცია სამსახურს არ მიუღია და ვერც მიიღებდა, რადგანაც მონიტორინგისა და პროგნოზის განმარტორციელებელ ორგანოებს, სათანადო ტექნიკური საშუალებების უქონლობის გამო, ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ასეთი ტიპის გადაწყვეტილებას მორეაგირე ძალებიც ვერ მიიღებდნენ, რადგანაც ისინი უკვე თბილისის ბევრ წერტილში (ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორია, წყნეთის გზატკეცილი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე ტერიტორია, გლდანი და ა. შ., ასევე, აღნიშნული ტერიტორია) ინტენსიურად ახორციელებდნენ სამაშველო და წყლის ამოტუმბვის სამუშაოებს. მორეაგირე ძალები, აღნიშნული უბნის გარდა, ამ პერიოდში სხვა მრავალ წერტილშიც ახორციელებდნენ სამუშაოებს და სიტუაცია ყველგან გართულებული იყო. შესაბამისი ზომების მიღების მიზნით, საგანგებო სიტუაციების ზონის განსაზღვრა შეუძლებელი აღმოჩნდა, ვიდრე მაქსიმუმ ორ საათში, საგანგებო სიტუაციის ზონა თავად არ ჩამოყალიბდა. ამდენად, მხოლოდ ზემოაღნიშნული მოქალაქის ზარის მიხედვით შესაძლო საგანგებო სიტუაციის ზონის იდენტიფიცირება (აქ გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაც იგულისხმება, მარჯვენა სანაპიროც) და იქ სპეციალური მოძრაობის წესების დანერგვა, შეუძლებელი იყო.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები იმასთან დაკავშირებით,

რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესაძლებლობა ჰქონდა, განესაზღვრა სტიქიის ზონა. აღნიშნული არ ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლო, კონკრეტული ლოკაციის სტიქიის ზონად განსაზღვრის შესაძლებლობას ადასტურებს საქმეზე წარმოდგენილი სიუჟეტებით, თუმცა აღნიშნული არ არის საკმარისი მტკიცებულება, იმისათვის, რომ დადგინდეს, შესაძლებელი იყო თუ არა სტიქიური უბედურების ზონის წინასწარი პროგნოზირება. წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზიანის სამართალი უმეტესწილად მტკიცებულებათა სამართალია. იგი არსებითად ეყრდნობა რთულ საექსპერტო დასკვნებს (წარმოქმნილი ნალექის ოდენობა, ზედაპირული წყლის მოცულობა, ინტენსივობა, ნაგებობების ტექნიკური გაუმართაობა, სანიაღვრეების გამტარუნარიანობა და სხვა). აღნიშნული სტიქიური მოვლენების შესახებ დეტალური ანალიზი მოამზადა სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, რომელიც წარმოდგენილია საქმეში. ამასთანავე, 13 ივნისის მოვლენები შეაფასეს საერთაშორისო ექსპერტებმაც, რომლებიც ასევე ადასტურებენ, რომ 13 ივნისს განვითარებული მოვლენების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო. საქმეში არაერთი მტკიცებულებაა წარმოდგენილი, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ არსებული ტექნიკური თუ ადამიანური რესურსის პირობებში, ყოვლად შეუძლებელი იყო სტიქიის ზონის განსაზღვრა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ზოგადი ხასიათის მსჯელობებით შემოიფარგლა, ვერ მიუთითა კონკრეტულ მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე, რომელიც უნდა განეხორციელებინა სამსახურს (გზის ჩაკეტვის უფლებამოსილება არ შედის სამსახურის კომპეტენციაში), ხოლო კონკრეტული სტიქიის ზონის განსაზღვრა იმ პირობებში, როდესაც, ადგილი ჰქონდა წინასწარ განუსაზღვრელ მოვლენებს, შეუძლებელი იყო. 12.06.2015წ. №163 ბიულეტენის შინაარსი იყო ზოგადი ხასიათის (ანალოგიური შინაარსის ბიულეტენებს სამსახური იღებდა ყველდღიურად), არ იყო განჭვრეტადი სტიქია და მისი მასშტაბი, შესაბამისად, გარდა განხორციელებულისა, სხვა ღონისძიებები ვერ განხორციელდებოდა. დ. გ-ის გარდაცვალების შემთხვევაში, პრობლემას არ წარმოადგენდა ე.წ „ახალ გზაზე“ წყლის დონის მატება, აქ გადამწყვეტი იყო წყლის დიდი ნაკადის მოვარდნის მოულოდნელობის ეფექტი. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სამსახურმა არაერთხელ გააკეთა აქცენტი იმ ფაქტზე, რომ სწორედ განუჭვრეტელ მოვლენას ჰქონდა ადგილი: „ახალი გზის“ მონაკვეთზე მუშაობდა არაერთი სამამულო ჯგუფი (ხორციელდებოდა მოსახლეობის გადმოყვანა), როდესაც გვირაბიდან წყალმა მოულოდნელად

გამოხეტია და გარდაიცვალა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელი. აღნიშნული ფაქტიც უტყუარად მოწმობს იმას, რომ სამსახური პრევენციას ვერ განახორციელებდა იმ მდგომარეობაზე, რომელზეც უკვე დაწყებული იყო რეაგირება. ამდენად, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსაზრებით, სახეზე არ არის სამსახურისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საკასაციო პრეტენზია:**

კასატორის განმარტებით, განსახილველ დავასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების სათანადოდ გამოკვლევა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სწორად შეფასება. მოცემულ შემთხვევაში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან მიმართებაში მტკიცებულებებად გამოყენებულ იქნა გ. თ-სა და გ. მ-ის სუბიექტური შეფასებები. აღნიშნული პირები არ არიან და არც ყოფილან სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები, შესაბამისად გაურკვეველია, რა დასკვნებსა და კვლევებს ეფუძნებოდა მათი მოსაზრებები. რაც შეეხებათ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა (მათ შორის სააგენტოს უფროსის) მიერ გაკეთებულ განცხადებებს, სამართლომ მოახდინა აღნიშნული პირების ზეპირსიტყვიერი განმარტებების არასწორი ინტერპრეტაცია. არ იქნა გათვალისწინებული, რომ მტკიცებულებად გამოყენებულ ინტერვიუებში არც ერთი პირი არ საუბრობს 13-14 ივნისის მოვლენების წინასწარ პროგნოზირების შეუძლებლობაზე. სააგენტოსთან მიმართებაში ასევე არასწორად იქნა განმარტებული და გამოყენებული დასკვნა „2015 წლის 13-14 ივნისს მდ. ვერეს აუზში განვითარებული კატასტროფით გამოწვეული მდგომარეობის წინასწარი შეფასების შესახებ“, რომელიც წარმოადგენს ამ ბუნებრივი დაუძლეველი ძალის შემდგომ შეფასებას და გაანალიზებას. კასატორის მოსაზრებით, საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ 13 ივნისის დამდგარი შედეგის/მოვლენის პროგნოზირება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მხრიდან შესაძლებელი იყო 13 ივნისამდე განვითარებული მოვლენების ანალიზის საფუძველზე, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული ჩD დისკის სახით წარმოდგენილი ინტერვიუები. თავად სასამართლოს მიერ მტკიცებულებად მიჩნეულ ინტერვიუებშიც კი არც ერთი სპეციალისტი არ მიუთითებს ისეთ გარემოებასა და ფაქტზე, რომელიც დაადასტურებდა ან/და ვარაუდის დონეზე მაინც გახდოდა შესაძლებელს, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს, დაკისრებული უფლებამოსილების

ფარგლებში, შეედლო პროგნოზის სახით გავერცელებინა 13 ივნისს განვითარებული ძლიერი ნალექების შესაძლო შედეგები. კასატორის განმარტებით, სპეციალისტების დასკვნის თანახმად, თუ მოსული ძლიერი ნალექი მხოლოდ წყალმოვარდნას გამოიწვევდა, გვირაბი წყალს უპრობლემოდ გაატარებდა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა და არ განმარტა „პროგნოზის“ მნიშვნელობა, გავრცელებულ ან/და უფრო მეტად ყურადღებამისაქცევ პროგნოზსა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობა. „პროგნოზი“ არის მეცნიერულად დასაბუთებული ვარაუდი, იმის ალბათობა, რაც ან მოხდება და ან არა. შეუძლებელია, ალბათობის დონეზე არსებულმა ინფორმაციამ უზრუნველყოს მისგან დამოუკიდებელი მოვლენების/შედეგების გათვლა, წინასწარ დადგენა. სადავო შემთხვევაში, სასამართლოს გადანყვეტილებით დასაბუთებული არ არის, რა მიზეზობრივი კავშირია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ პროგნოზსა და დამდგარ შედეგს შორის, რამდენად არის ეს შედეგი – მონინაალმდევე მხარისათვის მიყენებული ზიანი, გამონვეული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უმოქმედობით ან კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით. საქმეში არ მოიპოვება აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება. კასატორი საჯარო სხდომაზე მიიჩნევს, რომ ახალდაბის ე.წ. „დიდი მენყერი“ განეკუთვნება კლდეზვავური ტიპის მენყერების იმ კატეგორიას, რომელთა ჩასახვა და დინამიკაში მოსვლა ხდება მყისიერად (დროის მოკლე პერიოდში) და მისი პროგნოზირება შეუძლებელია. ამასთან, არ არსებობს პროგნოზირებისა და ადამიანთა მსხვერპლის თავიდან აცილების მსოფლიო პრაქტიკა (მათ შორის – ტექნოლოგიებით მალაღანვითარებულ ქვეყნებში), როდესაც ადგილი აქვს ათამდე ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების სინერგიზმს (თანხვედრას), ერთი და იგივე დროს, ერთი და იგივე არეალში, პრაქტიკულად მჭიდროდ დასახლებული პუნქტის ფარგლებში, როგორსაც ადგილი ჰქონდა მდ. ვერეს ხეობაში 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის დროს.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 4 ივნისის მოვლენისა და ისტორიულ-სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით წინასწარ უნდა გაეთვალა დამდგარი შედეგი და თავიდან თუ ვერ აიცილებდა, შეამცირებდა მაინც დამდგარ ზიანს. კასატორის განმარტებით, ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებულია მხოლოდ წყალდიდობა და წყალმოვარდნა. არაფერია ნათქვამი მენყერულ და ღვარცოფულ პროცესებზე. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა გაუგებარი და ბუნდოვანია, არ მიესადაგება 13 ივნისს გან-

ვითარებულ მოვლენებს. 2015 წლის 4 და 13 ივნისს მდ. ვერეს ხეობაში განვითარებული სტიქიური პროცესები არსებითად განსხვავებული იყო და ის ვერ განაპირობებდა 13 ივნისის მოვლენების წინასწარ პროგნოზირებას. გარდა ამისა, 4 ივნისის ნალექი არ წარმოადგენდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 12 ივნისს გავრცელებული პროგნოზისაგან განსხვავებული ინფორმაციის გავრცელების წინაპირობას და იმაზე მეტი საშიშროების, რისკის შემცველი ინფორმაციის გავრცელების საფუძველს, ვიდრე ეს გავრცელდა 12 ივნისის №163 ბიულეტენით.

კასატორის მოსაზრებით, ასევე არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია, თუ სად მდებარეობდა ე-ის ძალღმრთაშენი და ნებისმიერი ძლიერი ნალექის მოსვლის დროსაც შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული ნაგებობის დატბორვა (ისტორიული მონაცემებით, ყოველ 15-20 წელიწადში ჭალაკალაპოტის არეალი ბუნებრივად ექვემდებარება დატბორვას). აღნიშნული ინფრასტრუქტურა მონყობილია ჭალა კალაპოტში, სადაც აკრძალულია ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობის მოწყობა. ამდენად, სასამართლოს არგუმენტი ვერ იქნება მიჩნეული იმის დასადასტურებლად, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს უნდა დაენახა მეტი საშიშროება და გავრცელებინა მეტად ყურადღებამიქცევადი პროგნოზი.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ფუნქციები, სათანადოდ არ შეფასდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლები და შესაძლებლობა, დამდგარი შედეგის თავიდან აცილებასთან ან/და საფრთხის შემცირებასთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ მითითებული, სააგენტოს დებულებით გათვალისწინებული პუნქტები არ მოიცავს ბუნებრივ მოვლენათა სახეობებში მოქცეულ იმ პროცესებს/მოვლენებს, რომლებიც განვითარდა სტიქიის დროს. აღნიშნული მოვლენა წარმოადგენდა დაუძლეველ ძალას, ფორს-მაჟორს, შესაბამისად, 13-14 ივნისს განვითარებული პროცესები ვერ იქნება განხილული იმ ბუნებრივ მოვლენათა კატეგორიად, რომელთა წინასწარი გათვლით, მონიტორინგით და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებით, დამდგარი შედეგების თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი.

კასატორის განმარტებით, პროგნოზის სათანადო წესით გავრცელებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან მიმართებაში არასწორად გამოიყენა და გაავრცელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება (ბადაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, *Budayeva and Others V. Rus-*

sia), რომლის თანახმად, ევროპული კონვენციის მეორე მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, სათანადოდ აცნობონ საზოგადოებას ისეთი ინფორმაცია, რომელიც ეხება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ მდგომარეობას, მათ შორის, ბუნებრივ კატასტროფებს. სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ კანონით დადგენილი წესით და უფლებამოსილების ფარგლებში, 12 ივნისს გაავრცელა და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს აცნობა ამინდის „საყურადღებო“ (რაც ნიშნავს, რომ მოსალოდნელი პროგნოზი მოიცავდა განხვავებულ ინფორმაციას გაფრთხილების თაობაზე, ვიდრე მანამდე, ჩვეულ რეჟიმში რეგულარულად გავრცელებული ბიულეტენები) შემდეგი პროგნოზი: „2015 წლის 13 ივნისს საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, ზოგან შესაძლებელია სეტყვა, ელჭექის დროს ზოგან ქარის შკვალური გაძლიერება. მოსალოდნელმა ძლიერმა წვიმებმა შესაძლოა საქართველოს მდინარეებსა და მის შენაკადებზე წყალმოვარდნები და ღვარცოფული ნაკადის ფორმირება გამოიწვიოს“. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო სამართლებრივად მოკლებული იყო შესაძლებლობას, განეხორციელებინა სხვა რაიმე ქმედება. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ინფორმაციის/პროგნოზის ხელმისაწვდომობა რაიმე ფორმით არ შეუზღუდავს. სააგენტოს მიერ გამოცემული ყოველდღიური ამინდის პროგნოზის ბიულეტენები საჯაროა და იგზავნება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რაც კიდევ უფრო ბუნდოვანს და გაუგებარს ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ სააგენტოს ქმედებასთან ევროპული კონვენციის მე-8, მე-10 მუხლების მისადაგებას და ამ მუხლების ჭრილში 12.06.2015წ. გავრცელებული პროგნოზის განხილვას. კონვენციის ეს მუხლები გულისხმობს წევრ სახელმწიფოთა ღია მმართველობას, დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო დანესებულებების ვალდებულებას – უზრუნველყონ ინფორმაციის მაქსიმალური ღიაობა. მხოლოდ ზოგად ნორმებზე, საერთაშორისო პრაქტიკაზე მითითება ვერ განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობას. სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს პროცესის მონაწილე მხარეთა თანაბარ უფლებებს (მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მხარე შეიძლება ადმინისტრაციული ორგანო იყოს) – ფაქტობრივი გარემოებების, საქმეში არსებული მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევის/შეფასების, კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციების ფარგლებში, ამა თუ იმ ქმედების განხორციელების შესაძლებლობის დადგენის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. თავის-

თავად ცხადია, რომ სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში გაავრცელა პროგნოზი – „საყურადღებო“ და გაუგზავნა შესაბამის უწყებებს, ამასთანავე, აღნიშნული პროგნოზი არ წარმოადგენდა გასაიდუმლოებულ ინფორმაციას და მოცემულ შემთხვევაში, არ დარღვეულა საზოგადოების ინფორმირებულობის პრინციპი.

კასატორი აღნიშნავს, რომ ქვეყნის ტერიტორიის რთული რელიეფის გამო, წყალმოვარდნების, მეწყერების, ღვარცოფების და სხვა სახის სტიქიური მოვლენების მიმართ რისკის მატარებელი უბნების რაოდენობა ძალიან დიდია (მაგ.: საქართველოს ტერიტორიაზე 50 000-ზე მეტი მეწყერულ-გრავიტაციული უბანი და 3000-ზე მეტი ღვარცოფული წყალსადინარია დაფიქსირებული, მათ შორის, თბილისის ფარგლებში (შემოერთებული სოფლების ჩათვლით), 600-ზე მეტი სხვადასხვა მასშტაბის მეწყერულ-გრავიტაციული უბანი და ათეულობით ღვარცოფმაფორმირებელი წყალსადინარია). მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელი იყო, ვინმეს წინასწარ ევარაუდა ათამდე ტიპის ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური პროცესის თანხვედრის შედეგად წარმოქმნილი სტიქიური მოვლენა, რომელსაც დაემატა ავტომანქანებით აუზში არსებული წყალგამტარი გვირაბების დახშობა. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 13.06.2015წ. გავრცელებული პროგნოზი ეფუძნებოდა საერთაშორისო და ადგილობრივ მეტეოროლოგიურ ინფორმაციას, რომელიც მოიცავს რუკებს, დიაგრამებს, ცხრილებს, რაც საქმეშია წარმოდგენილი. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული ბიულეტენი მომზადდა ამინდის პროგნოზის მსოფლიო ცენტრებიდან სხვადასხვა რიცხვითი მოდელების: ECMWF (ამინდის საშუალოვადიანი პროგნოზების ევროპული ცენტრი), GFS (ამინდის პროგნოზის ამერიკული გლობალური სისტემა), ARPEGE (ამინდის პროგნოზის ფრანგული გლობალური მოდელი) მეშვეობით მიღებულ სინოპტიკურ პროდუქტებზე (რუკები, დიაგრამები) და უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელიდან მიღებულ ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით, კერძოდ 12.06.2015წ. აღნიშნული ინფორმაციის ანალიზი უჩვენებდა, რომ 13 ივნისს, ქვეყნის ტერიტორიაზე გაძლიერდებოდა კასპიის ზღვიდან გავრცელებული ანტიციკლონის თხემის გავლენა, რაც ლოკალური ხასიათის მძლავრი კონვექციური ღრუბლების ფორმირების, ზოგან ძლიერი წვიმების, სეტყვის და ქარის შკვალური გაძლიერების პირობებს შექმნიდა. ამას კი, თავის მხრივ შეეძლო წყალმოვარდნების და ღვარცოფული ნაკადის ფორმირება გამოეწვია, თუმცა კონკრეტული ლოკალური ადგილების წინასწარ განსაზღვრა, სადაც შეიძლებოდა ზე-

მოთხენებული მოვლენების განვითარება, შეუძლებელი იყო.

კასატორის განმარტებით, ქ. თბილისის ფარგლებში არსებული მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით, რომელიც ვაშლიჯვრის ტერიტორიაზეა განთავსებული, 13.06.2015წ. 21:45 საათიდან 14.06.2015წ. 01:35 საათამდე წვიმის სახით მოსული ნალექის რაოდენობამ 49 მმ შეადგინა, რაც ძალიან ძლიერი ნალექების კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ თბილისისთვის ასეთი ინტენსივობის ნალექების მოსვლა არც ისე იშვიათი მოვლენაა. თბილისის მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების ანალიზი უჩვენებს, რომ 50 მმ-ზე მეტი ძლიერი ნალექების მოსვლის შემთხვევების რაოდენობა საკმაოდ ხშირია და 59-ს შეადგენს, თუმცა მათ უმეტესობას მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები არ გამოუწვევია. არსებული ინფორმაცია/მონაცემები არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ სააგენტოს გაცეცა დამატებითი გაფრთხილება ვერეს აუზში დამდგარი შედეგის შესაძლებლობის შესახებ. შესაბამისად, სააგენტოსთვის ვერ იქნებოდა განჭვრეტადი დამდგარი შედეგის აღბათობაც კი. გასათვალისწინებელია, რომ ბიულეტენში მოცემული გაფრთხილება არის მოსალოდნელი, პროგნოზული და მისი დადგომა ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია კონკრეტული ბუნებრივი პროცესების განვითარებაზე. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სადავო შემთხვევაში საკითხი მოიცავს რამდენიმე კომპონენტს, რამაც ერთობლიობაში გამოიწვია ვერეს აუზში დამდგარი შედეგი, აღნიშნულის გამოთვლა მაღალი სტანდარტის მქონე ტექნიკური საშუალებებითაც კი შეუძლებელი იქნებოდა.

კასატორის განმარტებით, ექსპერტების დასკვნის თანახმად, თუ მდ. ვერეს აუზში მოსული ინტენსიური ნალექები მხოლოდ წყალმოვარდნას გამოიწვევდა, წარმოქმნილ წყლის ნაკადს წყალგამტარი გვირაბები უპრობლემოდ გაატარებდა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ფორს-მაჟორთან, რაც არაპროგნოზირებადი სტიქიის სახით დაუძლეველ ძალას წარმოადგენს. ეს არის ისეთი მოვლენა, რომელიც არ ექვემდებარება ადამიანის კონტროლს. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიუთითა, რომ არსებობს მიზეზობრივი კავშირი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ განუხორციელებლობასა და მოქალაქე დ. გ-ის გარდაცვალებას შორის. 13-14 ივნისს განვითარებული სტიქიური მოვლენის წინასწარი პროგნოზირებაც, მიუხედავად განხორციელებული/განსახორციელებელი მონიტორინგისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მომზადებული/დამუშავებული მონაცემებისა, არ ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრასა და განჭვრე-



ტას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.06.2020წ. განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები. ამავე სასამართლოს 22.10.2020წ. განჩინებით საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემული დავის ფარგლებში სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია გარემოებები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ საქმისათვის, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლისა და 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

### **საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმესთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:**

2015 წლის 13-14 ივნისს, ქალაქ თბილისში სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ტრაგიკული შემთხვევის შედეგად, გარდაიცვალა დ. გ-ი. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 25.09.2015წ. №003488215 პისტოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დ. გ-ის სიკვდილის მიზეზი გახდა ასფიქსია, განვითარებული სითხეში (წყალში დახრჩობით).

21.12.2015წ. NN№151374149 სამკვიდრო მონაწილის თანახმად, ლ. გ-ი არის გარდაცვლილი დ. გ-ის მემკვიდრე.

გარდაცვლილი დ. გ-ის მემკვიდრემ – ლ. გ-მა და მშობლებმა – ხ. გ-მა და ლ. ნ-ძემ სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასა-

მართლოს. სარჩელისა და მოპასუხე მხარეების დაზუსტების შემდეგ, მოსარჩელებმა მოითხოვეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის ლ. გ-ის სასარგებლოდ, მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, კერძოდ, 2015 წლის 13 ივნისს გარდაცვლილი ძმის – დ. გ-ის საკუთრებაში არსებული ავტომობილის დაზიანების გამო, მისი საბაზრო ღირებულების 30%-ის ანაზღაურება, რაც შეადგენს 10 151.2 (ათი ათას ასორმოცდათერთმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარს. სარჩელით ასევე მოთხოვნილ იქნა მოპასუხეებისათვის მოსარჩელებს – ლ. ნ-ის და ხ. გ-ის სასარგებლოდ, შვილის გარდაცვალებით მიყენებული არამატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 13 (ცამეტი) ლარის ოდენობით. შესაბამისად, მოთხოვნა უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს.

საკასაციო პალატა კვლავაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მიეკუთვნება კონსტიტუციური რანგის უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. „...სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დანესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილება). საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლის ზოგადი დანაწესი ემსახურება საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი ორგანოებისა თუ პირებისაგან მიყენებული ზიანის ეფექტიანი და ქმედითი ანაზღაურების ინტერესის დაცვას. აღნიშნულის დეტალური საკანონმდებლო მონესრიგება კი, მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და სა-

მოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. 208.3 მუხლის თანახმად კი, თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი. ამასთან, ზაკ-ის 207-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის). 1005.1 მუხლის შესაბამისად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამდენად, 1005.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურებოდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვე-

ვაში.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონმდებლობა ადგენს საჯარო მოხელის ქმედებით ან გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებას. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კი აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ქმედება, რამაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვა, დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან; ამ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა მიმართული უნდა იყოს სხვა პირის უფლებების შელახვისკენ; მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რამდენდაც სადავო არ არის დ. გ-ის გარდაცვალებასა და ქ. თბილისში 2015 წლის 13-14 ივნისს განვითარებულ სტიქიურ მოვლენას შორის კავშირი, განსახილველი დავის ფარგლებში უნდა შეფასდეს სტიქიური მოვლენების განვითარების პროცესში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების განზრახ ან გაუფრთხილებლად შეუსრულებლობის (უმოქმედობის) ფაქტი და დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი მოპასუხედ დასახელებული ადმინისტრაციული ორგანოების უმოქმედობას/არასათანადო მოქმედებასა და მოსარჩელებთან მიმართებაში დამდგარ ტრაგიკულ შედეგს შორის, რაც ქმნის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული საბოლოო დასკვნით, განსახილველი დავის მოსარჩელეთა სასარგებლოდ გადაწყვეტა და მოპასუხეთათვის ზიანის ანაზღაურების სრულად დაკისრების აუცილებლობა უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოების ნაკლებკვალიფიციურობას, ნაკლებორგანიზებულობას, ნაკლებეფექტიანობას, არაკოორდინირებულ მოქმედებებს. სადავო გარემოებებზე მსჯელობისას, სააპელაციო სასამართლომ აუცილებლად მიიჩნია მოპასუხეთა მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ ღონისძიებათა დიფერენცირება და ჩათვალა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა სათანადოდ ვერ განახორციელეს მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციები, არ განსაზღვრეს პრიორიტეტები, რამაც გამოიწვია დ. გ-ის გარდაცვალება. სასამართლოს დასკვნით, სახეზეა უმოქმედობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ზიანი.

ადმინისტრაციული ორგანოების ბრალეულობისა და მიზეზ-შე-

დეგობრივი კავშირის გამოკვეთის მიზნით, საკასაციო პალატას მნიშვნელოვნად მიაჩნია, თითოეულ მოპასუხესთან მიმართებაში მიუთითოს იმ შესაძლო მოქმედებათა ერთობლიობაზე, რომელთა განხორციელების შემთხვევაშიც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზიანი თავიდან იქნებოდა აცილებული ან დამდგარი ზიანის მოცულობა შემცირდებოდა.

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლო მიუთითებს მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებზე. პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს 13.06.2015წ. მოვლენამდე განვითარებულ 04.06.2015წ. წყალმოვარდნაზე და თვლის, რომ 4 ივნისის წყალმოვარდნით გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით, მომავალი საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, გარემოს ეროვნულ სააგენტოს უნდა განეხორციელებინა სათანადო ღონისძიებები (გაფრთხილება, მონიტორინგი). გარემოს ეროვნული სააგენტოს 12.06.2015წ. №163 ბიულეტენში უნდა ასახულიყო 4 ივნისის ფაქტიც. გარდა ამისა, ჯერ კიდევ წყნეთი-ბეთანია-კიკეთის ტერიტორიაზე შესაბამისი ფერდების წყლით გაყვლითა, შესაბამისი ქანების წყლით დამძიმება, ქანების დახრილობა სპეციალისტებში გააჩენდა ვარაუდს, რომ ეს ქანები ვერ გაუძლებდა ასეთი ტიპის სიმძიმეს, მოხდებოდა ჩამოშლა და მენყერსაშიმ ზონად აქცევდა კონკრეტულ ტერიტორიას.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ განვითარებულ მოვლენასთან მიმართებაში სამსახურის მხრიდან დარღვევას ადგილი ჰქონდა როგორც პრევენციის, ისე რეაგირების კუთხით: დებულებით დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, სამსახურს შეეძლო და წინასწარ უნდა სცოდნოდა სტიქიის ზონის შესახებ. შესაბამისად, არსებობდა ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი შედეგების ლიკვიდაციის ხელმძღვანელობა, განსახილველ შემთხვევაში დაგვიანებული იყო. ამასთანავე, დებულებით განერილი ვალდებულება, კომპეტენციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემის მართვის უზრუნველყოფის თაობაზე, საქმის მასალებით არ დგინდება, მისი ობიექტურად არარსებობის გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს უკვე სტიქიის განვითარების პროცესში, მათი მხრიდან სიტუაციის არაადეკვატურად შეფასებასა და შემდგომი რეაგირების არარსებობაზე, რაც კონკრეტუ-

ლად გამოიხატა იმაში, რომ სტიქიის ზონამდე მისასვლელი გზები არ გადაკეტილა და აღნიშნულის გამო, ასევე შესაბამისი ინფორმაციის უქონლობის პირობებში, ადამიანები (მათ შორის, დ. გ-ი) მოხვდნენ სტიქიის ზონაში.

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალების გადამოწმების საფუძველზე, დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს და თვლის, რომ რიგ შემთხვევებში, სასამართლოს დასკვნები ეფუძნება სუბიექტურ შეფასებებს და არ არის სამართლებრივად არგუმენტირებული. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო შემთხვევაში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან 13.06.2015წ. მოვლენების კომპლექსურად განვითარებით მოსალოდნელი შედეგის პროგნოზირება შესაძლებელი იყო, შედეგი ექვემდებარებოდა კონტროლს და წინასწარ განჭვრეტას, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ სათანადოდ არ შეაფასა ტერიტორიის ისტორიულად მენყერსაშიობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ შედგენილ თბილისის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების საშიშროების ზოგად ანალიზს და 2015 წლის 13-14 ივნისს მდინარე ვერეს აუზში განვითარებული კატასტროფით გამოწვეული მდგომარეობის წინასწარ შეფასებას, რაც, მართალია, ფრაგმენტულად, მაგრამ მტკიცებულების სახით გამოყენებულია სააპელაციო სასამართლოს მხრიდან.

მითითებული შეფასების მიხედვით, 2015 წლის 13-14 ივნისს მდ. ვერეს წყალშემკრებ აუზში წარმოქმნილი კატასტროფული მოვლენა გამოიწვია გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების თანხვედრამ (მენყერები, ღვარცოფები, კლდეზვავები, ატმოსფერული ნალექები წვიმის და სეტყვის სახით, არსებულ წყალსადინარებზე გვერდითი და სიღრმისეული ეროზია, წყალმოვარდნა და დატბორვა, რაც ყველაზე მთავარია – მდ. ვერეს აუზის რთული მორფოლოგიური, გეოლოგიური და ტექტონიკური პირობები). კვლევების პროცესში გამოვლინდა სუბგანედური მიმართულების (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით) რღვევა, რომელიც ვრცელდება მამა დავითის ანტიკლინიდან სოფ. კიკეთის მიმართულებით და გაუყვება წყნეთისა და კოჯორის წყალგამყოფის თხემს. სწორედ აღნიშნულ ზონაში დაფიქსირდა დიდი მენყერული სხეულის მონყვეტა, ამასთან სტიქიით მიყენებული ზარალი გამოიწვია ქალაქის ფარგლებში მდ. ვერეს ქალა-კალაპოტის ზონაში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაწყებულმა სხვადასხვა სახის საინჟინრო საქმიანობამ, მათ შორის – საცხოვრებელი სახლების, ავტოფარეხების, გზების და სხვა სახის ინფრასტრუქტურის

ტურული ნაგებობების მშენებლობამ.

შეფასების თანახმად, კატასტროფის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხანგრძლივმა ინტესიურმა ნალექებმა (ბოლო 2,5 თვის მანძილზე მოსულმა მრავალწლიურ საშუალოზე 60%-ით მეტმა ნალექმა), რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაიჟონა ტერიტორიის ამგებ გრუნტებში, ტერიტორიაზე არსებული ხშირი ტყის გავლენით, რამაც საბოლოო ჯამში ჩამოაყალიბა მასშტაბური მენყრულ-გრაფიტაციული პროცესები, გადასული ღვარცოფულ ნაკადებში. ქალაქის ფარგლებში არსებულმა გვირაბებმა სრულად ვერ უზრუნველყვეს წყალტალახოვანი ნაკადების დროულად გატარება, ვინაიდან მათი ჩახერგვა ძირითადად გამოიწვია ხეობის ფერდობებზე მენყერების მიერ ტყის საფარის მოწყვეტამ და გადატანამ მთავარ არტერიაში (მდ. ვერე). მხოლოდ ე.წ. დიდი მენყერის ფარგლებში და მიმდებარე ტერიტორიაზე პროცესებმა წარიტაცა 4000-ზე მეტი კუბ. მეტრი მერქნიანი ხე-მცენარე.

წინასწარ შეფასებაში მოცემული ისტორიულ-სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მდ. ვერეს ხეობაში მოსული წყალმოვარდნები და წყალდიდობები, უმეტეს შემთხვევაში, გეოლოგიური პროცესების გააქტიურების შემთხვევაში, გადადის კატასტროფული ხასიათის ღვარცოფებში. აღნიშნული სახის სტიქიურ მოვლენებს 1924 წლიდან არაერთხელ ჰქონია ადგილი, რა დროსაც, ქალაქის ინფრასტრუქტურამ განიცადა უდიდესი ზარალი, ხშირად ადამიანთა მსხვერპლით. სტატისტიკური ანალიზის მიხედვით, მდ. ვერეს აუზში წყალმოვარდნების, ღვარცოფების და მენყერების მთავარი გამომწვევი ფაქტორია უხვი ატმოსფერული ნალექები და ზედდართული გეოლოგიური გარემოს მაღალი მგრძობიარობა ამ ხასიათის მოვლენებისადმი.

მდ. ვერეს ხეობაში განვითარებული სტიქიური მოვლენა უკავშირდება თავსხმა წვიმის შედეგად მდინარის სწრაფ ადიდებას, რისი ძირითადი მიზეზიც გახდა სოფ. წყნეთსა და ახალდაბას შორის, მდინარის მარცხენა კალთაზე წარმოქმნილი 800 ათასი – 1 მლნ კუბური მეტრის მოცულობის გრუნტის მოწყვეტა და მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ღვარცოფულ ნაკადად მდინარე ვერეს კალაპოტში შეღწევა.

საქმეს ერთვის გარემოს ეროვნული სააგენტოს 29.05.2019წ. №21/1396 წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის სასწავლო ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის მონაცემების თანახმად (2015 წლის 13 ივნისის მოვლენებამდე ლაბორატორია მდებარეობდა ვაკე-საბურთალოს გადასასვლელი გზის გვირაბის მიმდებარე ტერიტორიაზე), 2015 წლის 4 ივნისს, ღამის 02 საათზე და 30 წუთზე, ინტენსიური წვიმის შედეგად, მდ.

ვერეზე აღინიშნა წყალმოვარდნა, რომლის მაქსიმალურმა ხარჯმა 155.3 მ/წმ შეადგინა. აქვე მითითებულია, რომ წყალმოვარდნის შედეგად დაიტბორა თ. ე-ის ძაღლების თავშესაფრის გარკვეული ნაწილი, დაიხრჩო ათობით ძაღლი. წყალმოვარდნამ ლაბორატორია-საც მიაყენა ზარალი, დაიტბორა მდინარის მეორე ტერასაზე არსებული ტერიტორიის ნაწილი დამხმარე ნაგებობებით, დაზიანდა სადამკვირვებლო ჰიდრომეტრიული ხიდი. ამავე წერილის თანახმად, 2015 წლის 1, 2 და 3 ივნისს გარემოს ეროვნულ სააგენტოში მომზადდა და გავრცელდა 4 ივნისის შემდეგი შინაარსის პროგნოზი: თბილისში დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატება, ხანმოკლე წვიმა ელჭექით. ცვალებადი მიმართულების ქარი 10-15 მ/წმ. ელჭექის დროს შესაძლებელია ქარის შკვალური გაძლიერება. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +190, დღისით +310.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ შედგენილ ზემოაღნიშნულ „წინასწარ შეფასებას“, რომლის თანახმად, კონკრეტულად 2015 წლის 13-14 ივნისის კატასტროფული ღვარცოფული ხასიათის წყალმოვარდნა გარკვეულწილად განაპირობა მდინარე ვერეს აუზის მარჯვენა შენაკადის სათავეში წარმოქმნილმა გრაფიტაციული ხასიათის ერთ-ერთმა მენყერმა. ამასთანავე, სახეზე არ იყო ტიპური მენყერული მოვლენა. ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობის გრუნტში ჩაჟონვამ გამოიწვია მისი მალალი ხარისხით განყლოვანება, რამაც ხელი შეუწყო მენყერულ-ღვარცოფული პროცესების სწრაფ ჩასახვა-გააქტიურებას. ამავე შეფასებაში ასახულია განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ თუ არ განვითარდებოდა ღვარცოფული პროცესი ტყის მასივის ჩართვით (რომლის პროგნოზირება დროში, ადგილმდებარეობასა და მოცულობებში პრაქტიკულად შეუძლებელია) არ მოხდებოდა მასიურად წყალსადინარების დახშობა და ქალაქში ნაკლები ტრაგიკული შემთხვევა იქნებოდა. სპეციალისტების მოსაზრებით, ერთმანეთში არეულმა წყალ-ტალახ-ქვიანმა მასამ, წატაცებული დიდი რაოდენობის ხე-მცენარეულობა ჩამოიტანა ქალაქის ტერიტორიაზე. სწორედ აღნიშნული გახდა მდინარის კალაპოტში არსებული გვირაბების ჩახერგვა-გადაკეტვისა და ტალახოვანი ნაკადების კალაპოტის გარეთა სივრცეში გადადინების მთავარი მიზეზი.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადდა გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც ამავედროულად წარმოადგენს „წინასწარ შეფასებაზე“ ხელმომწერ ერთ-ერთ პირს. მისი განმარტებით, კლდე-ზვავური ტიპის მენყერული პროცესის განვითარების წინასწარ პროგნოზირება, მით უფრო სხვა მოვლენებთან ერთობლიობაში, არის



შეუძლებელი და აღნიშნულს ვერ უზრუნველყოფს ყველაზე განვითარებული ქვეყნის შესაბამისი ორგანოც კი. რაც შეეხება კონკრეტულად ვერეს ხეობაში ისტორიულად განვითარებულ მსგავს მოვლენებს, მისივე განმარტებით, წყალდიდობის ისეთი თანმხვედრი მოვლენები, როგორსაც ადგილი ჰქონდა 2015 წლის ივნისში, სხვა წლებში არ ყოფილა. მოსაზრებებზე, ქალაქში მეტეოსადგურების დიდი რაოდენობის არსებობის პირობებში პრევენციული ღონისძიებების მიღების უფრო მეტი შესაძლებლობის თაობაზე, დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მეტეოსადგურების რაოდენობა მნიშვნელოვანია მხოლოდ უხვი ნალექების პროგნოზირების თვალსაზრისით. მენყერის განვითარების შესაძლებლობის პროგნოზირებას მეტეოსადგური ვერ მოახდენს.

საგულისხმოა, ასევე სასამართლო სხდომაზე გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის განმარტება, რომელმაც აღნიშნა, რომ მაღალი დონის ტექნოლოგიების არსებობის პირობებშიც კი შეუძლებელი იქნებოდა 2015 წლის 13 ივნისს განვითარებულ მოვლენათა ერთობლიობის პროგნოზირება და პრევენცირება. ამ პირობებში, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ყურადღების გამახვილება იმ საკითხზე, რომ უხვი ნალექი გამოიწვევდა წყლის დონის მატებას. მისივე განმარტებით, მოცემული შემთხვევისათვის რელევანტურია ის გარემოება, რომ მხოლოდ უხვი ნალექის არსებობის პირობებში, წყლის ოდენობა, რომელიც სტიქიის დროს დაფიქსირდა, თანმდევი ანთროპოგენური ფაქტორების დართვის გარეშე, უპრობლემოდ გაივლიდა წყლის გამტარ გვირაბში. მოვლენათა კატასტროფულად განვითარების მთავარი მიზეზი გახდა გვირაბების ჩახერგვა წყალ-ტალახოვანი ხის მასალით და სხვა ნივთებით. ის, როგორც ამ დარგში შესაბამისი ცოდნით ალჭურვილი პირი, განმარტავს, რომ ანალოგიური მოვლენის სამომავლოდ განვითარების პროგნოზირება შეუძლებელია და კვლავ არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლომ თითოეული საქმის განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები, სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ 1924 წლიდან 2015 წლის სტიქიამდე მდინარე ვერეს აუზში სტიქიური მოვლენების არაერთხელ განვითარება და ტერიტორიის ისტორიულად მენყერსაშიშობა, რასაც ძირითადად ეფუძნება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვე-

ტილება, თავისთავად არ გამოორიცხავს 2015 წლის მოვლენის ინდივიდუალურად შეფასების აუცილებლობას, მისი განსაკუთრებული ნიშნებიდან გამომდინარე. ის გარემოება, რომ შესაბამისი ტერიტორია ისტორიულად სენსიტიურია (მათ შორის – მენეჯერსაშიშობის თვალსაზრისით) სადავო არ არის და გამყარებულია „წინასწარი შეფასების“ დასკვნებით. მოცემულ შემთხვევაში, შეფასების საგანს წარმოადგენს იმ კომპლექსურ მოვლენათა ერთობლიობის განვითარების წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობა, რომლებიც სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიულეტენში ასახულის გარდა (წყალმოვარდნა და ღვარცოფი) მოიცავდა მენეჯერს, ქვათაცვენას, კლდეზვავს და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი დარგის სპეციალისტები მიუთითებენ განვითარებულ მოვლენათა ისეთ ხასიათზე, რომლის შემადგენლობის განსაზღვრა, მისი ჩასახვისა და დინამიკაში მოსვლის მყისიერი ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია უმაღლესი სტანდარტის მქონე ტექნიკური საშუალებითაც კი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმეში აღნიშნული მოსაზრების გამომრიცხავი მტკიცებულებები (დასკვნები, დარგის სპეციალისტების შეფასებები) წარმოდგენილი არ არის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას, 2015 წლის 4 ივნისს დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან 2015 წლის 13 ივნისს მოსალოდნელ სტიქიურ მოვლენასთან მიმართებაში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე. როგორც უკვე აღინიშნა, საქმის მასალებით (მათ შორის – თავად სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებად შეფასებული „წინასწარი შეფასებით“) და შესაბამისი დარგის სპეციალისტთა განმარტებებით დგინდება, რომ მაღალი ტექნოლოგიების არსებობის და უფრო მეტი სათანადო მონაცემების არსებობის შემთხვევაშიც, შეუძლებელი იქნებოდა ისეთი კომპლექსური სტიქიური მოვლენის წინასწარ განსაზღვრა, რომელიც 13.06.2015წ. განვითარდა. ამასთან, სხვა თანმდევი ფაქტორების გათვალისწინებით, იგი მკვეთრად განსხვავდება მანამდე და მათ შორის, 04.06.2015წ. განვითარებული მოვლენებისაგან. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნები, რომლებიც ისტორიულად განვითარებულ მოვლენათა ურთიერთკავშირიდან გამომდინარეობს, ვერ უზრუნველყოფს მათი კომპლექსური კავშირის დადგენის შესაძლებლობას, მითითებული მოვლენების მასშტაბებისა და ხასიათის განსხვავებულობის გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ დასაბუთების პროცესში საყურად-

დებოდ მიიჩნია საქმეში CD დისკის სახით წარმოდგენილი, 2015 წლის 13-14 ივლისის სტიქიის შემდგომ მომზადებული სიუჟეტები და მიუთითა ჩანაწერების კონკრეტულ მონაკვეთებზე, რომლებშიც გამოთქმულია ცალკეულ პირთა მოსაზრებები, განვითარებული სტიქიური მოვლენის შესაძლო პროგნოზირებისა და მისი განვითარებით შესაძლო ზიანის თავიდან აცილების მიზნით, ეფექტური ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობასთან დაკავშირებით. საკასაციო პალატა, მოვლენათა განვითარების აღქმის თვალსაზრისით, არ გამორიცხავს ცალკეული სიუჟეტების გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა რესპოდენტთა გამოსვლები და მათი სუბიექტური აღქმები თუ სურვილები, მეცნიერული დასაბუთების ან სპეციალისტთა დასკვნის გარეშე ვერ იქცევა იმის მტკიცების საფუძვლად, იყო თუ არა 13.06.2015წ. განვითარებული მოვლენა წინასწარ განჭვრეტადი.

სააპელაციო სასამართლომ დეტალურად მიუთითა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს იმ ფუნქცია-მოვალეობებზე, რომლებიც ჩამოთვლილია სადავო პერიოდში მოქმედ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 10.05.2013წ. №27 ბრძანებით დამტკიცებულ სააგენტოს დებულებაში (გარემოზე დაკვირვების მონაცემთა შეკრება; არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ მოვლენებზე ხელშეწყობილი ზემოქმედების სამუშაოების დანერგვა და წარმოება; კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგების შერბილების და შესაბამისი ადაპტაციის ღონისძიებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და ა.შ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი მითითებული დებულება ნამდვილად ასახავს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის სავალდებულო მოქმედებათა ერთობლიობას, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, რამდენად არსებობდა მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში შესაბამის ვალდებულებათა ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, რომ სააპელაციო სასამართლო, ევროსასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით თავადვე ადასტურებს ბუნებრივ საფრთხეებთან მიმართებით სახელმწიფოსათვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების ფარგლების დამოკიდებულებას საფრთხის წარმომავლობასა და იმ ფაქტზე, თუ რამდენად ექვემდებარება ესა თუ ის რისკი შემცირებას, რასაც გასაჩივრებული განწყვეტილება არ შეიცავს.

საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას მიაქცევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინააღმდეგობრივ შინაარსზე. სააპელაციო სასამართლო არაერთგზის მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ

გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულმა №163 საინფორმაციო ბიულეტენმა ადმინისტრაციული ორგანოების სათანადო ყურადღება ვერ მიიპყრო, მისი შინაარსის არასრულყოფილი ხასიათის გამო, რაც ამავე სასამართლოს შეფასებით, იქცა მითითებული ორგანოს პასუხისმგებლობის განსაზღვრის საფუძვლად. იმ პირობებში, თუ ჩაითვლება, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უმოქმედობამ (არასათანადო მოქმედებამ) განაპირობა მითითებული დოკუმენტის არასრულყოფილება, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ პასუხობს კითხვას: შესაძლებელი იყო თუ არა სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან, მიწოდებული ამინდის პროგნოზიდან გამომდინარე, სამომავლო რისკების შეფასება. შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს თუ არა, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან სათანადო ინფორმაციის გაუვრცელებლობა კავშირშია სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან, შესაძლებელი და სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობის გამო.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს იმასთან დაკავშირებით, რომ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის წინასწარ განჭვრეტადი იყო სტიქიის ზონა, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება მისი მხრიდან იყო დაგვიანებული და საქმის მასალებით არ დგინდება საგანგებო სიტუაციების შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემის მართვის უზრუნველყოფა.

საქმეში წარმოდგენილია მასალები, რომლითაც დგინდება სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან ინტენსიური სამაშველო მოქმედებების განხორციელება სტიქიის ზონაში. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები შეიცავს ინფორმაციას სამაშველო მოქმედებებში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობის, სამუშაოებისათვის გამოყენებულ საშუალებათა სახეობებისა და ოდენობების შესახებ, თითოეული შესრულებული მოქმედების აღწერით. ამდენად, სამსახურის უმოქმედობა განვითარებულ მოვლენებთან მიმართებაში, საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დგინდება. რაც შეეხება სამსახურის მხრიდან სტიქიის ზონის იმთავითვე განსაზღვრისა და შესაბამისი რეაგირებისათვის პრიორიტეტულად მხოლოდ კონკრეტული ლოკაციის ჩათვლის შესაძლებლობას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, სტიქიის შესაბამისი ზონის საბოლოოდ ფორმირებამდე, რამდენად რეალური იყო სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის პრიორიტეტულად მხოლოდ ვაკე-საბურთალოს რაიონის ტერიტორიის განსაზღვრა და ძალების მობილიზება მხოლოდ ამ მიმართულებით. გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილებით მნიშვნელოვნად არის მიჩნეული 13.06.2015წ. 112-ში შესული ის სატელეფონო ზარები, რომლებიც დაფიქსირდა ვაკე-საბურთალოს რაიონიდან, 22:11 საათიდან 00:03 საათამდე შუალედში, სააპელაციო სასამართლო განცენებულად მიუთითებს მხოლოდ იმ ზარების ამონარიდზე, რომელიც კონკრეტული ლოკაციიდან მომდინარეობდა, თუმცა ამავე საქმის მასალებით დგინდება, რომ მითითებული დროის შუალედში ქალაქის სხვადასხვა ნაწილიდან შედიოდა იმავე შინაარსის შეტყობინებები და განხორციელებული ზარების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების სამსახურს უწევდა რეაგირება სხვადასხვა რაიონებში არსებულ პრობლემურ ადგილებთან მიმართებაში. სტიქიის მასშტაბური მოცულობიდან გამომდინარე, დასაბუთებას საჭიროებს, შესაძლებელი იყო თუ არა დროის მცირე მონაკვეთში პრიორიტეტების განსაზღვრა და გამოკვეთა, არსებობდა თუ არა შესული ინფორმაციის საფუძველზე, ლოკალური ადგილების წინასწარ განსაზღვრისა და პროგნოზირების შესაძლებლობა. საყურადღებოა, რომ როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მიმართებაშიც ასკენის, რომ პრიორიტეტების სწორად განსაზღვრით დ. გ-ი ვერ მოხვდებოდა სტიქიის ზონაში, თუმცა, როგორც აღინიშნა, სამართლო არ ასაბუთებს ამ პრიორიტეტების დადგენის შესაძლებლობას და არ უთითებს, კონკრეტულად რა სახის ქმედების განხორციელებით უზრუნველყოფდა აღნიშნული სამსახური დ. გ-ის სტიქიის ზონაში მოხვედრის თავიდან აცილებას, მითუფრო იმ პირობებში, როდესაც საგზაო მოძრაობის რეგულირება არ შედის მის კომპეტენციაში, ხოლო ინტენსიური სამაშველო ღონისძიებების განხორციელების თვალსაზრისით, როგორც უკვე აღინიშნა, ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა არ დასტურდება.

რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, სააპელაციო სასამართლომ შეაფასა უკვე სტიქიის მიმდინარეობის პროცესში, მოვლენაზე რეაგირების ეფექტურობის საკითხი. სასამართლომ ჩათვალა, რომ სტიქიის ზონამდე მისასვლელი გზების გადაკეტვა და შესაბამის პირთა დროული ინფორმირება გამორიცხავდა მათი სტიქიის ზონაში მოხვედრას და ტრაგიკული შედეგის დადგომას. სააპელაციო სასამართლო, მითითებული არგუმენტის საფუძველიანად მიჩნევას ძირითადად უკავშირებს საქმეში CD დისკის სახით წარმოდგენილი, 2015 წლის 13-14 ივლისის სტიქიის შემდგომ მომზადებული სიუჟეტების კონკრეტულ მონაკვეთებს, რომლებშიც გამოთქმულია ცალკეულ პირთა მოსაზრებები, განვითარებული სტი-

ქიური მოვლენის შესაძლო პროგნოზირებისა და მისი განვითარებით შესაძლო ზიანის თავიდან აცილების მიზნით, ეფექტური ღონისძიებების (მათ შორის – საპატრულო პოლიციის მხრიდან გზის გადაკეტვის მოქმედების) განხორციელების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს შეფასება შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობის თაობაზე ასევე ეფუძნება იმ გარემოებაზე მითითებას, რომ სსიპ 112-ში, 13 ივნისს 23:08:46 საათსა და 23:10:40 საათზე თ. ე-ის მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარების შინაარსის ადექვატურად აღქმის შემთხვევაში, მოხდებოდა სტიქიის ზონის განსაზღვრა, ვითარების სწორად გაანალიზება და სტიქიის ზონამდე მისასვლელი გზების გადაკეტვა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ მითითებული სატელეფონო ზარიდან გამომდინარე შეუძლებელია ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება, ადმინისტრაციული ორგანოსათვის სტიქიის ზონის განსაზღვრისა და მითუფრო, ამ ზონამდე მიმავალი გზების გადაკეტვის ვალდებულების წარმოშობის თაობაზე. გაურკვეველია, რამდენად შეეძლო გავლენის მოხდენა საპატრულო პოლიციის მხრიდან გზის გადაკეტვის შესახებ გადანყვებილების მიღებაზე სატელეფონო ზარებს და პირდაპირ კავშირში იყო თუ არა სატელეფონო ზარებში ასახული შეტყობინებების შინაარსი ახალი გზის ტერიტორიაზე ავტომობილების გადაადგილებისათვის საფრთხის შექმნასთან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში საკასაციო სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია, მიუთითოს საკასაციო სასამართლოს სხდომაზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებაზე, სადაც აღინიშნა, რომ 13.06.2015წ. მოვლენის განვითარების პროცესში, 00:20 საათზე სამსახურმა გამოაცხადა განგაში, რაც მიზნად ისახავდა შიდა ძალების მკაცრად მობილიზებას და სტიქიის ზონაზე მაქსიმალური ყურადღების გადატანას.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის 26.08.2008წ. №415 ბრძანებულებით დამტკიცებულ „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმაზე“, რომელიც ემსახურება ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილებას, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემის ამოქმედებას, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფით. მნიშვნელოვანია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადანყვები-

ლებაში მიუთითა აღნიშნულ ბრძანებულებაზე, მხოლოდ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისათვის სავალდებულოდ დადგენილი ერთ-ერთი შესაძლო მოქმედების ვალდებულების ხაზგასასმელად (გზის გადაკეტვა – ფუნქცია №14).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული „გეგმის“ 17.1 მუხლის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა ხორციელდება 17 ძირითადი ფუნქციის ამოქმედებით. მათ შორის, საგანგებო მართვის უზრუნველყოფის ფუნქციასთან მიმართებაში ძირითად ორგანოდ მიჩნეულია შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი (ფუნქცია №1), რომელიც ოპერატიული რეაგირების მიზნით, საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობის ან მისი განვითარების შემთხვევაში, იწყებს საგანგებო მართვის ღონისძიებების განხორციელებას – აცხადებს განგაშს და ატყობინებს შექმნილი მდგომარეობის თაობაზე შესაბამის უწყებებსა და პირებს. ამასთან, აღნიშნული „გეგმით“ გათვალისწინებული №14 ფუნქცია მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფას. ფუნქციის განმახორციელებელ ერთ-ერთ ძირითად ორგანოდ მიჩნეულია შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ხოლო შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი მიჩნეულია მხოლოდ მხარდამჭერ უწყებად. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ ერთ-ერთ შესაძლო ღონისძიებად მიჩნეულია საგანგებო სიტუაციების დროს ქუჩების გადაკეტვა.

ზემოაღნიშნული ბრძანებულებიდან გამომდინარეობს, რომ ერთი მხრივ, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კომპეტენციაში შედის განგაშის გამოცხადების შესაძლებლობა, რასაც ის ატყობინებს შესაბამის ორგანოებს და პირებს, ხოლო მეორე მხრივ, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთ შესაძლო ქმედებად მიჩნეულია გზის გადაკეტვა საგანგებო სიტუაციის დროს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, კონკრეტულად როდის მოხდა განგაშის გამოცხადება, იყო თუ არა დროში გონივრული თანხვედრა განგაშის შეტყობინებასა და გზის გადაკეტვას შორის, დამოკიდებული იყო თუ არა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაძლო ქმედება – გზის გადაკეტვა – საგანგებო სიტუაციის სამსახურის მხრიდან განგაშის გამოცხადებასა და მის ინფორმირებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული დავის სწორედ გადაწყვეტის მიზნებისათვის, სააპელაციო სასამართლოს ყველა მოპასუხესთან მიმარ-

თებაში, მნიშვნელოვნად უნდა ჩაეთვალა როგორც 2015 წლის 13 ივნისს განვითარებული სტიქიური მოვლენის განსაკუთრებულობა, ისე მისი განსხვავება თბილისის ტერიტორიის იმავე ზონაში განვითარებული სხვა მოვლენებისაგან, რამდენადაც როგორც პრევენციის, ისე რეაგირების კუთხით ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მათთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების განუხორციელებლობა ან/და უმოქმედობა პირდაპირ კავშირშია სტიქიის ზონაში განვითარებულ მოვლენათა სირთულესთან. თითოეული ადმინისტრაციული ორგანოსათვის დებულებით დაკისრებული ფუნქციების ჩამონათვალი, მოცემულ შემთხვევასთან მიმართებაში, გულისხმობდა როგორც მათი განხორციელების ვალდებულებას, ისე რეალურ შესაძლებლობასაც, რასაც უპირობოდ შედეგად უნდა მოჰყოლოდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან აცილება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელიც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა გახდეს, მოიაზრებს შესაბამისი პირის მხრიდან როგორც აქტიური მოქმედების განხორციელებას, ისე უმოქმედობასაც, რამაც შეიძლება არანაკლებ მძიმე შედეგი გამოიწვიოს. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმართებაში, მათი უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტებით (დებულებებით) გათვალისწინებულია სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფ მიზეზობრიობის ჯაჭვში აქტიური მოქმედებით ჩართვისა და სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის თავიდან აცილების ვალდებულება.

უდავოა, რომ განვითარებულ მოვლენებთან მიმართებაში, უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი რეაგირებისაკენ მიმართული ქმედება, თითოეული ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენს, თუმცა საკასაციო პალატა თვლის, რომ დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელების შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს რეალური. იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობამ (განვითარებულ მოვლენასთან მიმართებაში პრევენციის ან რეაგირების კუთხით შესაბამის ვალდებულებათა განუხორციელებლობამ) წარმოშვას ბრალეული მიზეზობრიობა, აუცილებელია, ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდეს მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა რეალურად განხორციელების შესაძლებლობა. გარდა ამისა, უნდა დადგინდეს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებელი და სავალდებულო მოქმედებით, თავიდან იქნებოდა აცილებული შედეგი, რომელმაც კონკრეტული პირის (პირებისათვის) ზიანი გამოიწვია. მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ზი-



ანი, რომლის თავიდან აცილების შესაძლებლობაც გააჩნია კანონით გათვალისწინებულ სუბიექტს – ადმინისტრაციულ ორგანოს, განპირობებულია გარეშე ფაქტორებით, ხოლო ორგანოს შესაძლო უმოქმედობით გამოწვეული ბრალეულობის საკითხი უნდა დადგინდეს თავად ამ ფაქტორებზე ზემოქმედების და საფრთხის შემცირების ან თავიდან აცილების შესაძლებლობით. ამდენად, შემთხვევის სპეციფიკურობის, განსაკუთრებულობის, მასშტაბურობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტის მიზნებისათვის, მნიშვნელობა უნდა მიიჩქებოდეს ერთ მთავარ საკითხს: იყო თუ არა სახეზე ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული უმოქმედობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. კასატორების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასა-

მართლოს;

3. მხარეთათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ზიანის ანაზღაურებისა და უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-724-724(კ-18)

17 ივნისი 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ა. ნულაძე**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 11 აპრილს ა(ა)იპ ...ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს პროკურატურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახურის მიმართ, სახელმწიფოსათვის ა(ა)იპ ...ას სასარგებლოდ 27 301 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, ა(ა)იპ ...ა იყო შპს „კ...ის“ 100%-იანი წილის მფლობელი დამფუძნებელი პარტნიორი, რომელიც, თავის მხრივ, ფლობდა სს „...ას“ აქციათა 67,52%-ს. შპს „კ...ის“ რეგისტრაცია გაუქმდა 2011 წლის 25 ნოემბერს.

2011 წლის ... და ...ს ...ა „...-ის“ ეთერით გადაცემა სს „...ას“ საქმიანი რეპუტაციის შემლახავი რამდენიმე სიუჟეტი, ხოლო 2011 წლის 18 მარტს დილით დააკავეს ა(ა)იპ ...ას გამგეობის წევრი და სს „...ას“ გენერალური დირექტორი ლ. ლ-ე, რომელსაც პროკურორმა გ. ლ-მა სხვა პროკურორის თანდასწრებით აცნობა, რომ უნდა გადაეხადა 15 მილიონი ლარი, თუმცა შემდგომ თანხის ოდენობა საზედამხედველო კაპიტალის ოდენობამდე – 12 მილიონ ლარამდე შემცირ-

და. ლ. ლ-ეს უთხრეს, რომ გაგრძელებოდა სს „...ას“ დისკრედიტაციის შემცველი სიუჟეტების გაშვება და მოხდებოდა ...ას გამგეობისა და სს „...ას“ დირექტორატის წევრების დაკავება. 2011 წლის 18 მარტს პროკურორმა გ. ლ-მა ა(ა)იპ ...ას გამგეობის თავმჯდომარეს თ. ლ-ეს ლ. ლ-ეზე დასაკისრებელი ჯარიმის გადახდის წყაროდ დაუსახელა ...ას აქციების გაყიდვა. პროკურორმა გაიმეორა იგივე მუქარა, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ...ი მისი კუთვნილი აქციების რეალიზაციას არ მოახდენდა, გაგრძელებოდა ბანკის იმიჯის შემლახველი სიუჟეტების გაშვება, ბანკის დისკრედიტაცია და გაკოტრება, ასევე მოხდებოდა სს „...ას“ დირექტორატისა და ...ას გამგეობის წევრების დაკავება. პროკურორმა გ. ლ-მა ...ას მიერ ჯარიმის გადახდის შედეგად საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ გამოიცემოდა მთავრობის დადგენილება, რომლის საფუძველზედაც ...თან დაიდებოდა საგადასახადო შეთანხმება. აღნიშნულმა განაპირობა, რომ 2011 წლის 18 მარტს სს „თ...სა“ და სს „...ას“ აქციონერებს შორის მოხდა შეთანხმება 12 000 000 ლარის კრედიტის გაცემის პირობებზე. აღნიშნული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იმავე დღეს გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულებები. 2011 წლის 18 მარტსვე სს „თ...სა“, ...ას დავალებით, თბილისის სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე სისხლის სამართლის საქმეზე ლ. ლ-ის ჯარიმის გადასახდელად გადარიცხა 12 000 000 ლარი, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 მარტის განაჩენით, რომლითაც ლ. ლ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 12 000 000 ლარის ოდენობით, დამტკიცებულ იქნა 2011 წლის 18 მარტს გაფორმებული საპროცესო შეთანხმება. 2011 წლის 13 მაისს ა(ა)იპ ...ასა და სს „თ...ს“ შორის გაფორმდა აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ...ამ სს „თ...ს“ მიჰყიდა სს „...ას“ 12140680 A კლასის აქცია, რაც შეადგენდა საზოგადოების ხმის უფლების მქონე განთავსებულ აქციათა საერთო რაოდენობის 67,52%-ს. ვინაიდან ა(ა)იპ ...ა იძულებული იყო, უმოკლეს ვადაში მოეხდინა აქციების რეალიზაცია ჯარიმის გადახდის მიზნით, ა(ა)იპ ...ას მიერ აქციების რეალიზაცია მოხდა საბაზროზე ნაკლებ ფასად, ხოლო საბაზრო ფასი შეადგენდა 27 301 000 ლარს.

მოსარჩელე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 978-ე მუხლზე და განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლის საფუძველზე მოთხოვნის წარდგენისთვის უნდა არსებობდეს, შემდეგი პირობები: 1. ერთი პირის მიერ მეორე პირისთვის ქონების გადაცემა; 2. ქონების გადაცემა არ უნდა ხდებოდეს ამ პირის არსებული ვალდებულების ფარგლებში; 3. გადაცემა უნდა იყოს მუქარის ან

იძულების შედეგი; 4. პირს, რომელმაც ქონება მიიღო, არ უნდა ჰქონდეს უფლება გადაცემულ ქონებაზე. მოსარჩელის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ოთხივე წინაპირობა, რამეთუ ...ამ სახელმწიფოს გადაუხადა 11 477 799 ლარი. აღნიშნული ტრანზაქცია არ გამომდინარეობდა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან და ასევე არ ემსახურებოდა ...ას სახელმწიფოს წინაშე არსებული რაიმე ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული ვალდებულება, შესაძლებელია, ჰქონოდა ლ. ლ-ეს და არა ...ას. ...ის გამგეობას სახელმწიფოსათვის თანხის გადაცემის გადანყვეტილება საკუთარი ნებით არ მიუღია, არამედ აღნიშნული იყო მუქარისა და იძულების შედეგი. ...ის გამგეობის წევრების მიმართ ადგილი ჰქონდა მუქარასა და იძულებას, რომ მოხდებოდა როგორც ...ას დისკრედიტაცია და დისკრედიტაციის გზით გაკოტრება, ასევე, მათი დაკავება. ვინაიდან დაკავებისა და გაკოტრების თაობაზე მუქარა მოდიოდა სახელმწიფოს წარმომადგენლის მხრიდან, ...ის გამგეობის წევრებს ჰქონდათ სრული საფუძველი, ევარაუდათ, რომ მათ ემუქრებოდათ თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ბანკს გაკოტრება. შესაბამისად, თანხის გადაცემა სახელმწიფოსთვის იყო მხოლოდ იძულებისა და მუქარის შედეგი, ხოლო სახელმწიფოს არ ჰქონდა რაიმე სახის უფლება ...ას ქონებაზე, რამეთუ სახელმწიფოს გაფორმებული საპროცესო შეთანხმებიდან გამომდინარე ჯარიმის გადახდის ვალდებულება მხოლოდ ლ. ლ-ეს გააჩნდა. კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენდა ლ. ლ-ისთვის დაკისრებული ჯარიმის შესაბამისი თანხის მიღება მესამე პირისგან, ვინაიდან სახელმწიფოსთვის ცნობილი იყო რა აქტივებს ფლობდა ...ი და შეეძლო თუ არა მრავალმილიონიანი ჯარიმის გადახდა. ის, რომ სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენდა ხსენებული თანხის მიღება, დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ მოგვიანებით ...თან გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება, რითაც, ფაქტობრივად, ...ი გათავისუფლდა ვალდებულებისგან, გადაეხადა მოგების გადასახადი სს „...ას“ აქტივების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლიდან.

მოსარჩელე მოთხოვნის საფუძველად ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 412-ე მუხლზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე და განმარტავს, რომ 1005-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: 1. ქმედების სუბიექტი – სახელმწიფო მოსამსახურე; 2. სახელმწიფო მოსამსახურის მხრიდან ადგილი უნდა ჰქონდეს განზრახვას ან უხემ გაუფრთხილებლობას – სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევას; 3.

სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა უნდა განხორციელდეს სხვა პირის მიმართ; 4. სახეზე უნდა იყოს ზიანი; 5. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევასა და დამდგარ ზიანს შორის, კერძოდ ზიანი უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის ქმედების პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი; 6. ზიანი უნდა იყოს წინასწარ სავარაუდო. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წინაპირობა – პროკურორი წარმოადგენს საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირს, რომლის მხრიდან ადგილი ჰქონდა ...ას გამგეობის წევრების მიმართ მუქარას – სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევას. ის გარემოება, რომ არა მხოლოდ უშუალოდ პროკურორი იყო დაინტერესებული მუქარის გზით ჯარიმის მესამე პირისგან მიღებაში, არამედ სახელმწიფოც, დასტურდება საგადასახადო შეთანხმებით. მუქარის ადრესატი იყო ...ა – ანუ სამსახურებრივი მოვალეობა პროკურორმა დაარღვია სხვა პირთან მიმართებაში და აღნიშნულმა გამოიწვია ზიანის მიყენება. პროკურორის მხრიდან ადგილი რომ არ ჰქონოდა განზრახ და კანონსაწინააღმდეგო მუქარასა და იძულებას, ...ის მიერ არ მოხდებოდა მის საკუთრებაში არსებული აქციების 24 საათში და საბაზროზე გაცილებით დაბალ ფასად რეალიზება და ლ. ლ-ისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდა, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლისა და ვალდებულების გარეშე.

ამდენად, მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა ფაქტობრივ-სამართლებრივად დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 ოქტომბრის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2014 წლის 11 ნოემბერს ა(ა)იპ ...ამ დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს პროკურატურის მიმართ, სადაც ...მა შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ 11 477 799 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. დაზუსტებულ სარჩელში მოსარჩელემ განმარტა, რომ ...მა აქციების საბაზრო ფასზე დაბალ ფასად რეალიზაციის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოახდინა სხვა წყაროდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 აპრილის განჩინებით ა(ა)იპ ...ას სარჩელი მოპასუხე საქართველოს პროკურატურის მიმართ, მესამე პირი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, განსახილველად განსჯა-

დობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 აპრილის განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად ა(ა)იპ ...ას სარჩელი გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის განჩინებით ა(ა)იპ ...ას სარჩელი საქართველოს პროკურატურის მიმართ, მესამე პირი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ...ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა(ა)იპ ...ა წარმოადგენდა შპს „კ...ის“ 100 %-იანი წილის მფლობელს. შპს „კ...ი“ ფლობდა სს „...ას“ აქციათა 67,52%-ს.

...ას გამგეობის თავმჯდომარეს წარმოადგენდა თ. ლ-ე, გამგეობის წევრები იყვნენ: გ. ვ-ი, ლ. ლ-ე, ნ. თ-ა, მ. ჯ-ა. ლ. ლ-ე ასევე წარმოადგენდა სს „...ას“ გენერალურ დირექტორსა და შპს „კ...ის“ დირექტორს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 25 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით გაუქმდა შპს „კ...ის“ რეგისტრაცია.

2011 წლის ... და ... სს ...ა „...-ის“ საინფორმაციო გადაცემებში გავიდა რეპორტაჟები სს „...ას“ შესახებ. 2011 წლის ... სს გაშვებული სიუჟეტის დაწყების წინ წამყვანმა განაცხადა, რომ ჩატარდა ჟურნალისტური გამოძიება, როგორ იშოვეს მილიონები მთავრობისა და პარლამენტის ყოფილმა წევრებმა. ჟურნალისტის განცხადებით, ...ას დაზარალებულმა მოქალაქეებმა მიმართეს. ერთ-ერთი მოქალაქე ინტერვიუში აცხადებს, რომ მიმართა სს „...ას“ სესხის გადახდის გადავადების მოთხოვნით, რაზედაც უარი ეთქვა. ამასთან, ბანკმა მისი ქონება გაყიდა და მიუხედავად ამისა, დამატებით მოსთხოვა თანხის გადახდა. რეპორტაჟში მითითებული იყო, რომ სს „...ა“ ... წელს ჩამოყალიბდა, თუმცაღა ... წელს ასოციაციის, ხოლო შემდეგ ...ის სახით არსებობდა. ამ დროიდან ჩნდებიან სიაში ...ის წევრები ლ. და თ. ლ-ეები. ჟურნალისტის განცხადებით, ცვლილება განპირობებულ იქნა 2007 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, რომლის საფუძველზეც აუცილებელი გახდა ბანკის შპს-ს ან სს-ს სახით რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში, ასე-

ვე, ...ის წევრებმა მიიღეს ქონების განკარგვის უფლება. აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნოდა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, რომლის თამაჯდომარეც სიუჟეტის მომზადების დროისთვის ...ას სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო. ჟურნალისტის განმარტებით, თ. და ლ. ლ-ეებმა დააარსეს სს და შპს ერთდროულად. გრანტის სახით მიღებული თანხა კი გამოიყენეს ბანკის სანესდებო კაპიტალად. სიუჟეტში ნაჩვენები იყო თ. ლ-ესთან ინტერვიუ, როდესაც იგი მიუთითებს, რომ უცხოური დონორებისგან მიღებული გრანტით მოხდა ბანკის დაარსება. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ გრანტები განკუთვნილი იყო სიღარიბის დაძლევისა და მიკროსესხებისთვის, ხოლო დანიშნულების შეცვლა მხოლოდ შესაბამისი შეთანხმებით შეიძლებოდა, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც არ წარუდგენია თ. ლ-ეს. თ. ლ-ემ კი განმარტა, რომ ნებისმიერ არასამეწარმეო იურიდიულ პირს შეეძლო სამეწარმეო სუბიექტის შექმნა მისი ქონებით და მას გააჩნდა ყველა დონორთან შეთანხმება.

2011 წლის ... ..ს გასულ სიუჟეტში ინტერვიუ არის აღებული სოფელ ...სა და ...ში მცხოვრები რამდენიმე პირისგან. აღნიშნულია, რომ ბანკმა ერთი თვის პროცენტის გადაუხდელობის გამო, ყოველგვარი გაფრთხილებისა და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, მოახდინა მათი ქონების გასხვისება, თუმცაღა მათი დავალიანება არ შემცირებულა. ასევე, მითითებულია, რომ უარს არ აცხადებდნენ სესხის გადახდაზე, არამედ სურდათ გრაფიკის შედგენა. ჟურნალისტი ასევე აღნიშნავდა, რომ საექვო იყო ბანკის დაფუძნების სქემა.

2011 წლის 19 მარტს 11:00 საათზე შედგენილია ბრალდებულ ლ. ლ-ის დაკავების ოქმი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელმა გ. კ-მა 2011 წლის 19 მარტს, 10:50 საათზე დააკავა ლ. ლ-ე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. დაკავების ოქმს ხელს აწერენ დაკავებული – ლ. ლ-ე და დაკავებულის დამცველი – გ. ყ-ი.

2011 წლის 19 მარტს გამოცემულია ლ. ლ-ის ბრალდების შესახებ დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ლ. ლ-ე ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულ დეპარტამენტში 2011 წლის 17 მარტს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე, ...ას დამფუძნებლების მიერ ორგანიზაციის ინტერესების სანინაალმდეგოდ ხელმძღვანელობითი უფლება-

მოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 220-ე მუხლით. ლ. ლ-ე 2011 წლის 19 მარტს დაკავებულ იქნა ბრალდებულის სახით და მას წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით. საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის 2011 წლის 19 მარტის დადგენილებით ...ას დამფუძნებლების მიერ ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაწყებული სისხლის სამართლის №... საქმიდან ცალკე წარმოებდა გამოეყო საქმე დაუდგენელი პირების მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 220-ე მუხლით. გამოყოფილ საქმეს მიენიჭა დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომერი ....

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 მარტის განაჩენის მიხედვით, ლ. ლ-ეს ბრალი დაედო მასში, რომ ჩაიდინა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მოცემული განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, დადებული 2011 წლის 18 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორსა და ბრალდებულ ლ. ლ-ეს შორის. ლ. ლ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 12000200 ლარის ოდენობით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ იგი იმყოფებოდა დაკავებაში 2011 წლის 19 მარტის 10:50 საათიდან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დაკავებაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, დანიშნული სასჯელი შემცირდა 200 ლარით და საბოლოოდ ლ. ლ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 12 000 000 ლარის ოდენობით.

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხი სასამართლომ განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე სახელმწიფო ბრალმძებლის, ბრალდებულ ლ. ლ-ისა და ადვოკატ გ. ყ-ის მონაწილეობით. განაჩენის მიხედვით, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე პროკურორმა, ბრალდებულმა და მისმა ადვოკატმა. ლ. ლ-ემ თავი დამნაშავედ ცნო წარდგენილ



ბრალდებაში და განმარტა, რომ დანაშაული ჩაიდინა პროკურორის მიერ შუამდგომლობაში აღწერილ ვითარებაში.

განაჩენში მითითებულია, რომ იგი შედის კანონიერ ძალაში და სასჯელის ნაწილში აღსრულდება დაუყოვნებლივ. ამასთან, მსჯავრდებულს უფლება აქვს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინოს საჩივარი ამ განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ: ა) საპროცესო შეთანხმება მოტყუებით დაიდო; ბ) ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება; გ) საპროცესო შეთანხმება იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით დაიდო; დ) საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულვებლყო საპროცესო კანონით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა.

2011 წლის 19 მარტს სს „თ...სა“ და ...ას შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება №..., რომლის საგანი გახდა ბანკის მიერ მსესხებლისთვის სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით 12 000 000 ლარის ოდენობით. კრედიტის მიზნობრიობაში მიეთითა თბილისის სააღსრულებო ბიუროში ლ. ლ-ის ჯარიმის გადახდა.

სესხის ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით მხარეებს შორის 2011 წლის 19 მარტს გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება №... და გირავნობის საგნად განისაზღვრა ...ას 100% წილი შპს „კ...ში“. 2011 წლის 19 მარტს №... ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად სს „თ...სა“ და ზ. მ-ს, ნ. თ-ას, გ. ვ-ს, თ. ლ-ეს, გ. ლ-ას, მ. ჯ-ასა და ლ. ლ-ეს შორის დაიდო გირავნობის ხელშეკრულება №... და გირავნობის საგნად განისაზღვრა გ. ვ-ის კუთვნილი 67360 ცალი აქცია სს „...აში“, ნ. თ-ას კუთვნილი 67360 ცალი აქცია სს „...აში“, თ. ლ-ის კუთვნილი 965493 ცალი აქცია სს „...აში“, ზ. მ-ის კუთვნილი 246987 ცალი აქცია სს „...აში“, გ. ლ-ას კუთვნილი 246987 ცალი აქცია სს „...აში“, მ. ჯ-ას 67360 ცალი აქცია სს „...აში“, ლ. ლ-ის კუთვნილი 583787 ცალი აქცია სს „...აში“.

2011 წლის 19 მარტს, ერთი მხრივ, სს „თ...ს“ და მეორე მხრივ, ...ას, მესამე მხრივ, ზ. მ-ს, ნ. თ-ას, გ. ვ-ს, თ. ლ-ეს, გ. ლ-ას, მ. ჯ-ასა და ლ. ლ-ეს და, მეოთხე მხრივ, შპს „კ...ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება შესყიდვის ოფციის მინიჭების შესახებ, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა, რომ მესაკუთრე და ბანკი თანხმდებიან ბანკისთვის შვილობილ კომპანიაში მესაკუთრის კუთვნილი 100% წილისა და აქციათა მესაკუთრეთა კუთვნილ ბანკის წინაშე მსესხებლის ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად დაგირავებული აქციების შესყიდვის ოფციისა და შესაბამისი პუნქტებით განსაზღვრულ ქონებაზე უპირატესი შესყიდვის უფლების მინიჭების თაობაზე ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით. ხელშეკ-

რულების 2.1. პუნქტით დადგინდა, რომ 2011 წლის 19 მარტის კრედიტის ხელშეკრულებით შეთანხმებული კრედიტის სრულად დაფარვამდე ბანკს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს საჯარო რეესტრის შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში და/ან შესაბამის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან მხოლოდ ცალმხრივი განცხადების წარდგენის საფუძველზე, დაარეგისტრიროს საკუთრების უფლება მესაკუთრის საკუთრებაში არსებულ 100% წილზე შევილობილ კომპანიაში და №... ხელშეკრულებით აღწერილ აქციათა მესაკუთრეთა კუთვნილ ბანკის წინაშე მსესხებლის ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად დაგირავებულ აქციებზე, რის სანაცვლოდაც მოხდება კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის გაქვითვა.

2011 წლის 18 მარტს სს „თ...ის“ მიერ თბილისის სააღსრულებო ბიუროსთვის (საპროცესო) გადარიცხულია 12 000 000 ლარი. საგადახდო დავალებაში მითითებულია: „გადამხდელი ბანკი: „თ...ი“; მიმღები: თბილისის სააღსრულებო ბიურო (საპროცესო); მიმღების ანგარიში: №..., ხაზინა; მიმღების ბანკი: სს „...ი“; გადახდის დანიშნულება: სისხლის სამართლის საქმე №... ლ. ლ-ის ჯარიმის გადახდა.

2011 წლის 13 აპრილს ჩატარდა შპს „კ...ის“ 100% წილის მფლობელი ...ას გამგებობის სხდომა და გადაწყდა, რომ შპს „კ...ის“ სანესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანის უკან დაბრუნების მიზნით უნდა მომხდარიყო სანესდებო კაპიტალის შემცირება 12 140 680 ლარით, რაც უნდა განხორციელებულიყო არაფულადი აქტივის – 12 140 680 ცალი სს „...ას“ აქციის გამოტანით.

2011 წლის 13 მაისს ჩატარდა ...ას გამგებობის კრება, რომელზეც გადაწყდა, რომ გასხვისებულიყო ...ას საკუთრებაში არსებული სს „...ას“ 12 140 680 ერთეული A კლასის აქცია სს „თ...ის“ სასარგებლოდ. სს „...ას“ აქციონერებს: ზ. მ-ს, ნ. თ-ას, გ. ვ-ს, თ. ლ-ეს, გ. ლ-ას, მ. ჯ-ასა და ლ. ლ-ეს მიენიჭათ უფლებამოსილება მათი კუთვნილი სს „...ას“ აქციების სს „თ...ზე“ გასხვისების თაობაზე.

2011 წლის 13 მაისს სს „...ას“ აქციონერ ...ას და სს „თ...ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება სს „...ას“ 12 140 680 ერთეული ჩვეულებრივი A კლასის აქციის, რაც შეადგენდა საზოგადოების ხმის უფლების მქონე განთავსებულ აქციათა საერთო რაოდენობის 67,513797%-ს, ნასყიდობის თაობაზე. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა ერთ აქციაზე 0,9454 ლარით, რამაც ჯამში შეადგინა 11 477 799 ლარის ოდენობით.

2011 წლის 13 მაისს სს „...ას“ აქციონერ თ. ლ-ესა და სს „თ...ს“ შორის დაიდო აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც თ. ლ-ესთან ერთად, გ. ვ-მა, ნ. თ-ამ, ზ. მ-მა, გ. ლ-ამ, მ. ჯ-ამ, ლ. ლ-ემ სს „თ...ს“ მიჰყიდეს თავისი კუთვნილი აქციები სა-

ზოგადოების კაპიტალში. ერთი აქციის ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 0,9454 ლარით, რამაც ჯამში შეადგინა 912777 ლარი.

2012 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გამოსცა №... ბრძანება ...ასთან საგადასახადო შეთანხმების აქტის გაფორმების თაობაზე, რომლითაც 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის ა(ა)იპ ...ას მიერ მოგებისა და საშემოსავლო გადასახადში არადეკლარირებული გადასახდელი საგადასახადო ვალდებულების ოდენობა განისაზღვრებოდა 2000 ლარით.

2012 წლის 8 ოქტომბერს ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე და გათვალისწინებული პირობით სსიპ შემოსავლების სამსახურსა და ა(ა)იპ ...ას შორის გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება.

საშემფასებლო კომპანია „...-ს“ 2014 წლის 17 მარტის დასკვნის შესაბამისად, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „...ას“ აქციათა 67,513797 %-იანი პაკეტის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 27301000 ლარით.

2015 წლის 17 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა №15-5/5824 წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და ლ. ლ-ის მიმართ განხორციელებული შესაძლო დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით წინადადება წარადგინა. წერილში მითითებულია, რომ მოქალაქე ლ. ლ-ის მიერ სახელმწიფო ხაზინაში 12 მილიონი ლარის ოდენობით თანხის გადახდა განხორციელდა არა საპროცესო შეთანხმების დადებისა და მისი სასამართლოს განაჩენით დამტკიცების შემდეგ, არამედ სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის თანხა გადახდილ იქნა განაჩენის გამოტანამდე, მეტიც, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე (სისხლის სამართლის საქმეში არსებული დაკავების ოქმი, ასევე, ბრალდების დადგენილება თარიღდება 2011 წლის 19 მარტით). 2011 წლის 18 მარტს, როცა ლ. ლ-ის საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის გადახდა განხორციელდა, სისხლის სამართლის №... საქმის მასალების მიხედვით, ლ. ლ-ე არ იყო დაკავებული, ბრალდებული. იგი მოწმის სახითაც კი არ იყო დაკითხული ან დაბარებული საგამოძიებო უწყებაში. აღნიშნულია ასევე, რომ სისხლის სამართლის საქმეში მოიპოვება 2011 წლის 18 მარტს გაცემული ორდერი, რომლის თანახმად, ადვოკატს ევალება, დაიცვას ლ. ლ-ის ინტერესები წინასწარ გამოძიებასა და ყველა ინსტანციის სასამართლოში. საქმის მასალების მიხედვით, ლ. ლ-ის დაკავება მოხდა 2011 წლის 19 მარტს, მანამდე კი ის არ ყოფილა დაკითხული თუნდაც მოწმის სახით, ამასთან, საქმეში არ მოიპოვება ლ. ლ-ის საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების თაობა-

ზე უწყება ან ოქმი ტექნიკური საშუალების გამოყენებით მისი გამოძახების თაობაზე. შესაბამისად, საქმის მასალების მიხედვით, პირს სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა, წინასწარ, ადვოკატთან გაეფორმებინა შეთანხმება, რადგან მისი გამოცხადების ან დაბარების რაიმე დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოქალაქეების ლ. და თ. ლ-ეების განმარტებებისა, რომელთა თანახმადაც, მათ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული იძულების შედეგად 12 მილიონი ლარის ოდენობით თანხა გადარიცხეს სახელმწიფო ხაზინაში, და საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზით, იკვეთება დანაშაულის ნიშნები.

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 8 ივლისის №15-5/5407 წერილის პასუხად საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 16 ივლისის №13/45294 წერილის მიხედვით, 2011 წლის 17 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულ დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე, ... „...ას“ დამფუძნებლების მიერ ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2011 წლის 19 მარტს ლ. ლ-ე დაკავებულ იქნა ბრალდებულის სახით და მას წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით. სისხლის სამართლის საქმეზე ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის №... საქმე, ... „...ას“ სხვა დამფუძნებლების მიერ ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 220-ე მუხლით. 2014 წლის 14 მარტს საქართველოს მთავარ პროკურატურას განცხადებით მიმართეს ლ. ლ-ემ და ...ი „...ას“ გამგეობის სხვა წევრებმა, სადაც ისინი მიუთითებენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ქონების იძულებით დათმობის მიზნით მათ მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებზე. აღნიშნული განცხადება დაერთო სისხლის სამართლის საქმეს. აგრეთვე, აღნიშნულ საქმეს დაერთო ლ. ლ-ის 2013 წლის 8 აგვისტოს განცხადებაც. საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის 2015 წლის 13 მარტის დადგენილებით სისხლის სამართლის №... საქმე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარი პროკურატურის სა-

მართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს. სისხლის სამართლის №... საქმეზე მიმდინარეობდა გამოძიება.

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 21 ივლისის №15-5/5824 წერილის პასუხად, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 27 აგვისტოს №13/54473 წერილის მიხედვით, 2014 წლის 14 მარტს საქართველოს მთავარ პროკურატურას განცხადებით მიმართეს ლ. ლ-ემ და ... „...ას“ გამგეობის სხვა წევრებმა, სადაც ისინი მიუთითებდნენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ქონების იძულებით დათმობის მიზნით მათ მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებზე. აღნიშნული განცხადება დაერთო სისხლის სამართლის საქმეს. საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის 2015 წლის 13 მარტის დადგენილებით აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს. ლ. ლ-ისა და ...ი „...ას“ გამგეობის წევრების მიმართ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები. 2015 წლის 13 აგვისტოს მონწილის სახით დაიკითხა ლ. ლ-ე. საქმეზე გამოძიება გრძელდებოდა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 11 იანვრის №13/1609 წერილის მიხედვით, 2011 წლის 17 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულ დეპარტამენტში სისხლის სამართლის №... საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში 2011 წლის 19 მარტს ლ. ლ-ე დაკავებული იქნა ბრალდებულის სახით და მას წარედგინა ბრალდება სსკ-ის 220-ე მუხლით. საქმეზე ცალკე წარმოებად გამოიყო №... საქმე ...ას სხვა დამფუძნებლების მიერ ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 220-ე მუხლით. საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის 2015 წლის 13 მარტის დადგენილებით სისხლის სამართლის №... საქმე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს. სისხლის სამართლის №... საქმეს ერთვის ...ას გამგეობის წევრთა 2014 წლის 12 მარტის №01/13-24276 განცხადება, რომელშიც განმცხადებლები უთითებენ პროკურატურის მუშაკთა მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩა-

დენის თაობაზე. აღნიშნულ განცხადებასთან ერთად დანართის სახით წარდგენილია ლ. ლ-ის საჩივარი. ზემოაღნიშნულ განცხადება/საჩივარში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის №... საქმეზე ტარდებოდა საგამოძიებო მოქმედებები.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 28 იანვრის №13-7298 წერილის მიხედვით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე, ... „...ას“ დამფუძნებლების მიერ ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 220-ე მუხლით. გამოძიების ეტაპზე ...ი „...ას“ გამგეობის წევრების საჩივრებისა და მოწმის სახით დაკითხვის ოქმებით იკვეთება, რომ, შესაძლებელია, სისხლის სამართლის №... საქმის წარმოების დროს ცალკეული საჯარო მოხელეების მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტს. სრულყოფილი გამოძიების ჩატარების ინტერესებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის №... საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ახალი სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს მთავარი პროკურატურის ცალკეული თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. ახალ სისხლის სამართლის საქმეს მიენიჭა დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომერი –

....

სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მოწმეებმა – ნ. თ-ამ, ი. მ-მ, ზ. მ-მა, გ. ვ-მა, ლ. ლ-ემ, თ. ლ-ემ და მ. ვ-მა დაადასტურეს მოსარჩელის მიერ ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოებები.

2014 წლის 10 აპრილს ... „...ასა“ და საადვოკატო ბიურო „...ს“ შორის დაიდო შეთანხმება იურიდიული მომსახურების შესახებ, რომლის საგანიც გახდა იურიდიული მომსახურება სახელმწიფოს წინააღმდეგ სასამართლო დავასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ... „...ას“ მიერ საადვოკატო ბიუროსთვის გადახდილია 2014 წლის 4 აპრილს – 4754,75 ლარი, 2014 წლის 20 მაისს – 3732,41 ლარი, 3667,72 ლარი, 2015 წლის 25 დეკემბერს – 3540,19 ლარი, 2016 წლის 23 თებერვალს – 6312,59 ლარი, 2016 წლის 22 აპრილს – 5319,23 ლარი, 2016 წლის 16 მაისს – 2151,09

ლარი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის მატერიალური ზიანის სახით 11 477 799 ლარის დაკისრება. მოსარჩელე თავის მოთხოვნას აფუძნებს ზიანის ანაზღაურებისა და უსაფუძვლო გამდიდრების შესაბამის კანონისმიერ დანაწესებზე. ვინაიდან ზიანის ანაზღაურებისა და უსაფუძვლო გამდიდრებისას ხდება პირისთვის გარკვეული სამართლებრივი სიკეთის გადაცემა, მოცემული დავის ფარგლებში სასამართლომ უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოპასუხისთვის დაკისრების წინაპირობები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 408-ე მუხლზე, 992-ე მუხლსა და 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ დელიქტური ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა და არასახელმწიფოებრივი ვალდებულების ერთ-ერთი სახეა. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ზიანის მიყენების მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ საფუძველად მოსარჩელე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადგილი ჰქონდა მოპასუხე პროკურატურის მხრიდან ...ას გამგეობის წევრების მიმართ იძულებას. მუქარის ადრესატი იყო ...ა. პროკურორის მხრიდან ადგილი რომ არ ჰქონოდა განზრახ და კანონსაწინააღმდეგო მუქარასა და იძულებას, ...ის მხრიდან არ მოხდებოდა ლ. ლ-ისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლისა და ვალდებულების გარეშე, რამეთუ საპროცესო შეთანხმებიდან გამომდინარე, თანხის გადახდა არ წარმოადგენდა ...ას ვალდებულებას. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 978-ე მუხლზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 978-ე მუხლის თანახმად,

პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულებების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ იძულების ნორმატიული არსი რეგლამენტირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-86-ე მუხლებში – იძულება არის იმგვარი ქმედება (ძალადობა ან მუქარა), რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება.

სასამართლომ განმარტა, რომ იძულება, ზოგადად, იმგვარი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებაა, რომელიც გამორიცხავს ადრესატის თავისუფალ ნებას, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის სანინალმდეგო ზემოქმედება. ფიზიკურ ძალადობად მიიჩნევა ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, ფსიქოლოგიურ ძალადობად კი – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას. თავის მხრივ, მუქარა ფსიქოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ადრესატზე სამომავლოდ განსახორციელებელი ქმედებებით თავისუფალი ნების შეზღუდვას განაპირობებს. იმისათვის, რათა მოხდეს იძულების უკანონო ქმედებად მიჩნევა, კანონმდებლობა მოითხოვს, რომ დადგინდეს მისი განხორციელების მართლსაწინააღმდეგო მიზანი და მართლსაწინააღმდეგო საშუალება. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 88-ე მუხლის მიხედვით, 85-87-ე მუხლების მიხედვით იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამებოან.

ამდენად, სასამართლოს მითითებით, იმისთვის, რომ წინამდებარე სარჩელის საფუძველიანობაზე იმსჯელოს, სასამართლომ უნდა დაადგინოს სახეზეა თუ არა მოსარჩელის მხრიდან მოპასუხისთვის ქონებრივი სიკეთის გადაცემა, გადაცემის საფუძველს წარმოადგენს თუ არა იძულება ან მუქარა და არა ვალდებულების შესრულება, გააჩნია თუ არა იძულებას მართლსაწინააღმდეგო ხასიათი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა(ა)იპ ...ა წარმოად-



გენდა შპს „კ...ის“ 100 %-იანი წილის მფლობელს. შპს „კ...ი“ ფლობდა სს „...ას“ აქციათა 67,52%-ს. ლ. ლ-ე ასევე წარმოადგენდა სს „...ას“ გენერალურ დირექტორსა და შპს „კ...ის“ დირექტორს.

სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 მარტის განაჩენით ლ. ლ-ეს ბრალი დაედო მასში, რომ ჩაიდინა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მოცემული განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, დადებული 2011 წლის 18 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორსა და ბრალდებულ ლ. ლ-ეს შორის. ლ. ლ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 12 000 000 ლარის ოდენობით. 2011 წლის 19 მარტს სს „თ...სა“ და ...ას შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება №..., რომლის საგანი გახდა ბანკის მიერ მსესხებლისთვის სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით 12 000 000 ლარის ოდენობით. კრედიტის მიზნობრიობაში მიეთითა თბილისის სააღსრულებო ბიუროში ლ. ლ-ის ჯარიმის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 18 მარტს სს „თ...ის“ მიერ თბილისის სააღსრულებო ბიუროსთვის (საპროცესო) გადარიცხულია 12 000 000 ლარი. საგადახდო დავალებაში მითითებულია: „გადამხდელი ბანკი: „თ...ი“; მიმღები: თბილისის სააღსრულებო ბიურო (საპროცესო); მიმღების ანგარიში: №..., ხაზინა; მიმღების ბანკი: სს „...ი“; გადახდის დანიშნულება: სისხლის სამართლის საქმე №... ლ. ლ-ის ჯარიმის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულ დეპარტამენტში 2011 წლის 17 მარტს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე, ...ას დამფუძნებლების მიერ ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 220-ე მუხლით. საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის 2011 წლის 19 მარტის დადგენილებით სისხლის სამართლის №... საქმიდან ცალკე წარმოებად გამოეყო საქმე დაუდგენელი პი-

რების მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 220-ე მუხლით.

მოსარჩელის განმარტებით, მისი მხრიდან ლ. ლ-ის ნაცვლად საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრული თანხის გადახდა განპირობებული იყო მოპასუხის მხრიდან განხორციელებული უკანონო მოქმედებებით, რაც, ერთი მხრივ, უკანონო საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში, ხოლო მეორე მხრივ, მუქარაში გამოიხატა, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ...ი მისი კუთვნილი აქციების რეალიზაციას არ მოახდენდა, გაგრძელდებოდა ბანკის იმიჯის შემლახველი სიუჟეტების გაშვება, ბანკის დისკრედიტაცია და გაკოტრება, მოხდებოდა სს „...ას“ დირექტორატისა და ...ას გამგეობის წევრების დაკავება. აღნიშნული მუქარის განმახორციელებელ პირად როგორც მოსარჩელის წარმომადგენლები, ისე საქმეზე მონმედ დაკითხული პირები მიუთითებენ პროკურატურის თანამშრომლებზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით, საპროცესო შეთანხმება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია. საპროცესო შეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. საპროცესო შეთანხმების დადების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს (მსჯავრდებულს), ისე პროკურორს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ. საპროცესო შეთანხმება უნდა აისახოს სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში. ხოლო მე-5 ნაწილის მიხედვით, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსის გათვალისწინებით სასამართლომ განმარტა, რომ შესაძლო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის და საბოლოოდ, პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურებს განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს შესაბამისი საგამოძიებო ორგანო. ამასთან, პირის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების, პირის დამნაშავედ ცნობის უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს გააჩნია. მუქარის, როგორც იძულების ერთ-ერთი ფორმის შეფასებისას, უნდა განისაზღვროს მუქარის განმახორციელებელი პირის მუქარის ადრესატთან და-

მოკიდებულება – პირს, რომელსაც ემუქრებიან, უნდა შეექმნას მუქარის განხორციელების რეალური განცდა. პროკურორი, მართალია, წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოს, იგი წყვეტს საკითხს კონკრეტული პირის მიმართ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დევნის დაწყების თუ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, თუმცა პირი დამნაშავედ მიიჩნევა მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებას, რომელიც მიიღწევა პროკურატურასა და ბრალდებულს შორის შეთანხმებით, საბოლოოდ მტკიცდება სასამართლოს მიერ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს საპროცესო გარიგების დადების წინაპირობებს და ასეთი უფლებამოსილების განხორციელება წარმოადგენს სახელმწიფოს დისკრეციას, ბრალდებულთან შეთანხმებით დაასრულოს სისხლისსამართლებრივი წარმოება გარიგებით. ამასთან, პროკურორსა და ბრალდებულს შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმება და ჯარიმის ოდენობაზე შეთანხმება, ავტომატურად არ ნიშნავს შეთანხმების მიღწევას, რამეთუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაში შედის საპროცესო შეთანხმების დამტკიცება, გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. შესაბამისად, დისკრეციის ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული უფლების გამოყენება ვერ იქნება განხილული, როგორც მართლსაწინააღმდეგო, ვიდრე კანონმდებლობით დადგენილი წესით არ დადასტურდება აღნიშნული.

სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებაზე (ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ), სადაც სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი კონვენციის მოთხოვნებთან შეუსაბამო არ არის (იხ: ბაბარ აჰმადი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ მუტატის მუტანდის, *Babar Ahmad and Others v. the United Kingdom* (dec.), nos. 24027/07, 11949/08 and 36742/08, ECHR 6 July 2010). აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საპროცესო შეთანხმება შეიძლება წარმოადგენდეს კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან საშუალებას. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ზოგიერთ საპროცესო უფლებაზე უარის თქმით სისხლის სამართალწარმოების შემცირება ხდება. აღნიშნული არ შეიძლება დარღვევად ჩაითვალოს კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად (სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ; §135, *Scoppola v. Italy* (no. 2) [GC], no. 10249/03, 17 September 2009).

სასამართლო შენიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1987 წელს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის წარმომადგენლებმა მოუწოდეს წევრ სახელმწიფოებს, დაენერგათ გამარტივებული სამართალწარმოება. თუმცა, იმისათვის, რომ უფლებაზე უარის თქმა კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე ეფექტიანი იყოს, აუცილებელია, აღნიშნული განხორციელდეს აშკარა ფორმით და ასევე უზრუნველყოფილი იყოს მინიმალური დაცვის გარანტიები. დამატებით, უფლებებზე უარის თქმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო ინტერესს (სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ, §135-136; პოიტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ, §31, *Poitrimol v. France*, 23 November 1993, Series A no. 277-A; და ჰერმი იტალიის წინააღმდეგ, §73, *Hermi v. Italy* [GC], no. 18114/02, ECHR 2006-XII). სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის გადაწყვეტილება გაეფორმებინა, საპროცესო შეთანხმება, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: (1) განმცხადებელს საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობა ნებაყოფლობით უნდა განეცხადებინა და გაცნობოდა საქმის მასალებს სრულად და (2) სასამართლოს მხრიდან ჯეროვნად უნდა შემოწმებულიყო მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების და მოლაპარაკების სამართლიანობა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 17 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა №15-5/5824 წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და ლ. ლ-ის მიმართ განხორციელებული შესაძლო დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით წინადადება წარადგინა. წერილში მითითებულია, რომ მოქალაქე ლ. ლ-ის მიერ სახელმწიფო ხაზინაში 12 მილიონი ლარის ოდენობით თანხის გადახდა განხორციელდა არა საპროცესო შეთანხმების დადებისა და მისი სასამართლოს განაჩენით დამტკიცების შემდეგ, არამედ სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის თანხა გადახდილ იქნა განაჩენის გამოტანამდე. წერილში მიეთითა სხვადასხვა დარღვევებზე. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოქალაქეების ლ. და თ. ლ-ების განმარტებებისა, რომელთა თანახმადაც, მათ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული იძულების შედეგად 12 მილიონი ლარის ოდენობით თანხა გადარიცხეს სახელმწიფო ხაზინაში და საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზით, იკვეთება დანაშაულის ნიშნები.

ამასთან, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 28 იანვრის №13-7298 წერილის მიხედვით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება. გამოძიების ეტაპზე ...ი, „...ას“ გამგეობის წევრების საჩივრებისა და მოწმის სა-

ხით დაკითხვის ოქმებით იკვეთება, რომ, შესაძლებელია, სისხლის სამართლის №... საქმის წარმოების დროს ცალკეული საჯარო მოხელეების მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტს. სრულყოფილი გამოძიების ჩატარების ინტერესებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის №... საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ახალი სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს მთავარი პროკურატურის ცალკეული თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. ახალ სისხლის სამართლის საქმეს მიენიჭა დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომერი –

....

ამრიგად, საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ ეტაპზე დადგენილი არ იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 მარტის განაჩენის უკანონობა, რომლითაც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, დადებული 2011 წლის 18 მარტს საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ლ. ლ-ეს შორის, რომლითაც ლ. ლ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართალი კოდექსის 220-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 12 000 200 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საპროცესო შეთანხმებით ლ. ლ-ისთვის დაკისრებული ჯარიმის თანხის გადახდის მიზნით განხორციელებულ მუქარასთან მიმართებით კი ნიშანდობლივი იყო ის გარემოება, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2011 წლის 17 მარტს დაიწყო გამოძიება ...ას დამფუძნებლების მიერ ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე. ლ. ლ-ესთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების შემდეგ საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის 2011 წლის 19 მარტის დადგენილებით ...ას დამფუძნებლების მიერ ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაწყებული სისხლის სამართლის №... საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო საქმე დაუდგენელი პირების მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 220-ე მუხლით. აღნიშნული წარმოება არ იყო დასრულებული და მიმდინარეობდა.

სასამართლოს მითითებით, როგორც უკვე აღინიშნა, მუქარის დროს იძულების განხორციელების ფაქტით გამონეწეული შიში აი-

ძულებს პირს თავისუფალი ნების გარეშე, რაიმეს შიშით, განახორციელოს ესა თუ ის ქმედება. მუქარას უნდა გააჩნდეს მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, უნდა ხორციელდებოდეს მართლსაწინააღმდეგო მიზნით ან/და მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით. იმ შემთხვევაში კი, თუ მუქარის განმხორციელებელს გააჩნია ამ ქმედების განხორციელების კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, მუქარის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი არ დასტურდება. სისხლის სამართლის კანონმდებლობით სისხლის-სამართლებრივი დევნის განმახორციელებაზე უფლებამოსილ პირს პროკურატურა წარმოადგენს, თუმცა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლოს კომპეტენციაა. იმ პირობებში, როცა დადასტურებულია, რომ ...ას დამფუძნებლების მიმართ სისხლისსამართლებრივი გამოძიება მიმდინარეობს, თავად გამოძიების დაწყების ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული სახის იძულებად, რასაც შეიძლება მოყვეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, თუმცა ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე მუქარა პროკურატურის მხრიდან ვერ ჩაითვლება რეალურ მუქარად, ვინაიდან ამგვარი უფლებამოსილების განხორციელება კანონმდებლობის მიხედვით სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, ამასთან, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას და მის საფუძველზე დაკისრებული თანხის გადახდისას ა(ა)იპ ...ას იძულება – საკუთარი ნების სააწინააღმდეგოდ გადაეხადა ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირისთვის დაკისრებული ჯარიმა, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნების საწინააღმდეგო ქმედებად, თუმცა ვერ ჩაითვლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ იძულებად, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ხასიათი უნდა გააჩნდეს, ვინაიდან იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ დაწყებული სისხლისსამართლებრივი გამოძიება იყო უკანონო, იმ ეტაპზე საქმეში წარმოდგენილი არ იყო.

რაც შეეხება მოსარჩელის მითითებას 2011 წლის ... და ... ...სა „...-ის“ საინფორმაციო გადაცემებში გასულ რეპორტაჟებზე სს „...ს“ შესახებ, სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, მედია კომპანიამ შეიძლება, გავლენა მოახდინოს სამართლიანი სასამართლოს განხილვაზე და დარღვეულ იქნეს უდანაშაულობის პრეზუმფცია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ გასული სიუჟეტები შეიცავდა თუ არა სს „...ს“ შესახებ ცრუ ინფორმაციას, კანონით დადგენილი წესით დადასტურებული არ იყო და ვერ მიიჩნეოდა სახელმწიფოს მხრიდან მოსარჩელის უფლებათა დარღვევისა და მის მიმართ იძულების განხორციელების საფუძვლის შექმნის დამადასტურებელ საკმარის გარემოებად.

სასამართლომ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრება ნიშ-

ნავს ქონების შეძენას ან დაზოგვას სხვის ხარჯზე, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. სამართლებრივ საფუძველში კი იგულისხმება არა მარტო კერძოსამართლებრივი ხასიათის აქტი (ხელშეკრულება და ნორმატიული აქტი), არამედ, აგრეთვე სამართლის სხვა დარგებით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმებიც. უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში პირს შეუძლია, მოითხოვოს თანხის დაბრუნება იმ პირისაგან, რომლის გამდიდრებაც (ქონების დაზოგვაც) მოხდა უსაფუძვლოდ. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 978-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად, აუცილებელია, რომ დაზარალებულმა რაიმე გადასცეს მიმღებს, ამ უკანასკნელის არამართლზომიერი ქცევის, კერძოდ, იძულების ან მუქარის საფუძველზე და შესაბამისად, მითითებული ნორმა ითვალისწინებს პირის მიერ იმ სიკეთის გადამცემისთვის დაბრუნების ვალდებულებას, რომლითაც იგი უსაფუძვლოდ გამდიდრდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად სხვისი ქონების მიღებით. უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უშვებს შესაძლებლობას, რომ მესამე პირმაც შეასრულოს ვალდებულება.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა(ა)იპ ...ას მიერ მოხდა სახელმწიფოსთვის ლ. ლ-ის კუთვნილი ჯარიმის გადახდა, ხოლო კანონმდებლობით დაშვებულია, რომ საპროცესო შეთანხმების ბუნებიდან გამომდინარე, პირისთვის დაკისრებული ფულადი თანხა გადაიხადოს მესამე პირმა. ამდენად, თანხის გადახდის საფუძველი გახდა საპროცესო შეთანხმება. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმება დაიდო ლ. ლ-ესთან, განმსაზღვრელია, რომ საპროცესო შეთანხმება დამტკიცებულია სასამართლოს მიერ და აღნიშნული განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ მოხდა თანხის უსაფუძვლოდ გადახდა, რადგან არსებობდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი – საპროცესო შეთანხმება, რომლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაც შეეძლო ...ას, ხოლო ის გარემოება, რომ თანხის გადახდა მოხდა იძულების შედეგად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, რის გამოც სარჩელი ფაქტობ-

რიგ-სამართლებრივად უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ ...ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. ამასთან, აპელანტმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის იმ საოქმო განჩინების გაუქმება მოითხოვა, რომლითაც სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა პროკურატურიდან სისხლის სამართლის საქმის გამოთხოვაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინებით ა(ა)იპ ...ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება და 2016 წლის 21 მარტის საოქმო განჩინება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებული სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა მოცემული დავა, შესაბამისად, განჩინების დასაბუთების თვალსაზრისით შემოიფარგლა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილზე მითითებით და თავის მხრივ, დამატებით განმარტა შემდეგი:

პირველ რიგში პალატამ მიუთითა თუ რა წარმოადგენდა განსახილველი საქმის ძირითად გამოსაკვლევ საკითხს, კერძოდ საქართველოს პროკურატურამ, მისი მოხელის მეშვეობით განახორციელა თუ არა იძულება ა(ა)იპ ...აზე, გადაეხადა მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის ლ. ლ-ისათვის სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე დაკისრებული ჯარიმა. შესაბამისად, მითითებული გარემოების დასადგენად საჭირო იყო მთელი რიგი წინაპირობების არსებობა, რომელიც სასამართლოს შესაძლებლობას მისცემდა ცალსახად დაედგინა ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. გარდა ამისა, სახელ-



მნიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმნიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმნიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები. ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმნიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმნიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. ამდენად, ზემოხსენებული მუხლის მიხედვით, სახელმნიფო ორგანოს პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ, თუ ზიანის მიყენება გამოწვეულია 1) სახელმნიფო მოსამსახურის 2) განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ბრალით. აქედან გამომდინარე, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისას სახეზეა უნდა იყოს ზიანი, რომელიც მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით და ამ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, როგორც წარმოდგენილი სარჩელით ირკვევა ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ადგილი ჰქონდა მოზასუხე პროკურატურის მხრიდან ...ას გამგეობის წევრების მიმართ იძულებას, ხოლო მუქარის ადრესატი იყო ა(ა)იპ ...ა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ იძულებად ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო მიზნით მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, შესაბამისად, თუ გარიგების დადებისას საშუალება და მიზანი შეუსაბამოა. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე იძულებაზე უთითებდა, საჭირო იყო სასამართლოს მიერ სსკ-ის 85-ე და 89-ე მუხლის წინაპირობების შემოწმება. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი ადგენს, რომ „გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობდა მესამე პირისაგან“; ამავე კოდექსის 86-ე მუხლის მიხედვით გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. პალატამ მიუთითა, რომ ხსენებული ნორმა გარიგების დადების ნების გამოვლენის თავისუფლებას იცავს და ეფუძნება იმას, რომ ნების გამოვლენა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ნამდვილი ნების გამოხატულებად, თუ მისი

გაცხადება იძულების და მუქარის გარეშე განხორციელდა.

პალატამ განმარტა, რომ როგორც წესი ისეთი ფაქტობრივი გარემოების დადგენა, როგორც არის პირის იძულებით ან მუქარით, მისი ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებული რაიმე მოქმედების განხორციელება, წარმოადგენდა სისხლის სამართლის წესით, შესაბამისი საგამოძიებო ორგანოების მიერ გამოსაკვლევ საკითხს. მიუხედავად ამისა, არსებობდა არაერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების, მოწმეთა ჩვენებებით თუ სხვადასხვა სახის მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებით ცალსახად დგინდება მუქარისა თუ იძულების ფაქტი. პალატამ, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ სასამართლოს აღნიშნული კომპეტენცია – დაადგინოს მუქარის ან იძულების ფაქტი, უნდა დაეფუძნოს მხოლოდ და მხოლოდ საქმეში არსებული ამგვარი გარემოებების ცალსახად, აშკარად დამდგენ მტკიცებულებათა ლოგიკურ და რეალურ ბმას.

კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვდა სასამართლოს დაედგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ ლ. ლ-ის სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე, ა(ა)იპ ...ას მიმართ კონკრეტული პროკურორის მიერ განხორციელდა მუქარა და იძულება, რაც გამოიხატა იმაში, რომ ...მა ლ. ლ-ეს გადაუხადა საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული ჯარიმა 12 000 000 ლარი. ზემოაღნიშნული გარემოების დასადგენად მოსარჩელე სასამართლოს ძირითადად სთავაზობს შემდეგი სახის მტკიცებულებებს: 1. მოწმეთა ჩვენებებს; 2. პროკურატურაში აღძრულ და ჯერ არ დასრულებულ საქმეს (აღნიშნული იკვლევს ...ის მიმართ პროკურორების მიერ შესაძლო მუქარის ფაქტს); ასევე 3. ჯარიმის გადახდის და ლ. ლ-ის დაკავების თარიღი – 2011 წლის 18 თუ 19 მარტი, კერძოდ მოსარჩელის მითითებით, ლ. ლ-ეს თავისუფლება რეალურად აღეკვეთა 2011 წლის 18 მარტს, რა დღესაც მოხდა თანხის (ჯარიმის) გადარიცხვა, მაშინ როდესაც ლ. ლ-ის მიმართ ჯარიმის გადახდის ვალდებულება ჯერ არ არსებობდა. იგი დააკავეს მომდევნო დღეს – 19 მარტს. საბოლოოდ, აპელანტი მიიჩნევდა, რომ არა პროკურორების მხრიდან მუქარა, ...ის მიერ ჯარიმის გადახდა არ განხორციელდებოდა.

**1. პალატის მსჯელობა მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით:**

პირველ რიგში პალატამ მოიხმო უზენაესი სასამართლოს არაერთი განმარტება, სადაც სასამართლომ მიუთითა, რომ მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენდა ორი თვალსაზრისით: მათი სარწმუნოებისა თუ არასარწმუნოების თვალსაზრისით და, ასევე იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებდა ესა თუ ის მტკიცე-

ბულება. სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობდა მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში შეფასებას, ამასთან, სასამართლო ვალდებული იყო საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება შეეფასებინა მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით. გარდა ზემოხსენებულისა, პალატამ მიუთითა, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით, რაც გულისხმობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების, სრულ და ობიექტურ განხილვას. პალატამ ასევე მოიხმო უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომ მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს (სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი) (მდრ. სუსგ #ას-279-264-17, 21.04.2017წ.) მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებაზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, მხარეთა მიერ მათი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის საფუძვლად მითითებულ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით. პალატამ მიუთითა, რომ მოყვანილ მტკიცებულებათაგან არც ერთს არ აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა, თუმცა ძირითად შემთხვევებში მტკიცებულების არჩევის აუცილებლობას კონკრეტული საქმის შინაარსი და მოცემულობა ითვალისწინებს.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტი მუქარის არსებობის ერთ-ერთ დამადასტურებელ მტკიცებულებად მიუთითებდა მოწმეების – ლ. ლ-ის, თ. ლ-ის, ნ. თ-ას, ი. მ-ის, მ. ვ-ის, ზ. მ-ის ჩვენებებზე. პალატამ პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა ზემოაღნიშნული მოწმეების ...ასთან კავშირზე. კერძოდ, მოწმე 1. ი. მ-ე წარმოადგენდა ლ. ლ-ის მძღოლს; 2. თ. ლ-ე (ლ. ლ-ის და), 2011 წელს იყო ...ას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; 3. ნ. თ-ა – ...ას გამგეობის წევრი; 4. ზ. მ-ი 2011 წლისთვის იყო სს „...ას“ გენერალური დირექტორი და შემდგომში ...ას კონსულტანტი; 5. გ. ვ-ი წარმოადგენდა ...ას გამგეობის თავმჯდომარეს; 6. მ. ვ-ი იყო ...ის დირექტორი, რომელიც იყო ...ას აქციონერი; 7. ლ. ლ-ე – ...ის გამგეობის წევრი და სს „...ას“ გენერალური დირექტორი.

პალატამ მოწმე ი. მ-ის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ ჩვენებასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ აღნიშნუ-

ლი მონმე ძირითადად გადმოსცემდა და აღწერდა იმ ქრონოლოგი-  
ას, თუ როგორ მოხდა ლ. ლ-ის დაკავება. შესაბამისად, მისი ახსნა-  
განმარტება არ იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ პროკუ-  
რორების მიერ ...ის მიმართ ადგილი ჰქონდა მუქარის ფაქტს. იქი-  
დან გამომდინარე, რომ ხსენებული პირის ჩვენება სასამართლოს  
ძირითად საკვლევ საკითხზე – მუქარაზე რაიმე არსებით მითითე-  
ბას არ შეიცავს, აღნიშნული პირის ახსნა-განმარტებას ვერ მიენი-  
ჭებოდა მტკიცებულებითი ძალა.

რაც შეეხება მონმეების – ლ. ლ-ის, თ. ლ-ისა და ნ. თ-ას მიერ  
სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს, რომლებიც მართალია გარ-  
კვეულნილად მიუთითებენ, რომ პროკურორმა გ. ლ-მა განახორცი-  
ელა მუქარა, თუ შესაბამის ინსტრუქციას არ მიჰყვებოდნენ აღ-  
ნიშნულს მოყვებოდა დაჭერები, თუმცა პალატამ იმისათვის, რომ  
აღნიშნული სარწმუნოდ ჩაეთვალა კვლავ მიუთითა მათ დამოკი-  
დებულებაზე ...თან და მიიჩნია, რომ მათ ნეიტრალური მონმის სტა-  
ტუსი ვერ მიენიჭებოდათ. მონმე ზ. მ-ის, გ. ვ-ისა და მ. ვ-ის ჩვენე-  
ბასთან დაკავშირებით პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოსათვის  
მიცემული ახსნა-განმარტებები არ შეიცავდა უშუალოდ მათ მი-  
მართ პროკურატურის თანამშრომლების მიერ განხორციელებულ  
მუქარის ფაქტზე მითითებას. მონმეები გადმოსცემდნენ მხოლოდ  
თ. ლ-ის მეშვეობით მიღებულ ინფორმაციას, რომ პროკურატურის  
მხრიდან მუქარას ჰქონდა ადგილი. ძირითადად ჩვენებები ეხებო-  
და სს „თ...მი“ განხორციელებულ პროცედურულ საკითხებს, იმას  
თუ როგორ მიმდინარეობდა სესხის მიღებასთან დაკავშირებული  
პროცედურები სს „თ...ის“ ოფისში.

ამდენად, პალატამ შეაფასა ზემოხსენებულ მონმეთა ჩვენებე-  
ბი მათი შინაარსისა და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით,  
ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარესთან მისი და-  
მოკიდებულება) გათვალისწინებით და მიიჩნია, რომ მათ ცალკე  
აღებულს ვერ მიენიჭებოდათ უდავო ხასიათი.

პალატამ აქვე შენიშნა, რომ თ. ლ-ისა და ნ. თ-ას, ასევე ლ. ლ-ის  
მიერ მონოდებული ინფორმაცია შესაძლებელია შეესაბამებოდეს  
სინამდვილეს, თუმცა სასამართლომ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა,  
რომ მხოლოდ ამ სახით სასამართლო მუქარის ფაქტს დადგენილად  
ვერ მიიჩნევდა. ამდენად, პალატა აღნიშნულს შეაჯერებდა აპე-  
ლანტის მიერ მონოდებულ სხვა ძირითად გარემოებებსა თუ არგუ-  
მენტებთან მიმართებაში.

## **2. პალატის მსჯელობა სისხლის სამართლის #... საქმესთან დაკავშირებით:**

პალატის მითითებით, საქმის მასალებით დგინდება, რომ 1. სა-  
ქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 16 ივლისის # 13/

45294 წერილის მიხედვით, 2014 წლის 14 მარტს საქართველოს მთავარ პროკურატურას განცხადებით მიმართეს ლ. ლ-ემ და ...ი „...ას“ გამგეობის სხვა წევრებმა, სადაც ისინი მიუთითებენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ქონების იძულებით დათმობის მიზნით მათ მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებზე. აღნიშნული განცხადება დაერთო სისხლის სამართლის საქმეს. აგრეთვე, აღნიშნულ საქმეს დაერთო ლ. ლ-ის 2013 წლის 8 აგვისტოს განცხადებაც. საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის 2015 წლის 13 მარტის დადგენილებით სისხლის სამართლის №... საქმე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს. სისხლის სამართლის №... საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

– საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 21 ივლისის №15-5/5824 წერილის პასუხად, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 27 აგვისტოს №13/54473 წერილის მიხედვით, ლ. ლ-ისა და ...ი „...ას“ გამგეობის წევრების მიმართ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეზე ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები. 2015 წლის 13 აგვისტოს მოწმის სახით დაიკითხა ლ. ლ-ე. საქმეზე გამოძიება გრძელდება.

– საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 11 იანვრის №13/1609 წერილის მიხედვით, სისხლის სამართლის №... საქმეს ერთვის ...ას გამგეობის წევრთა 2014 წლის 12 მარტის №01/13-24276 განცხადება, რომელშიც განმცხადებლები უთითებენ პროკურატურის მუშაკთა მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის თაობაზე. აღნიშნულ განცხადებასთან ერთად დანართის სახით წარდგენილია ლ. ლ-ის საჩივარი. ზემოაღნიშნულ განცხადება/საჩივარში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის №... საქმეზე ტარდება საგამოძიებო მოქმედებები.

– სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 28 იანვრის №13-7298 წერილის მიხედვით, გამოძიების ეტაპზე ...ი „...ას“ გამგეობის წევრების საჩივრებისა და მოწმის სახით დაკითხვის ოქმებით იკვეთება, რომ, შესაძლებელია, სისხლის სამართლის №... საქმის წარმოების დროს ცალკეული საჯარო მოხელეების მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტს. სრულყოფილი გამოძიების ჩატარების ინტერესებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის №... საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ახალი სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს მთავარი

პროკურატურის ცალკეული თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. ახალ სისხლის სამართლის საქმეს მიენიჭა დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომერი – ....

პალატის მითითებით, როგორც ზემოაღნიშნული წერილებიდან დგინდება, ის სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც აპელანტი აპელირებდა, და რომელმაც ცალსახად უნდა გასცეს პასუხი ჰქონდა და თუ არა პროკურატურის მოხელეების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ადგილი, განსახილველ შემთხვევაში მუქარას, ძიებაში იყო და არ იყო დასრულებული. ასეთ ვითარებაში, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას სათანადო შეფასება მიეცა იმ საკითხისთვის და მიენიჭებინა მისთვის მტკიცებულებითი ძალა, რომელზეც საბოლოო შედეგი არ იყო დამდგარი, მიუხედავად იმისა, პროკურატურის მიერ გამოთქმული იქნა თუ არა ვარაუდი მისი თანამშრომლების მიერ შესაძლო დარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, პალატამ აპელანტის არც ეს პოზიცია მიიჩნია სათანადო მტკიცებულებად.

**3. რაც შეეხება აპელანტის პრეტენზიას თანხის გადარიცხვისა და ლ. ლ-ის დაკავების თარიღთან დაკავშირებით, პალატამ განმარტა შემდეგი:**

სასამართლომ ზემოხსენებული გარემოება უნდა გამოიკვლიოს სადავო საკითხის ფარგლებში. კერძოდ, რამდენად შეუძლია ხსენებული ფაქტობრივი გარემოების დადგენას ცალსახად მიუთითოს მუქარის ფაქტის არსებობაზე.

პალატის მითითებით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2011 წლის 16-17 მარტს ...ა „...-ის“ ეთერით გადაცა სიუჟეტები სს „...ას“ საქმიანობასთან დაკავშირებით. დადგენილია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულ დეპარტამენტში 2011 წლის 17 მარტს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე, ...ას დამფუძნებლების მიერ ორგანიზაციის ინტერესების სანინააღმდეგოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 220-ე მუხლით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ ლ. ლ-ე ზემოხსენებულ საქმესთან დაკავშირებით 2011 წლის 18 მარტს, დილიდან იმყოფებოდა პროკურატურაში, სადაც გააცნეს მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის არსი. დადგენილია, რომ ლ. ლ-ის ირგვლივ წარმოებულ საქმეს-

თან დაკავშირებით 2011 წლის 18 მარტს საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, საქართველოს პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორ ჯ. ნ-სა და ბრალდებულ ლ. ლ-ეს შორის ჯარიმის 12 000 000 ლარის განსაზღვრის თაობაზე. აპელანტი მის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტის არსებობას ამყარებდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ჯარიმა გადაირიცხა ბიუჯეტში 2011 წლის 18 მარტს და არა 19 მარტს, ანუ მაშინ, როდესაც მას წარმოეშვა აღნიშნული ჯარიმის გადახდის ვალდებულება.

პალატამ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომლის მიხედვით, საპროცესო შეთანხმება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია. საპროცესო შეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. საპროცესო შეთანხმების დადების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს (მსჯავრდებულს), ისე პროკურორს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ. საპროცესო შეთანხმება უნდა აისახოს სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში. ხოლო მე-5 ნაწილის მიხედვით, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.

განსახილველი საქმის ფაქტობრივი მოცემულობის ფარგლებში, ასევე ზემოთ მოყვანილი საპროცესო ნორმის ბუნების გათვალისწინებით, პალატამ მესამე არგუმენტი შეაფასა როგორც პროკურატურასა და ლ. ლ-ეს შორის მიმდინარე პროცესუალური საკითხი, სადაც ...ის მიერ გამოხატული იქნა ნება მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირისათვის გადაეხადა ჯარიმა.

პალატის მითითებით, ის ფაქტი, რომ თანხა წინასწარ იქნა ბიუჯეტში გადახდილი, აღნიშნული მხარეთა მოლაპარაკების საკითხია, რომელიც არ ადასტურებს, რომ 18 მარტს გამოხატული ...ის ნება (ჯარიმის გადახდის თაობაზე) იყო ნაკლის მქონე. აქედან გამომდინარე, პალატა ვერ მიიჩნევდა, რომ ადგილი ჰქონდა მუქარას, მით უფრო ისეთ ვითარებაში, რომ 2011 წლის 19 მარტის განაჩენით დადგენილია ლ. ლ-ის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში და რომელმაც დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ ეტაპ-

ზე დადგენილი არ იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 მარტის განაჩენის უკანონობა, რომლითაც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, დადებული 2011 წლის 18 მარტს საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ლ. ლ-ეს შორის, რომლითაც ლ. ლ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველის სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 12 000 200 ლარის ოდენობით.

პალატამ, მოსარჩელის მიერ შემოთავაზებულ ზემოთ განხილულ ძირითად არგუმენტებზე მსჯელობის საფუძველზე დაასკვნა, რომ განსახილველი საქმის გარემოებები არ იძლევიან იმის მტკიცების უპირობო წინაპირობას, რომ ა(ა)იპ ...ას მიერ ლ. ლ-ის ჯარიმის გადახდა განხორციელდა პროკურატურის თანამშრომლების მუქარის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე მიიჩნევა, რომ ...მა ჯარიმის გადახდა მისი ნების შესაბამისად განახორციელა, რომლის გადახდის უფლებასაც არ უკრძავდა სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

#### **გასაჩივრებული საოქმო განჩინების ძალაში დატოვების დასაბუთება:**

პალატამ აღნიშნა, რომ როგორც აპელანტი მიუთითებდა, სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოთხოვის შუამდგომლობა განპირობებული იყო იმ დიდი ალბათობის ვარაუდით, რომ საქმეში მოიპოვებოდა ისეთი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან, ...ზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებს. აღნიშნული ფაქტი კი ...ის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს ქმნიდა.

პალატამ მოიხმო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის მიხედვით, წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია დაასაბუთოს, თუ საქმისთვის მნიშვნელოვანი რა გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით და რას ეფუძნება მისი ვარაუდი, რომ მტკიცებულება მის მიერ მითითებული პირის ხელთაა.

პალატის მითითებით, როგორც ზემოხსენებული მუხლის ანალიზიდან ირკვეოდა, ნორმა ავალდებულებდა შუამდგომლობის ავტორს დაესაბუთებინა, თუ რა გარემოების დადგენა შეეძლო მის მიერ მოთხოვნილ მტკიცებულებას. შუამდგომლობის ავტორმა სა-



სამართლოს უნდა დაუკონკრეტოს გამოსათხოვი დოკუმენტის თუ სხვა მტკიცებულების სახე, მაგალითად, იქნება ეს ექსპერტიზის დასკვნა, კონკრეტული მოწმის ჩვენება თუ სხვა, რათა სასამართლომ შეაფასოს ის კრიტერიუმი, რომელიც მტკიცებულებათა გამოთხოვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. კერძოდ, განსაზღვროს მხარის მიერ მოთხოვნილი (გამოსათხოვი) ამა თუ იმ დოკუმენტის შემხებლობა განსახილველ საქმესთან. მოცემულ შემთხვევაში, მაშინ როდესაც მოსარჩელე შუამდგომლობდა პროკურატურიდან №... სისხლის სამართლის საქმის სრულად გამოთხოვაზე, სასამართლოს უკარგავდა შესაძლებლობას კონკრეტულად ემსჯელა, რამდენად მოახდენდა გავლენას გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც თავის მხრივ შედგებოდა მთელი რიგი სხვადასხვა სახის მტკიცებულებებისგან, განსახილველი საქმის სადავო გარემოების დადგენაზე. ასეთი ზოგადი ხასიათის შუამდგომლობის დაყენება, რომელიც არ გამოყოფდა კონკრეტულ დოკუმენტსა თუ სხვა მტკიცებულებას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვერ მოექცეოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის რეგულირების სფეროში.

გარდა ამისა, აპელანტი შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველად ასევე მიუთითებდა, რომ თუ სისხლის სამართლის საქმიდან გამოჩნდებოდა, რომ პროკურატურა არ იძიებდა საქმეს, აღნიშნული პირდაპირ დაადასტურებდა პროკურატურის არაკეთილსინდისიერებას, ვინაიდან, გამოძიება არ იყო პროკურატურის ინტერესში, რადგან შედეგად დადგინდებოდა, რომ პროკურატურის თანამშრომლები ნამდვილად ახორციელებდნენ იძულებას ...ის მიმართ.

ზემოაღნიშნული განმარტების და ზოგადად შუამდგომლობის აბსტრაქტული ხასიათიდან გამომდინარე, საყურადღებო იყო მოსარჩელის (აპელანტის) რეალური ინტერესი, რომელიც უკავშირდებოდა მის მიერ მოთხოვნილ სისხლის სამართლის საქმეს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მხარეთა ინტერესი – გამოითხოვონ სისხლის სამართლის საქმე, წარმოდგენდა პროკურატურაში მიმდინარე კონკრეტული საქმის წარმოების ირგვლივ არსებული ვითარების გარკვევას. პალატამ შენიშნა, რომ სასამართლოს კომპეტენციას სცდება აკონტროლოს საკითხი, რამდენად სწორად მიმდინარეობს გამოძიება პროკურატურაში და დაინტერესებულია თუ არა პროკურატურა მის მიერ გამოსაძიებელი საქმის შედეგით. აქედან გამომდინარე, ამ არგუმენტზე მითითებაც შუამდგომლობის დაუსაბუთებლად მიჩნევის საფუძველს წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა დაეთანხმა

პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას და მიიჩნია, რომ სასამართლომ სწორად უთხრა უარი მოსარჩელეს პროკურატურიდან სისხლის სამართლის №... საქმის გამოთხოვაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ ...ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ეფუძნება როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს, ასევე საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რამაც გამოიწვია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორის მითითებით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). სააპელაციო სასამართლო შეეცადა ...ის მიერ მითითებულ რამდენიმე სააპელაციო პრეტენზიაზე შემოეთავაზებინა დასაბუთება, რაზეც საქალაქო სასამართლოს არ ჰქონდა მსჯელობა, თუმცა რატომ არ იქნა გაზიარებული სარჩელში მითითებული ფაქტობრივი არემოვებები და სამართლებრივი შეფასებები, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის სამართლებრივად იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული, ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს, მათ შორის, დიდი პალატის მიერ, როგორც მტკიცებულებათა შეფასების, ასევე სამოქალაქო კოდექსის ნორმათა დამკვიდრებულ განმარტებას. სასამართლოს მსჯელობა და ანალიზი ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლო უშვებს შეცდომას არაერთ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით, რადგან მტკიცებულებები არ აქვს საკმარისად გამოკვლეული. გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რატომ არ დაეყრდნო სასამართლო ...ის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, გარდა მონმეთა ჩენებებისა, რომლებსაც სასამართლო უარყოფს. სასამართლო არ ასაბუთებს, რატომ არ ამონიშნებს იმ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის (სსკ-ის 978-ე მუხ.) წინაპირობებს, რომელზეც მოსარჩელე მოთხოვნის საფუძვლად მიუთითებდა.

კასატორის მითითებით, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლის შემონიშნება, რაც ასევე წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, სასამართლოს მიერ მითითებული ნორმები და განმარტებები ეწინააღმდეგება სასამართლოს შემაჯამებელ დასკვნებს. ასეთად კასატორი მიუთითებს: 1. სასამართლოს მსჯელობაზე, რომ

სასამართლო ვალდებული არ არის დაამტკიცოს წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმება, ხოლო ამ მსჯელობის შედეგად ასკვნის, რომ სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე ერთი დღით ადრე, 18 მარტს, ამ დაუმტკიცებელი საპროცესო შეთანხმების ჯარიმის თანხის გადახდა არის პროკურატურასა და ბრალდებულს შორის „პროცედურული“ ურთიერთობის ნაწილი და საექტო ამაში არაფერია. 2. სასამართლოს მითითებაზე, რომ სრულად ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, ხოლო შემდგომ უთითებს, რომ მხარეთა შორის სადავო არ არის 18 მარტს ლ. ლ-ის დაკავების ფაქტი, მაშინ როცა საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ლ. ლ-ის დაკავება, დაკავების ოქმის თანახმად, მოხდა 2011 წლის 19 მარტს. კასატორისთვის გაუგებარია როგორ ეთანხმება სრულად სააპელაციო სასამართლო საქალაქო სასამართლოს, როდესაც განხორციელებულ იძულებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე დადგენილი ფაქტის გამომრიცხავ ფაქტს ადგენს.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ იძულების დასადგენად ნამდვილად არსებითია მოწმეთა ჩვენებები და ჯარიმის გადახდისა და ლ. ლ-ის დაკავების თარიღები (ჯარიმა გადახდილია 18 მარტს, მაშინ, როცა მისი გადახდის ვალდებულება ჯერ არ არსებობდა, რადგან ლ. ლ-ე დააკავეს 19 მარტს), თუმცა ... იმ გარემოებას, რომ პროკურატურამ განახორციელა მუქარა, არ ამტკიცებდა იმით, რომ მიმდინარეობს გამოძიება შესაძლო მუქარის თაობაზე. აღნიშნულ გარემოებაზე მითითებას ... ი აკეთებდა რადგან პროკურატურაზე საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გადასულიყო მტკიცების ტვირთი, როგორც მუქარის განმახორციელებელ სახელმწიფო უწყებაზე.

კასატორის მითითებით, სასამართლოს მიერ ასევე დარღვეულია სსსკ-ის 105.2, 105.3, 244-ე, 249.3 მუხლები, მტკიცებულებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური შეფასების, საქმეზე სადავო და უდავო გარემოების განსაზღვრის, მტკიცებულებათა უარყოფის დასაბუთების პრინციპები. სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, რასაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

მოცემულ დავაში, მას შემდეგ, რაც ...მა მიუთითა მუქარის ფაქტებზე და წარმოადგინა მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი უნდა გადასულიყო სახელმწიფოზე. კასატორის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ...ისთვის მტკიცების ტვირთის დაკისრების პირობებშიც კი, სასამართლოს დადგენილად უნდა მიეჩნია მუქარის ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს პროკურატურის მი-

ერ არ არის წარმოდგენილი კვალიფიციური ან კონკრეტული შესაგებელი, პროკურატურა შემოიფარგლება მხოლოდ სარჩელში მითითებული გარემოებების ზოგადი უარყოფით.

კასატორი აღნიშნავს, რომ ...ის მიერ მითითებული მტკიცების ტვირთის განაწილების წესი დამკვიდრებულია სასამართლო პრაქტიკით, რომლის თანახმად, თუკი მოსარჩელე კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური), პრეზუმირებულია, რომ გამოიყენეს იძულება და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი, რომ იძულების ფაქტი არ არსებობდა. მანვე უნდა დაამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმფციის დაშვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევასა და გაანალიზებას მოითხოვს. მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით საკასაციო საჩივარში მითითებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს, მათ შორის, დიდი პალატის განმარტებებზე (სუსგ №ას-129-122-2014, 30.04.2014წ.; №ას-28-25-2017, 28.02.2018წ.; №ას-1020-963-2015, 25.11.2015წ.; №ას-522-495-2014, 05.06.2015წ.; №ას-1024-982-2014, 28.09.2015წ.; №ას-715-685-2016, 13.03.2017წ.; №ას-224-213-2017, 28.04.2017წ.; №ას-212-201-2017, 15.05.2017წ.; №ას-692-662-2014, 24.09.2015წ.; №ას-688-654-2015, 21.07.2015წ.; №ას-664-635-2016, 02.03.2017წ.) და აღნიშნულია, რომ სადავო გადაწყვეტილებები არ შეიცავს დასაბუთებას, რატომ არ გამოიყენეს სასამართლოებმა მტკიცების ტვირთის განაწილების უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა.

კასატორის მითითებით, დარღვევაა, რომ სააპელაციო სასამართლომ იძულების მტკიცების არასწორი სტანდარტი გამოიყენა, რითაც დაარღვია მოქმედი კანონმდებლობა და დაუსაბუთებლად გადაუხვია უზენაესი სასამართლოს, მათ შორის, დიდი პალატის მიერ დადგინილ მტკიცების სტანდარტს. პალატის დამოკიდებულება, რომ საქმეში არსებული გარემოებებით „ცალსახად“ და „ამკარად“ უნდა დადგინდეს მუქარის ან იძულების ფაქტი, ფაქტობრივად გამორიცხავს შესაძლებლობას, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის გარეშე, სამოქალაქო წესით დადგინდეს მუქარა. ამით პალატა გადაულახავ სტანდარტს აწესებს სსკ-ის 85-ე მუხლით განსაზღვრული მუქარის დადგენისთვის, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება 1997 წლიდან სამოქალაქო კოდექსის 59.2 მუხლში დაკანონებულ ჩანაწერს მუქარით დადებული გარიგების მხარის მიერ შეცვლების გზით ბათილობის თაობაზე. ასეთი გარიგების ბათილობა არანაირად არ უკავშირდება სისხლის სამართალს და გამოძიების შედეგებს. სასამართლოს კომპეტენციაა დაადგინოს იძუ-

ლების ან მუქარის არსებობა სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ დავაზე, რაზეც მეტყველებს სსკ-ის 85-89-ე, 978-ე მუხლები, რომელთა დისპოზიციაში მუქარის დადასტურების წინაპირობად სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი განაჩენი არ არის მითითებული.

იძულების პირდაპირი მტკიცებულებებით დადასტურების სირთულესთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს სასამართლო პრაქტიკაზე (საქმე №2ბ/671-15 (2015-09-21), სუსგ №ას-15-15-2016, 01.03.2016წ.) და აღნიშნავს, რომ იძულების პირდაპირი მტკიცებულება, გარდა მსხვერპლის ჩვენებისა, შესაძლოა ბუნებაში არ მოიპოვებოდეს, რაც სასამართლოსთვის არ წარმოადგენს ბარიერს, სხვადასხვა ირიბი მტკიცებულებების ერთობლიობით და ასევე მტკიცების ტვირთის მოძალადეზე გადატანით დაადგინოს იძულება. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით მუქარის „ცალსახა“ და „აშკარა“ მტკიცებულების არსებობა უფრო შეესაბამება სისხლის სამართლებრივი წესით დანაშაულის დადასტურების გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, თუმცა წინააღმდეგობაშია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში დადგენილ სტანდარტთან, რომლითაც დგინდება პირის არათავისუფალი ნების არსებობა მასზე განხორციელებული მუქარის და იძულების შედეგად.

კასატორის მითითებით, სასამართლომ მოწმის ჩვენებების შეფასებისას დაარღვია მტკიცებულებათა შეფასების საპროცესო წესები და აშკარა შეცდომები დაუშვა მტკიცებულებათა შეფასებისას. პალატა ცდება, როცა მიუთითებს, რომ ყველა მოწმე არის ...ასთან კავშირში, კერძოდ, მ. ვ-ი გახლდათ ფასიანი ქალაქების დამოუკიდებელი რეგისტრატორის, სს კ...ის დირექტორი, პროკურატურის მიერ მუქარის განხორციელებისას. ი. მ-ე კი აღარ წარმოადგენდა ლ. ლ-ის მძღოლს დაკითხვის მომენტში. ამასთან, კასატორი სამართლებრივად არარელევანტურად მიიჩნევს სასამართლოს მითითებას მოწმის ჩვენების „უდავო ხასიათთან“ დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მოწმის ჩვენება არის მტკიცებულება, რომელიც სასამართლომ შეიძლება გაიზიაროს ან არ გაიზიაროს, უდავო ან სადავო არის ფაქტი და არა მტკიცებულება. ასევე, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოწმე არის პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება დავასთან დაკავშირებით. ნეიტრალურ მესამე პირს იშვიათად აქვს ინფორმაცია კერძო დავის და მითუმეტეს, არამართლზომიერი და ხშირად სისხლის სამართლით დასჯადი ქმედების – იძულების განხორციელების თაობაზე, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ასეთი ნეიტრალური პირი სს კ...ის დირექტორი მ. ვ-ი იყო. კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება მუქარის საფუძველზე ...ისთვის ქონების ჩამორთმევას.

შესაბამისად, პროკურატურა, იმისათვის, რომ ...ს მისთვის ქონება გადაეცა, სწორედ გამგეობის წევრებზე ზემოქმედებით ახორციელებდა მუქარას და მათი მეშვეობით ემუქრებოდა ...ის გამგეობის სხვა წევრებს, რის გამოც ...ის მიმართ მუქარის პირდაპირი მოწმეები არიან ...ის გამგეობის წევრები, რომელთა მონათხრობსაც ადასტურებენ ირიბი მოწმეებიც, რომლებიც, მართალია, უშუალოდ მუქარის ფაქტს არ შესწრებიან, მაგრამ მათი მონათხრობი მუქარის შედეგად განვითარებული მოვლენების ლოგიკურ ჯაჭვს ავსებს, როგორცაა შუალამეს თ...ში გარიგების დადება და სხვ.

კასატორი მიუთითებს მოწმეთა ჩვენებებზე და აღნიშნავს, რომ მოწმე ი. მ-ის ჩვენება ადასტურებს მუქარის დამამტკიცებელ ირიბ გარემოებებს, რომ ლ. ლ-ე პროკურატურამ უკანონოდ გაიტაცა 18 მარტს, მაშინ, როდესაც ბრალდებულის დაკავების ოქმი შედგენილია 19 მარტს, ასევე ბრალი მას ნაყენებული აქვს 19 მარტს. ი. მ-ე ადასტურებს, რომ ...ის გამგეობის წევრები გვიან ღამე გამოენიამდე იმყოფებოდნენ თ...ის ოფისში და ის ...ის მეორე მძღოლთან ერთად გარეთ ელოდებოდა მათ.

მოწმე ზ. მ-ის, გ. ვ-ის, მ. ვ-ის ჩვენებებთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს, რომ მოცემული მოწმეები არ იყვნენ პროკურატურის პირდაპირი მუქარის ადრესატები, მაგრამ ზ. მ-სა და გ. ვ-ს პროკურატურამ მუქარა თ. ლ-ისგან გადასცა. დასახელებული პირები არ არიან ირიბი მოწმეები მუქარასთან დაკავშირებულ სხვა მოვლენებთან მიმართებით. ირიბი მოწმე გადმოსცემს მხოლოდ სხვის მონათხრობს იმ ფაქტზე, რასაც თვითონ არ შესწრებია; ხოლო გ. ვ-ი და ზ. მ-ი უშუალოდ აღწერენ 18 მარტს განვითარებულ მოვლენებს, რაც შესაბამისობაშია სხვა მტკიცებულებებთან. მ. ვ-ის ჩვენება კი პირდაპირ მიუთითებს, რომ თ...ში მისვლის და აქციითა დაგირავების რეგისტრაციის დავალება ეროვნული ბანკისგან მიიღო.

ლ. ლ-ის, თ. ლ-ის და ნ. თ-ას ჩვენებებთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს სასამართლოს ურთიერთგამომრიცხავ არგუმენტაციაზე და აღნიშნავს, რომ სასამართლო უკანონოდ ავინროვებს საქმეზე ...ის მიერ წარმოდგენილ მნიშვნელოვან მტკიცებულებებს.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლომ ლ. ლ-ის ბრალდებამდე 1 დღით ადრე ...ის მიერ ბიუჯეტში ჯარიმის გადახდა ჩვეულებრივ მოვლენად უკანონოდ შეაფასა. კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ დავაში მუქარის ყველაზე აშკარად დამადასტურებელ გარემოებას ქმნის შემდეგი მტკიცებულებების ერთობლიობა: 1. გადახდის დამადასტურებელი ქვითრით დგინდება, რომ ...მა სახელმწიფო ბიუჯეტში 2011 წლის 18 მარტს გადაიხადა ლ. ლ-ის ჯარიმა; ხოლო 2. ლ. ლ-ის დაკავების ოქმი შედგენილია 2011 წლის

19 მარტს, თანახმად დაკავების ოქმისა; 3. ლ. ლ-ეს ბრალი წაეყენა 2011 წლის 19 მარტს, თანახმად ბრალის შესახებ დადგენილებისა; 4. სასამართლოს განაჩენით დამტკიცებულია საპროცესო შეთანხმება, 2011 წლის 19 მარტს. შესაბამისად, ... ამტკიცებს, რომ წინა დღეს, როცა ოფიციალურად არ არსებობდა არც წაყენებული ბრალი, არც გამამტყუნებელი განაჩენი, ...ი თავისი ნებით არ გადაიხდიდა ლ. ლ-ის ჯარიმას მის ნაცვლად.

კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ლ. ლ-ე 2011 წლის 18 მარტს იმყოფებოდა პროკურატურაში. კასატორის მითითებით, ლ. ლ-ე პროკურატურაში არ იმყოფებოდა თავისი ნებით, არამედ ის გაიტაცეს უკანონოდ, ხოლო პროკურატურა საერთოდ უარყოფს 18 მარტს ლ. ლ-ის დაკავების ან პროკურატურაში დაბარების ფაქტს. კასატორის მითითებით, ასევე მცდარია სასამართლოს მითითება, რომ საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 18 მარტს, ვინაიდან საპროცესო შეთანხმება გაფორმებულია 19 მარტს. კასატორის მითითებით, შეუძლებელია საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს პირთან, ვის მიმართაც ბრალი არ არის წარდგენილი, ხოლო ლ. ლ-ეს ბრალი წარედგინა 2011 წლის 19 მარტს.

კასატორი აღნიშნავს, რომ თანხის გადარიცხვის თარიღი, რომელიც შეცილებული არ ყოფილა, ნათლად წარმოადგენს პროკურატურის მიერ ...ის თანხის მისაკუთრების უკანონობას. ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ პროკურატურას შესაგებელი არ წარმოუდგენია.

კასატორის მითითებით, დარღვევაა, რომ სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა სხვა რელევანტური მტკიცებულებები, რომლებიც მუქარის არსებობის დასადასტურებლად წარმოადგინა ...მა, ესენია: საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის წერილი, რომელიც ადასტურებს ეროვნულ ბანკში გამართულ შეხვედრას, რის თაობაზეც მოწმე თ. ლ-ემ მიუთითა ჩვენებაში. 2. ასევე არ იქნა შეფასებული 18 მარტის დილას თ. ლ-ის ელექტრონული კომუნიკაცია ...-ის წარმომადგენლებთან, რაც ასევე ავსებს და ლოგიკურ ჯაჭვს ქმნის თ. ლ-ის მონათხრობსა და ზ. მ-ის ჩვენებებთან მიმართებით. 3. სასამართლოს არ შეუფასებია თ. ლ-ის ჩვენებასთან დაკავშირებული თ. ლ-ის სატელეფონო ამონაწერი, რომელიც ადასტურებს მის ჩვენებაში მითითებული პირების, მათ შორის, პროკურორ გ-ის მასთან 18 მარტს არსებულ სატელეფონო კომუნიკაციას და 4. თ. ლ-ის ელექტრონული კომუნიკაცია უკვე შემდგომ დღეებში ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტთან, რაც ეროვნული ბანკის ჩართულობას, მ. ვ-ის ჩვენებასთან ერთად, ადასტურებს. 5. სასამართლოს არ შეუფასებია ...ასთან ხელისუფლების შეცვლამდე რამდენიმე დღით ადრე გაფორმებული საგადასახადო შეთან-

ხმება, რითაც ...ს ეპატია მრავალმილიონიანი საგადასახადო ვალდებულება, რაც წარმოეშვა ლ. ლ-ის ჯარიმის იძულებით გადახდის გამო.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ ...ის ქონებით პროკურატურის დაინტერესებაზე მიანიშნებდა საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის თანახმად დგინდება, რომ იდენტური სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ლ. ლ-ისგან განსხვავებით, მრავალჯერ ნაკლები, რიგ შემთხვევებში 1700-ჯერ ნაკლები ჯარიმის საფუძველზე იდებოდა საპროცესო შეთანხმება 2010-2011 წლებში. კასატორის მითითებით, ლ. ლ-ის და მისი მეუღლის ქონება, საქმეში ...ის მიერ წარმოდგენილი შეფასებების მიხედვით, ჯამში შეადგენდა გაცილებით ნაკლებს, ვიდრე დაკისრებული ჯარიმა, რაც ადასტურებს, რომ პროკურატურის უკანონო მოქმედების მიზანი იყო არა ლ. ლ-ე, არამედ ...ა, რომლის მთელი ქონება სწორედ იმ ფასად იყო შეფასებული, რა თანხაც დაეკისრა ლ. ლ-ეს.

კასატორი დარღვევად მიიჩნევს, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე. კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სასამართლოს უარს მტკიცებულებების გამოთხოვაზე და აღნიშნავს, რომ მტკიცებულების გამოთხოვის ინიციატორი მხარე არ არის ვალდებული მიუთითოს კონკრეტულად სისხლის სამართლის საქმის რომელ ფურცელს, რომელი გვერდიდან რომელ გვერდამდე ითხოვს. სსსკ-ის 134.2(1) მუხლი განსაზღვრავს წერილობითი დოკუმენტების კონკრეტული რეკვიზიტების მითითების გარეშე გამოთხოვის შესაძლებლობას. საკასაციო საჩივარში მოხმობილია საქმეები, სადაც, კასატორის მითითებით, გამოთხოვილია სისხლის სამართლის საქმის მასალები (№ას-470-451-2016, №ას-1031-989-2014, №ას-402-379-2014, №ას-788-748-2013, №ბს-1818-1773(კ-10)).

კასატორი ასევე დარღვევად მიიჩნევს, რომ სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი გერმანელი პროფესორისა და მოსამართლის – გერჰარდ ჰოლოხის სამართლებრივი დასკვნა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით გამოსაყენებელ სამართალთან დაკავშირებით.

კასატორის მითითებით, სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით ცდილობს გადაწყვეტილების ხარვეზების გამართლებას. სასამართლოს მიერ მთელ რიგ მნიშვნელოვან გარემოებებს და არგუმენტებს საერთოდ არ აქვს პასუხი გაცემული.

კასატორი ასევე პრეტენზიას გამოთქვამს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ, კასატორის მითითებით,



არასწორია სასამართლოს დასკვნა საპროცესო შეთანხმების 2011 წლის 18 მარტს გაფორმებასთან დაკავშირებით, რის საწინააღმდეგოდაც კასატორი მიუთითებს საქმის გარემოებებზე და 2011 წლის 19 მარტს განვითარებულ მოვლენებზე. ამასთან, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო შეცდომას უშვებს, როდესაც მიუთითებს, რომ ლ. ლ-ე მოცემულ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურაში იმყოფებოდა 2011 წლის 18 მარტს, სადაც მას გააცნეს მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის არსი. ის, რომ ლ. ლ-ე პროკურატურაში იმყოფებოდა 2011 წლის 18 მარტს, კასატორის მითითებით, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სადავო გარემოებას მოცემულ საქმეზე. ...ი თხოვდა დაედგინა სასამართლოს, რომ 18 მარტს ლ. ლ-ე გაიტაცეს, ხოლო თ. ლ-ე და ნ. თ-ა დაიბარეს პროკურატურაში. სააპელაციო სასამართლო ასევე არასწორად მიუთითებს, რომ მ. ვ-ი არის ...ას აქციონერი. კასატორის მითითებით, ...ა არის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი და მას არ ჰყავს აქციონერები. მას ჰყავს გამგეობის წევრები, რომელთა სიაშიც მ. ვ-ი არ არის, რასთან დაკავშირებითაც კასატორი მიუთითებს ...ას წესდებაზე. მ. ვ-ი არ წარმოადგენდა არც ...ას აქციონერს. იგი იყო ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სს კ...ის დირექტორი, პროკურატურის მიერ ...ზე მუქარის განხორციელების მომენტში. სს კ...ი აწარმოებდა ...ას აქციონერს. შესაბამისად, მისი ჩართულობა საქირო გახდა სს თ...ის მიერ აქციონერების პროცესში, აქციებზე გირავნობის რეგისტრაციის მიზნით. მ. ვ-ი, როგორც სს კ...ის დირექტორი, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „გამოიძახა“ სპეციალურად ამ დავლებით, რომ ღამით თ...ის ცენტრალურ ოფისში მისულიყო და მოეხდინა აქციონერების რეგისტრაცია, როგორც აქციონერ რეგისტრატორს. სწორედ აღნიშნულ გარემოებებს ყვება იგი მოწმის სახით დაკითხვისას. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სასამართლომ არ დაადგინა ფაქტი, რომ პროკურორ გ. ლ-ის მიერ 2011 წლის 18 მარტს ხორციელდებოდა იძულება ლ. ლ-ეზე, თ. ლ-ესა და ნ. თ-აზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე უპასუხოდ დატოვა და არ დაადგინა ფაქტი, რომ ეროვნული ბანკი უშუალოდ იყო ჩართული ...ის ქონების იძულებით მისაკუთრების პროცესში, სასამართლომ არ შეაფასა მათ მიერ წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის 2015 წლის 3 აპრილის წერილი. სასამართლომ ასევე უპასუხოდ დატოვა და არ დაადგინა, რომ გ. ლ-მა 18 მარტს დილას აუკრძალა თ. ლ-ეს ...ის წარმომადგენლები დასწრებოდნენ შეხვედრას ...ში, რომელიც 18 მარტს იყო ორგანიზებული, რაც სხვა ფაქტებთან კავშირში წარმოადგენდა მუქარის დამადასტურებელ ერთ-ერთ გარემოებას. სასამართლომ ასევე უპასუხოდ დატოვა და არ დაადგინა,

რომ ლ. ლ-ის ქონება მნიშვნელოვნად ნაკლები იყო მასზე დაკისრებულ ჯარიმის თანხაზე. კასატორის მითითებით, აღნიშნული ადასტურებს, რომ პროკურატურის სამიზნე იყო ...ი, სწორედ ...ს ჰქონდა საკუთრებაში ...ას აქციების 80%, რომლის ღირებულება უტოლდებოდა ჯარიმის თანხას. სააპელაციო სასამართლომ ასევე უპასუხოდ დატოვა და არ დაადგინა, რომ ლ. ლ-ზე ჯარიმის სახით დაკისრებული თანხა, სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის გაცილებით აღემატება ამავე პერიოდში სხვა შემთხვევებში დაკისრებული ჯარიმის თანხებს. სასამართლომ ასევე არ დაადგინა ფაქტი, რომ 2011 წლის 18 მარტს გაიცა რწმუნება გ. ყ-ზე, რაც დასტურდება სახალხო დამცველის წინადადებით. შესაბამისად, ლ. ლ-ის დაკავების ოქმის შედგენამდე, 18 მარტს გაფორმებული ორდერი ასევე წარმოადგენს იმის დასტურს, რომ ლ. ლ-ის დაკავება რეალურად მოხდა არა 19 მარტს, არამედ მას უკანონოდ ჰქონდა თავისუფლება აღკვეთილი 18 მარტის დილიდან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და სარჩელის დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა(ა)იპ ...ას საკასაციო საჩივარი.

ამასთან, ა(ა)იპ ...ამ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომლითაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის საქმის განსახილველად გადაცემის თაობაზე იშუამდგომლა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 იანვრის განჩინებით ა(ა)იპ ...ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე. ა(ა)იპ ...ას შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის საქმის განსახილველად გადაცემის შესახებ იმ ეტაპზე არ დაკმაყოფილდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ...ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილ-

დეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განსახილველი დავის ფარგლებში კასატორის მოთხოვნას მონინააღმდეგე ადმინისტრაციული ორგანოსთვის 11 477 799 ლარის დაკისრება წარმოადგენს, რაც კასატორის მტკიცებით, ა(ა)იპ ...ას გამგეობისა და სს „...ას“ დირექტორატის წევრებზე პროკურატურის მიერ იძულების (მუქარის) შედეგად იქნა გადახდილი. განხორციელებული იძულება გამოიხატებოდა ...ის კუთვნილი ...ას ვაკოტრებისა და ხელმძღვანელი პირების დაკავების მუქარაში. მუქარა ეს არის ფსიქოლოგიური იძულება, რაზეც მიუთითებს კასატორი და ამტკიცებს, რომ პროკურატურის თანამდებობის პირების (საჯარო მოხელეების) მიერ სწორედ მუქარა განხორციელდა ...ის გამგეობისა და ბანკის დირექტორატის წევრების მიმართ 12 000 000 ლარის ...ისგან დასათმობად, რაშიც ლ. ლ-ესთან დადებული საპროცესო შეთანხმება იქნა გამოყენებული. კასატორი მოთხოვნას აფუძნებს ზიანის ანაზღაურებისა (სსკ-ის 1005-ე მუხ.) და უსაფუძვლო გამდიდრების (სსკ-ის 978-ე მუხ.) სამართლებრივ ნორმებზე და მიუთითებს გარემოებებზე, რომელიც მისი მტკიცებით, ერთობლიობაში ადასტურებს ...ის გამგეობისა და ბანკის დირექტორატის წევრების მიმართ განხორციელებულ მუქარას. წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში კასატორი ასახელებს გარემოებებს, რაც სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელი წარდგენილ იქნა ა(ა)იპ ...ას მიერ საქართველოს პროკურატურის წინააღმდეგ, სადაც სადავო საკითხს წარმოადგენს, საქართველოს პროკურატურამ, მისი მოხელის მეშვეობით განახორციელა თუ არა ფსიქოლოგიური იძულება (მუქარა) ...ას გამგეობისა და ...ას დირექტორატის წევრებზე, გადაეხადათ მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის ლ. ლ-ისათვის სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმა. შესაბამისად, სასამართლოს მთავარი აქცენტები, განსახილველი დავის ფარგლებში, ა(ა)იპ ...ას მიმართ უნდა გაკეთდეს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ძირითადად აგებულია ლ. ლ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე არსებულ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე, ხოლო ...ის მიერ წარმოდგენილი სარჩელით სადავოდ ქცეული არაერთი გარემოება, შეფასების მიღმა დარჩენილი. სათანადო შეფასება არ მიეცა განსახილველი დავისთვის გადამწყვეტ იმ გარემოებას, რა აკავშირებდა ა(ა)იპ ...ას ლ. ლ-ისათვის სისხლის სამართლის

საქმიდან გამომდინარე სასჯელის სახით დაკისრებულ ჯარიმასთან, რამეთუ განსახილველ შემთხვევაში სასამართლო არ იხილავს ლ. ლ-ის ბრალეულობისა და მისთვის დაკისრებული ჯარიმის მართებულობის საკითხს. ამასთან, საპროცესო შეთანხმება დადებულია ლ. ლ-ესთან, რაც დამტკიცებულია სასამართლოს განაჩენით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ა(ა)იპ ...ას საქმიანობას და მის მიზნობრიობას. საქმის მასალების მიხედვით (ლ. ლ-ის მიმართ არსებული განაჩენი), 2005 წლის 31 მარტს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2005 წლის 25 თებერვლის „სამოქალაქო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ“ კანონის შესაბამისად დარეგისტრირდა არასამეწარმეო იურიდიული პირი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ...ი „...ა“, რომელიც წარმოადგენდა 1997 წლის 31 იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს #3/29 დადგენილებით დარეგისტრირებული ასოციაცია „...ას“ უფლებამონაცვლეს. არასამეწარმეო იურიდიული პირი ...ი „...ა“ შექმნილი იყო გრანტის გამცემი დონორი ორგანიზაციების დახმარებით საქართველოში სიღარიბის დაძლევის მიზნით და მისი ძირითადი დანიშნულება იყო მიკრო სესხების გაცემა. ამ პერიოდისთვის ...ის კაპიტალი შეადგენდა 9 927 739 ლარს. 2006 წლის 18 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი ფორმა, კერძოდ, დადგინდა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია დაფუძნებულიყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომელიც განაცხადის საფუძველზე დარეგისტრირდებოდა ეროვნული ბანკის მიერ და კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას განახორციელებდა საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით. 2007 წლის 2 ნოემბერს, მიკროსაფინანსო არასამეწარმეო ორგანიზაცია ...მა „...ამ“ დააფუძნა სააქციო საზოგადოება „...ა“, რომელმაც მთელი მისი აქტივები, რაც იმ დროისათვის შეადგენდა 15 175 850 ლარს, გადაიტანა სააქციო საზოგადოება „...ას“ სანესდებო კაპიტალში და საზოგადოების სანესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელი გახდა. 2007 წლის 23 დეკემბერს ...მა „...ამ“ დააფუძნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კ...ი“, რომლის სანესდებო კაპიტალიც შეავსო მისი კუთვნილი სააქციო საზოგადოება „...ას“ 12 140 680 ლარის აქციით, რამაც შეადგინა სააქციო საზოგადოების კაპიტალის 80%. 2008 წლის 3 ივლისს საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებულ იქნა საბანკო საქმიანობის ლიცენზია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მხარეთა შორის სადავო საკითხს არ წარმოადგენს ...ას მიზნობრიობა, რაც ქვეყანაში

სიღარიბის დაძლევაში გამოიხატებოდა (...ას წესდება). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჯარიმა, რომლის სახითაც ...ის მიერ გადარიცხულია 12 000 000 ლარი, ლ. ლ-ეს სასჯელის სახით დაეკისრა ...ის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებისთვის. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 მარტის განაჩენის მიხედვით, ლ. ლ-ეს ბრალი დაედო მასში, რომ ჩაიდინა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. განსახილველ შემთხვევაში ...ის შექმნის მიზნებისა და ლ. ლ-ის ბრალის შინაარსის გათვალისწინებით, შეფასების მიღმა დარჩა ის გარემოება, შეესაბამებოდა თუ არა ...ის მიზნობრიობას მის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე ლ. ლ-ის სასჯელის სახით სააღსრულებო ბიუროში 12 000 000 ლარის ჯარიმის გადარიცხვა.

რაც შეეხება ლ. ლ-ის მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ...ის მიერ თანხის გადარიცხვა, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების შეფასებას იმ კუთხით, რომ საქმის განხილვის ეტაპზე დადგენილი არ იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 მარტის განაჩენის უკანონობა (აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოება არც საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვის დროს დადასტურებულა), რომლითაც დამტკიცდა პროკურატურასა და ლ. ლ-ეს შორის საპროცესო შეთანხმება და ლ. ლ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით და საბოლოოდ, ლ. ლ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 12 000 000 ლარის ოდენობით. თუმცა საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საპროცესო შეთანხმება დამტკიცებულია პროკურატურასა და ლ. ლ-ეს შორის, ხოლო განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ა(ა)იპ....ა.

დადგენილია, რომ სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 28 იანვრის №13-7298 წერილის მიხედვით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება. გამოძიების ეტაპზე ...ას გამგეობის წევრების საჩივრებისა და მონმის სახით დაკითხვის ოქმებით იკვეთება, რომ, შესაძლებელია, სისხლის სამართლის №... საქმის წარმოების დროს ცალკეული სა-

ჯარო მოხელეების მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტს. სრულყოფილი გამოძიების ჩატარების ინტერესებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის #... საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ახალი სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს მთავარი პროკურატურის ცალკეული თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. ახალ სისხლის სამართლის საქმეს მიენიჭა დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომერი –

....

აღნიშნული წარმოებები ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის განხილვისას არ იყო დასრულებული და მიმდინარეობდა, არც საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოდგენილა ინფორმაცია მითითებულ წარმოებებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება კასატორის (მოსარჩელის) მიერ წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის დასადასტურებლად მითითებულ გარემოებებს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შესაძლოა, ცალკეული მონმის ჩვენება ან მოსარჩელის მიერ დასახელებული გარემოება არ იძლეოდეს საქმეზე რეალური ვითარების დადგენისა და შეფასების შესაძლებლობას, თუმცა განსახილველი დავის ფარგლებში, ...ას გამგობისა და ...ას დირექტორატის წევრებზე განხორციელებული ფსიქოლოგიური იძულების დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმის გარემოებების ერთობლივ ანალიზს, რამეთუ იძულებად ფაქტის შეფასება, მით უფრო ისეთ ვითარებაში, როდესაც, მოსარჩელის მტკიცებით, იძულება ხორციელდებოდა პროკურატურის მხრიდან, მარტოოდენ პირდაპირი მტკიცებულებებით, რთულ საკითხს წარმოადგენს, რის გამოც, იძულების დასადასტურებლად და საქმეზე სათანადო დასკვნის გასაკეთებლად სასამართლოს შეფასების მიღმა არ უნდა დარჩეს საქმეზე წარმოდგენილი გარემოებები.

სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების წესს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი, რომლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. ამასთან, სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა

როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში შეფასებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, მხარეთა მიერ მათი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის საფუძვლად მითითებულ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება მხარეთა ახსნა-განმარტებით, მონშეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით.

განსახილველ შემთხვევაში კასატორი მუქარის არსებობის ერთ-ერთ დამადასტურებელ მტკიცებულებად მიუთითებს მონშეების – ლ. ლ-ის, თ. ლ-ის, ნ. თ-ას, ი. მ-ის, მ. ვ-ის, ზ. მ-ის ჩვენებებზე. სააპელაციო პალატამ საკითხის შეფასებისას ყურადღება გაამახვილა ზემოაღნიშნული მონშეების ა(ა)იპ ...ასთან კავშირზე. საკასაციო სასამართლო არ უარყოფს მონშეთა ჩვენებების შეფასებას მათი სარწმუნოებისა და დამაჯერებლობის კუთხით, თუმცა მართოდენ ...თან კავშირით არ შეიძლება გამოირიცხოს მონშეთა ჩვენებების მხედველობაში მიღება, საქმეზე სათანადო დასკვნის გასაკეთებლად გადამწყვეტია დასახელებული გარემოებების ერთობლივი და ყოველმხრივი ანალიზი. ასევე, შესაძლოა კონკრეტული მონშის ჩვენება პირდაპირ არ აღწერდეს მუქარის ფაქტს და მუქარაზე რაიმე არსებით მითითებას არ შეიცავდეს, თუმცა სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში გარკვეული როლი შეიძლება ითამაშოს საქმეზე რეალური ვითარების დასადგენად. აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი პრეტენზიას გამოთქვამს სააპელაციო სასამართლოს მიერ დასახელებულ იმ გარემოებაზე, რომ მ. ვ-ი არის ...ას აქციონერი. კასატორის მითითებით, ...ა არის არასამენარმეო არაკომერციული იურიდიული პირი და მას არ ჰყავს აქციონერები. მას ჰყავს გამგეობის წევრები, რომელთა სიაშიც მ. ვ-ი არ არის, რასთან დაკავშირებითაც კასატორი მიუთითებს ...ას წესდებაზე. კასატორის მითითებით, მ. ვ-ი არ წარმოადგენდა არც ...ას აქციონერს. იგი იყო ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სს კ...ის დირექტორი, პროკურატურის მიერ ...ზე მუქარის განხორციელების მომენტში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, თუმცა აღნიშნული უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. ამასთან, სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში შეფასებას. შესაბამისად, შესაძლოა, მონშეთა ჩვენებები ცალკე აღებული არ ადასტურებდეს წარმოდგენილ სარჩელს, თუმცა სასამართლომ ისინი უნდა შე-

აჯეროს მოსარჩელის მიერ დასახელებულ და საქმეზე წარმოდგენილ რიგ გარემოებებსა თუ არგუმენტებთან მიმართებაში. კასატორი წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში მიუთითებს იმ გარემოებებზე, რაც სასამართლოს მიერ არ იქნა გამოკვლეული, დადგენილი და შეფასებული.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ა(ა)იპ ...აზე შესაძლო იძულების განხორციელებასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლოს შეფასება არ მიუცია ...ის მიერ ლ. ლ-ის სასჯელის სახით სააღსრულებო ბიუროსთვის გადარიცხული ჯარიმის თანხის – 12 000 000 ლარის ოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ, უდავო გარემოებას წარმოადგენს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 მარტის განაჩენის მიხედვით, საბოლოოდ, ლ. ლ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 12 000 000 ლარის ოდენობით. ...ა როგორც საქმის განხილვის დროს, ასევე საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ ლ. ლ-ის ქონება მნიშვნელოვნად ნაკლები იყო მასზე დაკისრებულ ჯარიმის თანხაზე, რის დასადასტურებლადაც მოსარჩელე მიუთითებდა საჯარო რეესტრიდან მიღებულ ინფორმაციაზე ლ. ლ-ისა და მისი მეუღლის ქონებრივი ნუსხის შესახებ და მითითებული ქონების შეფასების დასკვნებზე. კასატორის მითითებით, სწორედ ...ს ჰქონდა საკუთრებაში ...ას აქციების 80%, რომლის ღირებულება უტოლდებოდა ჯარიმის თანხას, ...ას მთელი ქონება სწორედ იმ ფასად იყო შეფასებული, რა თანხაც ჯარიმის სახით დაეკისრა ლ. ლ-ეს. სასამართლოს არ შეუფასებია საჯარიმო თანხის კონკრეტულად 12 000 000 ლარით განსაზღვრა, ...ასა და ლ. ლ-ის ქონებასთან მიმართებაში. სააპელაციო სასამართლომ ასევე შეფასების გარეშე დატოვა მოსარჩელის მითითება მასზედ, რომ ლ. ლ-ეზე სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის თანხა, სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის გაცილებით აღემატება ამავე პერიოდში სხვა შემთხვევებში დაკისრებული ჯარიმის თანხებს. აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე, რომელზე დაყრდნობითაც აღნიშნავს, რომ იდენტური სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ლ. ლ-ისგან განსხვავებით, მრავალჯერ ნაკლები, რიგ შემთხვევებში 1700-ჯერ ნაკლები ჯარიმის საფუძველზე იდებოდა საპროცესო შეთანხმება 2010-2011 წლებში. საკასაციო სასამართლო კვლავ მიუთითებს, რომ ცალკე აღებული დასახელებული გარემოებები შესაძლოა არ ადასტურებდეს ...ზე განხორციელებულ შესაძლო იძულებას, ამასთან, ყოველი კონკრე-



ტული საქმე ინდივიდუალური მახასიათებლებითა და ფაქტობრივი მოცემულობით გამოირჩევა, თუმცა საქმეზე სათანადო დასკვნის გასაკეთებლად, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს მათ ერთობლივ შეფასებას. ამასთან, საკასაციო სასამართლო არ გამოირიცხავს მესამე პირის მიერ სახელმწიფოსთვის ლ. ლ-ის კუთვნილი ჯარიმის გადახდას, რამეთუ საპროცესო შეთანხმების ბუნებიდან გამომდინარე, კანონმდებლობით დაშვებულია მესამე პირის მიერ პირისთვის დაკისრებული ფულადი თანხის გადახდა (სადავო პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-218-ე მუხ.), თუმცა იმ პირობებში, როდესაც ...ა სადავოდ ხდის ლ. ლ-ის სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის გადარიცხვის ნების ნამდვილობას, მიუთითებს ...ასა და ლ. ლ-ის ქონებისა და დაკისრებული ჯარიმის ოდენობაზე, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული გარემოებების სათანადო გამოკვლევასა და შეფასებას. მესამე პირის მიერ ჯარიმის გადახდა საპროცესო შეთანხმებას ვერ აქცევს უკანონოდ, მოცემულ შემთხვევაში საყურადღებოა არა მესამე პირის მიერ თანხის გადარიცხვის ფაქტი, არამედ თანხის გადარიცხვის ნების ნამდვილობა, რის შესაფასებლადაც ყურადღება უნდა გამახვილდეს მესამე პირის კავშირზე ბრალდებულთან, რაც სათანადოდ არ იქნა შეფასებული სასამართლოს მიერ.

კასატორი ასევე სადავოდ ხდის თანხის გადარიცხვის, ლ. ლ-ის დაკავებისა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თარიღებს შორის შეუსაბამობას, რასთან დაკავშირებითაც საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადად, არ გამოირიცხება, რომ თანხის გადახდა წინ უსწრებდეს სასამართლოს მიერ მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს, მხარეთა მოლაპარაკების საკითხს შესაძლოა მართლაც წარმოადგენდეს სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის წინასწარ გადარიცხვა, თუმცა საკასაციო სასამართლო განსახილველ შემთხვევასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ საყურადღებოა და შესაბამისი შეფასება უნდა მიეცეს იმ საპროცესო მოქმედებებს, რაც საფუძვლად დაედო ...ის მიერ ლ. ლ-ის სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის სააღსრულებო ბიუროსთვის გადარიცხვას.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი პრეტენზიას გამოთქვამს სააპელაციო სასამართლოს დასკვნაზე საპროცესო შეთანხმების 2011 წლის 18 მარტს გაფორმებასთან დაკავშირებით, რის სანინააღმდეგოდაც კასატორი მიუთითებს საქმის გარემოებებზე და 2011 წლის 19 მარტს განვითარებულ მოვლენებზე. კასატორი ასევე სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მითითებას 2011 წლის 18 მარტს ლ. ლ-ის პროკურატურაში ყოფნასთან და-

კავშირებით და აღნიშნავს, რომ ეს გარემოებები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სადავო გარემოებებს მოცემულ საქმეზე. აქვე კასატორი მიუთითებს 2011 წლის 18 მარტს გ. ყ-ზე გაცემულ რწმუნებაზე. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს და შეფასება მისცეს კასატორის მიერ დასახელებულ შეუსაბამობებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. სააპელაციო სასამართლომ ასევე შეფასება უნდა მისცეს სადავო იძულების განხორციელებასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის ჩართულობის საკითხს. ასევე შეფასება უნდა მიეცეს 2011 წლის 18 მარტს ...ში ორგანიზებულ შეხვედრაზე ...ის წარმომადგენლების დაუსწრებლობას, რაც კასატორის მტკიცებით, სხვა ფაქტებთან კავშირში წარმოადგენდა მუქარის დამადასტურებელ ერთ-ერთ გარემოებას.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთი არასწორად გაანალიზა. პროკურატურას შესაგებელში უნდა ემტკიცებინა, თუ არა მუქარა, რა გარემოებები ამოძრავებდა, როცა თავად აქტიურობდა 12 000 000 ლარის ...ისაგან მიღებაში, იმ ვითარებაში, როდესაც სახეზეა პროცესში ეროვნული ბანკისა და თ...ის ჩართულობა, ასევე – საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 5 ოქტომბრის №... ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ ...სა და სსიპ შემოსავლების სამსახურს შორის 2012 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული საგადასახადო შეთანხმება, 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ...ას არადეკლარირებული შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულების შემცირების თაობაზე. შეფასების მიღმა დარჩა მითითებული საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წინაპირობები.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სასამართლომ არ დაადგინა ფაქტი, რომ პროკურორ გ. ლ-ის მიერ 2011 წლის 18 მარტს ხორციელდებოდა იძულება ლ. ლ-ზე, თ. ლ-ესა და ნ. თ-აზე. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მოიხმობს დიდი პალატის განმარტებას მასზედ, რომ იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია (იხ. სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02.03.20176.). ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დაასკვნა: „სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვა-

ლისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს“ (იხ. სუსგ №ას-89-83-2015, 23.10.2015წ.). ამდენად, „იძულება“ არის არა ფაქტი, არამედ ფაქტის სამართლებრივი შეფასება.

რაც შეეხება კასატორის მითითებას სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოთხოვის შუამდგომლობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის მიხედვით, წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია დაასაბუთოს, თუ საქმისთვის მნიშვნელოვანი რა გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით და რას ეფუძნება მისი ვარაუდი, რომ მტკიცებულება მის მიერ მითითებული პირის ხელთაა. საბოლოოდ, თავად სასამართლო განსაზღვრავს მტკიცებულებების გამოთხოვის აუცილებლობასა და საჭიროებას, მტკიცებულებათა გამოთხოვა სასამართლოს მიხედულების სფეროს განეკუთვნება, თუმცა საკასაციო სასამართლო განსახილველ შემთხვევასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მოთხოვნილი სისხლის სამართლის საქმის მასალებს შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონოდა მოცემულ საქმეზე სადავოდ ქცეული გარემოებების დადგენისა და შეფასების კუთხით, რამეთუ მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლს მიუთითებს, სადაც საუბარია სხვა პირის მიმართ სახელმწიფო მოსამსახურისა და საჯარო მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევაზე, მოთხოვნილი სისხლის სამართლის საქმე კი მიმდინარეობს საქართველოს პროკურატურის ცალკეული თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული საქმის სადავო გარემოებების სრულყოფილად დადგენისა და შეფასების მიზნით, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოსარჩელის შუამდგომლობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებს ზიანის ანაზღაურებისა (სსკ-ის 1005-ე მუხ.) და უსაფუძვლო გამდიდრების (სსკ-ის 978-ე მუხ.) შესაბამის კანონისმიერ დანაწესებზე და მიუთითებს გარემოებებზე, რომელიც მოსარჩელის მტკიცებით, ერთობლიობაში ადასტურებს ...ას მიმართ განხორციელებულ იძულებას.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძველით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება. ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისათვის გამიზნული ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებაა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02.03.2017წ.). დასახელებულ საქმეზე დიდმა პალატამ განმარტა, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები გარკვეული ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა შემოწმდეს. კანონი ამ რიგითობას არ აწესებს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების შემოწმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან. სარჩელთა კონკურენცია, რომელიც მდგომარეობს მოთხოვნის რამდენიმე საფუძველის ერთდროულად ფორმირებაში, მოიცავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და სავინდიკაციო, სავინდიკაციო და დელიქტურ, დელიქტურ და კონდიქციურ, კონდიქციურ და სავინდიკაციო სარჩელთა კონკურენციას.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეზე სადავოდ ქცეული გარემოებების ყოველმხრივ გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, უნდა იმსჯელოს მოსარჩელის მიერ დასახელებული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების გამოყენებაზე. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დავა განიხილოს და გადანეციტოს არსებითად, რამეთუ სახეზეა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე სადავოდ ქცეული გარემოებების დამატებით კვლევისა და შეფასების საჭიროება, რაც ქმნის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ...ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა(ა)იპ ...ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საპროცესო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 298 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)